

NEW

ტანსტების და
ხონტანსტების
წიხნაი

№7 (15)

საქართველო, 2014 წელი
ფაილი
ბიბლიოთეკა

ს.გ.

საქართველო

1970
2014

წიხნის ავტორები

გივი ალხაიშვილი & ბორის ხარსონსკი

კოფია

შალვა ბაქურაძე

პროზა

ალექსანდრა ჭალიძე
STABAT MATER


კრიტიკა & ესეისტიკა

დამო ბარბაქაძე
ერთი თავი მიგინდა: FRAGMENTARIUM

ღელა კოდლაშვილი
პროზაიკოს ქალბავ

ახალი

Борис Херсонский



ახალი თარგმანი

მარსელ კრუსტი
ნაწევები მიგინდას
„სოდომი და გომორი“

არტი

ღელა სტურუა
„რაიშვილები“

ქურნალი „ახალი საუწყე“ 2014 წლიდან
შეგიძლიათ გამოიწეროთ ელვა.GE-ზე

3 თვე – 5.50 ლარი

6 თვე – 11 ლარი

მის.: ქ.თბილისი, იოსებოძლის ქ.49

elva@elva.ge

ტელ.: (+995 55 32) 2-38-26-74; 2-38-26-73;

2-38-26-76; (+995 55 32) 38-08-774



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

ქურნალი გამოდის საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
შსარდაჭერით

წიგნების ავტორები

ბივი ალხაზიშვილი

- მკვ. ძეგანიშვილი – გივი ალხაზიშვილის მინერალები 5
- ბივი ალხაზიშვილი – ლექსები 4; 10-14
- ბივი ალხაზიშვილი – მინიმალისტური პროზა 15
- ბივი ალხაზიშვილი – თარგმანები 19
- ბივი ალხაზიშვილი – ესეები 21
- ავტორის შესახებ
- მასთან დაკავშირებული 14
- ტარიელ ჭანტურია 23
- ზაზა შათირიშვილი 24
- ლემსო დორეული 24

პირის ხარსონსკი

- ლემსკი ნაგვიდან კი არ იბადებინან,
ნაგავს ამოსცდებინან და ისა იზრდებინან (ინტერვიუ) 26
- პირის ხარსონსკი – ლექსები
(რუსულიდან თარგმნეს ზვიად რატიანმა და
შოთა იათაშვილმა) 29-33; 42
- პირის ხარსონსკი – სამოცდაათიანთა ხსოვნას
(რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ) 34
- პირის ხარსონსკი – სიგიჟის საგანძური
(ფსიქიატრის ჩანაწერები)
(რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ) 43

პოეზია & პროზა

- შალვა ბაქურაძე – ლექსები 50
- ალექსანდრე ჭელიძე – Stabat Mater (მოთხრობა) 55





პრიტიკა & ესეისტიკა

დათო ბარბაქაძე – ერთი თავი წიგნიდან:
Fragmentarium 69
ლელა კოდალაშვილი – მწერალი ქალები
საბრძოლო ტატამზე 84



პროექტის ავტორი:
ვაჟა წიგნაშვილი

მთავარი რედაქტორი:
ჰოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
ბიკა ეპკვირაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქვიციანი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
ბიკა ხალაი

ახალი თარგმანი

მარსელ პრუსტი – ნაწყვეტი რომანიდან
„სოდომი და გომორი“
(ფრანგულიდან თარგმნეს ნატო და
გიორგი კახაბერეძმა) 89



ნომერზე მუშაობდნენ:
ბიკი ალხაჯიშვილი
ეკა ქვიციანი
ვესტან ჯაბახია
ტარიელ მანთუკია
ზაზა შათირიშვილი
ლევან ღორჯული
ზვიად რატიანი
თამარ კოჭრიაძე
შალვა ბაჟრაძე
ალექსანდრე მელიძე
დათო ბარბაქაძე
ლელა კოდალაშვილი
ნათო კახაბერი
გიორგი კახაბერი
ლია სტურუა

ართი

ლია სტურუა – „რამიშვილები“ 107



გამომცემლობა – „საუნჯე“

მის.: ალ. საზაგისი 32/34

ტელ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunje_saunje

ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com

Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing <http://www.facebook.com/saunjee>

www.saungeo.ge



ნომრის ავტორები



* * *


როგორ შეეპარა დაისი დუნიას,
მზის ჩასვლა – ტკივილზე სული შენაბერი,
დაო სიდონია, დაო სიდონია,
ჩემს სარკმელს მოადგა სალამო – შინაბერა.

რა უკურნებელი სიმდორეა –
წუთებს რომ ისრუტავს კვლავშობილს,
დაო სიდონია, დაო სიდონია,
გზა, მე რომ მივდივარ არის კლავიშები.

ბგერიდან ბგერამდე ქაოსი ტოლია
დალუპვის. სიმწყობრეში სუნთქავს სასწაული,
დაო სიდონია, დაო სიდონია,
თვალწინ მიდი-მოდის ყველა ასწლეული.

ბგერები, ბგერები სიტყვებად შეკრებილი,
სიტყვის ნათებაში ჩამავალ მზის დონეა,
ისევ იკანრება წარსული ეკლებივით,
დაო სიდონია, დაო სიდონია.

შენი გახსენება, ასეთი მარტივი,
ის დროა, რომელიც დღეს აკმევს,
ბალის სიგრილეში ჩაივლი ლანდივით,
თვალეებით მოძებნი ჩემს სარკმელს.



გივი ალხაზიშვილის მინერალები

ვა ქვენიშვილი

არიან ასეთი ქუთაისლებიც – თელავში დაბადებულები. დასაველეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის გახლჩილები.

სკოლას რომ იმერეთში ამთავრებენ, იქ იზრდებიან, მაგრამ წლის ყველაზე ტკბილ, ზაფხულის სამ თვეს – არდადეგებს, თელავში ატარებენ. ხდება ასეც – რომ თელავი დედუღეთია. დედის სამშობლოს, თქვენი არ ვიცი და, ჩემი აზრით, რალცანიური სხვანაირი მიზიდულობა აქვს. ამ მიზიდულობის გახსენებით დაიწყო კიდევ თავგადასავლის თხრობა გივი ალხაზიშვილმა. თავგადასავალი კი მოსაყოლია, თან, მითუმეტეს, როცა გასახსენებელი ბევრი გაქვს. თუმცა, გივი ალხაზიშვილს ასაკზე ცუდად ვერ დაელაპარაკები. რატომღაც მგონია, რომ რამდენი ლექსიც არ უნდა დაწეროს სიბერეზე, მაინც არასოდეს აღიარებს, რომ ერთ დღეს შეიძლება დაბერდეს. დღეს კი თბილისში, ინგლისური ჩაის სახლში ესხედვართ და ვყვებით ამბებს.

1944.

ამბობს გივი ალხაზიშვილი. ეს მისი დაბადების წელია. მეორე მსოფლიო ომის დასრულების წინა წელი. 26 მაისი. დაბადების ადგილი – თელავი. გავა წლები და უნივერსიტეტულ მეგობრებთან ერთად ამ დღეს არაერთხელ აღნიშნავს, თუმცა, უფრო როგორც ანტიკომინისტურ თარიღს – დამოუკიდებელი საქართველოს სადღეგრძელოს თანხლებით და არა როგორც დაბადების დღეს. დიდად დაბადების დღეებს არც აღვნიშნავდით ხოლმეო, მეუბნება. მაგრამ 26 მაისი სხვა იყო – მითუმეტეს მაშინდელ დროში, პროტესტით გატანილ სტუდენტებში.

„იცი, რამდენჯერ მოსულან ვიღაც ტიპები და უკითხავთ, რას აღნიშნავთ? ამ დროს მე ვაძლევდი ხოლმე პასპორტს,

ჩემი დაბადების დღის დასტურად და ვუკითხავდი მაიაკოვსკის ამავე სახელწოდების ცნობილ ლექსს, ხომ გახსოვთ, „ჩიტაინე, ზავიდუინე, ია გრაუდანინ სოვეტსკოვო საიუზა“-თქო. ამით ვიცლებდით“.

26 მაისის აღნიშვნა კი გრძელდებოდა.

ქუთაისში, მამის სამშობლოში, დაბადებიდან რამდენიმე წელში გადავიდნენ. ამბობს კიდევ, დღემდე შემომჩნა ეს სინთეზი – აღმოსავლეთის და დასაველეთისო. და ორივე მხარის სიყვარულიც.

ალხაზიშვილების მამაპაპისეული სახლი იმერეთის სოფელ ზარათში იდგა. გივის ბაბუა გადასახლებულა ქუთაისში და ახალი სახლიც უყიდა. დღეს ეს სახლი ალხაზიშვილების აღარ არის. სამაგიეროდ, დარჩა მოგონება, რომელსაც დღესაც ვერ იხსენებს გულგრილად გივი ალხაზიშვილი.

„პირველი, რაც მაგ სახლზე მახსენდება, ეს იყო ბიძაჩემის, მამაჩემის უმცროსი ძმის სურათი. სწორედ იმ ოთახში, სადაც მე მეძინა, კედელზე ეკიდა ეს სურათი. ბებიაჩემს ბევრი, ათი თუ თერთმეტი შვილი ჰყავდა, ის კი ყველაზე უმცროსი იყო – ომში გაპარულა 17 წლისა, საიდანაც ველარც დაბრუნდა. კარგად მახსოვს, ჩემი დიდედა ჩუმად რომ ტიროდა და ლოცულობდა ხოლმე. დაუფინყარი სურათია“.

მამისეული სახლი გივის მამამაც დატოვა და ახალ ცხოვრებას ბაგრატის ტაძრის უბანში შეუღდა: ახალ სახლში – დიდი ეზოთი და ვენახ-



ით. დედა და გივი დიდი მუწრნეები იყვნენ თურმე, ყველაფერს ისინი უწვლიდნენ.

„არ არ მოგვყავდა მე და დედაჩემს: კიტრი, პომიდორი, ლობიო, სიმინდი. კაკალს მე ვებრტყავდი. რამდენიმე ძირი იყო. შავი ქლიავი ნახევარი ტონა მოდიოდა, უამრავი კარალიოკი, ნახევარი ტონა ყურძენი – ციცქა და ცოლიკაური. ძალიან მენატრება ჩემი სახლ-კარი“.

მამას და გივი ალზაზიშვილის ორ ძმას სხვა სიხარულები ჰქონდათ. ეტყობა, მინის სიყვარული იქედან გამომყვაო, ამბობს დღეს გივი ალზაზიშვილი. თბილისში ჯერჯერობით ეზო არა აქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, ყვავილებს უწვლის სახლში.

ალზაზიშვილები (ზოგან ალზაზაშვილები, ასეც გვგვდება ეს გვარი მე-18 საუკუნის დოკუმენტებში), როგორც გივი ალზაზიშვილი მიაბობს, სოლომონ მეფის კარის აზნაურები ყოფილან, სოფელ ზარათიდან. წინაპრების წანაბობი დღემდეა შემორჩენილი: ამ სოფელში, რამდენიმე საუკუნის წინათ, ვინმე ალზა ემხვარი ჩასულა, აფხაზი თავადი, რომელმაც, ამ გადმოცემის მიხედვით, თურმე აფხაზეთში ვიღაც მოკლა და გამოქცეულმა თავი სოფელ ზარათს შეაფარა. მერე, როგორც ხდებოდა ხოლმე – ახალი სახელი, ახალი ოჯახი და მის შთამომავლობასაც ეს გვარი შერჩა – ალზაზა(ს)შვილებისა და ალზაზი(ს)შვილებისა.

„თვითონ ეს სიტყვა, „ალზაზ“, როგორც აღექვსანდრე ლონტი წერს, კავკასიურ-იბერიული საკუთარი სახელია, ეს სახელი ჰქვიათ ჩეჩენებსაც, აფხაზებსაც, მოკლედ, კავკასიიდებს. ამავე დროს, არაბისტებმა მიიხრეს, რომ შინაარსობრივად ეს სიტყვა ქუდბედიანს, რჩეულს ნიშნავს“.

ქუთაისში მეექვსე სკოლაში მიიყვანეს. დღეს აღარც ეს სკოლა არსებობს. ქუთაისში თუ სკოლას მოიკითხავ, ყველა პირველ სკოლაზე მიგითითებს. ბევრი ცნობილი ადამიანი გაზარდა ამ სკოლამ, თუმცა, ბევრმა ალბათ არც იცის, რომ მეექვსე სკოლასაც ჰყავდა თავისი საამაყო კურსდამთავრებულები. სკოლა სულ თავიდან სასულიერო სემინარია ყოფილა, თუმცა, საბჭოთა პერიოდში, გასაგები მიზეზების გამო, სკოლის წარსულზე არავინ ლაპარაკობდა. სკოლა ისე დავამთავრე, არც კი ვიცოდი, ასე თუ იყო და სწორედ ჩემს, მეექვსე სკოლაში წაწვლობდნენ გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, კორნელი კეკელიძე, სოლოვან ხუნდაძე და სხვანიო, – ამბობს გივი ალზაზიშვილი.

„ბევრჯერ გავიბრძოლე, რომ იმ ადგილას ერთი სამახსოვრო აბრა მანაც გაეკეთებინათ წარწერით, თუ ვინ წაწვლობდა იქ და რა ისტორია ჰქონდა ამ სკოლას“...

ხუთოსანი არ ყოფილა. არა.

ჰქონდა ერთი ყველაზე მთავარი და განსაკუთრებული სიყვარული და ინტერესი – ლიტერატურა. ამიტომაც იყო, სკოლების შემონაშენების დროს, ლიტერატურაზე სასაუბროდ დისკუსია სწორედ მის სკოლაში, მისი მონაწილეობით ეწყობოდა ხოლმე. ამ გზას, გზას დიდი ლიტერატურისკენ, ჰქონდა თა-

ვისი დასაწყისი, სკოლის ბიბლიოთეკა, სადაც დედა მთავარი დარბაზის გამგე იყო, გივის კინებისმიერი წიგნის წაკითხვა შეეძლო. სკოლიდან გამოსული, ჯერ დედას შეუვლიდა, მერე სახლში ერთად ბრუნდებოდნენ.

„ეკითხულობდი ყველაფერს, რაც ხელში მომხვებოდა. დედა არ მაკონტროლებდა. მაშინ ასეთი დრო იყო – „დეკამერონს“ ვკითხულობდი ჩუმად. მაშინდელი მორალის თვალსაზრისით, „დეკამერონი“ ხომ ცუდ წიგნად ითვლებოდა“.

თუმცა, სკოლის ბიბლიოთეკის სივრცე ნელ-ნელა დაპატარავდა ასაკის მატებასთან ერთად. საბედნიეროდ, გარშემო იყვნენ ადამიანები, ვისგანაც ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა. აზროვნების – შეიძლება ასეც ვთქვათ.

„მე მყავდა, მაგალითად, ანდერგაუნდელი მეგობრები, ანტისაბჭოთა ტიპები, ვისგანაც ბევრი რამ ვისწავლე და გავიგე. იყო კიდევ შალვა ალზაზიშვილი, ძველი ფუტურისტი, რომელსაც უნიკალური ბიბლიოთეკა ჰქონდა. სწორედ მის ბიბლიოთეკაში დავიწყე სეროიზული ლიტ-



შაუბტავატი – იძულებითი სამუშაო. 1964 წ.



გზად კიროვაბადიდან სუმგაითისკენ.
არტილერისტების სამთიანი სწავლება. 1965 წ.

ერატურის კითხვა. ცხადია, რუსულად ვკითხულობდი და დღესაც რუსულენოვანი მკითხველი უფრო ვარ. თუმცა, ის, რომ ცუდად ვიცი უცხო ენა, ხელს არ მიშლის გავეცნო ყველა სიახლეს, რაც მსოფლიო ლიტერატურაში ხდება. მასსოვს, შალვას ბიბლიოთეკაში კედლებზე იყო დიდი მწერლების და მოაზროვნეების სურათები. ეს იყო სივრცე - იღუმალბებით მოცული სახელებით და ავტორებით. სწორედ ამ ყველაფერთან მონინია გამიზაურებამ“.

ასე მიდიოდა ბავშვობა. კარჩაკეტილი, განმარტებული ბავშვი ვიყავი, დღეს ამბობს გივი ალხაზიშვილი. დრო სულ რაღაცის დაკვირვებასა და ფიქრში გადიოდა. ბევრს ეს უცნაურად ეჩვენებოდა, მითუმეტეს, მისი ძმების ფონზე, რომლებიც ქუთაისში გაზრდილი ტაიფური ბიჭებისნაირები იყვნენ. გივი კი ლექსებს წერდა. გივი კი მარტო იპარებოდა ჩონჩხ საცურაოდ და საათობით ცურავდა. გივი კი დროს იხელთებდა ათუ არა, ჯაჭვის ხიდიდან ხტებოდა ან ტაძრის კედლებზე დაქრებოდა.

„დღეს რომ ვფიქრობ, რა სიამოვნებას მანიჭებდა ეს, გვლები, რომ, როგორც ჩანს, ძალიან მიყვარდა ზიფათის დამოკლება, ცურვის დროს კი ბევრი ზიფათი მაქვს გადატანილი, როინიც ასეთი იყო - წინააღმდეგობის გადალახვა. ოღონდ მარტო“.

ლექსებსა და ცურვას შორის იყო კიდევ ერთი გატაცება - მუსიკა. დღეს ელიმება ამ ამბავზე, მაგრამ პატარაობაში, თურმე მთელი ხმით მღეროდა. რადიოთი გადაცემული საოპერო რეპერტუარი სულ ზეპირად იცოდა და ხან რომელი ტენორის პარტიას მღეროდა და ხან რომლისას. მუსიკა დღესაც მისი სიყვარულია, ოღონდ ლიტერატურის შემდეგ. მაშინ კი, უბანში, საქვეყნოდ მომღერალი ბიჭი მუსიკალურ სასწავლებელში მიაბარეს - ჰობოის კლასში.

დაის, არც ვიოლინო და არც ფორტეპიანო, არამედ, ჰობოი! „წლების შემდეგ, უნივერსიტეტში რომ ჩავირიცხე, იქ მომთხოვეს, რომ უნივერსიტეტის სტუდენტურ სიმფონიურ ორკესტრში დამეკრა. ასეც მოხდა, მეორე ჰობოის უკრავდი ხოლმე... თუმცა, დღეს რომ ვფიქრობ და ვფასებ, მუსიკის ეს სიყვარული, ცხადია, ვერ შეედრებოდა ლიტერატურის სიყვარულს, რომელიც იყო და არის მთავარი სიყვარული ჩემს ცხოვრებაში“.

მაგრამ ლექსების საქვეყნოდ, შეკვეთით თქმა თავიდანვე სძულდა. არადა, რა გინდა უთხრა მამას, რომელსაც ძალიანაც მოჰყონდა თავი შვილის ამ ნიჭით და სთხოვდა ხოლმე, სტუდენტის წინაშე წაეკითხა ლექსები. იმდენად არ მიყვარდა, რომ მერჩინვა მემღერაო, ამბობს გივი. „ლექსი, მისი წაკითხვა მითუმეტეს, ეს იმხელა ინტიმი, რომ მისი გასართობ საშუალებად ქცევა ყოველთვის მალიზინებდა“.

აქვე უნდა მოვიყვე ლექსებზეც, რადგან გივი ალხაზიშვილის პირველი ლექსები ქუთაისური ცხოვრების ნაწილია. მეექვსე-მეშვიდე კლასიდან იმდენს წერდა, რეკულებს ავსებდა თურმე.

„რა იყო ეს ძალა? რაღაც ამოუთქმელი განცდა, რომლის თქმის აუცილებლობაც მიჩნდებოდა. მაშინ, როცა პატარა ხარ და რაღაცის ამოთქმა გინდა, რითმას არ ეძებ, გენერება და წერ. ისე კი, მე მაინც მგონია, რომ ნებისმიერ ლექსს, სანამ ის დაიწერება, თავისი ფორმა აქვს და ის უმწმი ზის“.

უფროს კლასებში დღე ისე არ გავიდოდა, შვიდი-რვა ლექსი არ დაეწერა. ალბათ ასაკის ბრალიც იყო, სიყვარულებისაც, სისხლი რომ აღარსად ეტევა, მაგ შეგრძნების.

„კი, შეყვარებულიც ვიყავი ხოლმე. დღესაც კი მასსოვს სახელები იმ გოგოების. ერთხელ, ერთი გოგო პაემანზეც დავიბარე, მაგრამ რომ მოვიდა, დაემუნჯდი და ხმა ვერ ამოვიღე. ასეც ხდებოდა“.

ქუთაისის ის სახლი, რომლის ფანჯრებიდან სამი სხვადასხვა ტაძარი ჩანდა, მეოცე საუკუნის 70-იან წლებში გაყიდეს. ქუთაისში ისე არ ჩავიდოდა, ეს სახლი და თავისი ქუჩა რომ არ მოენახლეუდნენ. ეს სხვათაირი კოლორიტი და მისი სიყვარული დღემდე შემომრჩაო, ამბობს გივი ალხაზიშვილი დღეს, სახლის გაყიდვიდან მრავალი წლის შემდეგ.

პირველი ნიგინი რომ დაიბეჭდა, გივი აღხაზიშვილი 28 წლისა იყო. ეს ამბავი, მისი ნიგინის „დაპატიმრებისა“, ბევრჯერ აქვს მოყოლილი. როგორც თავად მოგვითხრობს, რადგან ე.წ. „პარაოზებს“ არ წერდა, წიგნსაც დაავიანდა. საბჭოთა ბელადების და ზოგადად, წყობისადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსი და გზა გახსნილი იყო. საბოლოოდ, ნიკა აგიაშვილის დახმარებით, გივი აღხაზიშვილის პირველი კრებული „ლექსები“ მაინც დაიბეჭდა. მერე წავიდა და წავიდა. დღეს გივი აღხაზიშვილი ოცზე მეტი პოეტური კრებულის, ოთხი რომანის, ესეებისა და თარგმანების ავტორია. წერდა ვერლიბრსაც და წერდა კონვენციურ ლექსსაც. დღემდე ასეა.

წყევტავ იყო – საბჭოთა ჯარის სამი წელი, როცა, მოუხედავად იმისა, რომ კალამი და რეჟული სულ თან ჰქონდა და ჩანაწერებსაც აკეთებდა, ლექსი არ დაუწერია. ლექსები დაბრუნდნენ ჯარის შემდეგ. როცა თბილისში დაბრუნდა და 22 წლისამ ქეთინო გაიცნო.

მაღე დაქორწინდნენ. სად არ ცვხოვრობდით ქირითო, დღეს იხსენებს. უბანი და ქუჩა არ დამრჩენია, ჩვენ რომ არ გვეცხოვროდა და სიაც აქვს ჩამოწერილი. მომთაბარე ცხოვრება დასრულდა 1970-71 წლებში, როცა ბორჯომის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის გადაწყვეტილებით, მასაც, სხვა მწერლებიც მსგავსად, ბინა მისცეს.

იყო ერთი, ჩვეულებრივი ცხოვრება. ოჯახი, შვილები, ხან ქორა და ხან საკუთარი ბინა, კომუნალური გადასახადები, სამსახურები... მოკლე, როგორც ხდება და იყო მეორე, პოეტური ცხოვრებაც. ალბათ, პოეტები და მწერლები მივხედვიან, რასაც ვგულისხმობ – ეს ცხოვრება მარტო შენია და მას ვერაფერს უხერხებ, რაც უნდა არ გიყვარდეს ან თავი მოგაბეზროს. მე სულ მაინტერესებს ხოლმე და გივი აღხაზიშვილსაც ვკითხვ, ტექსტებზე, ლექსების ადრესატებზე არ ეჭვიანობდა ქეთინო-მეთქი?

„არასოდეს მიყვარდა პერსონიფიკირება ლექსებში და ჩემი სიყვარულის ობიექტის დაკონკრეტება. მითუმეტეს, რომ შეიძლება, ეს სულაც არ იყოს ერთი სუბიექტი, არამედ რამდენიმე ერთად – მიმეზებულები და გამოლიანებული. ეს ჩვეულებრივი ამბავია პოეტისათვის, მაგრამ პოეტთან ცხოვრება მაინც რთული მგონია. თუმცა, მაინც უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ხანგრძლივი თანაცხოვრების მანძილზე, და ეს იყო 40 წელი, მას ჩემს ლექსებზე არ უეჭვანია. მის ხელშია დანერგილი საკმაოდ თამამი ტექსტი „ქაცვიან დღიურები“, მაგრამ ამაზე არასოდეს ჰქონია გართულება... უცნაურად დასრულდა ჩვენი ურთიერთობა: მძიმე სენის გამო ბოლომდე მე ვუვლდი და სწორედ ამ ბოლო წლებში იქცა ის ჩემთვის უფრო დიდ მეგობრად. მაგ დროს ფაქტობრივად, ხელმოკრულ მემიყვარდა და ასე, ნელ-ნელა იქცა ჩემი ნიგინის პერსონაჟად“.

სათქმელი არ ილევა, ამბობს გივი აღხაზიშვილი. თუ მისი ავტორობით გამოცემულ ნიგინებს დავთვლით და გადავხედავთ,

ასე გამოდის. არც გამოილევია, თუ ავტორი მოაზროვნეც არის და ნიჭის განვითარებაზე ზრუნავს. მე კი მაინტერესებს, რა არის მთავარი მისთვის პოეზიაში. მთავარი „ამომცნობი“. კი, ამომცნობი, დეკარტივე მე ამას.

„პოეზიაში უმთავრესი არის მიწარალი. ეს კრისტალები სიტყვებში ყალიბდება, მასში ერთადაა თავმოყრილი ემოციაც, სათქმელიც. ამას ჰქვია მეტაფორული მიწარალები. როგორ ვყოფილობთ ამ მიწარალებს და ვხედვით, რომ ის არსებობს? ჩემი აზრით, ეს სულიერი ნდობაა. როცა ვკითხულობ, ვგრძნობ, მთელი ტანით განვიციდი. მე მყავს ასეთი ავტორები, ჰოლოდერილი თუნდაც. ამანინნათ დავასრულე სწორედ ჰაიდეგერის ბრწყინვალე გამოკვლევა ჰოლოდერილის პოეზიაზე. იგივე რაოკე. ჩემი საყვარელი პოეტი იყო რილკე-თარაკლი. ცელანი“.

წერის დროს ადრეც ასე იყო და დღემდე ასეა – გივი აღხაზიშვილისათვის გადამწყვეტია განწყობილება. მის გარეშე ვერ დანერს. არის სხვა ადამიანური სისუსტეებიც:

„ხანდახან ნივთებსაც ვეჩვევი და მიყვარდება. ასე მაქვს ერთი ლამაზი ქვა, რომელიც დევს ჩემს მაგიდაზე. იქ რომ არ იდოს, მეწყინება და შესაძლოა, ვერც დავწერო კონკრეტულ მიმართ ვერაფერი... ისე კი, ჩემი ტექსტების მიმართ ძალიან კრიტიკული ვარ. განსაკუთრებით მაშინ, თუ თავს ინერცია შევამჩნიე. ავხსნი, ეს რა არის – მაგალითად, ხდება ისე, რაღაც აღმომიჩენია და დამიწერია. მერე იმსჯე ვ-გარძელებ ხოლმე მექანიკურად. კარგი ის არის, რომ მაღევე მივხედვით ხოლმე ამას, მაშინვე უარს ვამბობ და არ ვწერ. ამიტომ მგონია, რომ ლიტერატურა სტილისტიკის ცოდლიაა. მიწერალებიც ახალი და ახალი მოდის და ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ნიჭს. მაგრამ ხაზს გაეუსვამ – ნიჭის განვითარების ხარისხსაც. მე მაინც მგონია, რომ რაკურის შეცვლა ნებისმიერ ავტორს შეუძლია. აი, მაგალითად, როცა მე ჩემი სახლის ჩრდილოეთის ფანჯრიდან ვიყურებოდი ქუთაისში, გელათს ვუყურებდი, თუ სამხრეთის ფანჯრიდან მივმართავდი მზერას, წმინდა გიორგის ეკლესიას ვხედავდი და თუ კიდევ სხვა მზარეს, ცოტა ქვემოთ ვავიხედავდი, მაგრამ ეს, რადგან ყოველი რაკურსი იძლევა ახალ სარკმელში გახედვის შესაძლებლობას“.

ტაბუ? ლენინზე არ დავწერდი და სტალინზე, ბელადებზე.



სხვა მხრივ, ტაბუ ჩემთვის ძალიან მოსაბეზრებელია.

რამდენიმე წელია ფურცელზე აღარ წერს. არც ის უყვარს, როცა 70-იანელს უწოდებენ ხოლმე, რადგან ფიქრობს, რომ სწორედ 21-ე საუკუნის პოეტიცაა.

„მომავალი წარსულის“ წერა კომპში დაიწყო და მილიონი შეცდომა მომდიოდა ერთ გვერდში, თუმცა, ნელ-ნელა შეეჩვიე. მაგრამ ესეცაა, რომ დიდი სიჯიუთით ვაგრძელებდი, უფრო სწორად, ნებისყოფით და ასე ვისწავლე. ზოგიერთი კი მიმტიკიცებს, რომ მისტიკურად არ გადმოიღის ეკრანზე პოეზია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. მე, უბრალოდ, მალევე მივხვდი, რომ ელექტრონული დრო მოვიდა და მისთვის ფეხი უნდა ამეწყო და რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი დროა და ხელს არ მიშლის, ნატურალურ დროსაც ვგრძნობდე“.

რაკი ელექტრონულ სივრცესა და თანამედროვეობაზე ჩამოვარდა სიტყვა, თანამედროვე ქართულ პოეზიასაც გადავაველით თვალი. გავცდით ისეთ პოეზიას, რომელშიც „ავტორები ცდილობენ, ჩვენი ფლორისა და ფაუნის რაოდენობისა და ნაირგვარობის გადმოცემას“ და როცა ხარისხიან პოეზიამდე მივედით, მაინც:

„ინერცია. კი, მე ამ პროცესს მაინც ინერციას დავარქმევდი, მე-20 საუკუნის იმ გამონაკლისების გარდა, ფრეცა ლიტე ერთპირული სკოლები ჯერ კიდევ არსებობდა. ჩვენთან ერთად სული სიმბოლიზმის ძლიერი გავლენა ჰქონდა პოეზიას (რაც თავისთავად ცუდი არ არის). იმის თქმა მინდა, რომ მას შემდეგ ეს სკოლები ნაიშალა, მოისპო... საქართველოში სკოლა – არის ის პოეტი, რომელიც თავისი შემოქმედებით მკვიდრდება. ეს უკვე ქართული ტრადიციაცაა, როგორც თავის დროზე იყო რუსთაველი, გურამიშვილი, ვაჟა-ფშაველა, აკაკი. თითო პოეტს მოაქვს თავისი გზა, მაგრამ ლიტერატურული სკოლები ჩვენში აღარ არის. ამიტომ მგონია, რომ თითოეული პოეტი თუ მწერალი უნდა ეცადოს, თავად იყოს სკოლა“.

წინ კიდევ რა არის? ვეკითხები გივი აღხაზიშვილს.

„წინ არის ბევრი დრო. ერთი არის ის დრო, როცა ფიზიკურად დავიბადე და ვარ. და მეორე კი არის ის დრო, როცა მოვეცდები და სულიერად დავიბადები. და ამისი ღრმად მწამს. სიკვდილს რაც შეეხება, ბიოლოგიური სიკვდილი, ალბათ, არ იქნება ადვილი, მაგრამ მე მგონია, რომ ძალიან გაშინაურებული ვარ სიკვდილთან. უკვე იმდენი მეგობარი დაეკარგე და შინაურებიც. გაშინაურებული არ ნიშნავს, რომ ჩემთვის არაფერია სიკვდილი, მაგრამ მგონია, რომ უფრო იოლი იქნება. ვფიქრობდი, ძველი მეგობრებიდან ვინღა დამრჩა. აი, ჯარჯი ფხოველი ფშავში წავიდა, ამასწინათ შეხვდით ერთმანეთს და კინაღამ იშვემ ვიტყვი. თედო აღარ არის ბექიშვილი, გიგლა სარიშვილი, სოსო ჰაიჭაძე, იურა ბაქანიძე, სხვები – ჩემი უსაყვარლესი მეგობრები აღარ არიან. თუმცა, მე მეჯერა, რომ პარალელური დრო არსებობს და იქ არსებობენ ადამიანები“.

ბოლოთქმები

...

ჩემი მთავარი სიხარული დღეს მაინც წიგნებია. ამას წინათ ცელანის სრული კრებული შევიძინე. იშვიათ წიგნებში ფულის გადახდა არ მენანება. მე მაინც „კნიფიკი“ ვარ.

...

აბსოლუტურად ყველაფერი ვაკეთე, რაც მე მიყვარდა. რაც არ მიყვარდა, ცდილობდი არ გამეკეთებინა.

...

ჩემი თავს რას ვკითხავდი?
რატომ ხარ ასე თავდაჯერებული შეჩემა?

...

ახალი წიგნი? ნელ-ნელა გროვდება. სათაური უკვე ვიცი – ასე ერქმევა:
„ჩემი დღეების მინა“.

ჩაბრუნებული მზარა

(თებერვლის ეპისტოლე)

...იმ ქალს რა უნდა,
ფანჯრიდან რომ გიყურებს?
ათი წელია აქ არ არის
და როგორ გიყურებს...
სად მიგაცილებს მისი მზერა?!

იესები ბინდით,
შეგატოვეს ღამის წვეთოვანს,
თოვლია შენში და შენ ფიქრობ:
შესაძლოა, ტანჯულ თვალებს ჩამოეთოვა
ამ მთავორებზე და არა ზეცას,
ამინდის ნაცვლად მტკიცეული ჟამი ფეიქრობს,
გადაათერთა შენი თვალები
და პორიზონტის ყულფი შეიკრა...

ხვალამდე დროა,
ელოდები სისხლნაკლულ დონორს –
იანერის მზეს და ეფიციენტი წუთს მოსალოდნელს,
ულიმი მედდას,
ჩალურჯებულ ვენას უჩვენებ,
როგორც მკლავზე ამოსულ იას
და გიხარია, დღეს რომ ტკივილს გაგიყურებენ.

რა საგრძნობია, რომ აქ ვილაც დადის უჩუმრად
და შორი-ახლო ისეც ეთრევა,
სწორედ აქ, სადაც სიყვარულია
და რაც გასაველ დღეებს გამსჭვალავს
ტკივილის მზეა,
შიშის ხმაა და სიმკვეთრეა.

ვერ იმალები ვერც სიტყვაში და ვერც დუმილში,
ალარც ლიმილი დარჩენილა შენი ადგილი,
ალარც ხმაში
და თუ მიაღწევ მხოლოდ კენესამდე,
და მთელი ღამე ისე გმარცვლავს წამოკვნესებით,
თითქოს ხსოვნაში ატიკვებულ წუთებს თესავდე.

უცნობი ხედი ფანჯრებიდან და უცაბედო
ფიქრის სიმწარე,
თავის დახრა და არიდება
თვალის, რომელიც კარგავს დასაყრდენს
და ჩაბრუნდება თავის სიღრმეში,
რომ თავდაპირველ ბინდში დასახლდეს.

ღარდის ამომღარება



წავედი ცაში, თვალის ცა მიყვარს;
ვილაც თავს იქცევს გზის გამრუდებით...
მოვა უცნობი და მეც წამიყვანს
და თუ მინატრებ დაგიბრუნდები.

დამეძებს მტვერი, მტვერი მზის სხივის,
მოცეკვავე და საყოველთაო,
როცა მზე უონავს ზეცის სისხლივით,
ამბობ, ღრუბელი აყვავილდაო.

ისე გაივლის დილა ყოველი,
ჩემს გაჩენამდე რომ გადიოდა,
გამოიხედავს ჩემკენ ყველი
და თვალს მოჭუტავს, როგორც იოტა,
ახლაც არ ვიცი, გზას სად მიყვავდი,
როცა აღარსად არ მიდიოდა?!

ერთი ნაბიჯი

არა. კარამდე ნუ გამაცილებ
და გზაში თვალსაც ნუ გამაყოლებ,
ნუ გამოწყევი არსად მიმავლს,
მთელი სულით და მთელი არსებით,
დახუჭე თვალი ღია სარკმელთან
და მადლიერი იყავ დუმილის
და უსიტყვობის სულით ავების.

რადგან შენ ჩემში ისეც დარჩები
მუსიკით, ფიქრში რომ შეაყოვნე,
გიცნობ ფინჯანი ყავის ორთქლივით,
შოპენის ვალსის ნაღვლიან ტრეკლით,
ტემბრით... ყველაფერს ნუ მომაცოლებ.

მე ხომ ყოველთვის სადაც მივდივარ,
მანინაც, როცა თითქოს აქა ვარ,
მზით ავსებული შენთან ვბრუნდები,
რომ გამოვტაცო დროს შენი თავი,
ველარაფერმა ვერ შემაკავა.

რა სათუთია ჩვენი მუხედვრა
რა სათუთა და ეს სათითე,
არყის თვალს ახელს და მალე ხუჭავს,
სიმღერასავით დაუფებს ძარღვებს,
იგი ჰინძია და შენ გადიდებს!

შენ უთქმელადაც იცებ ჩემ ამბავს
და უსიტყვობით აღწევ ჩემამდე,
და მე არ ვიცი, რა უნდა გითხრა –
ერთი ნაბიჯი მრჩება ყოველთვის –
აღსასრულიდან გადარჩენამდე.

წითელი ვაშლი გაგორდა...

(მარტის ეპისტოლე)

დრო არასოდეს არ არის ცოტა
და არც ბევრი,
ის ყოველთვის საკმარისია,
უკმარია მხოლოდ სურვილი...

ღრმაა წუთი, ჭასავითაა, როცა გიყვარს, ისე ლივლივებს...
მომავალზე ისე ვსაუბრობთ,
თითქოს ათას წელს ვაპირებდეთ აქეთ დარჩენას
და ვბჭობთ წარსულზეც, აქ რომ არის, რადგან ჩვენც აქ ვართ...
კბილით გვიჭირავს
და ეს სული გვეყოფნის ტკივილის დასათმენად
და სულ ესაა... სულ ესაა, სულ, სულ...

შავი ჩიტები რომ გეგონა – ისევ ნაგვის პარკებია,
ლისის ტბისკენ მიფრინავენ
ონკოლოგიურ საავადმყოფოს ეზოებიდან,
სანყობების და მორგის შემოვლით
და ნაგვის ჩიტებს, გადამფრენი ფრინველებივით
მიაცილებენ ფანჯრებიდან გადმოშზირალი
თვალები და ცივი ქარი ისევ არსაით.

დრო არასოდეს არ არის ცოტა და არც ბევრი,
ის ყოველთვის საკმარისია სიცოცხლისა და სიკვდილისთვის;
თურმე, რაღას არ ხედავს თვალი,
თავის სიღრმით შეძრწუნებული?!

გამჭვირვალე ხარ ჰაერივით,
ბავშვებსაც ვერ მოეფარები ტელე-ეკრანთან,
ვერც სარკესთან, ვერც ფანჯარასთან..
მაგ სიფრიფანა მხრებს რომ ვხედავ,
მეშინია ნიავს არ გაჰყვე პეპელასავით
და ჩრდილივით არ დაიკარგო.

აღარ ბრაზობ, გაკვირვებული რომ გიყურებენ
და ყველაფერს ხედავ გამჭოლად –
კედელს, კარადას და ფრთებივით მსუბუქ კიდურებს
და საბრალოა ვინც შენ გაგჭორა.

შენ აყურადებ საკუთარ სუნთქვას
და უნებლიეთ იმიორებ აკვიტებულ და მარტივ მოტივს:
...წითელი ვაშლი გაგორდააა..
/დიდედას ხმით შემოგესმა გულში ნამღერი.../
და ვაშლი მართალა დაინახე ნატურმორტივით.

აქაც გადის და დრო აღარსად მიიპარება;
დილაობით კი მოცურდებიან მზის დელფინები,



გიგლა სარიშვილიან ერთად

და პალატები თვალზე ხელებს მიიფარებენ...
და შენ ძილ-ბურანს მშვიდი სუნთქვით მიეფინები.

განსაცვიფრებლად საშიშია აქ, წუთის სიღრმე,
მუდამ სხვაგან რომ იხედება...

ბნელ დერეფნებში ხელჩანთიანი მოვაჭრეები მიდი-მოდიან
და პალატიდან პალატაში შეაბჟუტებენ
ცარიელ თვალებს და საკუთარ მიუსაფრობას.

შემოიხედეს. ჩვენ მაგიდას ვუზივართ ორნი,
ყოლოს მურაბა მოგვართვის და გვემშობლიურა,
ყოლოს და ჩაის დროში ვაზავებთ და ასე ვწრუპავთ
დარჩენილ დღეებს,
და რაღაც ქრება შეუმჩნეველად ჩაის ორთქლივით...
და ის სიმჩაბე ილექება ნათქვამ სიტყვებში,
შენ რომ ჩურჩულებ და ბაგიდან ჩამოთქრიალებს...

შენს პალატაში თავჩაქინდრული რომ ღილინებ,
ეს მერამდენედ
ცდილობ ტკივილი ამოიმდერო:

...ნითელი ვაშლი გაგორდა...

ერთ სიტყვაში...

(ოქტომბრის მეოთხე ეპისტოლე)

...ჩვენც ავეყვით, რადგან სისხლში –
ოქტომბრის მზემ გაიდგა ფესვი
და მოგვანატრა ერთმანეთი
და შეგვიძღვა ერთმანეთში და ერთ სიტყვაში, –
უწყვეტელ დროში
და გვაულდა იმ დღესთან ერთად,
თითქოს რომ იყო,
თითქოს რომ არის...

შენ ხარ ჩემი – შინ,
არ მეშინია,
გაშინაურდა, მგონი, სულეთი
და ველარ ვარჩევ მე რომელი ვარ,
ის აჩრდილი თუ ეს სილუეტი...

მოგეფერები,
მინა მინას რომ ეფერება –
სულაც არ არის ჩემთვის სულ ერთი,
რომ მიყვარს, შენი სიახლოვეა,
შენს სხენებაზე მოგსულიერდი.

SPIRITUS



მგონი აქ ხარ...
შენს სიახლოვეს ვგრძნობ
და მიკვირს,
სიტყვებში როგორ შემოხვედი...

სად ხარ, არ ვიცი,
შორიახლოს თუ ისევ გულში?! –

მე სულთი გხედავ...

უთქმელადაც ვსაუბრობთ ხოლმე –
ჩრდილების ენით
და ნაბიჯების ექოების მონაცვლეობით –
შაერის ჩქამით და ჰორიზონტით,
იოტასავით რომ ინასკვება
და მხოლოდ გულში გავლბულ სიტყვით...

წარმოსახვა სარვევლაა,
ყაყაჩოსავით ლამაზია, მაგრამ ფუჭია.
ჩამქრალ ოთახში უმიზეზოდ ირწევა ფარდა,
და მოჩურჩულე სანთლის ალი
შენი ტუჩია.

ფოთოლს, რომელსაც ბავშვობაში იმასხოვრებდი,
როგორც ანწყოს უწყინარ ნიშანს,
იგი მომავალ ანწყომიაც
ნოემბრის წვიმით დასველებულ შუშას აეკრო
შეყვარებულის ხელისგულივით
და მე, რადგანაც არ ვიცოდი ქირომანტია,
სამაგიეროდ წარმოსახვა მქონდა უღევი,
ჩვენ გავუწოდეთ ხელი ერთმანეთს
და ერთმანეთში ჩაზრდილ დროში
შევაღწიეთ ხელისგულეებით;
იქ, სადაც, თურმე, დღემდე გვეძებენ
ჩვენი თვალები სიყვარულით შენისსულელები.

P.S. ეცადე აგვისტო
არ მოავიციოსტო...

შენ ცოცხლოვ ჩემში...

იყავ გაბმელი,
ჩაიარე და მიეფარე ხსოვნას
და თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდი...

შენ თუ ხარ სადმე,
მხოლოდ სულში,
სადაც ანათებ,
სიყვარული არაფერს რომ არ ისაკუთრებს,
იგი ისედაც ფლობს ყველაფერს,
ისე სავსეა...

...ჩვენ მოვედით
იმ ადგილიდან,
სადაც სინათლე წარმოიშვა თავისთავისგან...

როცა გკითხავენ:
როგორია მამის ნიშანი, რომ ამოგიცნოთ?
უთხარით ყველას,
რომ ესაა სვლა სიმშვიდისკენ,
ღრუბლის ჩრდილივით,
რომ გადაივლის გულსა და თვალზე
და თავის ფეხით შინ რომ ბრუნდება.

ეს დროა, მამლის ყვირილა და ყვილის შორის,
უძილარს რომ წამოგეწევა;
ის კრისტალია,
ჩვენს გულებში ჩაღვრილი ცრემლის
და ახლა მისთვის სულ ერთია
იყო და არა...

მას საკუთარი ნათელი მალავს,
ვინც მუდამ ჩვენში იგულისხმება...

მე ვარ შვილი სინათლისა,
თავს ვპოულობ მაშინ,
როცა ვუჩინარდები,
როცა შემინოვს ჰორიზონტი
და ჩემს თვალებს სვამს დროსთან ერთად.



ოქტომბრის ბოლო დღიური



მე შენ მიყვარხარ სამუდამოდ, ანუ როდესაც აღარ ვიქნები,
მაშინაც კი შენ მეყვარები,
სადამდეც სხივი წვდება სიბნელებს,
სადაც ძველ მოტივს უკრავს ყარობი,
ანგელოზები, როცა შენკენ გამმოიფრენენ...

შენი სურნელი ახსოვს ჰაერს
და ალაღბედავ ნაპოვნი სიტყვა
შემოიყოლებს დამალულ სივრცეს...
ეს დრო ხომ ჩემი აკვანია
და შემოდგომა ცარიელ აკვანს ღლინით მირნევს...

სწორედ იქ, სადაც მინა თვალს ახელს,
იმ ყვავილიდან მინა გვიყურებს...
შენ მუდამ მზად ხარ, რათა მტვრად იქცე,
რომ მზის სხივებში დაიდო ბინა
და შემწედ ჰყავდე უგზო-უკვლოდ გამორიყულებს...

ზამთრისკენ მიდის შემოდგომა,
გაზაფხულს რომ მიუახლოვდეს...
ღირს დაბადება
ათასწლეულში ერთხელ მაინც,
თუკი შეგხვდები, ოღონდ გახსოვდე...

(მე ვცოცხლობდი
და არ ვიცოდი, გულზე მინას რომ მაყრიდნენ
და ვერ ვხედავდი...)

მას გულის თვალი აებია
და ცასავით გაეხსნა გული.
ის სიტყვა არ ჩანს,
მხოლოდ მისი
სიღრმე იგრძნობა...

...და მუდამ ასე,
ღლიდან ღლეში გადადინება
და ეს სიტყვები უთქმელობით სულს ინახავენ.

შემოდგომა; მეც წამიყვანს,
ჩემს გარეშე არსად არ გავა,
მე გამაფრენი ფრინველივით დავტოვებ ბუდეს
და გავფრინდები თავისთავში დასაკარგავად.

„ნეტარ არიან თვალები, რომელნიც ხედავენ,
რასაც თქვენ ხედავთ;“ ლუკა 10; 23

ამ სიტყვებს ხომ მანამდე წერდი,
დაბადებამდე, ჩასახვამდე,
ქვიშაზე წერდი, შლიდი და წერდი,
ახლა რომ ჩუმად იმეორებ და გახსენდება,
ვის მიმართავდი,

ვისი თვალი მიგაცილებდა
უპირიზონტო სივრცეებში,
სადაც სულები ბინადრობენ და სამყაროს
სულს უბერავენ,
სიტყვაში ყოფნას და სისრულის ბრწყინვას მალავენ
და ჩვენამდე ძლივს აღწევენ ანარეკლები.

მხოლოდ ეკო და მინიშნება, ისიც სიტყვიდან
რომ იხედება და მერე ქრება,
სანაცვლოდ შენ ხარ, აქვე რომ ხარ და აქვე არ ხარ,
და საკუთარ თავს ჩვენში ეძებ
მხოლოდ წამით, ჩვენს უზადრუკ არსებობაში
შემოიხედავ და მერე ქრები,
მდინარეების ენით საუბრობ,
მშვიერ მინაში მარცვალს ჩაახნევე,
აყვავებ ველ-მინდვრებს და მიმოაქცევე ოკეანეებს
და მინა ბრუნავს შენი სუნთქვის მიმართულებით;

ზოგჯერ გეტოვებ, თითქოს გეტოვებ,
ვიდრე დუმილში შენზე ფიქრი არ შეგავაროვებს
და სიჩუმეში ერთროულად არ მოგინატრებთ,
ვიდრე არ ვიგრძნობთ გულებს როგორ ისაკუთრებ
და იხედები ჩვენი თვალებით, ისევე შენსკენ,
დაბადებამდე ქვიშაზე რომ წერდი და შლიდი
და ჩვენ, როგორც ასო-ნიშნები ისე ვლაგდებით
სიკოტელის ნივნში და მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია
ჩვენი ნაკითხვა და გადაფურცვლა.

...და შენს წინაშე ხმას ველარ ვიღებ,
ჩემი დუმილი საუბრობს შენთან:
რად აგვიანებ
და ჩემს გულში როდის გაჩნდები?!

გაისმის სადღაც მესკიას კენესა
და შენზე ფიქრი –
გულის ნაჭყდები...

ისე ახლოს ხარ ენა წამერთვა
და ვგრძნობ შენს სუნთქვას სახის ნაკვეთებით,
ასე მგონია, რომ მუდამ აქ ხარ,
როცა შემთხვევით გულში გაკრთები?!

„ვერლიბრი თუ კონვენციური“?

ქართული

უკანასკნელი ორი საუკუნის გორდამავალი
მიჯნა ქართულ ლირიკაში წარმატებული ნოვა-
ციებით აღიშნა. ამ წარმატების მთავარი მანიშ-
ნებელი აღმოჩნდა ვერლიბრის, ანუ თავისუფალი
ლექსის აღორძინება, რომელიც ერთი თაობის
რამდენიმე პოეტის სახელს უკავშირდება. ერთი
ამთავანია გივი აღხაზიშვილი.

დროის შეგრძნება – გივი აღხაზიშვილის მთა-
ვარი ნიშანი, იგი ყოველთვის თანამედროვეა.
პოეზიაში უამთარიტიცხვის საკუთარი კალენდარი
გააჩნია და, მიუხედავად იმისა, რომ პოეტის
სტრუქტურებში იშვიათად არის მოხსენიებული
თანამედროვე პიროვნებანი და გეოგრაფიული
არეალები, შეგიძლია ცალკეულ ციკლებში ანა-
კრებულებში დაუთარიღებლადაც მიგაუთენოთ
შესაბამის ათსლეულებს. შემთხვევითი არაა, რომ
გივი აღხაზიშვილმა თავის ერთ-ერთ ნივნს დაარ-
ქვა „ქორონიკონი, რომელიც 2006 წელს გამოი-
ცა. ხოლო მომდევნო კრებულს „ქორონიკონი –
2007“ აწერია გარეკანზე, როგორც ნივნის სახ-
ელი. შეგიძლია, აგრეთვე, ადვილად ამოვიცნოთ,
ხელოვნების რომელი მეორე დარგია მისთვის მახ-
ლობელი და რომელი ქალაქი – მშობლიური.

საინტერესოა გივი აღხაზიშვილის ვერსი-
ფიკაციული ძიებები. კონვენციური ლექსისა და
თავისუფალი ლექსის საკმაოდ მძაფრი დაპირისპ-
ირების ფონზე მან საინტერესო კომპრომისული
სინთეზი შემოგვთავაზა: ერთსა და იმავე ლექსში
ხშირად ერთმანეთს უნაცვლებს ვიზუალურადაც
შესამჩნევ, ამ ორგვაროვან გრაფიკას. ეს ხერხი
პოემაში უფროა გამართლებული და აუცილებე-
ლიც, როგორც, მაგალითად, გალაქტიონის „ჯონ
რიბში“, ლექსში კი სახიფათოა და სარისკო. გივი
აღხაზიშვილმა კი უკვე მიაჩვია ამას თავისი
მკითხველი, რომელიც ასეთ ვარიანებას თითქოს
კიდევაც მოითხოვს მისგან. მე ამავე მოლოდინით
ვკითხულობ პოეტის ყოველ ახალ პუბლიკაციას,
თუმცა, რა თქმა უნდა, კონვენციურის ერთგული
ვრჩები. თვითონ კი გაგვეხუმრა კიდევ:

რადგანაც თვალი შეგაჩვიეს, რომ შენ არა ხარ,
არც უნდა იყო,
რომ სხვებს ხელი არ შეუშალო,
როდესაც ბჭობენ,
სალონების ორფხვა კატებს –
რა უფრო უყვართ – „ვერლიბრი თუ კონვენციური“ ...

ვახტანგ ჯავახიძე

უკანასკნელი ინტარპი

დაიფიცა, შობამდე ხმას არ ამოვიღებო და დამუნჯდა. შინაურებმა იცოდნენ მისი დადუმების ამბავი, ურთიერთობაც ადვილად მოეგვარებინათ. ფურცლებმა და ავტოკალამმა შეცვალა ზეპირი მეტყველება. გიომ ენა დაეყალბა, თვალთბობაც არაფერს ამბობდა, არც ხელით ცდილობდა, რაიმე ენიშნებინა ვინმესთვის. იჯდა, დიდილად საღამომდე და რაღაცას კითხულობდა. თუ რამ სურვილი გაუჩნდებოდა, წერილობით ატყობინებდა ადრესატს. თაბახის ფურცელზე გაკრული ხელით დანერდა მარტივ ან რთულ წინადადებებს, იმის მიხედვით, თუ რა უნდოდა და ნაწერს უჩვეულო თანამოსაუბრეს გაუწვდიდა, რომელიც ჯერ მკითხველი იყო, ხოლო შემდეგ, როცა ხმას ამოიღებდა საბასხოვდ, მერედა ხდებოდა მოპასუხე.

ერთ თემში უამრავი ფურცელი გახარჯა გიომ, ფიცის დარღვევის შიშით გაუთავებლად წერდა. გაივსო თიხები ცხალადებით, ფურცლებზე მოფუთფუთე ასობით. ის კი შეუჩერებლად, ხელის დაღალდავდ წერდა.

გიოს საყვავაცხოვრებო ჩანაწერები, ვთქვათ, ასეთი: „სიგარეტი მომიტანე“ ან „ჩაი დამალევიგე“, თანდათან განივრცო და უცნაურ, მხატვრული ნაწარმოების შემადგენელ პასაჟებს დაემგვანა. თავისუფლად შეიძლებოდა, გიოს ჩანაწერები რომანად ქველდოყო, მაგრამ ის, რაც მის წვეტილ ჩანაწერებს გაამთლიანებდა, მუდამ წერილობითი თხრობის მიღმა რჩებოდა.

ამ დილით ცოლს ასეთი რამ მისწერა: „უცდილობ, საკუთარი თავი შევაცხოვრო, დიდხანს ვიფანტებოდი ზეპირმეტყველებაში, ანუ ლეკობაში. ახლა დაგვა დრო დაკარგული დროის სიტყვებად შეკრებისა. მარხვა თითქმის გაილია და ვეჭვობ, დაფიცებულ დრო ვიმყოფინო საამისოდ. მაგარი ჩაი გამიკვრე, მუქი, მუქი, მუქი; უშაქრო. ბიჭს დაურეკე და გამაგებინე, როგორ არის“.

გიო სახლდან არ გადიოდა. თავს არიდებდა ნაცნობ-მეგობრებთან შეხვედრას, ვისთვის ან როგორ აეხსნა სიმუნჯის ამბავი და იჯდა სახლში. საშვეულებო განცხადება ცოლს გაატანა სამუსახურში, დასტურიც იმავე დღეს მიიღო.

ერთხელაც გიოს პოპულარულმა ჟურნალისტმა დაურეკა. ყურმილი ცოლმა აიღო. ძლივს გააკვებინა, რატომ ვერ შეძლებდა მისი მუშაობა ჟურნალისტთან ზეპირ საუბარს და წერილობით ინტერვიუზე დათანხმდა.

მეორე დღეს, თორმეტ საათზე, გიოს ჟურნალისტმა ესტუმრა. ქალბი ქუქანებდნენ, თან ყვავს სვამდნენ, თან სიგარეტს სიგარეტზე ეწოდნენ. გიო მაგიდასთან იჯდა გაფხორილი, რაღაცას წერდა, ქალებს ყურს არ უგდებდა, ვითომდა, საოცარი არაფერი ხდებოდა.

ჟურნალისტმა გიოს ორიოდ ფურცელი გაუწოდა. ფურცელზე ჩამოიკონკრეტული საბიუდე შეკითხვა მწერალმა გულდასმით წაიკითხა და პასუხების წერას შეუდგა. ჩვენთვის მხოლოდ გიოს პასუხებია ცნობილი. შეკითხვები სადაღაც გაუჩინარდა, თუმცა პასუხებში შეკითხვათა არსიც ადვილად შეიძლება ამოიცნოს დაინტერესებულმა მკითხველმა.

გიოს პასუხები:

1. ჩემი დემილი არ არის სიმუნჯე. იგი უფრო მეტყველია, ვიდრე ზეპირმეტყველება, რადგან მე სიტყვები გავათავისუფლე ხმის ტემპრის, მიმოკის, ფესტიკულაციის ზეგავლენისაგან. დანერვილი, გაუხმოვანებელი სიტყვები უფრო ინარჩუნებდნენ თავდაპირველ სიღვარეს. ცდილობ, სიტყვას მოვაცილო შექმნილი ცრუმნიშვნელობა და უპირველესი, შეურყენელი არსი აღმოვაჩინო. ხმა კლავს სიტყვას; ან ფარსიელობით, ანდა სხვაგვარი სიყალბით აღავსებს. სიმუნჯეში დაბადებული სიტყვა უფრო საკრალური და გაბამადები, იგი კი არ უნდა თქვას მწერალმა, არამედ უნდა ჩაინეროს. წერილი მეტყველების უპირატესობა მის ნაკლებკომუნიკაბელობასა და, შესაბამისად, უფრო ხანგრძლივ სიცოცხლეს. ყველაზე დიდი აუდიტორია, რომელსაც ესტრადის პოეტი შეკრებს, ოვაციებში იძირება და ტაშისცემის ექოსთან ერთად ქრება. ის, ვინც წერილობით მეტყველებს, თავის მკითხველს უკავშირდება მაშინაც კი, როცა იგი ფიზიკურად ცოცხალი აღარაა და მისი წიგნების მკითხველთა აუდიტორია უსასრულოდ ფართოვდება დროსა და სივრცეში. სამუხარად, ასეთი წარმატებით ბევრი მწერალი ვერ დაიკვებინს, მაგრამ მე ცდილობ, ვიყო იქ, სადაც უნდა ვიყო. რა გამოვა, არავინ იცის. ეს ჩვეულებრივი თავგანწირვაა, თავგანწირვა არაა გარანტი აუცილებელი წარმატებისა.

მე წერილობით უფრო ვახერხებ ყველა დროსთან დაკავშირებას, ვიდრე ზეპირი მეტყველებით: ლაბორით, ქაქინით, ტლიკინით, ლალით, თუნდაც საუბრით...

2. სიყვარული... - ეს ისეთი თემაა, რომელზეც შემოვლით გზებით შეიძლება წერა; ლაპარაკი, საერთოდ, ზედმეტია. დასაშვებია მინიმუმალური და ქვეტექსტი, კონოტაცია და კიდევ ის, რასაც გულისხმობ და მალავ.

3. ხმის ამოღებას არ ვაპირებ, არც პირის ამოკერვალზე ვოცნებობ. ცვდილობ, ტექსტში გავიბნე, ჩავიძირო, იქ ვივცხოვრო...

...ცოლმა ჟურნალისტს გააცალა. კარგა ხანს კართან საუბრობდნენ. გიო მაგიდასთან დაგოვრა, რომ დაურუნდა, ქმარი შინ არ დახვდა. სად არ ექება, კარადაში, როიალის ქვეშაც შეიხვდა, მაგრამ ვერსად იპოვა. შვილსაც დაურეკა, შვილმა პოლიციას შეატყობინა. მაღალჩინოსანი პოლ-

იცეილი მხრებს იჩივავდა: არ გამოვიცა, სახლი-დან გაუსვლელად კაცი საკუთარ ბინაში გაუჩინარდეს.

ერთი თვის თავზე, როცა ცოლს იმედი გადაეწურა, ქმრის ხელნაწერების შუკრება დაიწყო, გვერდების მიხედვით ალაგებდა. რამდენიმე დღეში, როგორც ექნა, მორჩა ამ მომქანცველ საქმეს. როცა ბოლო ფურცელს აბინავებდა საქალაღებში, მისი ყურადღება იმ უკანასკნელ-მა წინადადებამ მიიპყრო, საში ძახილის ნიშნით რომ მთავრდებოდა: – მე აქ ვარ, სხვაგან ტყუილად მომძებნით!!!

ცოლმა უშველებელი საქალაღდე განასკვა და ტახტზე კი არ დადო, ფრთხილად დაასვენა.

მწოლ-კმარი

სოფლის განაპირას, ტყის სიახლოვეს, ერთ პატარა სახლში, უცნაური მწოლ-კმარი ცხოვრობდა. შვილი არ ჰყავდათ, მაგრამ არას დარღობდნენ და იყვნენ ასე უშეშობილოდ. დღისით ცოლ-კმარი ერქვათ, ღამით კი მწოლ-კმარი. დროდადრო დღისითაც მწოლ-კმარი იყვნენ და ღამითაც, მაგრამ შვილი არა და არ უნდებოდათ, ამიტომაც, თანდათან გაუქრათ კიდევ მოლოინად და ისე ერთობოდნენ. ცოლმა დაარქვა თავის ქმარს კმარი, რადგან როგორც დასკვნა მრავალი გართობის შემდეგ თვითკმარი იყო და ეს მესახელი ზედგამოჭრილი იყო მისთვის, მწოლიც თვითონ მოუგონა საკუთარ თავს, ოღონდ არავინ, კმარამაც კი არ იცოდა. კარსმომდგარი ტყის შრიალი ღია ფანჯრებში შემოდინდა და შემოჰქონდა ასწლოვანი ხეების სუნთქვა, ფოთლების მერქანთა, კენწერითა სურნელი და კიდევ რაღაც, ან იქნებ ვიღაც, რასაც თუ ვისაც სახელს ვერ არქმევდა თვლემამორეული ქალი.

ერთხელ, მწოლმა ისეთი სიზმარი ნახა, რომ ნამძვილისგან ვერ გამოარჩია. მიდიოდა ტყისპირა ჩირგვენარი ბილი-ბილიც ფიჩხის მოსაგრეობდა, როცა სალა-ციდან ხმა შემოესმა და სიტყვები მკაფიოდ გაიგონა:

– თუ შვილი გინდა მოგცე, შედი ქოხში, გზად რომ დაინახავ და მეტყვევს მოსვლას დაუცადე, მისგან მოგცემს შვილი, შენ ქმარს კი ნურაფერს უცეცი.

ჩაფიქრდა ქალი, შეწუხდა, აღარ იცოდა რა ექნა, შვილი ისე უნდოდა, ისე ენატრებოდა დედობის მაღლი შეგვრნით, რომ თითქმის გადანწყობდა იდუმალ ხმას მინდობდა. კარგახანს ორჭოფობდა, ფეხი უკან რჩებოდა, მაგრამ ნელ-ნელა, ძალაუნებურად, მაინც ქოხისკენ მიინეკდა. ამ ყოყმანსა და იმის ფიქრში, ქმარს როგორ ვუღალატო, მიადგა კიდევ ქოხს, შეაღო



ოთარ ქილაქსთან ერთად

კარი და შეაბიჯა. მიხედ-მოიხედა და რადგან უქმად დგომა არ უყვარდა, შეუდგა იქაურობის მილაგებასა და დაგვას. სადილიც გამაზნადა, ხშიად გამოაცხო, დილაღად ღეინო შემოდგა ტახტაზე და ტახტზე ნამოხნა. ისე გაშინაურდა, თვითონაც უსკირდა, აქ ხომ არ ვცხოვრობდი ადრე და ვეღარ ვისხენებო.

ქალმა ფეხის ხმა გაიგონა თუ არა, ტახტიდან ნამოხტა და იქვე უხერხულად აიტყუა. შემოვიდა მეტყვევ, ქალს შეეგება:

– აი, შენც შინა ხარ, მოდი ხელი დამაბანინე.

ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ტყისპირა სახლში და ქალს ვერ გაეცვია, როდის იყო შინ, იქ თუ ამ სახლში, რადგან არც მეტყვევი ეუცხოვებოდა და არც კმარი, ოღონდ არ იცოდა, მეტყვევიც კმარი იყო თუ უკმარი. სურვილი უცებ გაუწნდა ქალს, ისე რომ, მოელოდა კიდევ უამის ისე ნადინებას, რომელსაც ორივე გადაჰყვებოდა უჩინარ დროში. ასეც მოხდა, მაგრამ ქალი იმ დროში ჩარჩა, სადაც გააღწია მეტყვევსთან ერთად და როცა თვლი გაახილა, ტახტზე იწვა, ოღონდ არა მეტყვევის ქოხში, არამედ იმ სახლში, საიდანაც გაურკვეველი დროის წინადა გავიდა და როდის და როგორ დაბრუნდა, აღარ ახსოვდა. კმარი შინ იყო და მწოლი რომ ტახტზე დაინახა, მიელაქუცა, მაგრამ მწოლი იმ ბურანიდან ჯერ ვერ გამოსულიყო და კმარი ცივი უარით გაისტმარა.

– ავად ხომ არა ხარ? კითხვა გაკვირვებულმა და პასუხს არც კი დალოდებია, ისე გავიდა ეზოში გულის გასაქარებლად. ქალი ჩამოკურდა ტახტიდან, მაგიდას მოუჯდა და უნებ-ლიეთ ამოილინა, რაც კი სათქმელი ჰქონდა, თვითონ რომ ესმოდა მხოლოდ და სხვას არავის და კიდევ იმას, ვინც არ ჩანდა და იქვე იფიქრობდა. ხედებოდა, რომ თვითონ აღარ იყო მწოლი და არც მისი ქმარი გახლდათ კმარი. სალამოს ისევ მიელაქუცა კმარი, მაგრამ ისევ უკუაქცია მწოლმა და ამის შემდეგ იგი აღარც გამოჩენილა.

ქალი ყოველდღიურად აუყვებოდა ტყისპირა ჩირგვენარს, დაადგებოდა ტყისკენ მიმავალ ბილიკს, მიადნევიდა მეტყვევის ქოხამდე, შეაღებდა კარს და შეაბიჯებდა, მერე კი იწყებდა იმის ლოდინს, ვინც მოვიდოდა და ვისთან ერთადაც გადააღწევიდა იმ

დროში, საიდანაც აღარ უნდოდა გამოსვლა.

ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე ერთხელაც იქ არ დარჩა სამუდამოდ, საითაც მიდიოდა ბილიკით, რომელსაც იგი ყოველდღიურად გაივლიდა მეტყვევის ქონამდე და ველარც ბალახსა და ყვავილებს ისინებნება, ველარც მეტყვევის ალერსს, აღარც თავი ახსოვდა, რადგან დაეკარგა და იმ დროს შეემატა, რომლის სახელი არავინ იცის და თანდათანობით რომ ყველას ისაკუთრებს.

მიმატები შენც, იმ დუმილს თანდათანობით, რომელიც გაჩნდა არქაული სიკვდილის შემდეგ.

პაროდიული საქმეაქალი ტროლიზუსში

გაკის სასაფლაოდან ნახვამები წამოვიდნენ. მანქანის ფული არავის ჰქონდა. ჩვეულებრივი საქალაქო ტრანსპორტი - ტროლიზუსი - რვა თუ ათი ნომერი, ერთი სიტყვით, რომელიც ნომერი უქანა კარიდან ახვავდნენ. დალევის მიზეზი შითა ჩანტლადის გარდაცვალების წლისთავი იყო. ლაზღანდარობდნენ. ტკივილის მაგარმა მხოლოდ ლაზღანდარობით შეიძლება, ისიც დროებით, მაგრამ შეიძლება. ტროლიზუსის მგზავრებს შორის საშუალო ტანის პოლკოვნიკი აღმოჩნდა, მილიციის თადარიგის პოლკოვნიკი. თადარიგისა, თორემ მაღალჩინოსანი მილიციელს საზოგადოებრივ ტრანსპორტში რა უნდოდა? მილიციის ფორმა ონდვ გახუნებოდა, მანც ყინწად იდგა, თვალს მამალივით აშტერებდა, ისეთი მოლოდინი მქონდა, საცაა არარსებულ ფრთებს გაძლის და დაიყოფნება-მეთქი. არ დაუყოფელია. დროდადრო რომელიმე სუბიექტს ამოირჩევა მექანიკურად და თავიდან ფეხამდე ათვლიერებდა, გულდასმით აკვირდებოდა, სწავლობდა, პროფესიულ ჩვევას თავისი გაჰქონდა. როცა მზერა ფილიპზე გადაიტანა, ფილიპემ ზურაბს უბეში გადაამალული გარდამავალი ნითელი დროშა გამოართვა, ზევით აღმართა, გამაჭარეთო, რიხინადა აუნჯა მგზავრებს და მილიციის პოლკოვნიკისკენ გაემართა. გაატარეს. ან როგორ არ გაატარებდნენ ნითელიდროშის, შთამბეჭდავი აღნაგობისა და გამომეტყველების პატრონს. ფილიპს ზურაბზეც გაჰყვა, მოკრძალებულად, მაგრამ მანც გაჰყვა. ზურაბს გიგლა თავისი ხელფაოხით, გიგლას - სოსო, სოსის - იურა, იურა და სხვები და სხვები.

ფილიპემ დროშა უფრო მაღლა აღმართა, მილიციის პოლკოვნიკს ცხვირწინ აუფრიალა და უბრძანა: - ემთხვე დროშას, კურო! დავისწინ. გავისუსეთ. ველოდით, რა მოხდებოდა. ფილიპეს მომწესხველმა მზერამ და დამაჯერებელმა ხმამ, უფრო კი საბჭოთა დროშამ შუარში მილიციის პოლკოვნიკი, იგი ონდვა დაიხარა და დროშას ემთხვია. არ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე და არც ის იცოდა, ბრძანებას თუ არ შესასრულებდა, საქმე როგორ წაუყვიდოდა.

ფილიპემ პოლკოვნიკი ხელი ჩამოართვა, პოლკოვნიკი მხედრულად მიესალმა თუ არა, მედროშესგან ახალი ბრძანება მიიღო: - კურო, შეაჩერეთ ტროლიზუსი! მძღოლს და კონდუქტორს დაუახებთ, გარდამავალი ნითელი დროშა უნდა გადავცეთ!

პოლკოვნიკმა ტროლიზუსი გააჩერა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მოპირდაპირე მხარეს. მოიხიმა მძღოლი და კონდუქტორი ამხანაგ უფროსთან, ანუ ფილიპესთან. ხალხი გაკვირვებული შეჰყურებდა ამ სანახაობას, გარეგნულად ყველა

სერიოზულობას ინარჩუნებდა. მხოლოდ გარეგნულად, როგორც 60-იანი წლების საბჭოთა კავშირი, შინაგანად გამოფხტული და გაბითქმეული, ფუტურთ, ბელადებგალადავებული, იდგო მილიციამოპოლიტი. წამით ყველა გაისუსა. სიტყვა ამხანაგმა უფროსმა, ანუ ფილიპემ წარმოთქვა, სრული სერიოზულობით, მკაცრადაც კი: - წარმატებული, დამკვეთური შრომისათვის, ამ შესანიშნავ კოლექტივს ვავლდოვებთ გარეგნული ნითელი დროშით! ქების სივრცეებსაც მიიღებთ იქ - ხელი ზევით აიშვირა, - ზევით, ე.ი. იქ! ანუ მაღლა, - სადღაც უფრო მაღლა, როგორც მილიციის პოლკოვნიკს ეცონა. დარწმუნდა, რომ მისი ვარაუდი გამართლდა და კიდევ უფრო გაიჭიმა "მაღლიდან" მოსული ამხანაგების წინაშე. ფილიპემ გადასცა გარდამავალი ნითელი დროშა მძღოლს, მერე რატომღაც მას გამოართვა, კონდუქტორს გაუნდოდა და ჩავიდა წინა კარიდან. ჩახვადნენ ბჭივაც. ზურაბი უფრო პირველად და თავდასერილად, გიგლა კოჭლობით, ხელფაოხის ქნევით. ყველა თავისებურად, დახარულად ცერემონია, ტროლიზუსი დაიძრა, ჩვენ კი ერთიანად ამოვიხარხარეთ ყველაფერი, რაზეც თავს ვიკავებდით.

გიგლამ ამ საქმეკალს "კურო-სავა" დაარქვა, რაც, მისი ახსნით, ქართულ კურსისა და რუსულ შოტს, "სოვა-სავა" ს ნიშნავდა და ამავე დროს სახელგანთქმულ იაპონელ რეჟისორსაც გულისხმობდა.

დანიელის ნაფგოზი

სუფრას პანტის ძირას, ხის მაგიდაზე შლიან, წუხანდელმა ნაქეფარმა დილით თვალი თითქმის პირველად გაგავიდა, პირგამშრალი წვეწარ და სპამზე გადაკიდებული შარვლის ჯიბეში სივარეტსა და ასანთის დავეკემ. გარეთ ფუსფუსებენ, პავრში გაბნეული ხმები ღია ფანჯრებამდე აღწევს, მაგრამ იმისი კიდევ ონდვაც ხმა, შუბლის თუ გაბმული შრილის მსგავსი, ვერ გამირკვეთა, საკუთარი სისხლის სიმღერას ვაყურადებ თუ ეს უნეყვები შუბლი გარეგანად, გაურკვეველი სივრცედაც შემოდის ჩემში. ფანჯარასთან მივდევარ. თთანში აღარავინაა. ბიჭები ეზოში გაკრულიან და წინ და უკან დახარობებენ. პირველი, რაც თვალწინ ილანდება, ტყარინ მთებია. მთებს შორის ჩაკარგული იხობდა და ულამაზესი ქალღევი, ვიდრე ზევით აიხვადეს კაცი ცადა აზიდული მთებისკენ, ჩვეულებრივად ჩანან, მაგრამ ციდან ძირს დაბრუნებული მზერა ან, იქნებ, უეცრად გაკლვებული ფიჭვი აღმოაჩენს, რომ მთების სიდიადე თუ ამ სიდიადით გამოწვეული ალტაცება რაღაცად და მთორგუნველია. შეიძლება კი

აღტაცება დამორჩენული იყოს? თუმცა, ბარში გაზრდილი კაცისთვის, რომლის თვალთ სივრცეებშია შეზრდილი და რომელსაც მთები მხოლოდ შორეულ პორიზონტზე თუ დაულანდავს, ალბათ, ჩვეულებრივი შეგრძნებაა. აღტაცება თანდათან ძლიერდება და უკვალოდ გამქრალი, დამორჩენული განცდა ქონდრისკაცებსაც განვითარებული სიძლიერით ალაცებს. ეზოში გავდივარ, მივაბიჯებ გაუმართლებლად ამაყი და საეჭვოდ მსუბუქი. გაძლიერებული მსუბუქი იტყვის ხეობა რაღაცას მალავს და რასაც მალავს, აქ უფრო საგრძობია, ვიდრე არაქაქში, ზოგადად, ბარში. ეს ხომ ვიზავს არავგვია, უსასრულობიდან უსასრულობისკენ მიმავალი.

მთის ფერდობს შევუყვები, რომელიღაც ბილიკს დავაგევი. კარგა ხანს ვიარე. გაურკვეველმა მიმბამეჩა. შემოვბრუნდი, რადგან შიში ყოველთვის ზურგს უკან ეგულება კაცს და არა იქით, საითაც თვალს გაურბის. ქვევით საოფელი მონახს - თხილიანა. სახლებს იოლად დაითვლი, იმდენად ცოტაა, რამდენი კვამლიც ამოდის საკვამურიდან, იმდენი კომლია. აქ უფრო საგრძობია, რატომ აშენებენ ადამიანები სახლებს. ზოგჯერ მთებსა და მთებს შორის მოქცეულ ცას ხომ უნდა დეამალი, მეტადრე დაბით, როცა მუშტისხელა ვარსკვლავები აბრღვლიაღდებიან ცაზე და ჭიჭტების გადაძახილი უფრო აღრმავებს ღამის უსასრულობას. სადმე ხომ უნდა შეიმალოს კაცი, დაანთოს ცეცხლი ლუმელებში და ჭრავის მოთამაშე მუჭზე თვალის გაუმეტროს კვდელზე მოძრათ ლანდებს. აქ დრო ძალიან ახლოსაა, სახლის კართან მიდი-მოდის არავგის ხმაავით მარად ფხიზელი და ყოვლის დამტყევი, მარადმდენი, რადგან აქ სივრცე ნაკლებია, დრო კი დაუსაბამო და უაღრესად საგრძობია.

მითების სამშობლოში - კოპალასა და იახსარის მიმდებარე უნდა იყოს კაცი, ყოველ ნელს უნდა ავიდეს ლაშარში დანესებულ დროს, ქედი მოდროკოს უძველეს სალოცავებთან. შენდობა უთხრას ნინაპარს, ჯალბი შეავედროს, საკლავი მენიროს და გაბმული ღრეობის შემდეგ შინ დაბრუნდეს ვალმოხიდილი, დაიმედებული, ჯვარ-ხატების შემწეობით გაძლიერებული და ისევ შეებას ცხოვრების მიძიდულულს - ხენა-თესვას, მკასა და თიბვას, ათას საზრუნავს, ჭირსა და ლხინს.

არ ვიცი, ახლა როგორაა, რა მეტამორფოზა განიცადა უძველესმა ადათმა, იქაც აჩქარდა დრო თუ ისევ ისე მიედინება, მშვიდად და უაღრესად საგრძობლად, ისევ შეიძლება თუ არა იმ დროში ჩაკარგვა, რომელიმე დღესაც განაგრძობენ თანის არსებობას პირველქმნილი მითები, საკულტო ლექსები, მხიარული კაფიები და სიმწერის ფსკერიდან ამოვსკარი ნატირალბები, გულქვა ადამიანსაც რომ თეძელს აუწყლიანებს.

როგორც იქნა, გამოვალნივე ტყიდან, იმავე ბილიკით დევნივნი დაბლა. სიმართლე გითხრათ, დარწმუნებული ვეყავი, რომ გზას უკან ვეღარ გავიგნებდი, კი არ ჩავიკარგებოდნენ ტყეში ისრუტავდა და შთანთქმავდა. აკი ვგრძობდი კიდევ, როგორ ვქრებოდი გაფთოილ ღუმელებში. ყურთასმენით მივები არავგის მსუბუქი და ქვევით დავეშვი. დაბეჭვითები ვერ ვიტყვი, რომ იმავე ბილიკით ვბრუნდებოდი, რადგან, როცა ტყეს ნავართი თავი, ეზოს სხვა მხრიდან მივადექი.

სუფრა უკვე გაუმალთა, იქვე, სახლის წინ, პანტის ძირას. ბიჭები ხორხობებდნენ. მთაში სუფრა უხინკლოდ ვის გაუგონია. გახუხული ხინკალი შემოიტანეს, როგორც დილას შეჭერის. ბოთლებში ნისლივით იდგა ყოიბატური. შინ გამომცხვარი პური, ყველი, ოხშივარავარდნილი ხაშლამა, არავგემ დაჭერილი კალამბი. აღარ ჩამოვთვლი, საღერდელი რომ არ აგვიშლით.

ვიღაც ვაფას სადღერდელის ამბობს. მერე სხვა აგრძელებს... უცებ სამარისებური სიჩუმე ისადგურებს. ბიჭები ხელს იქით იმეგრენ, სადაც ეზო ტყეს ერთვის. ჩურჩულენ: შვლები, შვლები! ღონესთან ორი შველი დგას, სველი დროწმები ოდნავ ზევით აუშვერიათ, ლამაზები, თვალბატულეები, ხალიანები, დაყურსულეები, შეგერთალეები, ვერც აქეთ უქდავეწ ნამოსვლას და აღარც ტყისკენ გარბიან. იყენენ ერთხანს ასე გარინდებულები (ახლაც თვალნი მიდგას), მერე ადგილს მონყენენ და შეიმაღლენ უღრანში.

ეს ამბავი ფშავში, სოფელ თხილიანში მოხდა, ციგროშვილების ეზოში. იოსებ ციგროშვილი, განთქმული მონადირე და ვაჟკაცი, პოეტები: ირაკლი ციგროშვილი და დავით ციგროშვილი, თვენივთის კარგად ცნობილი ჯარჯი ფხოველი, ამ ამბავს ჩემთან და სხვებთან ერთად შეესწრნენ. როგორც ერთმა ფშაველმა აგვიხსნა, შვლები, ალბათ, ნადირმა დააფთვა და ღობეს იმიტომ მონაყენნო. იქნებ ასეც იყო, მაგრამ რალა ვაჟა-ფშაველას სადღერდელის დამთხვა მათი გამოჩენა?

იქით ნადირი, აქეთ ადამიანები. ადამიანებსა და ნადირს შორის არსებულ „ნეიტრალურ ზოლში“ ბუნყინარი და უღამაზესი შვლები - ხალებანი, თვალბატულეები, დროწმელები, დაყურსულეები.

კარგად რომ დავკვირებოდი, ალბათ, სადმე ვაფასაც მოვკარავდი თვალს.



თედო ბეჰიშვილიან, ზეზა მუღლაშვილიან და ჯარჯი ფხოველიან ერთად

თარგმანები

ათანას ფეტი

ალვა

ბალები დუმან და მონყენილი
ვათავალიერებ მბჟუტავ გარემოს,
თრთიან ფოთლები ჩამოცვენილი –
გამოიღვიძეთ, მწუხრის ზარებო!

ჩემო ალვის ხეც, მხოლოდ შენ ერთი
ირნევი ველზე ნაირფერებმად,
შენი ოცნება გაზაფხულს ერთვის,
თუმც შემოდგომის მზე გეფერება.

ჩუ... გაძარცვული დღეები ისევ
დაფერფლილ სულით კვიან თითქოს,
შენ დგახარ მარტო, ისწრაფი ცისკენ
და გახსენდება სამხრეთის სითბო.

ელადიმირ სოლოვიოვი

პანმონოლიზმი

მჭინვარე სიტყვა – პანმონოლიზმი
სმენას რატომღაც ესაღბუნება,
რალაც დიადი თითქოს მოისმის,
უფლის ნებით რომ შექმნა ბუნებამ.

ბიზანტია რომ დაფარა თალხმა,
საკურთხეველი გაცივდა ღვთისა,
როცა მესია უარყო ხალხმა,
ურწმუნოება მოედო ნისლად.

მაშინ აშალა აღმოსავლეთით
ხალხი უცხო და უცნობი ჯიშის
და ბედისწერამ რომი დააღლითა,
მეორე რომი დაემხო შიშით.

არ გესურს ვიტივროთო ძველი ცოდვები
ბიზანტიური ნგრევის და ომის,
თუმც მლიქნელები კვლავ გვიწოდებენ: –
რუსეთო, შენ ხარ მესამე რომი!

დაე, აღსრულდეს, რადგან ღვთის რისხვას
არ აქვს სანყისი და დასასრული,
ვხედავ, აპირებს ახალ სისხლისღვრას
ჯოგი უცნობი და თავგასული.

ალთაის მთებით, მალაის წყლებთან
აღმოსავლეთის ტომთა ბელადნი
კრებენ ჩინეთის დახრილ კედელთან
ჯარებს, აღჭურვილს ფეხით ყელამდი.

კალიებივით აურაცხელი,
გაუმძალარი რბევით, ომებით,
არამქვეყნოურ ძალის მნახველი –
ჩრდილოეთისკენ დიან ტომებით.

რუსეთო, გაქრა ძველი ედემი,
არნევი ველარ აღიმართება
და შენი დროშის მონაფლეთები
დღეს ყვითელ ბავშვებს მისცეს სათრევად.

ვინ იფიქრებდა, დაქანცულს ომით
გნახავდი შთენილს სანყალ ფიქრებთან,
ჩაფერფლილია მესამე რომი,
ხოლო მეოთხე აღარ იქნება.

ანდრეი ბელი

შიმიფოვა

ზ. ნ. გიპიუსს

ქმარა ლოდინი ცრუ და ამაო,
ხალხო ბეჩავო, მიმოიფანტე,
გაქრი, მტანჯველო წლების ღამეო,
წლიდან წლამდე რომ უფრო იმატებ.

ჟამო მონობის და სიღარიბის,
ნეტავ, როდემდი უნდა იდინო,
მომეცი ნება, ვინმე ყარობმა,
სამშობლოც, შენზე რომ ვიქვითინო:

იქ, სადაც დგანან მწვანე მუხები –
კორომი შეენის ვაკეს კუზიანს,
იქ, სადაც ღრუბლით ცა იმწურებდა,
სადაც ტყეისფერს ცა გაუსვია.

იქ, სადაც ველზე შიში ღავლავებს
და გაბარჯულა ხმელი ჯაგვივით,
იქ, სადაც შლეგი ქარი აღამებს,
მწვანე რტოებში ძრის და გაჰკვივს,

იქ, სადაც მრუმე და ნამთვრალევი
მოჩვენებათა გუნდი ვიღოდა,
სადაც მიმზერენ შლეგი თვალები
უაზრო, შემოიღო სამიკტიწოდან,

სადაც სიკვდილი ბატონობს მკაცრი და სიახადე მეფობას ჩემობს. გაქრი სივრცეში, რუსეთო, გაქრი, გაქრი, რუსეთო, ჩემო!

სარიოზული წუთი

ვინც ახლა სადმე ტირის ამქვეყნად, ვინც უმიზეზოდ ტირის ამქვეყნად – ჩემს გამო ტირის.

ვინც ახლა სადმე იცინის ღამით, ვინც უმიზეზოდ იცინის ღამით, – ჩემზე იცინის.

ვინც ახლა სადმე მიდის ამქვეყნად, ვინც უმიზეზოდ მიდის ამქვეყნად, ის ჩემთან მოდის.

ვინც ახლა სადმე კვდება ამქვეყნად, ვინც უმიზეზოდ კვდება ამქვეყნად, მე მიმზერს იგი.

ვისლავა შიმშორცკა

იზაპი

მეთევზეებმა ერთხელ ზღვაში ბოთლი იპოვეს, ბოთლში – წერილი. ის წერილი იუნყებოდა: „ხალხო, მიხსენით, მე აქ ვარ, აქ ვარ. ოკეანემ გამომრიცხა უცხო კუნძულზე. ნაპირთან ვდგავარ და ხსნას ველი. იჩქარეთ ხალხო, მე აქ ვარ, აქ ვარ“.

– უთარიღოა, – თქვა პირველმა, – დავაგვიანეთ, იქნებ ეს ბოთლი დიდი ხანია ზღვაში დაცურავს?!
– არც კუნძულის სახელია აღნიშნული, – თქვა მეორემ, – და არც ის ვიცით, თუ რომელი ოკეანეა.
– არც გვიანაა, არც შორია, აქ კუნძული უამრავია, – თქვა მესამე მეთევზემ და უხერხული მღუმარება გამეფდა მყისვე.

ალექსანდრ ბლოკი

* * *

ნ. გუნს

შენ ბევრს ცხოვრობდი, მე კი ვმღეროდი, იგრძენ ცხოვრება ცრუ და მშობარა, ციური სული, მე რომ ველოდი, მოფრინდა, სივრცე გადამიშალა.

ან შენი სწრაფვა გაბანრულია, ქარიშხლის მიერ მარტოდ შთენილი, თავისუფალი მე ვარ სრულიად, ისე, ვით ფერფლი ცაღ აფრენილი.

ვგრძნობ, მეგობარო, რომ ეს ცხოვრება მეც შემეხება ხელით მსახვრალით და გული აღარ შემითითოლდება, არც რა ექნება გულს გასახარი.

დავიქანცები ამ გზებზე ოდეს და მიგვატოვებს ბინდში ბუნება, დასასვენებლად შენ ჩემთან მოდი, მეც მოვალ სულის მოსაბრუნებლად.

რაინერ მარია რილკე


კრებულიდან "სურათთა წიგნი"

შესავალი

ვინც გინდა იყავ, მოდი საღამოს, დათმე ოთახი ამ საღამოთი, სჭვრეტს შენი სახლი ცას უსამანოს, გარეთ გამოდი.

უკიდურესად დაღლილი მზერით გაცვეთილ დირეს ძლივს რომ დაშორდი, შავ ხეს აღმართავ თანდათან ზევით, ცისკენ აღმავალს და ტანამოლტილს.

შექმნი სამყაროს, ის ემგავნება სიტყვას, დუმილში რომ მწიფს ნვალებით, ოდეს შეიცნობ – დაუნანებლად დათმობენ სივრცეს შენი თვალები.



ერთი მუალაკას და ერთი ლექსის აზვავი

საერთო დრო

70-იანი წლების მიწურულს, მხატვრული თარგმანის კოლექტივი სარეცენზიოდ გადმომცეს არაბული მუალაკების ქართულ ვერსიას. ნანა ფურცელაძის თარგმანმა ჩემზე საკმაოდ მძლავრდ იმოქმედა, იმდენად მძლავრად, რომ მრავალი წლის შემდეგ, ლექსების კრებულში „ჩაბრუნებული მზერა, 2010 წელს რომ დაიბეჭდა გამომცემლობაში „საუნჯე“, შევიტანე ერთი უსათაურო ლექსი, მუალაკების მთარგმნელს – ნანა ფურცელაძეს რომ ეძღვნება.

ერთ-ერთ მუალაკაში საკმაოდ თამამად არის აღწერილი, დედა როგორ აწოვებს ძუძუს ბავშვს და ამ სცენას როგორ შემოემატება, სავარაუდოდ მუალაკას ავტორი, ან ვიქვით თვით-მხილველი მამაკაცი და, როგორც ძველად ამბობდნენ, მიუღებდა ქალს. ეს ტრიო წარმოვიდგინე და ჩემი დამოუდებულება, ამ ერთი შეხედვით ბუნებრივ სიტუაციასთან, მაშინაც და დღესაც ორჭოფულია, თუმცა, უცნაუროს ვერ ვუნოვებ იმას, რამაც თავი ასე მძაფრად დამამახსოვრა. ერთი რამ კი უნდა ვიღიარო, ასეთი დიონისური სცენა არასოდეს ასე პოეტურად არავის აუსახავს.

მთარგმნელისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსში გაბნეულია მაშინდელი შთაბეჭდილების ფრაგმენტები. მუალაკა ბედუნების ყოფის მნიშვნელოვანი ანაბეჭდია და სწორედ ამხე გავემახვილე ყურადღება.

და ქარავანთა მოქანავე ძილღვიძილშიაც
მონატრებულ ტაქტს პოულობენ მუალაკები.

„მონატრებული ტაქტის“ განმარტებას არ შეუდგები, ალბათ ისედაც ნათელია. მუალაკები ისლამამდელი ტექსტებია და დღესაც დიდი ინტერესით იკითხება. საყურადღებოა რომ მუალაკა ზემონსიტყვიერებით ინახებოდა და ასე გადაეცემოდა თაობებს. საკმაოდ გვიან ჩაინერეს და გამოაქვეყნეს. გამოდის რომ მუალაკას გულში წერდნენ და იქვე ინახავდნენ, რათა მერე სხვებისთვის გაეზიარებინათ:

და შენი ფიქრი
ზედღეითა მუალაკებს ისე წაავას,
რომ გულში იწერ, იმახსოვრებ
და ელოდები გულისფანქარებით,
რომ პირველსავე შემხედვარს გაანდო...

ნანა ფურცელაძის თარგმნილ მუალაკებზე მთარგმნელობითი კოლექტივისთვის დავწერე დადებითი რეცენზია. მუალაკები ცალკე წიგნადაც გამოიცა.

ათული წლების შემდეგ კი ლექსიც მიეფძღვინე ამ საყურადღებო ლიტერატურულ ფაქტს. ეს პატარა ეტიუდი მხოლოდ იმიტომ გამოავაქვეყნე, რომ მკითხველმა გაიგოს კონტექსტი, რომელც საკმაოდ საინტერესო ნიუანსებს ინახავს.

შენი და ჩემი დრო მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. მიუხედავად იმისა, რომ აწმყო საერთო გვაქვს, განსხვავება ჩვენს რეალობებს შორის იმდენად საგარძობია, რამდენადაც შენ ვერ ამჩნევ სხვაობას, რადგან სტერეოტიპზე ავიწყვია ყოველდღიურობა.

მე არსად მეჩქარება შენგან განსხვავებით და საკუთარ მოცალოებაში ვარსებობ იმ დროის კარნახით, ლევისგან რომ მაქვს ბოძებული და არ არის მექანიკური და ელექტრონული საათითის ნაწყალობევი. ამიტომ არ უნდა გაიმეორო უაზროდ, დაუფიქრებლად მეტრორული შენიშვნა, მეტადვე მაშინ, თუ შენიშვნა ზედაპირულია და სიღრმეში წუთითაც არ შეყოვნებულა.

თანდათან ყველანი გაფუჩინარდებით, მაგრამ უწყვეტი პოპულაცია ასხვაფერებს, აუჩინარებს დანაკლისს, ინარჩუნებს, როგორც ადა-ნაწინურ რესურსს, ასევე ანსროვებს ქალაქელი ბელურების, მწერების და ქალაქელი ყვავების და ქოლყავების ბალანსს.

დავასრულებ იმით, რითაც დავინწყე, მიუხედავად საერთო აწმყოსი, რომელიც საერთო საცხოვრებელს მაგონებს, ასევე არის დრო, რომლის არსებობის შესახებ არაფერი იციან ზოგიერთებმა, ისეც ეჩვენება, რომ საკუთარი აზრი აქვს. აზრის გამოთქმის თავისუფლება არ ნიშნავს ყველა ეთიკური ზღვრის დარღვევას, მეტადვე უარყოფას. იყავ შენთვის, ჩემო ძვირფასო და უსაყვარლესო ადამიანო, მაგრამ ეცადე, სულში არ ჩამიძვრე! თუთიყუშებით ნუ გაიმეორებ იმას, რაც გონებაში კი არ მომნიჭებულა, არამედ დაუფიქრებლობის ზედაპირზე ნამოტივტივოდა, როგორც მიმზიდველი ფიქცია.

გაიმეორებ: ჩვენი საერთო დრო აწმყო, რომელიც გაურკვეველი დროის შემდეგ ექცევა წარსულად და გვიან მიხვდები იმას, რასაც ახლა ვერ აცნობიერებ მექანიკური დინების გადაამკიდე. შენ რომ ჭკვიანი და ნიჭიერი ადამიანი ვარ, ამაში ღრმად დარწმუნებული, მაგრამ გირჩევ, ნუ აპყვები ზედაპირის კარნახს, რომელმაც არაფერი იცის იმ სიღრმის შესახებ, რადგან შეუძლებელია, იკლდეს ის, რაც არ უგრძენია და გაუთავისებია, ე.ი. რაც არ გააჩნია.

რადგან ერთადერთი რეალური დრო, როცა შეგვიძლია, რაიმე გავაკეთოთ, არის აწმყო, სწორედ აწმყოშია აუცილებელი იმ განაზრე-

ბის რედუცირება, რომელიც მომავალში მაშინაც კი იარსებებს, როცა ჩვენ მხოლოდ ფიზიკურად აღარ ვიქნებით. ინტენცია იმაზე უნდა იყოს მიმართული, რისი ამოცნობაც შეუძლებელია, მაგრამ საიდანაც გამოდება ან გამოკრთის ის სინათლე, რომელიც მხოლოდ იქიდან იღებს სათავეს.

ახტალაური ანაპრონიზმი

ყოველდღიურად ვრწმუნდებით, რომ ჩვენში განსაკუთრებულ პატივითა სალონურ-კამერული პოეზია, ნამდვილი ან ნამდვილს მიმგავსებული სინაზე თუ სივსაქიზე, მოჩვენებითი და ნამდვილი მინიშნების ზღვარზე შუქის ან ბიუტურების გამოკრთობა, სათქმელის შეფუთვა არავითარტყაში, ვითომ მრავალმნიშვნელოვან უთქმელბობაში, რასაც უნდა მოჰყვას საამისოდ განწყობილი მკითხველის თუ მსმენელის ოვაცია და აპლოდიმენტები.

ინერცია, რომელმაც ჩაითრია ავტორთა საგრძობი ნაწილი და, ალბათ, ეს ასეც უნდა იყოს, თითქმის შეჩერებულია, მაგრამ ჯერ კიდევ ანებებიან უიმედოდ გაჩერებულ მანქანას და მიავტორებენ თავდადმართში, სადაც იოლად იმოვის უმისამართოდ დაგორებენ შესძლებლობას.

ნარმოდგინეთ ასეთი გემოვნებით გამსჭვალული „ავტორიტეტი“, რომელსაც მიანდეს ამა თუ იმ პოეზიის ანთოლოგიის შედგენა. შედეგი რამდენჯერმე ვინფიქთ, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, გადავიდა იმ ავტორთა დანახვა, რომლებსაც ისედაც ხედავენ და გვერდს გულგრილად უვლიან.

ცალმხრივ, პრიმიტიული მსოფლმკვლევს მოჰყვას „მესტიხობა“, სადაც პოეზია ნაკლებად არის და თუ არის, მხოლოდ კამერულ-სალონური, ანუ სათბურის პოეზია, სადაც ნამდვილი სიცოცხლე არ სუფევს. ასეთი მიდგომა დღეს ნორმად აქციეს ფსევდოესპერტებმა და სხვანი, როგორც ყოველთვის, მექანიკურად იმერებენ ერთსა და იმავეს.

ჩვენ უკვე მივჩვიეთ, რომ ამგვარ „პოეზიაში“ თავმოყრილი თუ ასახული ფლორა და ფაუნა უთავალავჯერ აღმებატება საქართველოში არსებულ შეცნარეულ საფარს და გარეულ ცხოველებს.

ამიტომაც ასეთი ავტორები და მკითხველები საზრდოობენ მხოლოდ შეხასილბებით და ცრუ პათეტიკით, რაც მიბრუნა ჩვენში ესოდნე აქტალაურ ანაპრონიზმზე.

ამის ცოცხალი მაგალითია ხალხური პოეზიის ბრწყინვალე ბიძგების და მინერალების აქტიური გადაკეთება-მითვისება და ამ შეჯვარბობით მიღებული კირი, ანუ ტექსტები, რომელშიც იგივეობაა გამაყვებული და ლამის ორიგინალურ შედეგებთან ათანაბრებენ ვიღაცები.

ამ ჩანანერს მხოლოდ ერთი ფუნქცია აქვს, აღვნიშნო, რომ ჩვენ ვხედავთ, რა და როგორ იწერება!

ვისაც როგორ შეუძლია, ისე წერს... ეს ფრაზა უნდა მოვიპველიო სახუგემოდ.

ოდესღაც ვაგნერი ბრაზობდა იმ კომპოზიტორებზე, რომლებიც ცდილობდნენ, მსმენელთათვის თავი ისე წარმოეჩინათ, როგორებიც სინამდვილეში არ იყვნენ. მაშინ ერთმა კომპოზიტორმა, ასევე გამოჩინებმა, ვაგნერი დაამშვიდა: ყველა ის წერს, როგორც შეუძლია...

სათავე



ქართული

„მშვენიერი გრძობებით გამწვანებული ლიტერატურა“ (ს. ჟიდი). მშვენიერი გრძობების ლიტერატურად გარდასახვა უზრავლესობისათვის მიუწვდომელია. ე.ი. მშვენიერი გრძობების მშვენიერ ლიტერატურად გარდასახვას, გარდათქმას დიდი ნიჭი სჭირდება რაც ყველას არ შეუძლია. აი, სად ყალიბდება ჭკუშარიტი მწერალი, პროფესიონალი მკითხველი და, სანუზაროდ, სად სწეულდება ფრუსტრაციით ზოგიერთი.

ახლა თქვენს ლექსზე ვიტყვი ორიოდ სიტყვას. მშვენიერი ლექსია. უნდა ითქვას, რომ მთელი ლექსი აგებულია უბრალოებასა და საყოველთაო მიზნარების მეტაფორებზე, აერთოდ კი „აქ არი, საბრალო გულში“ და ამას ეკუთრის შეგნებულად აკეთებს. თითქმის ასეა სხვა ლექსებშიც. სალექსო სტრუქტურების სასაუბრო კილოსთან მიახლოება და პათეტიკის ნაცვლად უბრალოების ტონალობის შემოთავაზება საგრძობობა, სვანურ ხალხურ პოეზიას ენათესავება. ზოგჯერ თავს იჩენს ერთი ალბათობა, კერძოდ კი ის, რომ უბრალოება არ გადაიზარდოს საეჭვო ნაივრობაში.

ნაურობა მეც მიყარს, როცა ზუნებრივია ამ გავიზრდება ხელოვნურ პრიმიტიულბობაში. ზუნებრივი ნაივისა და ხელოვნური პრიმიტივის გარჩევას სხვა ალო სჭირდება.ეგ ისედაც დავინახე და უბრალოდ მივანიშნებ, რომ საგარაულო, მოსალბლულე ხიფათბ.ჩემი მინიშნება უფრო ღრმა შრეებს გულისხმობს. მაგრამ ამ თემაზე მეონი არ ღირს საუბარი. მხატვრობა დაიწყო მღვიმის კედლებზე და კლდეების მოხატვით და ბოლოს მივიდა ტილოზე საღებავის სროლამდე ან ვირის კუდით მონასმის შესრულბამდე, ე.ი. გაიარა ყველა მიმდინარეობა საუკუნების განილბუე და ბოლოს დაასკვნა, რომ ყველავფერი სისულბეა, მთავარია ყველა ფრის გამოტოვება და არცოდნის სათავეებთან დაბრუნება. ეს სახვით ხელოვნებაში, მაგრამ ლიტერატურაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სუმანტიკას, ანბანს, ქვიშაზე წერით რომ დაიწყეს ოდესღაც, ქვეტექსტის, კონტრაცია, მინიშნებას, იგაურობას და ა. შ. მიინტერესებს, რა მასშტაბს იმალნევენ ამ ყოველივეს გარეშე. ძალიან საინტერესო ექსპერიმენტია, მაგრამ ფოლიაციის უარყოფით, უფრო სწორად გამოტოვებით, იგივე ხდება, რაც ხელოვნური ვანაყოფიერებისა, როცა მთავარი გამოტოვებულია. მე თქვენს ვეპოქმენებთ ექსპერიმენტს დიდი ინტერესით გადავებენ თვალს და მაინტერესებს, რა მოხდება დინამიკაში. ეს ნაბავს გასსნილად ბანქოს თა-

გამს, როცა ბანქოს ყველა ნიშანი ყველასთვის თვალმისწვდომია.

გუბები და ვითარება როგორია მსოფლიოს პოეზიაში, გიგონი ვიცი და გეტანხმებით, გარკვეულწილად მართლაც გამოფიქრული, უენერგო და ნაკლებად მგრძობიარეა საერთოდ პოეზია, მაგრამ არსებობს ცალკეული გამოწვევები. შეუძლებელია არ არსებობდეს. ამ შემდეგ და უნამს პათეტუკასა და ნატურალისტურ ყოფითობაშიც არ ჭაჭანებს პოეზია. პოეზია იქიდან უნდა იღებულს სათავეს, სადანაც სინათლე იბადება. ამის მიღწევა არ არის იოლი, მაგრამ შესაძლებელია ნიჭიერი ავტორისთვის.

აღმართი რომანიდან „მოგავალი ნარსული“

სადაც ფიქცია ცხოვრების წესია და მისი შეცვლა მხოლოდ სხვა ფიქციით არის შესაძლებელი, დაკვეთაც ფიქციაზე არსებობს, ამიტომაც იცვლება მხოლოდ მისი შეფუთვის მეთოდები და მონოდების ტექნოლოგიები, მაგრამ იმდენად პრიმიტიულია და ამაზრზნად ხდება ყოველივე, რომ რჩება ერთადერთი გზა – პაროდია და აბსურდი, გროტა ანუ ის, რასაც ფიქციათა ჯამი გეკრანახობს. აი, სად იბადება ნიჟილე და კვდება ლიტერებულებათა მთელი სისტემა. პაროდია და აბსურდი ლიტერატურაში უსაინტერესოესი ნაკადია, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში, ქვეყნის მართვაში ამ მეთოდის კულტივირება სრული ტრაგედიაა. ლიტერატურაში აბსურდი, პაროდია, თავისთავად გულისხმობს ჩამალულ ტრაგედიას, ხოლო დაკანონებული ფიქცია, რომელიც ქვეყანაში საყოველთაო აბსურდს შობს – ტრაგედიამი ამყოფებს მოქალაქეთა უმარტოობას.

წინათ თითო პატიმარზე დასახარჯი თანხა დღიურად შუადგენდა 75 თეთრს, ახლა კი სამი ლარია. წარმოიდგინეთ, სახელმწიფო რამდენ სოციალურად გაჭირვებულ ოჯახს დაეხმარა. ეს უმნიშვნელოვანესი ნიშნულია, ვითარებით ამ სიტყვების ავტორს. რაც უფრო მეტ ოჯახს დაეხმარებოდა ამგვარად, სოციალურად დაცულობის ხარისხი უფრო ამაღლდებოდა. ვთქვათ, ნახევარი საქართველო დავაპატიმრეთ და ყოველ პატიმარზე შევინარჩუნეთ სამლარიანი დღიური დაფინანსება, გამოდის, რომ სოციალურად დაუცველთა მთელ არმიას შევწევით. გენიალურია, უკეთესს ვერც მოიფიქრებს ჭკვეთამყოფელი კაცი.

„სისულელის ქება“, დიდმა ერამუსმა როტერდამელმა მასწავლა და განსაკუთრებით ვაფასებ ამ გენიალურ მოძღვარს. განა არსებობს ჩვენში რაიმე, რაც სისულელეზე მეტად იმსახურებდეს შექებას?!

დიდი ნაბიჯები –

ასე ერქვა პატარა წერილს, რომელიც ამ ორმოცი წლის წინათ გივი ალხაზიშვილს მიუვლდებოდა.

გივის ლექსები დაიბეჭდა „ცისკარში“, განსაკუთრებული მონონება ხდება ნილად რუსის ჯარიდან ახლადბრუნებული ახალგაზრდა პოეტის ერთ ლექსს. იგი ეძღვნებოდა გერეთ ნოდელს ახალწვეულს, რომელიც ცდილობდა, მწყობრში დიდი ნაბიჯებით ევლო და ასე დაეწინაურებინა ხალხიცა და საკუთარი თავიც, რომ უკვე დაკაცებულია...

60-იანი წლების მინურულს „ცისკარში“ დაბეჭდილი ჯარისკაცული ციკლი რომ გამასხენდა, მივხედა რომ გივი ალხაზიშვილი მისი სიტხატუკისდროინდელი ლირიკული გმირის მსგავსად, ქართულ მწერლობაში დიდი ნაბიჯებით წინ მიდის-მეთქი, ვწერდი იმ წერილში. ეს ნიშნული თანაბრად ხსება-მეთქი მის ლექსსაც, მის პროზასაც, მის კრიტიკულ-ესიკურ ნერლობასაც-მეთქი! იგი უკვე აღარაა ჯარისკაცი, ლიტერატურის ჯარისკაცი! იგი კარგახანია, ლიტერატურული გენერლების წრეში ტრიალებს-მეთქი!

როგორაა დღეს სამოცდაათი წლის გივი ალხაზიშვილის საქმე?

იგი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჰყავდეს ერთგული მიკისფერი!

იგი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჰყავდეს დაუძინებელი მტრები!

იგი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ არავინ იყოს მის მიმართ გულგრილი!

ნაღდი მწერალი კი ისაა, ვისაც ბლომად ჰყავს მოყვარეც და მტრიც, და ვის მიმართაც არავინაა გულგრილი!

იოლია თუ არა ამგვარი მწერლის ცხოვრება? რა თქმა უნდა, არაა იოლი! მეტიც, ძალიან ძნელია. მაგრამ მწერალი, რომელიც ანგარიშს აბარებს მომავლის საქართველოს და არა გამგებელს, მინისტრს ან რომელიმე პარტიას, შერიგებულია თავის ძნელ ბედს!

მე ვიცი ეს ყველაფერი და გივი არის ჩემი საყვარელი პოეტი!

მეტცი, – იგი არის ჩემი საყვარელი პროზაიკოსი!

უფრო მეტიც, – გივი არის ჩემი საყვარელი ესეისტი!

მე მომწონს მისი თარგმანები!

გივის ერთი კარგი წერილი აქვს დაწერილი ჩემზე!

რომ ავადგე მე და მეც დაეწერო იმგვარივე წერილი გივის შემოქმედებაზე, ჩვენი საერთო პასკვილანტები – მოგესხენებოთ, ჩვენი საერთო პასკვილანტები და კრეტიკოსები გვეყავს – ალბათ მაშინვე კოლოფს გაიხსენებენ: კუკუ-შკა ხვალთ პეტუხა ზა ტო, ჩტო პეტუხ ხვალთ კუკუშკუ! ამიტომ მე ამგვარად თავს შევიკავებ ამგვარი სტატიის გამოქვეყნებისაგან.

ვიზოვარ ახლა აგერ გივის წიგნის პრეზენტაციაზე, და ველოდები ჩემს რიგს – როდის მივიღებ ნაშუქარ წიგნს სასურველი წარწერით.

ტარიელ ჭანტურია

გივი აღლაზიშვილის რჩეულის შესახებ

რჩეულის შედგენა თითქმის ყოველთვის შეჯამებასთან და გამოცდილების გამოტანასთანა დაკავშირებული. ხელოვანი ჩერდება და თვალს ავლებს განვილი გზას.

რას ხედავს ის ამ დროს?

შემავამბებელი კრებული სწორედ იმის ანარეკლია, რასაც ხელოვანი ხედავს.

გივი აღლაზიშვილის ნიგნის „შენ ცოცხლობ ჩემში“ კითხვისას ჩვენ თვალს ვაღვებთ ხელოვანის მუდმივ ზრდას – გარემოზე დისიდენტური რეაქციიდან – სულიერ ჩაღრმავებამდე, ვერლიბირიდან მეტ-ნაკლებად ტრადიციული პოეტიკამდე და ამის შემდეგ – არაკლასიკურ პროსოდიამდე და სინთეზურ პოეტიკამდე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ გზაზე გივი აღლაზიშვილი ნელ-ნელა უღრმავდება თავად

პოეტურ ენას და ეხება პოეზიის საწყისს – მის ლოცვით-მედიტაციურ ინტონაციას.

ყველამ ვიცით, რომ პოეზია შესხმინდან და ქვიბიდან, წყველიდან და ლოცვა/მლოცვიდან იწყება, მაგრამ ყოველთვის როდი ვეხებთ ხოლმე ამ საწყისს.

ეს საკმაოდ იშვიათად ხდება.

ამ აზრით, გივი აღლაზიშვილი იშვიათი პოეტია.

მისი პოეზიის მკითხველს ვუსურვებს სიღრმეებსა და მოცალეობას. ამ ნიგნის კითხვისას აუცილებელია დრო, შინაგანი დრო, რომელიც ემსახურება ჩვენს ზრდას.

ამიტომაც, მეორე, რასაც გივი აღლაზიშვილის რჩეულის მკითხველს ვუსურვებ, ესაა – სულიერი ზრდა, რომელიც ჭეშმარიტ მკითხველსაც ისევე ჭირდება, როგორც – ჭეშმარიტ პოეტს.

ზაზა შათირიშვილი

შემცენებისა და წინასწარმეტყველების პოეტური „რელიგარე“

უკა ლაკანის მიერ გაჟღერებული პროვოკაციული და რიტორიკული კითხვა – „სად გინახავთ მეცნიერება, ან თუნდაც მათემატიკა, სადაც ახალი თავი არ აგრძელებს წინასწარმეტყველებას და მეტაფიზიკოსის პოეტებისთვის. საკითხი კიდევ უფრო საინტერესო ფილოსოფიურ საბურველს შეიძინა, თუ მასზე რეაქციისა და დეკლარირებით უნივერსალური შემოქმედის – გივი აღლაზიშვილის ამ კრებულს, რადგან დისკურსი, რომელსაც იგი ვითავაზობს, არ გამოიყვანება არცერთი ლიტერატურის, როგორც მითის გამოცდილებიდან. რა არის ამგვარი „დაფუძნების პოეზიის“ ფიგურაციის, სხეულის ონტოლოგიის არსი და სექციუტა? რა აძლევს მას საშუალებას საკუთარი იდენტობის ამგვარი ფენომენოლოგიური თვითკმარობისა, რაც არსებული ტრადიციების მიერ ექსკლუზიურობაში (გამიჯნულობაში) ვლინდება? ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორ არის შესაძლებელი, რომ ის სწორედ იმ ახალი ნივთს გამოყენებისას ანაზღვეულად არტიკულირდება, რომელიც შეუძლებელსა და შესაძლებელს შორის მიმართების შემცველია?

გივი აღლაზიშვილის ახალმა ლექსებმა შექმნა ლიტერატურული სივრცე, რომლისთვისაც დამახასიათებელია ორი, ურთიერთგამომრიცხავი „ტელოსი“; ის, ერთი მხრივ, ვითავაზობს „პრაქსისის“ პრიმატს, ქმედებისას, რომელიც საკუთარი არსის მიზანს თავისივე თავში მოიცავს, ხოლო, მეორე მხრივ, გვევლინება „პოეზისი“, რომელიც სინკრეტულად აღქმულ დროში, ანუ თავისი თავის მიღმა ფუძნდება და მხოლოდ ამის შემდეგ უბრუნდება თვითიდენტობას.

კონკრეტულ-ლექსტურულ პრაქტიკაში ეს მოვლენა გამოიხატა ფორმისა და შინაარსის იმგვარ მიმართებაში, რაც მკაფიოდ ჩანს, მაგალითად, ლექსებში: „...როცა იმავე სიმღერის ნოჟოლო ახალ...“; „...სულ არაფერი, მაგრამ ჯერ ისე...“; „თავლი“ და ა. შ.


სხენებულ და სხვა ლექსებშიც ფორმა (სინტაქსი) იწყებს შინაარსის კატეგორიულ მეტამორფოზას ისე, რომ მას (შინაარსს) კი არ აუქმებს, არამედ მთლიანად, ვიტყვი, ფოტოგრაფიულად ამთხვევს საკუთარ არსს. შედეგად, ლექსების უმეტესობა იქცევა ერთ ამოსუნთქვად, რომელიც ჩაგუბებული აღარ არის ხეულში.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომლის ხაზგასმაც წინასიტყვაობის სათაურში „რელიგიის“ ცნების ლათინურ-ნიგნის დირის ერთ-ერთი ეტიმოლოგიის კონოტაციის შემოტანით ვცადე, უკავშირდება მეთოდს, რომლითაც გივი აღლაზიშვილის პოეზიაში ჩნდება მეტამათემატიკური ხდომილება – ის, რაც ერთდროულად ისტორიულიც არის და უსამანოც.

სწორედ აქ ხდება ძველ ურთიერთობის აღდგენა ცოდნასა და წინასწარმეტყველებას (აქ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მავს ამ ცნების თეოლოგიური შინაარსი) შორის და ენა პოეტის ხელში იქცევა მომავლის არაკანონზომიერი გამოწვევის, რეივიკაციის (გასაგნების) საშუალებად; როგორც ბლანშო წერს: „სწორედ ასეთი პოეტი-წინასწარმეტყველი შეგვაგონობინებს სიტყვას, რომელიც მას (ფორმას – ლ. დ.) ექოდ უსწრებს“.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ გივი აღლაზიშვილის ეს პოეზია ჩვენზე კი არ ლაპარაკობს, არამედ იმაზე, რაც საყოველთაო „ჩვენშია“; ხოლო მსგავსი ლიტერატურული რეპერტენციები (ალარება) მისი გადარჩენის, სიცოცხლის ერთადერთი შანსია...

ლექსი დორეული



Борис Херсонский

ბორის ხერსონსკი დაიბადა 1950 წელს ექიმების ოჯახში. სამი თვის ასაკიდან ოდესაში ცხოვრობს. 1974 წელს დაამთავრა ოდესის სამედიცინო ინსტიტუტი. მუშაობდა ყველგან: რაიონის ფსიქონევროლოგად ოვიოდოპოლში, ფსიქოლოგად და ფსიქიატრად ოდესის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, მარიამ ღვთისმშობლის სახელობის მონაწალების ცენტრში, სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრში. იყო კულტურის განყოფილების გამგე გაზეთში „ოდესსკი ვესტნიკ“. თანამშრომლობდა სხვადასხვა ემიგრანტულ გამოცემებთან: „ნოვოე რუსსკოე სლოვო“, რადიო „თავისუფლება“. ბოლო ოცი წელია ოდესის ეროვნულ უნივერსიტეტში არის კლინიკური ფსიქოლოგიის კათედრის გამგე. პირველი პოეტური პუბლიკაციები გამოაქვეყნა ემიგრანტულ პრესაში 80-იან წლებში. 90-იან წლებიდან უკვე ინტენსიურად იბეჭდებოდა უკრაინისა და რუსეთის ლიტერატურულ პრესაში. უკვე 20-ზე მეტი წიგნის ავტორია. ლაურეატია მ. ვოლოშინის სახელობის მე-4 და მე-5 საერთაშორისო კონკურსების (2006, 2007), საერთაშორისო პოეტური ფესტივალის „კიევსკიე ლავრი“ (2008), სტიპენდიანტია ი. ბროდსკის სახელობის ფონდის (2008). სპეციალური პრემია „Literaris“ (ავსტრია) აქვს მიღებული წიგნისათვის „საოჯახო არქივი“, და „რუსული პრემია“ წიგნისათვის „სანამ არ დაბნელებულა“ (2011).

მისი ლექსები ნათარგმნია ინგლისურ, ფრანგულ, ჰოლანდიურ, უნგრულ, ფინურ, ბულგარულ, ქართულ, სომხურ და უკრაინულ ენებზე.

ლექსაზი ნაგვიდან კი არ იზადებიან, ნაგავს ამოსცდებიან და ისე იზრდებიან

(დიאלოგი ინტერნეტით ბორის ხერსონსკისთან 2014 წლის 29 აგვისტოს)

შოთა იათაშვილი: ბორია, მოდი გარეგნული პარალელით დავიწყეთ. კავკაზ – ებრაელი, რომელიც ცხოვრობდა პრალაში და წერდა გერმანულად. შენ – ებრაელი, რომელიც ცხოვრობს ოდე-საში და წერს რუსულად.

ბორის ხერსონსკი: პასუხი ამ კითხვაზე სინამდვილეში საკმაოდ მარტივია: ოდესა მუდამ რუსულენოვანი ქალაქი იყო, ოღონდ ოდესური რუსულით, თავისი გამოკვეთილი ებრაული აქცენტით – ანუ სწორედაც რომ საჩემო. უკრაინის დამოუკიდებლობის წლებში ეს აქცენტი საკმაოდ შესუსტდა. მაგრამ რუსული აქ დღემდე დომინირებს.

შ. ი. და რატომ შესუსტდა აქცენტი?

ბ. ხ. მოსახლეობა რადიკალურად შეიცვალა. ებრაელების 90 პროცენტი ემიგრაციაში წავიდა. როგორც წერდა, უფრო სწორად, მღეროდა ოკუპავა: хоть flora здесь все та же, но fauna не та. ბუნება სიცარიელეს ვერ იტანს, ამიტომაც გაჩნდა ახალი აქცენტი – არც უკრაინული, არც რუსული, არამედ უბრალოდ ბრუტალური. და გაჩნდა შესაბამისი ლექსიკონიც.

შ. ი. „საოჯახო არქივის“ დანერისაკენ სწორედ ამ ფაქტორ-მა ხომ არ გიბიძგა?

ბ. ხ. არა, „საოჯახო არქივის“ იდეა სრულიად მოულოდნელად დაიბადა. ერთი კონკრეტული ლექსის დაწერა მომინდა – ბებიანებზე, რომელიც თავის დასთან ერთად ქვებს ისროდა მარმა ტაში, ბონას მთის მწვერვალზე, სადაც ციხე-კოშკის ნანგრევებია. ისინი თვლიან, თუ რამდენ ნაშმი დაეცემიან ქვები ჭის ფსკერს... და უტეც მე მივხვდი, რომ ჭვის დაცემის ხმას ისინი ევრ გაიგონებენ – ეს ხმა გაისმება მხოლოდ მაშინ, როცა გოგონები მთის მწვერვალთან დაბლა დაეშვებიან. და დარტყმის ეს ყრუ ხმა, როგორც გონგი, წიგნის დაწყების მაუწყებელი გახდა. პირველი ნაწილი საკმაოდ სწრაფად დავწერე. მაგრამ მთლიანობაში წიგნი 1996-დან 2003 წლამდე იწერებოდა.

შ. ი. კარგად მახსოვს, როგორ ვკითხულობდი ამ წიგნს. თავიდანჩვეულებრივი პოეტური კრე-ბულივით მისი ფურცელა დავიწყე და რაც მომხ-დედებოდა ხელთ, იმას ვკითხულობდი. მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს პოეტური კრებული კი არა, რომანია, პოეტის მიერ დაწერილი. და ამის შემდეგ თავიდან მივყვივი და ბოლომდე ჩავედი.

ბ. ხ. სწორი გიქნია. ამ წიგნში ძალიან მკაცრი კომპოზიციაა. ხანდახან მოვლენათა თანმიმდევრულობა ირდევება, მაგრამ ამაშიც გარკვეული აზრია ჩადებული. პერსონაჟები არყოფნიდან ამოყვინთავენ და მერე კვლავ მასში იძირებიან ხოლმე... სხვათაშორის, ახლახან ეს წიგნი პოლანდიურ ენაზე გამოვიდა, ხოლო გერმანულად წელს მისი მეორე გამოცე-მა დაიბეჭდა. მე ძალიან ვაფასებ ამ წიგნს, მა-გრამ დაწერილი მაქვს ბევრი სხვაც და ამი-ტომ ხანდახან გული მწყდება, რომ „არქივი“ რალაცნაირად ფარავს ყველაფერ ადრინდელ-საც და შემდგომ შექმნილსაც. თითქოს პოეტმა ერთი წიგნი უნდა დაწეროს და მერე დადუმ-დეს. ისე ბევრი ასეც იქცევა. და ეს ფრიად გონიერულია.

შ. ი. ბორია, შენ კონცეპტუალისტი ხარ? ვერ კითხვას დაგისვამ, და მერე, თუ საჭირო იქნა, გეტყვი, რატომ ვფიქრობ ასე.

ბ. ხ. როდნიანსკიაიც კონცეპტუალის-ტად მთვლიდა. ისე მე საკუთარ თავს პოსტ-მოდერნიზმით შელანდლულ პოსტაკემისტურ



ბებია-ბაბუსასთან და მშობლებთან ერთად. 1953 წ.

ტრადიციას მივაკუთვნებ: მე მიყვარს ფარული ციტატები, დროთა აღრევა, სექტაკლები ლექსებში. თუკი კონცეპტუალიზმის ქვეშ გავივებთ ლექსის გააზრებულობას, კი, მე კონცეპტუალისტი ვარ.

შ. ი. შუ კონცეპტუალისტად გთვლი იმიტომ, რომ შენ ირჩევ თემას, ფორმას და მერე რაღაც პერიოდი აქტიურად მუშაობ ამ კონცეპტზე. მაგალითად, „ბუნებისმეტყველის ნიგნი“, ნიგნი რომზე, იგივე „საოჯახო არქივი“ და ა. შ.

ბ. ხ. მე ხშირად არ მყოფნის ერთი ლექსი სათქმელის გამოსახატავად. აქედანაა ჩემი მიდრეკილება ექტენსიური ნერისა და „ციკლე-ბით აზროვნებისაკენ“. სინამდვილეში ბევრი ციკლი ათწლეულობის განმავლობაში ინერ-ბოდა და არასოდეს ერთად არ შეკრებილა, ისინი სხვადასხვა ნიგნებშია გაფანტული. ნესიერი ცხოვრება რომ იყოს, კარგი იქნებოდა მათი თავიდან კომპონირება, მაგრამ ნესიერი ცხოვრება არაა და არც ჩანს, რომ იქნება. რაც შეეხება იმ ციკლებს, რომლებიც მაინც შეიკრა, პირველი ასეთი ნიმუში იყო „ჩინური“ ნიგნი სახელწოდებით „იქ და მაშინ“. მასში იყო მაფიო კონცეფცია – დაო დე ძინის თარგ-მანი და იმავე რაოდენობის ორიგინალური ლექსები, რომლებიც რაღაცით ესმიანებოდნენ დას. ეს ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ნიგნია. ამის შემდეგ იყო „საოჯახო არქივი“. მერე – „ხასილური გამონათქვამები“, „ლექსები რუსულ პროზაზე“, „შუასალაუკუნის უახლესი ისტორია“, „მეოცე საუკუნის ქრონიკები“. უკვე 21 ნიგნი მაქვს გამოცემული. უკვე 2015 წელს გამოსაცემი ნიგნზეც კი მოვანერე ხელი გამომცემლობასთან. რაღაცნაირი ასეთი ბავშვური ოპტიმიზმი მაქვს, სითავხედვემდე რომ მიდის. მაქვს რაღაც თემები (მაგალითად, ომისშემდგომი ცხოვრება), რომელთა ამონაწერა არ შეიძლება, რომელთაც მუდამ ვუბრუნვები. ალბათ უნდა ვთქვა ჩემს ანტისაომარ ნიგნზეც – შესა ომის დროს – Missa in tempore belli – იგი ცტაკა ხნის წინ გამოვიდა სანკტ-პეტერბურგში. პარადოქსულია, მაგრამ ეს პროუკრაინული ნიგნი უკრაინაში არ გამოსულა და ჯერჯერობით ვერც გამოვა, რადგან საავტორო უფლებები პეტერბურგელებს აქვთ.

შ. ი. და შენ შეგიძლია ყველანაირი პოეტური ფორმა დაიმორჩილო?

ბ. ხ. ტექნიკური პრობლემები არა მაქვს. ვერლიბრი, აქცენტირებული ლექსი (ბოლო წლებში ჩემთვის ყველაზე საყვარელი), კლასიკური რიტმები... ერთი რამ კია უცნაური, შექსპირისეული სტილით არ ვწერ.



საქადრაკო პარტია მამასთან. 1956 წ.

შ. ი. საუბრის თემას შევცვლი. შენ ფსიქიატრი ხარ. პოეტის და ფსიქიატრის პრაქტიკა – რა ხდება აქ?

ბ. ხ. ვცდილობ, ეს ორი ხაზი არც ისე ხშირად იკვეთებოდეს. თუმცა საერთოდაც რომ არ იკვეთებოდეს, არც ეს გამოდის. მე ხშირად მეკითხებიან ამის შესახებ. და მუდამ ვპასუხობ, რომ ჩემთვის მთავარია საკუთარ არაცნობიერთან დიალოგის პრაქტიკული ჩვევა და განსაკუთრებული მდგომარეობის დაჭერის უნარი. ამ თემაზე განსაკუთრებული ინტერვიუც კი მაქვს მიცემული. მთავარი ისაა, რომლებსები მოდიან ცნობიერების რაღაც განსაკუთრებულ მდგომარეობაში – ძილსა და ლედიძის შორის.

შ. ი. როგორც ფსიქიატრი, შენ საკუთარ პრაქტიკას იუმორით აღწერ. როგორც დისიდენტს, ასევე შეგიძლია შენი დისიდენტური ცხოვრების იუმორით აღწერა. ეს შე თითქმის არსად მინახავს. ყველა დისიდენტისთვის ეს ტრაგედიის თემაა. მათ არანაირად არ ძალუძთ ტრაგიკომედიის დანახვა. როგორ ახერხებ შენ ამას?

ბ. ხ. იუმორი ერთ-ერთი „მნიფე“ მექანიზმია ფსიქოლოგიური თავდაცვის. და ეს ტრადიციული თვისებაა ოდესესლის. გეხმარება არ ჩაიხრჩო დარდში იმ სიტუაციებში კი, როცა ცხოვრების ძალა აღარა გაქვს.

შ. ი. როცა დისტანცია გაჩნდა, შენ მაშინ შეხედე საკუთარ დისიდენტურ ცხოვრებას იუმორით თუ ამას მაშინაც ახერხებდი, როცა შიგნით იყავი?

ბ. ხ. როცა ამ ცხოვრებით ვცხოვრობდი, მაშინ უფრო, უბრალოდ იმიტომ, რომ ახალგაზრდა, საზრიანი და სასაცილო ვიყავი. ახლა მე კარგად ვხედავ ჩვენს მიამიტობას, ჩვენს შეცდომებს და ეს მოგონებებს სიმწარისა და გამოუსწორებლობის განუმორეგებელ გემოს აძლევს.

შ. ი. და შენ გრჩება მცირედ იუმორი მაინც დღეს, როცა ხედავ და გრძობ, რა ხდება ახლა უკრაინაში?

ბ. ხ. მრჩება, მაგრამ საკმაოდ ავი. ეს უკვე აღარაა ფსიქოლოგიური თავდაცვა, ეს უკვე თავდასხმაა. ძირითადად ეს გამოიხატება „ოდებში“ – გრძელ ლექსებში, მე-18 საუკუნის სტილით დაწერილი.

**შ. ი. მგონი ვუბრუნდებით საუბრის დასაწყისს, როცა შენ ყვე-
ბოდი იმაზე, თუ როგორ გახდა ოდესღაც იუმორი ბრუტალური.**

ბ. ხ. არა, ბრუტალური გახდა ქუჩის მეტყველება - მასში უკვე იუმორის ნასახიც არაა. ხოლო ის, რაც დღეს წმინდა ოდესურ იუმორად გვეჩვენება, ეს წარსულის მიბაძვაა. რო- გორც ნესი, ეს საქმაოდ დაბალი დონის ლიტერატურაა. ამაზე ერთხელ დავწერდა და ბევრ ადამიანთან ურთიერთობა გავაფუ- ქე. თუმცა არის რამდენიმე შესანიშნავი ხუმარა - მაგალი- თად, მისილ ვექსლერი. არის ოდესური იუმორის ჟღერადი ცი- კი - "ფონტანი". მას გამოსცემს ვალერი ჰაიტი. ჩვენ 1970 წლიდან ვმეგობრობთ. ამ ჟღერადი იბეჭდება ეპიგრამები, კარიკატურები, იუმორისტული მოთხრობები, თითქოსდა და- კონსერვებული 60-იან წლებში. მე თავად 70-იანებში ვარ და- კონსერვებული, ასე რომ ეს გასაკიცხად არ მითქვამს. მე იქ ხანდახან ვიბეჭდები - და ეს ერთადერთი ოდესური ჟღერა- ლია, რომელთანაც ურთიერთობა შემინარჩუნდა.

**შ. ი. ვინაა ბოლო-ბოლო ბორის ზერსონსკი? ოდესელი ხუ-
მარა თუ პოეტი-კონცეპტუალისტი? გახსნილი თუ ჰერმეტიული
შემოქმედი? პოეტი, რომელიც უკრაინამ ჩამოაყალიბა თუ რუ-
სულმა ენამ? ალბათ შენ იტყვი, ერთიც, მეორეც, მესამეცო, მაგ-
რამ მაინც...**

ბ. ხ. მე მგონია, რომ მთავარი მაინც ენაა. მე ვეთანხმები ბროდსკის, რომ გარკვეული აზრით პოეტი ენის იარაღია. მეო- რეა, რომ აქ უკუკავშირდება, ჩვენ რალაცნაირად ზეგავლენას ვახდენთ იმ ენაზე, რომელზეც ვწერთ. იმედი მაქვს, ენა ჩემზე განაწყენებული არაა - მე მას ნაზად და სიყვარულით ვეკიდებ- ბი. ჰერმეტიული ვარ თუ არა? არა, რა თქმა უნდა, ოთხივე მხარეს გახსნილი ვარ. ჩვენ მოვლენების, ურთიერთობების, ტექსტების, სიზმრების ზღვაში ვცხოვრობთ და ეს ყველაფერი ერთმანეთში იზილება, და იმ ნარევის ნარმოშობს, საიდანაც ლექსები ჩნდება. ახმატოვა წერდა, რომ ლექსები ნაკვიდან იზადებო, მაგრამ ეს ასე არაა - ისინი ნავაგს ამოსცდებიან და ისე იზრდებიან.

**შ. ი. როგორ აირჩიე რუსული ენა? შეგეძლო უკრაინულად
გწერა?**

ბ. ხ. ვეფიქრობ, არა. ჩემი ოჯახის ენა რუსულია - დედის და ბებიის მხრიდან ებრაული აქცენტით, მამის მხრიდან - უნაკლო. უკრაინულს ვსწავლობდი სკოლაში, პატიოსნად, ძალიან მიყვარს ეს ენა, უკრაინული ფოლკლორი, განსა- კუთრებით სასიმღერო, ვიცი ასზე მეტი სიმღერა. მიყვარს უკრაინული მოუხეშო იუმორი. მიყვარს და ძალიან კარ- გად ვიცი თანამედროვე უკრაინული პოეზია. ვთარგმნი ჩემს უკრაინულ კოლეგებს და მეგობრებს რუსულ ენაზე. მაგრამ უკრაინულ ენაზე გადასვლა მკვეთრად დანევდა დაბლა ჩემი ლექსების ხარისხს. ამას ჯობს, ლვოვში ჩემი ლექსების უკრაი- ნული თარგმანები ვიკითხო პუბლიკის წინ...

შ. ი. როგორც ექიმს გეკითხები. სამყარო ძალიან ავადა?

ბ. ხ. ავადმყოფობა - სამყაროს ნორმალური მდგომარეობაა ცოცხით დაცემის შემდეგ. ღმერთმა ქნას, რომ ეს ავადმო- ფობა არა სიკვდილისკენ იყოს, არამედ ღვთის სადიდებლად.

შ. ი. მაგრამ ახლა თითქოს ასე არ არის.

ბ. ხ. მუდამ არის ამ ავადმყოფობის რუდუ- გამაღიზიანებელი, გამამწვაებელი. სამწუ- ხარად, ახლა ეს გამამწვაებელი რუსეთია, უფრო სწორად - პუტინის რუსეთი.

**შ. ი. შუა 80-იანებშიც კი თითქმის არავის
სჯეროდ, რომ საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა.
შენ გჯერა, რომ პუტინის რუსეთი დაინგრევა?
ოღონდ გულწრფელად.**

ბ. ხ. უახლოეს წლებში - არა. თუმცა ბევრი თვლის, რომ ამ რეჟიმს ბოლო წუთები დაუდგა. მაგრამ მე მეჩვენება, რომ მათ სას- ურველი მოაქვთ რეალობად. სოლჟენიცინმა ერთხელ დაწერა: „კომუნისტის საათებმა თა- ვისი ჩამოშორეს. მაგრამ მისიბეტონის შერობა ჯერ კიდევ მთელია. არ გამოვიდეს ისე, რომ განათავისუფლების ნაცვლად მის ნანგრევებს ქვეშ დავილუპოთ“. ჩვენ არ დავილუპეთ. მა- გრამ არც განათავისუფლება არ გამოვიდა.

შ. ი. და რა ვქნათ?

ბ. ხ. მაგაზე ზევლ გიბასუხებ, ახლა უკვე გვიანია, მეძინება...

შ. ი. კარგი, აბა დროებით, ტკბილი ძილი.

ბ. ხ. ასევე, შოთა...



მოძღვარმა ბრძანა:
იყურებ, როცა საჭიროა ლაპარაკი –
დაკარგავ მეგობარს.
იტყვი, როცა საჭიროა დუმილი –
შეიძენ მტერს.

მე არ მინახავს მისი ღიმილი.
არ შემხედვარია უზუცესი,
ვიაც ახსოვდა მისი სიტაბუკე.

როცა თვალებს მილულავდა,
ემსგავსებოდა უსინათლოს.

ის არ ითვლიდა სიტყვებს.
ის არ ითვლიდა მეგობრებს.
ის არ ითვლიდა მტრებს.

თავიდან არაფრის გეშინია
შემდეგ არავინ გიყვარს
შემდეგ არაფერზე ფიქრობ
ღმერთო რა იქნება შემდეგ

ვიცოდი მაგრამ დამავიწყდა

ათი საწოლი პალატაში
ერთი ორი სამი ოთხი და ასე შემდეგ
შეიძლება გაიწელოს ასეთი ცხოვრებაც
როგორც ნებისმიერი რიცხვითი მსკრივი

ბავშვობაში შემეძლო ზეპირად
გამემრავლებინა ექვსნიშნა რიცხვები
ადვილად როგორც მრავლდებიან ტკივილები
ანდა ვარდისფერკუდიანი
თეთრი თავები

ამ ფოკუსს ხშირად ვუჩვენებდი
ვიდრე მიხვებდი რომ აღარავინ
ამოწმებს ჩემი გათვლების სისწორეს
არ შეუძლიათ ან არ უნდათ

კიდევ იყო ეს თამაშიც
ახლა აღარ აქვს მნიშვნელობა
შეგიძლია ალაღინო სიტუაცია
თუკი სწორად დასვამ შეკითხვებს

სრულწლოვანი მიძიე ტანკი ქალაქში შედის.
ესკრის პარლამენტს. ხიდზე ბრუნდება.
მისთვის ჭუჭური იგივეა, რაც სიტყვა – ჩვენითვის.
უნდა ისროლოს. ასეთია მისი ბუნება.

ნათქვამ სიტყვიდან განსხვავებით, ნასროლი ჭურვი,
რომელიც იცავს მბრძანებელს და ზეპურ ელიტას,
გასაგებია ყველასათვის. ის ამბობს: ნურვინ,
ნურვინ გაბედავს თავნებობას ამიერდან.

დიდებულია ტანკი-ბავშვიც. პარკეტზე ხოხავს,
პულტით მართული. ზუსტუნებს, საყრის,
ზოგჯერ სკამის ფეხს ეჯახება, და ბოლოს ისმის
წარმოშობით ებრაელი თოჯინას ოხვრაც.

და ტანკს ზურგზე ეფერება სულით მეგრძოლი
პატარა ბიჭი. სინაზისგან კრუტუნებს ტანკი,
მაგრამ ბოლომდე ვერ მშვიდდება, წრიალებს, ან კი
რა დაამშვიდებს, გეულება როცა მეზობლის

გოგო-თოჯინა მოსაკლავი? ტანკის ჯავშანი –
აი, რა არის ჭეშმარიტი ჩვენი სამოხი.
დაე, ხელ-ფეხი ნაგვაცალონ, ძვლებში დაგვშალონ,
ილონდაც ლულა არ ჩამოდნეს, ლულა-ფალოსი.

იტირე, ბიჭუნა, იტირე, დედას არ მოსცილდე წამითაც.
ხომ ხედავ, როგორი ცხოვრება წავიცი.
ერთი მოცელა ტყვიამ, მეორე ნალმმა დაფლა.
ილონდ ეს – ბრძოლის ველზე. შინ კი – მიმწვარი ტაფა
და უანგიანი ონკანი, წყალი მოწვეთავს ძლივს.
თავი კი, როგორც ნისქვილი, ხმაურით ფტკავს და ცრის
ფიქრებს, და გიფრთხობს ძილს.

გაიქეცი, ბიჭო, გაიქეცი, არ დაგენიონ, გაფრთხილდი.
დატენილია ქვეშეხები, სანგრებიც – გათხრილი.
ყვირიან: „ვაჟა!“ ტყვიის ნიშმა, ქუხილი, კვამლი.
ეს – ბრძოლის ველზე. პერანგზე კი – პომადის კვალი.
სუნთქვა ხშირდება, გვირგვინდება ორგასტულ ხვნემით.
ისახება ემბრიონი მეგობარი გოგონას ზერელში,
საიდანაც ამოფხეკენ ორიოდ თევში.

დაჯექი, მოხუცო, დაჯექი, და ჩამოისვენე მორზე.
ურეკე აშვეზულ ქალიშვილს, ეხვენე, მოვიდეს დროზე.
თორემ – დაფრენენ ჭურვები, ხნავენ ტანკები ველებს,
მკვდრების ნაწვევები ნაწილებს დამბალ მინაში ზელენ.
ეს – ბრძოლის ველზე, ცხადია. ჩვენ კი, რომლებსაც არსად
არ გვიბრძოლია, მოხუცო, ომში მოკლულთა ნაცვლად,
მათი ცოდვების გამოც – დაგვსჯიან ორჯერ მკაცრად.

იმპერია უნდა ჰგავდეს არა ქვეყანას, არამედ – სამყაროს. ის განუწყვეტლივ ცივდება და ფართოვდება ყველა უფრედით. თანდათანობით ქვაფდება და ვერ იჯერებს, რომ ოდესმე უნდა ამყარალდეს. თავზე უხმოდ დანათიან ვარსკვლავები – ცეცხლის ფუფუები.

ყოველი დიდი ქალაქის ცენტრში – მოედანი, ქალაქზე ფართო. და ყოველი ლაჩრის გულში – გოლიათი საცაა გაშლის მხრებს; და ყოველ კუხიანში – აკრობატი აკეთებს სალტოს. იმპერია მიისწრაფვის სიმაღლისკენ – იზრდება განში.


ის ვერ გრძნობს გვამებს, თავისივე ჩექმით გასრესილს. ის ამრავლებს ქანდაკებებს, დროშებს და სანგრებს. ნურაფერს ეტყვი იმპერიას – იმპერიას შენი არ ესმის. ომის იმედიც ნუ გეჩვენა. იმპერიას მშვიდობა ანგრევს.

დროის მიდინარე დაიწრია. კალაპოტიც დახეთქა გვაღვამ. იმპერია, როგორც ცუდი პოეზია, ბოლო აქტში სცენაზე უშვებს გაქცეულ მონას, ვინც ვერ შეძლო უდაბნოს გავლა – ცხვირზე დადენილ ოფლის წვეთებს ენის წვერს უშვერს.

ძველი კერპების ნამსხვრევები საძირკველში ახალი ტაძრის. მოგვიანებით ნატაძრალი გადაკეთდა ფაბრიკის კლუბად. ყმანვილი მუშა, საამქროდან გამოსული, საცეკვაო დარბაზში დაძრწნს და ეძებს გოგოს, ვისაც ჰქვია (რა თქმა უნდა, რითმისთვის) ლუბა.

იცეკვეს. შემდეგ – იკოცნავენ. შემდეგ – გაბედეს... სამივე შვილი დაიბადა ბიონერულ ყელსახვევით, შავი შინელით. როცა ისინი დაიზარდნენ, გამდიდრდნენ, დაბერდნენ, ტენისის კორტებს კურდღლებივით შეესივნენ შვილიშვილები.

ფაბრიკის კლუბის ნანგრევებზე აღიმართა „კერძო სექტორი“, მაგრამ ბინების მყიდველები ინვესტორმა ვერსად მოძებნა. თურმე ვიდაცას დაუნახავს აივნიდან გადმომხტარი არქიტექტორი. არადა გვამი ვერ იპოვეს. შესაძლოა, აიტაცეს ანგელოზებმა.



ROMA

ძველი რომის მარმარილოს ფრაგმენტები მოგვიანებით აგებული სახლების კედლებში

* საცხოვრებელი სახლები და სასახლები სწორედ ასე ემსგავსებოდნენ ვერტიკალურ სასაფლაოებს

* არის ამაში ფილოსოფია შემთხვევითი მკვლელობის მსგავსი რომლის გამოც ისვებიან არც ისე მკაცრად ან საერთოდ არ ისვებიან

* რას არ ჩაიდენ სილაბაზისთვის რას არ ჩაიდენ წარსული დროის ფრაგმენტები ჩაშენებული ყოფილ ანწყომი თითქოს ყოველთვის ასეც იყო

და ასეც იყო

ჩვენ შევინახეთ სამახსოვროდ
ვატიკანის მუზეუმში შესასვლელი
ორი ბილეთი.

*
ერთ ბილეთზე – რეპროდუქცია
სურათისა, სადაც ჯვარცმულის
სიკვდილისწინა წამებაა ასახული.

*
მეორეზე – ოქროს ჯვარი,
ბიზანტიური, მასიური ოქროს ჯვარი
უხეშად დამუშავებული
ძვირფასი ქვეითი.

*
ეს ორი გამოსახულება,
ორი ჯვარი – სხვადასხვა რამაა,
და კაემორი ამ ჯვარებს შორის
არც ისეთი აშკარაა,
როგორც ადრე მეჩვენებოდა.

*
მიკერის, ამის მისახვედრად
იძენივე წელი დამჭირდა,
რამდენი წელიც მონადომეს ებრაელებმა
უღაბნოს გავლას.

ორმოცი წელი, ცოტა მეტიც.

*
უმეტესი და უკარგესი ნაწილი ცხოვრების.
უმეტესი და უკარგესი.

ას ათი წლისაა.
დროდადრო
თავს გრძნობს მარტოსულად. მაინც ქალია.

ზოგჯერ ფიქრობს გათხოვებაზე.

მას აქვს პრინციპი –
კაცი იყოს ქალზე უფროსი,
სულ მცირე, ხუთი წლით.

რაც, ერთი მხრივ, ართულებს ძებნას.

მეორე მხრივ, სად ეჩქარება?

აუზლიკაციზიზი

(ციკლიდან „წერილები მარინასათვის“)

*
ლექსები ლექსებზე – არაფერია უფრო მოსაწყენი.
მაგრამ გარემოებები, რომლებიც თან სდევნენ
ლექსებს, ხშირად არიან სახალისო, ან ტრაგიკული.
რაღაც მსგავსს წერდა ჩაპლინი სექსზეც.

*
მაშ ასე, გარემოებები. სამოცდაათიანი წლების დასაწყისი.
მე და მამაჩემი სტუმრად ვართ პოეტთან.
ის და მამა ომის შემდეგ დაახლოვდნენ.
მოგვიანებით ამხანაგი გადიდკაცდა –
პუბლიკაციები, წიგნები, მოსკოვი. სანყენია, მისი აღმასვლა
გამოდგა ხანმოკლე. და დაბრუნდა ოდესაში.

ის მეუბნება:
„თუ თავში მოგდის სტრიქონები,
ჯერ დაფიქრდი, რამდენად შესაძლებელია მათი დაბეჭდვა.
თუ არა – მაშინ არც დაწერო. ეს ცხოვრებას გაგიაღვილებს“.

ჩვენ მისგან მოგვაქვს უხარისხო პატარა წიგნი
სამახსოვრო მინაწერით, რომელიც შეიცავს
საქმიან რჩევებს. ეს წიგნი დაეკარგე.

მომდევნო დღის საღამოა. მწერალთა კლუბში
მე დავინახე მისი ფოტო სამგლოვიარო შავ ჩარჩოში.
ეჭიშებს უთქვამთ: თურმე კიბოს შეეჭამა ორივე თირკმელი.
გულის შეტევამ, ფაქტობრივად, ტანჯვისგან იხსნა.
პოეტის გული, პოეტის თირკმელი.

მამა ამბობდა, რომ გარდაცვლილს უყვარდა ცოლი
რაღაც უზომოდ. მთელი სუნთქვა მას შეელია.

*
მამას იმხანად ეშინოდა უეცარი გარდაცვალების.

*
კადრი იცვლება. ხუთმა წელმა გაიარა. ვარ
დედაქალაქში. ვუსმენ ლიტერატორს:
„თქვენს ლექსებს თითქოს რაღაც აკლია.
რაღაცას მალავთ. და ვხვდები, რასაც.
იმის დაბეჭდვა, რაც დანერუთ, არ შეიძლება.
და არც იმის, მით უმეტეს, რასაც მალავთ.
ემიგრაცია, ჩემი აზრით, ერთადერთი გამოსავალია“.

ყველაფერი მოხდა პირიქით. ის წავიდა, მე კი დავრჩი.

მე ვცხოვრობდი ოდესაში. ხომ გესმით – ზღვა,
ალვის ხეები, ნეკერჩხლები, ნაბლები, კიბე.
ანუ არც მქონდა არჩევანი. მათ გადაწყვიტეს.



ადგილი, გარემო, ადგილობრივად დარჩენის ცოტუნება.

შემდეგ – მთავარი. ჩემები წავიდნენ. მე დავრჩი. თანდათან გამიჩნდა გაცნა, რომ ბრუკლინი სადღაც აქვეა, ხუთიოდ კვარტალში ოდესის პარკიდან.

დრო და სივრცე –

ნიუ-იორკი და აგვისტო ერთმანეთს შერწყნენ. ფილოსოფოსი ასეთ აღრევას ქრონოტოპს უწოდებს.

*

თქმისაც მრცხვენია, მარინა, მაგრამ მე დღემდე აღვიქვამ თავს იმ ყმანვილად, რომელიც მირბის შაბათობით „სოიუზპეჩატის“ კიოსკისკენ, ადგილობრივ გაზეთს ყიდულობს და გადაშლის მესამე გვერდზე, სადაც ეგულება რუბრიკები „პეგასი“ ან „თეთრი იალქანი“, და რასაც ეძებს, ვერასდროს პოულობს.

ხშირად მეჩვენება პატარა კვიცი, სახე და დანაოჭებული ერთდროულად (რაც წლები გადის, სისავე კლებულობს, ნაოჭები ღრმავდებიან), ყალყზე შემდგარი ჩემი სახის წინ; დაიცადე, ჯერ ადრეა, დროის ფაქტორი, ადგილები, საჭიროა ლოდინი, ბოდიში, იმ კვირაში გამოიჩარე.

აი, ასეთი ქირომანტია.

გოგონა ჩაივლის. ხელისგული

მის თეძოზე. წამის შემდეგ –

ჩემ თვალინ – კვიცი.

მე მას ჩაყურებ, როგორც სარკეს. ვხედავ იგივეს: ყმანვილი დიდი ჩიყვითა და მომცრო ნიკაპით.

ვერ იცანი? შეხედე მარცხნიდან მეორე ვინიეტს ჯგუფური სურათის მესამე რიგში, სკოლა № 160, მე-10 „ბ“ კლასი, 1967, საიუბილეო წელი, ივლისი.

სისავე კლებულობს, ნაოჭები, სიძაბუნე, უნიათობა, და კვიცი-სარკე სულ სხვას ირეკლავს – ჭალარა წვერი, მეჩხერი თმა, ჩამომდნარი უპეები. ამას კი ვიცნობ. ახალა მესამის მისი ყესტის მნიშვნელობა. შეჩერდი, შენთვის გვიანია, სხვებმა იარონ.

და აი, სხვებიც, ჩაივლიან და ქრებიან მოციმციმე შუქნიშნის მიღმა.

შეხედე, მარინა, ის კვიციც გაქრა.

არავინ მიჭერს. მარტო დავრჩი ქვეყანაზე. აღარასოდეს აღარ წავალ გაზეთისთვის კიოსკისაკენ.

*

ანალიტიკოს-ფროიდისტი თავისთავს ეტყოდა (მე ჩემს თავს ვუთხარი): ღირებული ობიექტები,



მეუღლესთან, პოეტ ლულუილა ხერსონსკაიასთან ერთად

ანუ – ადამიანები, როგორც ჩვენს წრეში ვუნოდებდით, იკვებებან ჩვენი შიშით, სიძულვილით და ლობიდით.

ბავშვობაში ვებრავთ ბუშტებს, მოგვიანებით პრეზერვატივში ჩაიცლება ჩვენი ალტკინება და გდია რეზინი ბულვარის გაზონზე ან სანაპიროზე, ქვიშაში.

სახალისო ისტორია. ბავშვობაში, სანაპიროზე, ვხედავ რეზინის სასაცილო ნაკეთობას და მამაჩემს ვეკითხები – ეს რა არის? – თვითონ ვხვდები, მაგრამ ვამონმებ. მამა ამ დროს საუბრობს ქალთან, ზღვიდან წუთის წინ ამოსულთან. ის ფეხის წვერით ჩიქნის ორმოს ცხელ ქვიშაში და მარხავს ნადავლს, ფეხისგულით ტკეპნის ქვიშას, მასზე წაყრილს. მე მოვიხიბლე მისი ფეხის მოძრაობით და სისხარტით. „ეს, უბრალოდ, სანოვარა, წამოზრდილი გოგოების სანოვარა“. ამ საეჭვო ხუმრობის სიღრმე მოგვიანებით დავაფასე. ამ დროს ანალიტიკოსი იღვიძებს ჩემში და მეუბნება – შენ იგრძენი, ჭკვიანი ბიჭო, რომ მამაშენს და იმ ქალს შორის რაღაც ხდებოდა, რაც ასე კარგად მიაინიშნე შენი ნადავლით.


*
სიმართლე, მხოლოდ სიმართლე, არაფერი სიმართლის გარდა.

*
გადავიდეთ სხვა თემაზე – ნაბლის ხეზე, იმ მომენტში, როცა ვარდება მისი ტოტიდან ზღარბის მსგავსი მწვანე ნაყოფი და, გახეთქილი, ათავისუფლებს მონითალო, ნოტიო შიგთავსს. ახლა ნაბლები ქუჩაში ყრია. ან ბიჭები დაცოტავდნენ, ან მომრავლდნენ ნაბლის ხეები. იქნებ ბავშვები შეიცვალნენ?

მე კი ზოგჯერ, როცა არავინ მიყურებს, ვიხრები, ვიღებ ნაბლს და მუჭში ვმაღავ. შემდეგ მივდივარ და ის სუნთქვას მითანაბრებს, ძველებურად აღარ ვიღლები. სამი სართულიც ავიარე შეუსვენებლად და დავადექი ბავშვობის მეგობარს.

*
ჟურნალ „მურზიკის“ საფირმო ბლანკი: „ძირფასო ბორია! სამწუხაროდ, თქვენი ლექსი სახელწოდებით „ზღარბი“ – სუსტია. თემატურადაც – უინტერესო. ვერ დავებუქდავთ. პატივისცემით, ლიტმუშაკი ბ. ბარაევი“.

რუსულიდან თარგმნა ზვიად რატინამა



(შემოკლებული ვარიანტი)

1.

ეპოქები მავზოლეუმთან მდგომი გუმბაგებითი როდი ცვლიან ერთიმეორეს. ანწყო წარსულს ზოგან გამჭვირვალე, ზოგან ბუნდოვნად მღვრიე, ზოგან კი მთლად გამჭვირვალე შრეებად ფარავს. დღეს უკვე ცოტა ვინმე თუ გაიხსენებს იმას, თუ როგორ ხდებოდა სამოციანი წლების პირობითი თავისუფლებაზე სამოცდაათიანთა დამრევება, ეს თავისუფლება თანდათან როგორ იმარხებოდა, როგორ უწყებებოდა სუნთქვა, ხმა და საბოლოოდ როგორ გაუჩინარდა. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ეს უკმარი, არამდგარი თავისუფლება მაინც გადარჩა და დღემდე მოაღწია. მთელი ამ ხნის მანძილზე მალულად, ერთ ციდა კოშტად შეკრულმა იარსება. რაც მოედნებზე უნდა ეყვირათ, იმას კუთხე-კუთხულებში ჩურჩულებდნენ; საგამოფერო დარბაზის მაგივრობას კერძო ბინა სწევდა, სადაც ექსპოზიციას სიცოცხლის რისკის ფასად აწყობდნენ, სტამბის მაგიერ კი საბეჭდ მანქანას იყენებდნენ, გრამოფონის ფირფიტის ნაცვლად – მაგნიტოფონის ფირფიტა TMI-26-ს, მკათედ გადანერვლს, რომელზედაც შიშინის ფონზე ხმას ძლივსა გაარჩევდით. ის გადარჩა, სამოციანელები კი მხოლოდ კანტიკულენტად შემორჩნენ. მათი მრავალჭირნაცადი თავისუფლება დღემდე დგას და თან იმას ფიქრობს, იქნებ დაღუპვა ვიწოდესო ასეთ გადარჩენას...

ეს ჩანანერები ზოგადი ანალოზის მცდელობა არ გვეკონიოთ. ეს მხოლოდ პირადი მოგონებები გახლავთ: მხოლოდ იმას ვნერ, რაც თავს ვადაზნდა და რაც დანამდვილებით ვიცი. მიუხედავად ამისა, მოქმედ პირებს ხშირად არ ვასახელებ: განვლოლი წლების მანძილზე მათი ბედი განსვავებულად წარიმართა. ცოცხლად დარჩენილებს ვერაც ვერ დაუოკებიათ ვერც შიში, ვერც ეჭვი, ვერც სიძულვილი. ყველაფერი ეს თვით ამ სტრიქონების ავტორსაც ეხება.

2.

1974 წლის ზაფხულში სამსახურში სრულიად მოულოდნელად დამირეკა უცნობმა და შეხვედრა დამინიშნა. თავისი სახელი არ უთქვამს, მხოლოდ თანამდებობა და დანესებულება დაინახნელია... ერთმანეთს სკვერში შევხვდით. საშუალო სიმაღლის, უნაკლად ჩაცმული მამაკაცი აღმოჩნდა (მაინც როგორ ახერხებდნენ, პიჯაკი და ჰალსტუხი სახედრო ფორმსავით ეტარებინათ?), სასტუმროში შესვლა შემომთავაზა. დამინისტრატორმა ქალმა ნომრის გასაღები გაუწონდა, მე კი ისეთი ცნობისმოყვარეობითა და ზიზზით შემომხედა, როგორც იმ ქალებს უყურებენ ხოლმე, მამაკაცებს ერთი-ორი საათით რომ აჰყავთ ნომერში. ავბედითი დანესებულების წარმომადგენელმა ნომრის კარი გააღო და ხელით მაინშნა, შევსულიყავი. ნომერი სამუშაო კაბინეტითი იყო მოწყობილი და სწორედ სამუშაო კაბინეტს წარმოადგენდა. ის დიალოგები, ჩემ ჩანანერებში რომ შეგხვდებათ, იმ და სხვა მსგავსი საუბრებიდანაა. მას შემდეგ სასტუმროში უცხოელი სპეციალისტების მეოხებით რემონტი და რეკონსტრუქცია ჩატარდა.

იმ ნომერში ერთხანს „ავსტრიული ავიანაზების“ ოფისი იყო განთავსებული. მოგვიანებით ავსტრიელებმა ის ფართი დაცალეს. ზღვისპირა ბულვარზე გაკლისას ზოგჯერ დღემდე გამკრავს ხოლმე ფიქრი: ნეტავ რას შერევა ახლა ის საიდუმლოთიანობა?

- ი. -სთან სახლში თუ დადიხართ?
- ძალიან იშვიათად.
- აუცილებელია, იქ უფრო ხშირად იართო.
- რატომ?
- ეს თქვენ თვითონაც მოგახსენებთ. ამ სახლში ისეთი საუბრები მიმდინარეობს, რომლის დროსაც საბჭოთა წყობას ლანდლავენ.
- და თქვენ გსურთ...
- დიას.
- ეს შეუძლებელია.
- რატომ? ამგვარი საუბრები ხომ დანაშაულებრივია, ის ჩვენი ქვეყნის კანონებით ისევეა. დანაშაულის მხილება საბჭოთა მოქალაქის ვალია.
- ეს შეუძლებელია.
- რომ შეტყობო, ვილაც დანაშაულს, მკვლელობას გვეგადეს – მაშინ ახლებდით?
- ვამბედავ.
- ესე იგი, ანტისაბჭოური საუბრები მკვლელობის ტოლფას დანაშაულად არ მიგანიათ?
- არ მიმანია.
- ის თუ იცით, რომ ამგვარი შეხედულებებით ჩვენ ქვეყანაში ცხოვრება გააჭიჭირდებათ?
- ემიგრაციას მთავაზობთ?
- და რა აზრის ხართ ემიგრაციაზე?..

ინიციალი ი. ერთ-ერთი იმთავანია, ვისი გამოფრევა შემძილა – ეს ვიარსავა იგრუნოვია, ან უბრალოდ ვიარეკი. ამჟამად – რუსეთის მოქალაქე, სახელმწიფო დუმას ყოფილი დემუტატი, პარტია „იპობოკოს“ წევრი, რომელმაც მოგვიანებით ჩამოაყალიბა საკუთარი პარტია СЛОН. როგორც ჩანს, გადააყენებდა, რომ СЛОН აბოვიგატურა და ჯერ Соловещкий Лагерь სახელითა ჩამოაყალიბა, შემდგომში კი: Смерть Легавым От Ножа. ჩვენი ნაცნობობის პერიოდში ვიარეკი სტუდენტ-ეკონომისტი გახლდათ, რომელსაც სწავლა არ დაუსრულებია, მშენებლობაზე მუშაობდა და ფარულად ეწეოდა „ბიბლიოთეკარობას“. იგრუნოვს სპეციფიკური ბიბლიოთეკა ჰქონდა. ყველაფერი ის, რაც ოთხმოციანი წლების ბოლოს სექტელანთან უწერნალ-



ეუმი დაიბეჭდა, მას ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა თავის ბიბლიოთეკაში (ცხადია, თუ იმ წინგებს არ ჩათვლით, სწორედ იმ დროს რომ იწერებოდა... პირადი ბიბლიოთეკიდან წიგნის გაცემისას, როგორც წესი, მიხვდნენ ორ პირობას ვუყენებო: არავის მისცეს და, რაც შეიძლება, სწრაფად დააბრუნოს. ვიარქვის ბიბლიოთეკის პრინციპები კი სრულიად სანიანალმდეგო გახლდათ: წიგნი, რაც შეიძლება, დიდხანს უნდა გაგეჩერებინა და, რაც შეიძლება, მეტი სანდო ადამიანისათვის გადაგეცა ნასაკითხად. ადამიანის სანდობა ინტუიციით, შეუთარადებელი თვლით და, სამწუხაროდ, ხშირად მცდარადაც განისაზღვრებოდა. საკუთარი „საბიბლიოთეკო პრაქტიკიდან“ ორ მაგალითს მოგიყვანთ.

– გემოლევი! – მითხარა ერთი ნაცნობი გოგონას მამამ, როცა ფოტოკურთხის სქელი დასტა (სოლუენიციონის „პირველ წრეში“) დამიბრუნა, – დიდი სიამოვნება მივიღე! ჩემთვის ეს წიგნი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მე თვითონ ემუშაობდი „გულაგის“ სისტემაში, სწორედ, აი, ასეთ „შარაშკაში“. ბაღრაგად. უმძიმესი სამუშაო იყო. განსაკუთრებით თრთული იყო სასადილოში ზოგად მეთვალყურეობის განცემა, რათა პატიმრებს ერთმანეთში მაინცდამაინც ბუერი არ ელაპარაკათ. ვერ წარმოიდგენ, მაგადებზე რა ჰქონდათ: წინბურღის ფაფა. თქვენ წარმოადგენდაც კი არ გაქვთ იმაზე, თუ რა იყო მაშინ ჩვენთვის წინბურღის ფაფა! ერთხელ მაგიდაზე ლიმონი დადევინა. ვერც იმას აგონებო, თუ რას წიშაფა და მაშინ ლიმონი. რა თქმა უნდა, ალებდა შუგვეძლო, მაგრამ პატიოსანი ადამიანები ვიყავით. უფურსა კი მაგნებლები, ნაძირებები უსხდნენ. იქ ერთი კვადემიკოსი იყო, იცით რა ჩაიდინა? განგებ აურიან კრეისერის მოქლონები: რომელიც წყალქვეშა ნაწლისთვის იყო განსაკუთრებული, წყალზე ნაწლზე დააბრუნებინა, წყალზედასი კი – წყალქვეშაზე, წარმოადგენიათ?

ჩემ უცვლადოს საბედისწერო შედეგი არ მოჰყოლია: ნაცნობის მამას არსად არა უჩივია, უბრალოდ, მიხოვა, კიდევ რაიმე ასეთივე საინტერესო მომეტანა ნასაკითხად. ჩვენ ვინრო წრეში კი მას მერე კარგა ხანს მიმოდოდა გამოთქმა „კრეისერის მოქლონები“...

ზოგიერთ ნაცნობს არაოფიციალური საგამომცემლო პროდუქციის დანახვაზე გული უსკადებოდა. იმ პერიოდთან დღემდე შემორჩა ბულგაკოვის „ემშაკიად“ („ნედრა“, 1922) – ცხადია, ქსეროასლი, ოღონდაც ორმხრივი, შესაფერისად შერჩეული ქალაქზე, შესაფერისი ყვით. მოკლედ, წიგნი დიდი რუდუნებით იყო დამზადებული და „ცოცხალს“ ჰგავდა. ერთმა მეგობარმა ნასაკითხად გამომართვა და ორიგინალი ეგონა. მაგრამ კითხვის პროცესში თავზარდამცემი ჭჭუ-

მარიტება ამოიცივნა: ხელში „სამიზდატი“ ეჭირა! არადა კონსუსტი იყო და პირველი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდა. იმავე დღეს (შესაძლოა, ინტერესი აფექტურ მდგომარეობაში მოვიდა ჩემთან, წიგნი დაბრუნება და თან „პროფკაციაში“ დამდო ბრალად.

გამოიცანით, ახლა სად არის. რა თქმა უნდა, აშშ-ში. ახლა იქაური კონვერგაციის ცხოვრებაში იღებს აქტიურ მონაწილეობას. ოთხმოცს იქნება გადაცილებული...

3.

რაც უფრო გრძელდებოდა წიგნის ხელოდან ხელში გადამცემაზე ჯაჭვი, მით უფრო მოსალოდნელი ხდებოდა მარცხი. თუმცა მით მეტი მანის ჰქონდა მას, ვინც ამ ჯაჭვს გადავკვივებოდა, იმ მტკიცე გრაგოს გადავყროდა, რომელიც მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდებოდა. ამგვარი ევრეკული კავალი წარმუხურებოდა ცხვადებდა: „წიგნი სტალინის შინაარსის შევხედინე. ვისგან, არ მახსოვს. მისი ანტისტალინური შინაარსის შესახებ არაფერი ვიცოდი, მე თვითონ ჯერ არ წამიკითხავს.“

ამგვარი ახსნა-განმარტება ფანტასტიკური სულაც არ ყოფილა. „სტალინის კანკაზე“ იმხანად სულ ცუდაფერი იყვებოდა, რაც კი მოგესურვებოდათ, ძველი ხატებით დანყებული და „საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობის გამობეღი“ ლიტერატურით დამთავრებულნი. რამდენჯერმე მინახავს გავიღვამი ორტომეული (მესამე ტომი მაშინ ჯერ არ იყო გამოსული) „არქიპელაგი გულაგი“. ფასი ოთხმოციდან ას მანეთამდე მერყებოდა. ხოლო შექმნის შემთხვევაში წიგნი შესაძლოა ბევრად უფრო ძვირადაც დაგვდებოდათ. „მკითხველთა კლუბის“ წევრები კონსპირაციისათვის (უფრო კი სახუმაროდ) სახელწოდებებს უცვლიდნენ წიგნებს: „არქიპელაგი გულაგი“ ჩვენ ენაზე „კუნძულები ოკეანეში“ ერქვა, „ქეტი თევზის“ კი – „მედთანამშრომელი იურა“, ანდა უბრალოდ „აიბოლიტი“...

აი, ბიბლიოთეკარი მავან სტუდენტს გადასცემს ფოტოსალების მორიგ სქელ დასტას (საუბარი ისევ იმ „არქიპელაგზე“). სტუდენტი მას ნასაკითხად მავან დოცენტს ათხოვებს. დოცენტის ხელიდან კი წიგნი იქ ხედება, „სადაც ჯერ არს“. მისი თქმით, მას ქუჩაში სამოქალაქო სამოსში ჩაცმული ორი პირი მიუახლოვდა და უთხრა: „ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ ხელთ გაქვთ ესა და ეს წიგნი. მოგვეცი“. მანაც მისცა. და სტუდენტი დაუსახელა. სტუდენტმა კი – ბიბლიოთეკარი. შემდგომში სტუდენტმა თავისი ჩვენება უარყო, ქალაქი დატოვა, დურგლობად აქვეყნება წერილებს „სამიზდატი“ შურნალებში. ამას დააპატიმრება და გადასახლება მოჰყვას... ჩვენი „წრის“ სამედიცინო ფრაქციამ ამგვარი შემთხვევისათვის ეს დავიწერი გამოიკონა: „უბედური შემთხვევა. ბედის მრავალჯერადი მოტეხილობა.“ ვინც „ამტვრედა“, „თაბაშირას“ ისინი გადებდნენ: ვერც გაინტერვიო, ვერც ამოისწავლინ... იმ სახლზე კი, სადაც დოცენტი ცხოვრობდა (ის დიდი ხნის წინათ გარდაიცვალა), ახლა მისი სხონისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფა კიდა.

იმ შემთხვევის ვიარქვის ბინის ჩხრეკა მოჰყვა, შემდეგ დაპატიმრება, ოღესაწინ ჩატარებული ფსიქიტრიული ექსპერტიზა ფრად ბუნდოვანი დასკვნით. შემდეგ იგივე პროცედურა მოსკოვში, რომელსაც უკვე სრულიად განსაზღვრული, მტკიც: წინასწარ განსაზღვრული დასკვნა მოჰყვა. კონსპირატორებად დიდად ვერ ვივარგეთ. როდესაც იგურუნებს კარზე „სტუმრები“



1976 წ.

ბელგიელების აშენებულ ლამაზ საადმინისტრაციო კორპუსს, გაისიერებულ საავადმყოფოს ტერიტორიაზე. პარკის ბებერი ხეები, ყვავილების კოვლები, აფთაქიას შენობის წინ მარმარილოსაგან ნაკვეთი პავლოვი, საკუთარ თავს რომ არ ჰგავს... ორ კარდ შეკრული ორსართულიანი კორპუსები. ფართო ხეივანი. ასევე გამაზრებული და მოცილი შიდა ეზოები. ცხადა, ეს – გაზაფხულზე და ზაფხულში. თუმცა აქ შემოდგომაც ლამაზია. აი, ზამთარი კი თითქოს ფერ-შმარღს აცლის ამ ყოველივეს და მის ნამდვილ არსს ამიშვლებს: რუხი კორპუსები, მაღალი ღობეები, საგანგებოსაკეტბანი ორბაგი კარები, გასასვლელი – გუმბაგი სანიტრები. გისოსებინი ფანჯრები. პატიმრული როსი ბამბის ქურთუკებითა და ყურებიანი ქუდეებით შემოსილი საცოდავი პაციენტები, რომლებსაც სამკურნალო-შრომითი სახელისწიებისაკენ მიერეკებია. არსებობს შეზღუდული და საერთო რეჟიმიც და, გარდა ამისა, თავისუფალი გასვლის რეჟიმიც გამოჯანმრთელების გზაზე მდგარათათვის, შემდეგ – სამკურნალო შევებულება, მერე კი პორიზონტზე ამინსტრასათი მოჩანს საბოლოო გამოწერაც.

განყოფილებებში ფართო დერეფნები და ვეება პალატებია, თითოეულში ათი სანოლი მაინც დგას. ყველაზე შემზარავია საგანგებო მეთვალყურეობის პალატა, რომლის შესასვლელთან რატომღაც უბინძურესი ხალაითი შემოსილი ზორბა სანიტარი ჩამოშვდარა. აქ განსაკუთრებულად მძიმე, აგზნებული, აგრესიული ან სუიციდული ავადმყოფები იმყოფებიან. ამათზე სადღეობისო მეთვალყურეობა დაწესებული, მაგრამ მაინც ხდება ხოლმე, სანიტარი წუთით რომ ჩათვლემს და ავადმყოფი თავის მოკვლას ასწრებს...

დაიბ, ეს მესუთე ხელისუფლებაა. მისი ფართი შეზღუდულია. ფსიქიატრიის სახელმწიფო არც ისე ბევრ მოქალაქეს ითვისოს. მაგრამ ისინი შეზღუდვებ და ყოველად დესპოტურ ძალაუფლებას ექვემდებარებიან, მოუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა საგრძნობლად შეიცვალა უკეთესობისაკენ. ამ ყოველივეს ცეკრისას უნებლიეთ ფიქრო: განა ეს აუცილებელია? სამსუხაროდ, ხშირ შემთხვევაში მართლაც აუცილებელია. იგივე ავადმყოფის ინტერესებიდან გამომდინარე. მათ შორის ბევრია უსახლკარო, ვისაც ქალაქში ახლოდელი არაინც ჰყავს. ასეთს, აბა, როგორ გამოწერ? სად უნდა წავიდეს? და როდესაც ქუჩაში მიმავალ, ჩამოკონკილ, ამკარად ავადმყოფ ადამიანს ხედავ, რომელსაც ხელში ნაგვით სავსე პარკები უჭირავს, გიჩნდება აზრი: იქნებ ამას მართლაც ვერბდეს, კლინიკაში, გისოსებშიმბა გამოამწყვდიო, იქ ხომ წყალწყალა ფაფას და სულ ოდნავ დამტკბარ ჩაის მაინც მიიღებს. კვირბო ერთხელ ექიმიც გასინჯავს. გულჩვილი ექთანიც შეშობრავს...

საავადმყოფოში მხეცები ხომ არ მუშაობენ, უფრო სწორედ, აქ მხეცებსაც შესვლებითა, მაგრამ უმრავლესობა ჩვეულებრივი ადამიანია, მახლოდელი გარეუბნის მაცხოვრებლები. და, ვილანდისა არ იყოს, მონყალბება ხანდისხან მათი გულის კარზეც აკაკუნებს.

ათასში ერთხელ მაინც ხდება, მარტოხელა ძიძა ავადმყოფი თავისთან რომ შეიკედლოს. ამ ვიჯაც სულმდელად უპატრონოს რაიმე საკვებს უნლაოდებს. ნაწიარ ტანსაცმელსაც მოიჭანს და შიშველსა და ფეხშიშველსა შემოსავს... და ამ შემოლიო გლახის სახით თვით უფალ იესო ქრისტეს დააპურებს და შემოსავს, მისავ სიტყვისსინო. ხომ ნათქვამია მასზე: ჩვენ კი ვცადაგებთ ქრისტეს ჯვარცმულს: იუდეველთათვის საცდურს და ელითათვის უფუნურებს. უმულოს ნიშნავს – ეს ისაა ვინც საკუთარი თავი მთლიანად ღვთის ნებსს მიანდო. რუსეთში ძველთაგანვე უფებდენ ყურს სალოსთა უფუნური, უთავბოლო ბუტბუტს და მასში დათვრულ, იღუშალ საზრისს ეძებდენ... საზრისი მათ სიტყვებში ძალზე ცოტაა, მაგრამ არც ნამყვან პოლიტიკოსთა გამოსვლები თუ კონფერენციებზე ნაკითხული მოხენებებია მუდამ აზრიან... სახელმწიფო ხელისუფლებაც ხშირად საავადმყოფოსაზე არნაკლებ სასტიკი და დესპოტურია. მებუთე ხელისუფლება სულაც არ არის ისე საბოში, ერთი მებუთედი რომ მოგეწევიდარა. მაგრამ საშობია მაინც. შემზარავია სიგიფე, მისი დათრგუნვა კი – ლამის უფრო შემზარავია.

იქნებ რუსქურთუკებიან შრომით ჯგუფზე უფრო სულსმეძვირელი მოხაზული, შემოლისსახიანი თოვის პაპების, ფიფქიების, მელაკუფებისა და ბაჭიების სახეობა პროცესთა იყოს: ავადმყოფები კლუბში სახალნლო ზეიმზე მორეკეს. ეს რეაბილიტაციაა. აქ ერთმანეთს საწინააღმდეგო სქესის ადამიანებიც კი ხედებიან და შეიძლება რადიოს მუსიკაც კი იცეკვონ...

ხშირად მესიზმრება საავადმყოფო. ეს, როგორც ნესი, მძიმე, უსიხარული სიზმრებია. ზოჯერ შემოღლისას ავადმყოფობის ისტორიაში ჩანანერის გაკეთებას ცედილობ, მაგრამ შესაფერის სიტყვებს ვერ ვოვლობ. ანდა პაციენტი სტუდეტების ნინამე გამომყვას კლინიკური განხილვის ჩასატარებლად და კვლავაც სრულიად არაქმედითარანია აღმოჩნდები! მაგრამ რომ ვერაინ ამჩნევს რაიმეს! სრულ სისულელეს გობილილობ და ყველანი თავს მიქნევენ! ზოჯერ მაშინდელი მთავარი ექიმიც მესიზმრება, მთვრალი, პიჯაკის საყვლობა როივე ხელს რომ მაველებს და სახეში მაფურთხებს: – რომ იცოდე, ყველანი როგორ მიმუღხართ! მე კი ისევე ვდეუმვარ, როგორც მაშინ, როცა ეს სინამდვილეში მოხდა. მეორე დღეს სამსახურიდან წასვლის შესახებ დავაპირე განცხადების დანერა, მაგრამ შემეშინდა. წასვლელი არსად მქონდა. არადა, უნდა წავსულიყავი. ხომ ვგრძნობდი, ეს კეთილად არ დასრულდებოდა. არც დასრულდა. მაგრამ ყველავ ხშირად მაინც მამაკაცთა ქრინოული განყოფილების დერეფნებში უსასრულო ხეტიალი მესიზმრება და – სახეები, სახეები, სახეები.

ადამიანთა ბოსისხეული სახეები, შემოლიობის სურათ-ხატები.

რუსულიდან თარგმნა თამარ კოტირიკაძე

კონიანი & კროზა





Oxyrhynchus

რომელ ქაში ჩავეშვა ჩემი სათლი,
რომელ ზღვაში ჩავეშვა ჩემი სათლი. ან თუკი მღვიძაცს,
საწოლზე ვზივარ, სამომავლო ვაშლს კანს ვათლი
და გვერდით ცოლის მდინარე მიწევს.

დავრჩი,
თუკი დავრჩი შენთან ერთად, მუდმივად დავრჩი,
ორი პატარა სათლი მოგვეცეს, სანთლის ბედით.
ვანათოთ?
უნდა ვანათოთ ყველა ბნელი, ყველა ფანჯრის
რაფასთან ვიდგეთ მომლოდინე მუდმივი ღმერთის.

როგორ მიყვარხარ? სანამ გძინავს, ვკითხავ ჩემს თავს.
დიდხანს რომ ვიჯდე სიჩუმეში, სანამ შენ გძინავს,
რომ ვერ გაიგო, პასუხად რას მიმღერის, ერთხმად,
კანი გარეთა და სული შინა.

ტყუილი
რას მინდა რომ ის ნიშნავდეს
რატომ ვიმჩნევ
ან რატომ ვაცოცხლებ

ტყუილი
ის არ არის სიმართლის ანტიონიმი
ის უფრო სიკეთეს ჰგავს
რადგან ორივე მათგანს აქვს ზომა და წონა
ვთქვათ კეთილი
უფრო კეთილი
კეთილზე კეთილი
შეეთილესი
უკეთილესზე უკეთესი
ან
ჩემსავით მატყუარა
მეგობარივით მატყუარა
ან პოეტრივით მატყუარა
ან იძულებით მატყუარა
ან მატყუარა
უკიდურესი სიკეთე ღმერთია
უკიდურესი ტყუილიც ღმერთია
ასე ჰგვანან ერთმანეთს ტყუილი და სიკეთე
სიმართლე და ბოროტებაც ჰგვანან მგონი ერთმანეთს
მაგრამ
მათზე ფიქრიც არ მინდა

ყოველთვის დადგება შენი მთავარი ტყუილის დრო
შენი სიკეთის დროც დადგება
ორივე აუცილებლად ერთად დადგება
არც ამაზე მეტი ღმერთი იქნება
არც ამაზე ნაკლები ტყუილი
მაგრამ სიკეთე აუცილებლად უნდა დარჩეს
იმის ნიშნად რომ ტყუილი
ღმერთი
და სიკეთე
ერთად მსჯელობენ იმის შესახებ
რას უნდა ნიშნავდეს ჩემთვის ტყუილი

მე და ყველა
ტრუსიკჩახდილს
ფეხშიშველა მოტანტალეს
სულდასანწყისიდან გიცნობთ ტყუილი
(გერიტომება – პუტინ ხუილი)
ღმერთი კი ხარ
მაგრამ ღმერთისოდენი მხოლოდ იგულისხმები
იმიტომ რომ სინამდვილეში
ჩვენნაირი ურწმუნო ხარ
საკუთარი თავის არ გნამს
მარადიულ საკუთარ თავზე რომ
ზუსტადაც
მარადიულ საკუთარ თავზე რომ



არაფერი მოვიტყუოთ
ღმერთმა რომ არ მოგვატყუოს
მარადიულ საკუთარ თავზე

ღმერთსაც ეგ აწუხებს
საკუთარი თავის რწმენა
რომ ის მარადიულად არსებობს
„ესეც შენი ჭეშმარიტი რელიგიის ქვაკუთხედია
მის გარეშე ჩრდილოატლანტიკური ცნობიერება
ვერ იარსებებდა

რომლის ნაწილიც არის რუსეთი
ჩუკოტკის ზღვიდან საბოლოო ევროპამდე“
მიხილე გორბაჩოვი

მე საერთოდ არ ვიცი რა განუხებს ღმერთო ჩემო
მთელი სამყაროს ცოფდა რომ ვიტვითო
ჯვარზე კი არა
ცეცხლზე და დაიწყებზე რომ გავეკრა
ხომ მაინც ვერ მივხდები რა განუხებს ღმერთო ჩემო
იმიტომ რომ ღმერთი არ ვარ
ჰოდა ეგეც ყოველთვის გაითვალისწინე
რომ არც შენ ხარ ადამიანი და
ღმერთი ხარ და
მრავალ ენაზე საუბრობ და
შენ მაინც უნდა იცოდე ქართული

ჰოდა პოეტი რომელიც არ წერს
რომელიც არ წერს
და გამუდმებით პოეზიას საუბრობს
კეთილი მატყუარაა
და მასთან არს დაიწყება

გამუდმებით ვატყუებ ცოლს
შვილებს
დედ-მამას
მეგობრებს
ნათესავებს
ტყუილი კი სიკეთეს ჰგავს
ღმერთზე მეტს ვერ დათესავ
ვერც მომიკი

ეს კი შეიძლება ვიცოდე
„რა ვიცი სიკეთეზე?
მხოლოდ ის რომ
ტყუილი მუდამ მას იმონებებს“
ნიკო ლორთქიფანიძე

კურთხეულო შენ, კურთხეულო, სიცოცხლე.
კურთხეულო შენ, შიში შეაძლებინე,
ვინც შენს შემდეგ შენ მოდის, ეს განუმარტე:
ფრინველს ჩახედოს ყველა უშიშარი გზა,
შენს ნაცვლად შენ იყოს, ჰქონდეს სახელი „ვინც“.



განუმარტე შენ, შენ, მას, ის, განუმარტე
ქართული ენა – შენი ენა, ერთ-ერთი
შენი სიხარულის ენა, ერთადერთი
ჩემი გადარჩენის ხმა. განუმარტე შენ,
კურთხეულო შენ, კურთხეულო, სიცოცხლე.

ვინც ისმინოს და გაბედოს – მისით მოდი,
მისი სახელია „ვინც“. ჩემი და ჩემი
სასურველი სახელი, შენი და შენი
მოსვლის სიხარული და ენა და შიში.
კურთხეულო შენ, შიში შეაძლებინე.

იყოს მისი შიში კი და იყოს მისი
შიში, დე იყოს შიში მისი, მიეცი
სახელი უეჭვო, ყოფნა უჩინარი,
არყოფნა სამარადისო, კურთხეულო
ნდობა უთხარი, შიში შეაძლებინე.



კითხვა დაუსვი შენ, შენ, მას, ის, დაუსვი
კითხვა: კაცი სიკვდილით მეტეს შეცოდავს თუ
უსიკვდილობით? და გეპასუხოს – ცოდვა
სიკვდილით არ იზომება. კურთხეულო,
და შეაძლებინე შენ, შენ, მას, ის – შიში.




თქვა: „უსიკვდილობა ჩემი გზა არაა,
უსიკვდილობა ჩემი გზაა“. ვიჩუმი,
სუნთქვა ვერ გაგებდე, ლოცვა ჩავიბრუნე,
მოსმენილი დავწვი, მაგრამ არა ახლა,
სიცოცხლის დრო ახლა არაა, მისმინე,

ამდენი ბავშვი, ამხელა მოდგმა, შენი
ყველაზე სიყვარული კიდია ბენჯზე,
იჩქარე შენ კურთხეულო, ჯერ სანამ ვარ,
სანამ სიტყვები აღარ მყოფნის, იჩქარე
კურთხეულო შენ, განუმარტე სიცოცხლე

ვინც შენს შემდეგ შენ მოდის, აბედნიერე
არყოფნა, ნდობა უთხარი, განუმარტე
სიყვარული, მთელი სიცოცხლის იმედი,
ახლა შენ ხარ თუ ვინც შენ შემდეგ შენ მოდის,
კურთხეულო შენ, კურთხეულო, სიცოცხლე.





თარიღი მითხრია, შაკო, ცუდს სიზმრებს ნუ ნახულობ, თორემ ბავშვსაც ესიზმრებაო. პოეზიის დაინკუებული და თარიღადინკუებული მიზნებიდან ერთ-ერთი მთავარი მარტოობისა და სიზმრების მართვაა. ცის მიერ დანიშნული ცნების არსებობა პოეტი თუ სიზმრად გადაყრილ ბოროტებას ვერ გაუმკლავდა (სადაც ნებისმიერი ღვთობა იარაღი შეიძლება აღმოგაჩინდეს არსენალში, ჯადოსნურზე რომ არაფერი ვთქვათ) (საიდანაც დროებით და სამუდამოდ ამოხტომა შესაძლებელია, ცხადში (რომელიც ერთადერთია ჯერჯერობით რასაც ვგულისხმობთ) როგორღა წარუძღვება ერს თუ არა, ოჯახს მაინც, ოჯახს თუ არა, საკუთარ სიცოცხლეს უშუალოდ სიკვდილის გაგრძელებამდე? პოეზიის რწმენა ღვთის რწმენაზე ნაკლებ ეჭვებს არ ბადებს და მიზნებს მარტოობადაკარგული ადამიანის ფსევდოდარი ქვია. ლუთის დედას ამ დარღვ ოცნება.

ოცნება უკეარსებულთან, უკეუმედგართან მიახლოებაა, სურვილი და შესაძლებლობა ადრემქმელებლის განქოვრების ან უკეთესად შეძლების. პოეზიის რწმენა კი მარტოობის დაჯერებაა, რომ დღემდე მილიონობით „კოლეგის“ ღვანლმა საბოლოოდ ერთი დიდი ნახტომი შეასრულა კომპარული სიზმრიდან დროში განკული ცხადში (რომელიც ერთადერთია ჯერჯერობით რასაც ვგულისხმობთ), იქ კი ვერაფერი შეცვალა. ამიტომაც არიან პოეტები მსტომლები, ამიტომაც ჰქვია მათ ნებისმიერ სალექსო გაბრწყინებას (ალეკო შულღაძის პერიფრაზს გავაკეთებ) „ნახტომის მშეღობა“.

როგორც გენეტიკით მძღლოსანი და მსტომელი, კარგად ვიცნობ სპორტის სახტომ სახეობებს. არიან პოეტები სიგრძეზე მსტომელები, რომლებიც სწრაფი გამორბენითა და ერთი, მაქსიმალურად შორი ნახტომით გადაეცლებიან ხოლმე პრობლემას და თავფეხქვიშამიამოთხვირლები იხდენენ დარდიან ოცნებას. სიგრძეზე მსტომელი პოეტის საუკეთესო მაგალითი შოთა იათაშვილია, მოკლე სიტყვას რომ გრძლად ამბობს და ნახტომიც ამაღ არის კარგი.

არიან სიმაღლეზე მსტომელები – ვთქვათ პაატა შამუგია, ის სიარულის დროსაც მინას მხოლოდ ტერფებით ეხება, სამყაროსაც ქვემოდან ზევით აჰყურებს, პრობლემასაც მალა ხედავს, აკეთებს მოკლე, თუმცა მუსლმობრილ გამორბენს და როდესაც ნიშნულს მიუახლოვდება, მოულოდნელ (ეგ სხვები ფიქრობენ, რომ მოულოდნელ, თორემ ძალიანაც პროგნოზირებად) ნახტომს ასრულებს ზევით, სადაც ღმერთი ხშირად ხეზე შემომჯდარი ფრინველების სიმაღლეზეა და კომფორტულად ეშვება წინასწარგამზადებული ლეიბების სირბილზე.

სიმაღლეზე მსტომელია შალვა ბაკურაძეც, ოღონდ ის ჭკოით დახტის. ჭკოია მისთვის ბუბკაც, უიტმენიც და ფროიდიც. ამ ჭკოით შედის მალაზიებში, გამოიმჯელობებში, ოჯახში. აკეთებს სწრაფ და მუსლმობრილ გამორბენს. უშიზნებს კორპუსებს შორის გადაჭიმულ ელექტროგაყვანილობებს, ტროლეიბუსებისა და ტრამვაის ჩამოხსნილ მათულებს, ზოგჯერ მათში იხლართება, თუმცა ჯერჯერობით ყოველთვის ლეიბზე ვარდება.

გვყავს ასევე სამმაგი მსტომელი ზვიად რატიანი, იგი სპორტის ამ სახეობის მუდმივი ჩემპიონია, რადგან შეჯიბრში მის გარდა არავინ მონაწილეობს. სამმაგი მსტომელი ძლიერი კიდურების (რაც ლიტერატურულ ენაზე ენობრივი ქსოვილის სიმყარეს ნიშნავს) მფლობელია, შეუძლია სიბრტყეში დინახული გრძივი დაბრკოლება რამდენიმე ეტაპად დაყოს, თან ილუზია შექმნას, რომ სუსტია, რადგან პრეელი ორი ნახტომი არანაირად არა საკმარისი მასზე გადასაელებად. საბოლოოდ კი, როცა ავანტიურა დასრულებულია, საოცნებო ქვიშაში ნეტარებს სვედიანად.

ყველაზე დიდი კონკურენცია მაინც წყალში ხტომაშია, რომელსაც სიღრმეში ხტომა ჰქვია. მიაა სარიშვილი ნახტომის ნიშ ყველაზე მაღალ კოქზე ადის აუღელვებელი მუსლმობრილი ნაბიჯით, გადმოხტომამდე დიდხანს ფიქრობს, იქმენება შთაბეჭდილება რომ ვერც გაბეჭდეს, თუქცა... ჰაერში ის არანაირ ზედმეტ მოძრაობას არ აკეთებს, მისი მიზანი ფრენა არაა. მიზანია მაქსიმალურად ღრმად ჩაყვინთვა, ფსკერთან მიახლოება, სუნთქვის წყალქვეშ (თუ მინისქვეშ) შეკავება. თუმცა ყველა ჩაყვინთვა ამოყვინთვით სრულდება.

ყველაზე შორს ტრამპლინიდან მსტომელები მიფრინავენ. როგორც გალაკტიონი დაწერდა, „ხშირად ვისხენენ დათო ბარბაქაძეს“. მის ბალებს მუდმივად ათოვს, ის კი გამლლი ბარილებით მოყინული ტრამპლინის ქიმიან დგას და ძალიან ეშვადება.

აქედან იწყება მისი ტჰაარიც და მისი უფსკრულიც. ჩვენი პასუხგაუცემელი სიყვარულიც აქედან იწყება. აქედან, სადაც ბალებს მუდმივად ათოვს.

მე ვარ ბესიკ ხარანაული, იმიტომ რომ ხტომად მხოლოდ კლდიდან კლდეზე გადახტომა მიმაჩნია. მე არც ბებერი ვარ და არც ჩემსავით ახალგაზრდა. მდინარის ღრმა ხეობაში თელამდე წყალში ვდგავარ, ცაში ვარსკვლავებს და კლდის ხავსიან-ციცაბო ფილტვებს ვსუნთქავ. ისევ მდინარე ნუ ნამიდებს ზღვისკენ, თორემ ეს ჩემი თავისთან ნამყვანი არაა.

იოანე მინჩხი არაფერში იყო დარწმუნებული, ამიტომ წლების განმავლობაში უძრავად იწვა საკუთარ მიწაზე და არც წიგნი გამოუცია. ეგეთმა ბედმაც ამის გამო უნია.



STABAT MATER

ალექსანდრე ქვიციანი

დილის ექვსი საათი იყო, ალექსს რომ გაეცვიდა. სანოლიდან დაღლილი ადგა და თავში გაუეღვლა, რომ უშეგებელი ბლანტი სითხით სავსე ჭურჭელი იყო, რომელსაც საოცრად უჭირდა მოძრაობა. ამგვარი შეგრძნება ნამდვილად არ იყო გამოწვეული წინადაზიანებით არც ბაბის დამორტყმული მუსიკის მოსმენით – ბასიონებში ცოდვებში ჩანთქმული ადამიანი ლამის კოსმოური რუპორით ღლაღდება და ღმერთს ხსნას ევედრება – არც კაფკას მეტამორფოზის კითხვით. სიმართლე ეთქვათ, die Verwandlung გარდასახვას და დეკორაციის შეცვლასაც ნიშნავს. ზამზას ხოჭოლდ გადაცქვიცილი მისი გარეგნული სახე იცვლება მხოლოდ და არა ადამიანური ბუნება, ზამზა ესაა მარტოსული ადამიანი, გამოკეტილი საზიზღარი მწერის სხეულში. ალექსი ფანჯარასთან იდგა, საიდანაც კარვად ჩანდა სამების ტაძარი და სამრეკლო. ალექსი შინობებს ჭერტისას ყოველთვის რომელიმე სექსს ადარებდა ხოლმე. მაგალითად, მისი ძველი, ხისაივნიანი სახლი, ალექსის წარმოდგენით, უხავა ბერიკაცს გავადა, რომელიც მუდმივად წუნუნებს და ახალგაზრდებს, ზოგადად ახალი დროების გაკიცხვას ანდომებს უმეტეს დროს. მკერდი ნიავს მიუფერა, ქუჩაც, სადაც კანტიკუნტიდ მიმოდიოდნენ მეზობლები და ცოცხებს ზანტად იქნევდნენ, თითქოს რაღაცანიარად დაღლილი იყო. დილის ნიავი ესიაოვნა. საოცარია, მზე ამოვა თუ არა, ჩიტების უმეტესობა მაშინვე იწყებს გალობას, თითქოს ვიღაცამ ფირსაკრავი, ან მაგნიტოფონი, თუ რაღაც ამდაგავარი მოწყობილობა ჩართო. სამების ტაძარი დილის ბურუსში უზარმაზარი მოსაგვით მოჩანდა. ალექსი ფიქრობდა, რომ სამება ხატებზე გამოსახულ ქერუბიმებს ჰგავდა, რომელთაც სქესი არ გაჩნითა, თუმცა, მინიმუმ უფრო მამაკაცურ ბუნებას ხედავდა მათ მრისხანე, პირქუშ გარეგნობაში. ამ ფიქრებში იყო, რომ აივანზე დაკიდებულ გალიაში თუთიყუში ახმაურდა. ალექსმა მას ბეთაშვენიის მეცხრე სიმფონიის ფრაგმენტი ასწავლა თინალიდან, და თუთიყუში ევროპის ჰიმის მერღობა არაღა ღიმა უნდა, შეძლებისდაგვარად. ჭრელი ფრინველი უმღეროდა სამითხისმიერ ძმობას, ისე, რომ სიტყვების მნიშვნელობა არ ესმოდა, თუმცა, ხანდახან საჭირო არცაა, ყველაფერი გესმოდეს, მით უმეტეს, თუ თუთიყუში ხარ. ალექსის ბლანტი სითხით სავსე სხეული ნელ-ნელა იცლებოდა.

ფანჯარიდან ჩანდა – დედას გაურკვეველი ფერის, მოთეთრო პერანგი გაეფინა აივანზე გასაშრობად. შეიძლება, ალებდა დააივნედა, ანდა განზრახ დატოვა, დედა ამბობდა, დილის ცვარი სულ სხვაგვარად ასუფთავებს ტანსაცმელსო.

ნიადავ კვლავ დაუბერა, მის მკერდზე ოდნავ შეირხა ღინწილი. ძალიან მიუღწია სიგარეტის მოწევა და ამ დროს ზარბეც დაარეკეს. თითქოს სამებამ ყრუდ დაიგმინა. ალექსის სხეული ბლანტი სითხისგან კვლავ იცლებოდა და მან იგრძნო, რომ დღეს

ANTONIO VIVALDI
1678-1740
STABAT MATER - xv a21

per orchestra, archi basso continuo / For Alto, strings and thorough-bass
a cura di
GIAN FRANCESCO MALIPIERO
Edizione per nota e pianoforte di
VILMO R. L. 4395
Traduzione latina di
GIUSEPPE BOFFI

I Stabat Mater

Large

OSTRACIA

Sta-bi-lis Ma-ter do-li-ra - sta - Jux-ta
In her ear-ears stood the Morth - er by her

Revised © 1998 Universal Music Publishing Group S.r.l.
Production, distribution & rental: P. Paganini, distributor and edit.
Universal Music MCB Publications S.r.l. - via Ligurini 4 - 20098 Sesto San Giovanni - San Giacomo Maggiore (MI) - Italia 131545
Tutti diritti riservati - all rights reserved

მოკვდებოდა. ეს წინათგრძნობა ნამდვილად არ იყო წინასწარმეტყველონი – ზემოთაგონებით, თუ თვითშთაგონებით გამოწვეული, უზრალოდ, ალექსმა იგრძნო, რომ დღეს უნდა მომკვდარიყო. ამას ისე შეხვდა, როგორც ალბათ ბევრით მეორეყოფასეული ბავშვი შეხვდავდა დაფაზე გამოსახულ შედარებით რთულ არითმეტიკულ ამოცანას – ცოტა გაკვირვებით და ყინიანად – სრულად გამოეცნო, როგორ შეიძლება ამგვარი რამ თავში მოსვლოდა. ამან გამოაცოცხლა, გაახალისა კიდევ, თავისი მოხუცი პროფესორის სიტყვები გაახსენდა (სინამდვილეში თომას მანს რომ ეკუთვნოდა): კარგად რომ დაუკრა, უზანკო ბრძენი უნდა გახდეთ, ანუ როგორც ბრძენი, ისე უნდა ჭერტულდ საწყალოს და როგორც პატარა ბავშვი, ისე უნდა გრძობოდეთ. ახლა ნამდვილად ვეღარ მოვახსენებ ამას – ცოტა ირონიულად გაილიმა. დღეს ჩემი ბოლო დღეა. ორი კვირის მერე კონცერტზეც ვეღარ გამოვალ და სავარაუდოდ, სხვას მოუწევს ჩემი ჩანაცვლება, რომელიმე საშუალო კლასის მექანიკოსის. ამ კასტას – „საშუალო კლასის მექანიკოსებისას“, ძირითადად კონსერვატორიის სხვა სტუდენტები მიეუფლებოდნენ, რომლებიც ალექსის პროფესორის სიტყვებით თუ ვიტყვით (ამასაც ალბათ რომელიმე ცნობილ მოღვაწეს დაეცხსა),

და შორიდან ხაროვით ესმოდა დედის ხმა გაყურებულს, სულმგებულს... არა. იქ საფლავები არ ყოფილა, არც დანგრეული გულსია, რომელიც მარტო მის წარმოსახვაში არსებობდა... როგორი მკვდარიცა ახლა ჩემი მუსიკა, ისევეა ჩემი წარსულიც... ყველაფერი უბრალოდ ცარიელია... გაბრაზებულმა, უძღურმა მუხტი დაარტყა კლავიატურას. მეტი აღარ შეძლო, ყველაზე რთული იმის გაცობიერება, რომ უნაყოფო ხარ.

ზარებს ისევ რეკავდნენ. ალექსმა სიგარეტს მოუკიდა, მოუხედავად იმისა, რომ დედა სახლში მონივს მაცხარდა უკრძალავდა. რა სიურპრიზი მოეუნყო ჩემს თავს, რა გავაცუტო? ბევრი დრო ისედაც აღარ დამრჩა. ან საერთოდ საჭიროა კი დღევანდელი დღე რამეთი განსაკუთრებული იყოს? იქნებ არც ღირს აყალბაყალბის ატეხვა?... დღევანდელი დღეც ერთ-ერთი ჩვეულებრივი დღეთაგანი იქნება, სხვებისგან არაფრით გამორჩეული. განაჩენილი უღერს, მაგრამ ალბათ ასე უცხოებს. ალექსი სასტუმროს ოთახში გავიდა, სადაც როიალი იდგა. პირველი, რაც ან ოთახში შესვლისას თვალში მოგხვდებოდა, უამრავი ნოტი იყო, ყველაზე რომ ენყო - იატაკზე, სავარძელზე, წიგნის თაროებსა თუ თავად როიალზე. ალექსი უკრძალავდა დედას ამ ოთახის დაღვრებას, და ისიც იძულებული იყო, სტუმრების მოსვლის შემთხვევაში სხვაგან - თუნდაც სამზარეულოში გამაჩინებლებოდა. ალექსმა პიუპიტრზე ჩამოიღო ხელი ერთხანს - ლისტიან "მეფისტო ვალსი" იღო ზედ. მაკელურმა აზრმა გაურწმუნებდა - ანას ისეთი დასანყისი აქვს, მიუღს სახლს ფეხზე დააყენებს, ორი კვირის შემდეგ კონცერტზე დასაკრავი ახლა ხომ არ დაუტკო, მაგრამ მაღვეე გადაიფიქრა. მიეღო სხეული მორღუნებულ ჰქონდა, მომგებული. უხალისოდ იყო, მხოლოდ ჩქარი, აღმავალი გამა დაუტრა მარჯვენა ხელით. მერე კი სკამის საზურგეს მიეყრდნო და თვალები მიიღლა. უნდა არაერთხელ ჩასძინებია როიალთან, როცა კონკურსისთვის ან სოლო კონცერტისთვის ემზადებოდა და თავდაუზოგავად მუშაობდა.

თავალი რომ გახილა ვარშემო სიბნელე იყო, არაფერი ჩანდა. უცებ ვერ მიხვდა, სად იყო. არაფერი ისმოდა. ძალიან სტკიოდა მუცელი, თითქოს უშველებელ სარზე მუცლით წამოგოვით, გრძნობდა რომ სისხლი სდიოდა. უცებ საიდანაც ქარმა დაუტერა და ქვის ნესტიან კედელს მიეჯახა ზურგი. სიბნელი დაიყვინა - ჩანს ძალიან პატარა ოთახში ჩაუკეტავთ - ყრუ აკუსტიკა, ყრუ კედლები. მამ საიდან დაუტერა ასეთმა ძლივრმა ქარმა? გაუსაძლის ტკივილს გრძნობდა მუცელსა და მკერდში, მაგრამ ძალა მოიკრიბა და წინ წაფრთხიდა, უნდოდა მეორე კედლამდე მიეღწია - იქნებ იქ კარია სადმე დატანებული, იქნებ შეძლოს ამ სულისშემწუთავი ვჯურღმულიდან თავის დაღწევა. ინსტიქტურად მოქმედებდა. საოცრარა მომმა აიტანა, რომელსაც ერთი ვერ გამოთქვამდა, ის კი არა, ვინმეს რომ ადუძახა მისთვის იმ წამს, პასუხის გაცემასაც ვერ შეძლებდა - მთელი სხეულით კანკალებდა და მანაც წინ მიიწევდა... მიფორთხავდა. ორი მეტრიც არ გაველო რომ კვლავ ნესტიან კედელს წაწყნავდა, ფრჩხილებით ჩამოკანრა ხავსი და ნუბოვანი სისველე...

- დედა ხანია, რაც გვცვიდა? - ჰკითხა მარიამმა ალექსს (ასე ერქვა დედამისს).
ალექსი სკამიდან ლამის წამოვარდა და შეშინებული მიაჩერდა დედას, რომელსაც გასაზრობად გაფენილი გაურკვეველი

ფერის მთითეო პერანგი უკვე ჩამოეცხნა და კალთაში სხვა გამშრალ ტანსაცმელთან ერთად ჩაენყო. ალექსმა არაფერი უპასუხა. დედას კარგად არც შეუხვდად მისთვის და სასტუმრო ოთახიდან გავიდა. კარიდან მაიახა: დღეს ულსი დედისთან არ დავაგინვდეს ასელო. ალექსმა მხოლოდ წაიჭურჭლა - კარგი. ვაგასენდა, რომ დედამ რამდენიმე დღის წინ უთხრა, ლუსი ამ ახალი როიალი იყიდა და მისთვის, იქნებ შენი ხელი ამოვიდეს და გასინჯოსო. დედა ყოველდღე ახსენებდა ანას, თუმცა ალექსს ყოველთვის ავიწყდებოდა, უფრო კი ივწყებოდა. დღეს თავს დედას უნდა დავატანო და როგორმე შევასრულო დანაბარები.

დედასთან დაუბრუნელი იყო, თუმცა რომ გეკითხათ, ზუსტად ვერ ვიპასუხებდათ, თუ რატომ. მარიამსა და ალექსს შორის უხილავი ბარიერი არსებობდა, მაგრამ იყო დრო, როცა განუყრელები იყვნენ, ლამის ერთმანეთს უხერცებებდნენ. მამინ პატარა იყო და ხშირად ავადობდა. დედა არ შორდებოდა, მასთან ძინია ერთი საწოლზე, მაშინაც კი, როცა ალექსს სიცხე ორმოცამდე აუწევდა. ახლაც კარგად ახსენებს: ისეთი უდტრინევილი, მშვიდი იყო დედა, ეფერებოდა მის კულულებს კრძალვით და ისეთი სინაზით, როგორც ალბათ კრეველის ნახატზე გამოსული ლტინისმშობლს უპყრია ხელთ ვარდი. მარიამი ყოველთვის აქებდა მის მუსიკალურ ტალანტს, მაგრამ ალექსი დედასთან ლამის მიჯაჭვულად გრძნობდა თავს და ფიქრებდა (განსაკუთრებით შემოქმედებითი კრიზისის პერიოდებში) რომ მისი მშვიდნიერი ენერჯია დაკონსერვებულია, რომ ის ჯერ ბოლომდე არ დაბადებულა. გზა ყრმობიდან მოხუცობამდე ბავშვობის და ახალგაზრდობის გამოტოვებით... ეს აზრი, რაღა თქმა უნდა შედარებით გვიან ეწვია, რაც თავიდან ინტელექტუალური თამაშის საგანად ექცა (ყველაფერი ხომ თამაშით იწყება. ასე განსაჯეთ, დამანგრეველი ხანძარი, საუკუნეების მანძილზე არაერთხელ რომ წაჰკიდებია მრავალ დიდ ქალაქს, შესაძლებელია უბრალო ბავშვური გართობის შედეგი ყოფილიყო), ხოლო შემდეგ თანდათან იმედგაცრუებდა და უხედურების ერთგვარ გაუკუღმართებულ ძიებაში გადაიხარდა. ამ ყველაფერს ხელოვნებისადმი უკომპრომისო დამოკიდებულებაც ამძაფრებდა...

როიალთან მჯდარი ერთხან და იმავეს იმეორებდა თავისთვის: მეზიზღება საკუთარი თავი, მაშასადამე, მაქვს უფლება მეზიზღებოდეს სხვებიც, და მით უფრო ისინი, ვისაც ჩემთვის კარგი სურს. და თავის დასამწყვიდედ და დამატყუარდა: უიმედო, თავზეხელაღებული წმინდანი ვარ, რომელსაც ყველაფერი ეპატებიდა.

დეიდა ლუსი მეზობლად ცხოვრობდა ზედა სართულზე. ის იყო ორმოცი წლის შინაბერა ქალბატონი, შკონდა საკმაოდ დიდი, არცთუ უფრომოდური და ალექსი ხანდახან ფიქრობდა, რომ ცდუნებას ვერ გაუძლებდა, მაგრამ... ლუსი ხანდახან თვალებს აელამებდა, თითქოს ვიღაც სხვას უყურებდა ალექსის მიღმა. ასეთ დროს მას არაერთხელ მოუხედავს უკან. ხანდახან ლუსი უმა თურმანივით მაცდური იყო, ხანდახან კი ახალგაზრდა ბებიას ემსგავსებოდა, მუდმივად პროდუქტების ფასებზე, ბავშვების საფენებზე და თურქულ სერიალებზე რომ ლაპარაკობენ. კერგა ხანია, რომელიღაც არააკრედიტებულ უნივერსიტეტში, რომელიღაც ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ მუშაობდა. ზომიერად ფერხორციანი, ზომიერი იუმორის პატრონი, საშუალო ხელფასითა და ზომიერი კვების რაციონით, მოკლედ ყველაფრით ჩვეულებრივი იყო, სანამ, ერთ დღეს, ცხოვრების რადიკალურად შეცვლას და სიმღერის შესწავლას არ მიინდობებდა. დიახ, მან არც მეტი არც ნაკლები, ვოკალისტივად გახდომა განიზრახა და თავი დააჯგრა, რომ ეს საქმე მართა კალასზე მეტად თუ არა, ნაკლებად მაინც არ გამოუვიდოდა. დაიქირავა მასწავლებელი და ყოველდღე ბევრითად სოლფეჯირებდა, მიუხედავად გამების, არპეჯიოვების და სხვადასხვა სავარჯიშოების. ალექსი ხანდახან სწავლაში ეხმარებოდა. ვერ გეტყვით, ეს დიდ საიმოვნებას ანიჭებდა მეტი. მით უფრო, რომ დეიდა ლუსის, სიმღერის ფინით ახანის, ხანდახან დღეღამე ერთიმეორეში აერუნდა ხოლმე და სიმღერას დილაუთენია იწყებდა. ასეთ დროს მისი ხორხიდან აღმოშავალი გაურკვეველი ობერტონების ბგერები ალექსის წარმოსახვაში ტრანსტინოსულ ტრანსაგრესიულ, ძალადობის სცენებს აუცილებდნენ. დეიდა ლუსის ელექტრონობრით ხერხავენ შუაზე. დეიდა ლუსის პინცეტით აჭრან ხმის ოვებს. დეიდა ლუსის დინამიტით აფეთქებენ, თუმცა არაფერი შველის. აფეთქებული, შუაზე გაკვეთილი და ხმისოვებამოგლეჯილი ჩვენი თავდადებული მომღერალი მაინც ბევრითად ცდილობს აიღოს მეორე ოქტავის საბედისწერო სი ბემოლი! ალექსი ხანდახან სურდა პირში მიეხალა მისთვის, უნიჭო ხარ და უსიკას თავი გაანებო, მაგრამ ჩვეულებრივ მორიდებულობა და უფროსისადმი რიდი გადასწონიდა ხოლმე.



უკან შედევრობას ხომ არ აპირებო? (ერთგვარი Restitutio in integris) ამაზე რაღა თქმა უნდა სპარტანელმა ვერაფერი უპასუხა და შერცხვენილად გიღებ გახვედა... ალბათ დაახლოებით იმავე გარნობდა, როცა დედა ყოველდღიურ წერილმანებზე ეჩხუბებოდა, მაგალითად იმაზე, რომ პური არ უნდა ამოატრიალო სადილობისას, რომ ეს ცუდის ნიშანია და პურმა განყრმა იცის ხანდახან ძლიერ ბრაზებოდა. გამოუთქმელი ზიზი, სამოს კედლები. უკან ხომ არ აპირებ დაბრუნებას?! ნებოთანი სისველე! იქნებ ანას მიუოღდნენ და კიდევ ითხოვდნენ მისგან? დღეს მაინც არ უნდა ვიფიქრო ამაზე.

ამ დროს ტახტზე უზარმაზარი შავი კაბა ამოხტა და ალექსი მუსულზე თავი დაუდო. დეიდა ლუსის უსაყვარლესი არსება ბასრი კლანჭებითა და ხმის უფლებით. დიახ, იგი არაფერს აეთენებდა საკუთარი კატის დაუკითხავად, სარცხეფხევილი რომ სარცხი ფეხნილია, იმის ყიდვასაც კი უთანხმებდა და ამტიციებდა, რომ კატებს ლაპარაკი შეუძლიათ. და ალექსი რიდი და ლამის მოინიშნა უტყვერდა უზარმაზარს და მზინვარეს, ტახტზე რომ გამზლართულიყო მზეს მიფიცებული და პირზე აივანზე მოხადირებული ბელურების წვრილი ბუმბული და სისლის ნეთები შერჩენოდა.

ლუსი სამზარეულოდან გამოვიდა ყავის ქიქებით, ერთ-ერთი ალექსის შესთავაზა და მის პირისპირ დაჯდა საფარძელზე. ალექსს არ გამოპარავია, როგორი მზრუნველი მზერა ესროლა კატას, როცა ეს უკანასკნელი ზანტად გაიზმორა.

– როგორ ხარ ჩემო ნიჭიერი, აბა მითხარი, რ არის ახალი? – „ნიჭიეროს“ სენებებზე სახე აემიზრა, ჭიქა მაგადებდა დადო და ცალყბად მიოცა, არა მიმავსო. დედა ლუსი – ეტყობოდა – ხანგრძლივ უვერტიორებს (ანუ ბევრ ლაპარაკს) გგმავდა, სანამ უშუალოდ საკმეზე გადადიოდნენ და ცოტა უკმაყოფილო დარჩა, ალექსი სპიტსგან თავი უხუმად რომ გაითავისუფლა და ნამოდგომა დააპირა. იცოდევ, არ გამიბრაზო, ხანდახან ისე მიწნა და ხოლმე რომ მომეპატივებოდა. იცოდევ, ძალიან უყვარხარ ჩემს ფისუსას. ჰმ, დიდ პატივში ყვითელვარ, რაღა მიჭირს.

ახალსაიფი როიალისკენ გამართა, სასტუმრო ოთახის ცენტრში რომ იდგა. დააკვირდა – ძველი ინსტრუმენტი იყო, შენაღბული, უცნაური სახელი ეწერა ზედ – „რობარტისი“. ამგვარი რამ ადრე არ უნახავს. ჩვეულებრივი, როიალებს დახრილი სიმები აქვთ, „რობარტისის“ სიმები კი კლავიატურასთან მართ კუთხეს ქმნიდა. სულ დამცირე, საუბუნებანერვისაა. და მიიწნე, რამხელა გზის გავლა დაეჭირდა, სანამ როიალს აღმოვაჩინედი.

ახლაც ახსოვდა, როგორ უკრავდა ვერჯინალს, ის ხომ უილიამ ბერდის მოსწავლე იყო და მასწავლებელს ნიჭიერებით არ ჩამოუვარდებოდა თუ არ აღემატებოდა კიდევ. ვერჯინალს ქანწულს ადარებდნენ და ადარებენ ახლაც. ალექსის ოსტატები ეუბნებოდა: შენი იმპროვიზაციები ხომ თავად ევას მიერ ნათქვამ სიტყვებს ჰგვანან სამყაროს შექმნის მუშვივთ დღეს რომ გახმინდა სრულ სიჩუმეში (ფიქრობდა, რომ ალბათ პირველი სიტყვა ევამ წარმოიტყვა ადამიანურ ენაზე, რადგან ადამი მისი მშვენიერებით მოხიბლული ვერაფრის თქმას მოახერხებდა). ძალზე მაღალფარდოვანია, დეკორატივებით, უილიამ ბერდი საუბრობას ნამდვილად არ იყო ისეთი უბრალო და ხალას, როგორ მუსიკასაც ქმნიდა. ვერჯინალი საოცრად უყვლერდა. მაგალითად, თუნდაც მისი ვარიაციები ავიღოთ ფოლსინგემის თემაზე. ის ამას გრძნობდა, იმხანად ჯერ ქალემზი არ იყო ნამყოფი (აღბათ უფრო კორექტული იქნება თუ ვიტყვი, „ქალის სიახლოვე არ განეცადა“, მაგრამ ევას ალექსის ამჟამინდელი სულიერი მდგომარეობიდან გამოვიდეთ, ანუ ცოტაოდენი სარკაზმით და ირონიით შეგვეხედოთ მის ნარსულს) და თავის უმანკობას შემდეგნაირი იდეური დატვირთვა მისცა: თუ ქალთან სექსი ექნება, ასე ველარასდროს დაუკრავდა, რადგან ქალწული საკრავი მხოლოდ უმანკო ადამიანის შეგებას თუ უნაქუსებდა. მასწავლებელი კიდევ დასცინოდა, რომ უკრავ, გოგოსავით (ნატიფი ბანოვანებით) ნაზი ხდებიო. ალექსს ეს არ ამოეთებდა. ანა ვითარ ყურადღებას აქცევდა მასწავლებლის სარკაზმით ნათქვამს, ხანდახან პორნოგრაფიკული (ძველბერძნული მითოლოგიური სატირის) ავხორცობით რომ შესცივებდა ხოლმე... მერე ყველაფერი შეიცვალა – ალექსის ვარიაციები გაჩნდა საერო უხეში, ოჟმორი; სინკოპები, მთვრალ მეზღვაურთა ფერხულის ასოციაციას რომ იწვევდა. სკაბრეზული მახვილგონიერება. ის ბორდლებს ხშირი სტუმარი გახდა. რასაკვირველია, ვერჯინალი ველარ პასუხობდა მის ვენებას. გადამყვითა კლავისინზე და კლავიკორდზე ეცადა ბედი, თუმცა ამ ინსტრუმენტების მასშტაბი ბევრად დიდი იყო, ვიდრე ვერჯინალისა; კლავიატურა რამდენიმე ოქტავით გაიზარდა და ხმოვანებაც ისეთი წუმბი აღარ იყო, მაგრამ ალექსს ესეც აღარ აკმაყოფილებდა. კლავისინს თითქოს ის გულწრფელობა აკლდა, რაც ვერჯინალს ქონდა, კლავისინი დახვეწილი არისტოკრატიული იყო, რომლის ჩაცმე-

ლობაში უძვირესი დეტალიც კი შენდენივითაა გათვლილი... კლავისინი ვერ იმღერებდა მრავალავი ქალების კილოზე, ის არისტოკრატი ქანაწუქა შუბლა მანდილოსანი იყო, რომელსაც თავისი ხედაბალი ნიღბისიანი სძულს. და აი, განჩნდა პირველი ფორტეპიანო, დიდი ვერაფერი – მექანიზმი არ უყარგოდა და აშკარად მოითხოვდა სრულყოფას, მაგრამ სწორედ ფორტეპიანო იყო ის, რაზეც ალექსი მთელი ცხოვრების მანძილზე ოცნებობდა. როიალს შეუძლია იყოს პოეტიც, მისტეკოსიც, ქალწულიც; ჯამბაზიც, მეძავეც, მკვლელოც, ბავშვიც, მოხუციც. მისი მშვენივით შემსრულებელს შეუძლია გამოხატოს ყველა ადამიანური განცდა.

ალექსს გაელიძო, ის ყურს ააღარ უდგებდა დედა ლუსის ლაპარაკს, რომელიც დროდადრო ყავის ნალექიან ჭიქაში იყურებოდა და ცდილობდა უფრომოდ ლაქებში საკუთარი მომავალი გამოეცნო. კიდევ ერთხელ გაიხედა პატისკენ. მერე როიალს მიუჯდა და ბეთჰოვენის სკერცოს დაკვრა დაიწყო ოპუს ას ათიდან. ბეთჰოვენი – რელიგიური კომიკოსი, მაეამოხე იდეალისტი. ის სკერცო ძალიან უბრალო, ვენურ, ხალხურ მელოდიასზეა შექმნილი. Die Katze hat seinen Felleh gebracht – კატამ ქნუტები მოგიყვანა. ბეთჰოვენი მარტოსულია, მაგრამ იცინის სიცოცხლის ბოლოს. შეიძლება ითქვას, ეს ნათელი, „გალექტიკური“ ოჟმორია... და ალექსმა წარმოიფინა, როგორ შეესვენა თბილისის ათასობით უბრუნდამდამაგრებელი შვიი კატა, და როგორ აფეთქდება და მიწასთან გასწორდება დედაქალაქი.

დაკვრას განაგრძობდა, დედა ლუსის კი მოუთმენლობა დაეცყო. ალექსს ეს არ გამოხატავდა, გაიფიქრა, ალბათ დროზე სურს გაამპის მევადინეობა დავაყენებო. ლუსიმ თავისი განუყურელი მარაო მოიმარჯვა კიდევ, მისი წარმოდგენით, ოპერის მომღერლებს რომ ფრიად შეეწონადა. ეს უბრალოდ ახირება იყო – მუდმივად უნდა სჭეროდა ხელში სიმღერის დროს. მარაო გაშალა – ზედ მენამული ფარშევანებზე იყო გამოსახული. თვალები კვლავ დაუეგამდა და რაღაც ნაიბუბუტზე, ალექსმა ვერ გააგონა სიტყვები. დედა ლუსი თითქოს ვილაც უხილაეს ესაუბრებოდა.

ნამიერად ოთახი სიბნელეში ჩაიძირა. დედა ლუსი თავისთვის მღერობდა, ისე რომ ინტონაციის დაჭერა შეუძლებელი იყო. ბუდას ფარმის საფარფლებიდან ვეკლო ამოვიდა, ვერჯინიდან შემოსული შუქი უჩვეულო ქანდაკებზე ირეკლებოდა და სხტებოდა. მენამული ფარშევანებები ამოძრავდნენ – ლუსიმ მარაო გააქინა გრაციოზული მოძრაობით და ალექსს



თვალეში შეანათა. იგი გაშეშდა, მესყუელად ჩაიძირა სიზმარში და ლუსის უჩვეულო კილო, ძველბერძნულ ჰანგს რომ გავრდა, უკვე საიდანღაც შორიდან აღწევდა. ლუსის მოქნილი მოძრაობები სიბრძნით იყო აღსავსე, გალაქტიკური სიბნელე – სიბრძნე და სიყვარული. ნელსურნელება გაეცვლდა მთელს ოთახში, თითქოს ალექსი დედამინის შუაგულში იმყოფებოდა. სიზმრის ჯადოსნური სფერო. იგრძნო – მალე მიანდებდა ვრცელ, უკაცრიელ ადგილს, შორეულ მთას. სადაცაა გამოჩნდებოდნენ ადამიანისსახიანი კლდეები, საცაღვფრო ბლიოკე უნდა ექმოდ, ესმოდა ნაკადულების ჩხრაილის ხმა – უძველესი დროის თქმულების ექო. ხანდახან ეღვიძებოდა – მისი სული კვლავ სხეულს უბრუნდებოდა და ხედავდა ლუსის, რომელსაც თეთრი თათვის ეცვა და ცეკვავდა მის წინ. კაბის კალთები ირეოდა, ფარმევაგები მდიდრად შლიდნენ კანამულ კუდებს, ალექსს თითქოს უზარმაზარმა ტალღამ გადაუარა. ვნებით აღინთო. ხელი გაიწვინა მოცეკვივისკენ, მთლი არსებით სურდა მასთან ცეკვით დამეტაროყო, და არამართყო... ლუსი მის სულს სევამდა. ალექსი ნეტარებდა, ადრე ამგვარი არაფერი განეცადა.

– ღმერთი რომ განკაცვდეს, საკვები სჭირდება უმანკო გულდიან, მომიზალედი ალექსი – საკამიდან ნამიანი, მოხიბლული იყო ლუსის ხავერდოვანი ხმით. მისი ცეკვა მთელს ოთახში ფეთქავდა (და უკვე ალექსის გულშიაც), ხელმეუბნელი ცეცხლივით წარმტაცი. – მომიზალედი.

საკამიდან ნამოდგომას აიჭრებდა, რომ უცებ საშინელმა ტკივილმა გაუფანტა ჩვენება, ძირს დაიხედა. შავი კაბა გააგებულ კენება მარჯვენა ფეხზე, ღნადა და ბრჭყალებით უკანარება ისედაც გასისხლიანებულ ჭრილობას. მთელი ძალით გააჩნდა ფეხი და კედელს მიანარტა. ფიქრად ლუსი შეკრთა, ისე დაუელამდა თვალეში და მიითური ჯადოერიდან კვლავ ჩვეულებრივ დიასახლისად გადაიქცა. ის უბუქიმიანი ვარსკვლავის ცენტრში იდგა – წრფივი ხაზები ხუდას ქანდაკებებს შორის გაუვალ, ლაზერულ ბადეს ქმნიდნენ. ალექსმა ირონიულად გაიღიმა.

– იცით, თქვენ საოცრად სექსუალური კუდიანი ხართ. – დეიდა ლუსიმ გაოცებისგან პირი დაალო და იქიდან მოულოდნელად შავი ობობა ამოჭრა.

– ჩემს გულს არა, მაგრამ ერთ რამეს ნამდვილად დაგიტოვებ – ალექსმა გახდა დაიწყო, გამომგლებულმა ქვედა საცვლი გაუწოდა და ოთახიდან გავიდა. ლუსიმ მის არასიმეტრიულად გრძელ ფალოს აღზნებულმა გააყოლა თვალთ.

*

უკვე დღის პირველი საათი იყო. ალექსი რუსთაველის გამზირზე მიდიდა. ჭვჭვჭავის აღმართთან, ქუჩის კუთხეში პრომო გოგონამ ქართული „მუჟიხანის“ დაგემოვნება შესთავაზა. მან აღნიშნა გაუღიმა. იაფფასიანი კოსმეტიკით მოთაზონილი სახე, „არმანის“ ქურთუკი. მცდელობა, რომ იყოს ლამაზი მინიმალურ ფასად. სასაცილოა – ის ცდილობს იყოს მაქსიმალურად სექსუალური, ისე რომ დროულად დაფაროს ყოველთვიური კომუნალური გადასახადი. ალბათ ალექსი სხვა დროს ყურადღებასაც კი არ მიაქცევდა, მაგრამ ამჯერად სხვაგვარად იყო საქმი. თან გოგონა ღვივის სთავაზობდა. ღვივი ალბათ იყავდა, პრომო გოგონა კი გამოუცდილი (თუქცა ბოლოს და ბოლოს ყველა ნათელმზილველი ხომ ვერ იქნება?), რადგან

ჩემნაირი კლიენტისთვის ღვივის, უნ. თუნდაც სხვა რამის შეთავაზება უბრალოდ სისულელეა, მაინც ვერაზსეროს ვიციდი, შესაბამისი იქნება. საპასუხოდ ირონიულად გაუღიმა, წნეის ტოტებით დაწვლი მადიდიან დაუკითხავად აიღო მიზრდილი ბოთლი და მალაყელეიანი მუშის ჭიქა პირთამდე აავსო. გოგონამ შეპასუხებაც ვერ გაბედა. ახლა ალბათ მიხვდა თავის შეცდომას. „ეს თქვენ გაგიმარჯოთ, გენაცვალე“ უთხრა ალექსმა და სულმოუქმელად გამოცადა ჭიქა. ამგვარი ქცევა პრომო გოგონასთან ამბობის, თუ პროტესტის ერთგვარ გამოვლინებად შეგვიძლია ჩავთვალოთ, ბისმარკის სიტყვების თუ მოვიხიბოთ (თავს ისევე თვითნებური პერიფრაზის უფლებას მივცემ); ნახევარი ბოთლი ღვივი სჭირდება იმისთვის, რომ თავის სიმაღლეზე დამდგარიყო. ალექსს სურდა იგრძნო, ბლიცკრიგი. სურდა სულ მცირე დროში რაღაც შეეცვალა...

ოცდამეთერთმეტე სონატის ნელი ნაწილი გაიმღერა გუნებაში. როცა ბეთჰოვენი ამ სონატის წერდა, ერთ-ერთი საკმაოდ ცნობილი პანისტის აზრით, ლამენტოზური ნელ ნაწილში სწორედ თავისი ავადმყოფობით გამოწვეული გრძნობები გამოხატა. ადაჯიო არის „die Krankheit“, ხოლო ფუფა, რომელიც მას მოსდევს – „die Erheilung“. ჩემს სულსაც იგივე სჭირდება – გაჯანსაღება. თუმცა ბეთჰოვენის პიროვნება განყენებულია მტანჯველი, ფიზიკური, თუნდაც სულიერი სისუსტესგან. ის თავისუფალია! ნელი ნაწილი და ფუფის გასაყარზე 11-ჯერ მიორდება სოლ მაჟორული აკორდი. თავიდან ძალიან ჩუმად, შემდეგ ხმოვნება ორ კორტემდე იზრდება, თითქოს უზარმაზარი ეპირიტქი ისხდეს. ეს ზარის რეკვის ასოციაციას იწვევს. ვის უბნობს ზარი?

*

...ნებოვანი სისველე – ხავსი ჩაბლუჯა და სიმნორთი ატირდა, უცნაური შეგრძნება დაეუფლა: თითქოს ცხოველის სველ დრუნჯს შეეხო ლოყაზე – თბილი შავრის ნაკადი... წამით განათდა საკანი და დაინახა, ირემი მოსულიყო სულ ახლოს – დიდი, უზარმაზარქებინანი, ელვარებუნეიანი. მონითალო-ფოლადისფერი დაჰკრავდა. ირემი პირდაპირ მას უყურებდა. ჩანდა, არ ემინონდა, ყოველ შემთხვევაში არ უფრთხობდა ალექსს. წარმოიგინა, რომ მისი სხეული მთის ბალახებმა დაფარეს – მართლაც ასე იყო; ხელზე დაიხედა და ბალახი ამოსვლიდა ხელიდან – მსაფრთხე განცდები სხვანაირად ღრწმინდილს არც გაკვირვებია ის ამბავი, ბუნებრივობად, კანონზომიერებად მიიღო, შეეცადა განცდების და ფიქრის დინებას დაკვირვე



ბოდა. უნდა გაეგო, რა ხდებოდა. ირემმა პირი გამოიწვინა მის-
კენ, მშვიდ თვალბში მშობლიური, ლამის დედობრივი სევდა და
ნალექი ჩასდგომოდა. ალექს გული აუწყუდა და ხელი გაუწვინდა
ირემს აბალახებული სხეულის ნაწილი, ისევე როგორც სოფლად,
ზახულში, თუთას მიტანებულ ხმის მოუწვდიდა ხოლმე მაღალ
ტოტს. ირემმა მოწინააღმდეგე ალექსის ხელი. არ სტყენია. მერე მეორე
ირემიც განაღდა საიდანღაც. პატარა სახნის საზურგეში გაფარ-
თოვდა, მეორე სულ თერთი იყო და რქები თითქმის არ ეტყობოდა
თავზე. აღბათ ახალგაზრდა ფურია. მანაც დაუწყო წინააღმდეგობა
კაცის აბალახებულ სხეულს... ალექსს ჩასთვლიდა. სიზმარი და
ცხადი ერთმანეთში ისე არეულიყო, რომ შეუძლებელი იყო დანამ-
ფილეთით ეთქვა, მიხინჯო. რაღაც ძალიან თბილს და ფაფუკზე
მიღო თავი და მოლიმარმა თვალები მიილულა.

საათზე დაიხედა – უკვე სამი საათი შესრულდა. კიდევ ორ
ადამიანთან სურდა შეხვედრა. ერთ-ერთი ელი იყო. ალექსს იგი
მოსწონდა. ელიც კონსერვატორიის სტუდენტი იყო და ჯერ მხ-
ოლოდ პირველ კურსზე სწავლობდა. ცხოვნიდა მობილური ამოი-
ლო და ელის ნომერი აკრიფა, ის მაშინვე დათანხმდა შეხვედრაზე.
გადაწყვიტეს ოპერის თეატრის გვერდითი კაფეში ესაძლიათ.
ელი იმდენად სერიოზული იყო, ალექსს სხვა გამოსავალი არ
ჰქონდა, უნდა ეხუმრა. ეს სტორდებოდა – სიცხილი ყველაფერს
ასხვავებდა და ასატანს ხდის.

ელი თითქმის არასრული ყოფილა თინეიჯერი. მის სახის
ნაკეთებში იყო რაღაც საოცრად ბავშვური. თუმცა ელის ხან-
დახან ის შეეცდებოდა სახე, რომ გაცვილებით ხნიერ ადამი-
ანს მოგაგონებდათ. როცა მსახიობებს ერთსა და იმავე ფილმში
ახალგაზრდისა და მოხუცის როლის თამაში უწევთ, მათ შესა-
ბამის გრემს უკეთებენ. ელიც ასე იყო: გვეგონება თორმეტი წლის
ბავშვს ნაოჭები მიხატეს სახეზე, ძალიან რწმუნ და თავის თავში
ჩაეკეტო იყო. ალექსი სხვადასხვა ეკითხებოდა საკუთარ თავს –
მაინც რა ნახა ამ გოგოში განსაკუთრებული? მაინც რითი მიიყ-
რო მისი ყურადღება? საშუალო სიმაღლის, მის სახის ნაკეთებს
ლამაზს ნამდვილად ვერ დაარქვებოდა, მეკრდი უ თითქმის არ
ეტყობოდა ტანსიმტამასნილ მაისურზე. ალექსი მაინც ფიქრობდა,
შეიძლება გოგოს არ ეთქვოდეს ლამაზი და დიდი მეკრდიც არ
ქონდეს, მაგრამ რაღაცით დაუოკებლად გიჩნდავდეს ადამი-
ანს. არსებობენ ქალები, სინაზესთან და კარაკეტობლობასთან
ერთად მტკიცე მორალური ნებისყოფა რომ გამოარჩევთ, მათ
აქვთ გაუმჯავანებელი ენება, რომელიც აფეთქების წამს იმდენ-
ად ლამაზია, რომ არაფერი შეეძრება. ალექსი ფიქრობდა, რომ
ელი სწორედ ქალთა ამ კატეგორიას ეკუთვნოდა, ყოველ შემთხ-
ვევაში სურდა ასე ყოფილიყო. ასეთი ადამიანების გულის მოგე-
ბა ძალიან ძნელია, მაგრამ ერთხელ მაინც თუ მოიპოვე მათი
წინააღმდეგობა, ბოლომდე გადაგიძლიან თავის სამყაროს და შესაძლოა
ეს საბედისწეროც აღმოჩნდეს, რადგან განდობილი საიდუმლო
რაგინდ მცირე და უმნიშვნელოც არ უნდა იყოს, ვერ ითმენს
ურყოვას, უგულვებელყოფას. ამიტომაც ერედიდებოდა მასთან
პირდაპირ ლაპარაკს, არ უნდოდა გაემხილა, რომ მოსწონდა.
გარდა ამისა, ელი შესაძლოა დაეფრთხო კიდევ; ამიტომ შეხ-
ვედრებისას სრულიად განყენებულ თემებზე ესაუბრებოდა და

მხოლოდ ერთი რამ – მისი დაძაბული, კონცე-
პტორიული მზერა და მისი დაღვლებული თვალები
თვალები თუ ამჟღავნებდნენ ხანდახან მისი
გულგრილი არ იყო. რაღა თქმა უნდა ელი ამას
გრძნობდა...

პოსტმოდერნულ მწერლობაში არსებობს
ერთ-ერთი ხერხი: ორმავე კოდირების პრინციპი.
მწერალი შეიძლება გიყვარდეს ჩვეულებრივ
ამბავს, რომელიც ჩვეულებრივი რიგითი მკითხ-
ველისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ ამავე დროს
ქმნიდეს „ფარულ“ სიუჟეტს, რომელიც ერთი
შეხვედვით შეუმჩნეველია და დაკვირვებულ
თვალს, კარგ გაანალიზებას მოითხოვს, რომ
ჩანვდეს. ასე რომ მწერალი შეიძლება ორ ამბავს
გიყვებოდეს ერთის ნაცვლად ანდა სამს, შესა-
ძლოა მან ამბების მთელი ლაბირინთი შექმნას...
ალექსის და ელის საუბრებშიც ორმაგად კოდირე-
ბული (მიუხედავად იმისა, რომ მათ არ იცოდნენ
ამ ხერხის და ტერმინის არსებობის შესახებ) და
ძირითადად არაკონვენტუალური იყო, ანუ მათი
საუბარი ფარული შინაარსების უწყვეტ დინე-
ბას წარმოადგენდა, სადაც გამოუცდელ ადამი-
ანს გზა აუცილებლად დაებნებოდა. აი, მრავალი
სურერაგობის თუ სუპერმწერალი ირევა ელის
და ალექსის საუბარში – ამ მსჯელად გასაკვლევ
ლაბირინთში ისინი დაქრან, ერთმანეთს აწყვე-
ბიან თავგზაბუნებულად: საბიადემნი შეიძლება
ჯოკას შეხვდეს, ანდა მინორტარი ანგელინა
ჯოლის. ოჰ, რა სანახავი იქნებოდა, მინორტარი
ანგელინას წინააღმდეგ, შესაძლოა ამ წუთას
მკითხველმაც ვერ დაიმორჩილოს ფანტაზია
და თავისი ლაბირინთით შეურთოდეს ანგელინის
სამყაროს, რომელიც თავის მხრივ სრულად
ვერ იმორჩილებს ელის და ალექსის ერთმანეთს
გადგაყვავებულ სამყარო-ლაბირინთებს... საიდან
დავიწყებ? ჰო, მოკლედ, მკითხველმა შესაძლოა
ანგელინა ჯოლის და მინორტარის შეხვედრის
სცენა ბრუტალური სექსუალური აქტით დაას-
რულოს, მაშინ როცა ელის და ალექსის წარ-
მოსახვაში, თითქმის დარწმუნებული ვარ, ამას
სრულიდით სხვა მნიშვნელობა მიენიჭება...

— ელი, მოგონს კაფაჯ – ეკითხება
ალექსი. ელი თავიდან დუმს. ის ყოველთვის ასე
აკეთებს, ფიქრობს, სანამ რამეს იტყვის, უაზ-
რო ლაპარაკი არ უყვარს. ალექსი მოთმინებით
ელის. ის სახის მიმიკით გამოხატავს მოლოდინს.
ელის ეღიმიება. მას სურს რომ ალექსს მოსწონ-
დეს. ალექსის მაღალი ფაქტურით წარმოთქმულ-
ელი ეს კითხვითი წინადადება ბევრისთვისაა –
ის ბანია, არადა გარდატეხის ასაკში მყოფი თი-
ნეიჯერივითი დაეკარგა ხმა. ესე იგი, ბევრს თუ
არა, ცოტას მაინც მარეგულირებს, ესე იგი ძალიან
თუ არა, ცოტათი ენერჯ მოსწონს ელი, ან ისე

საშუალოდ... ელი კონფორმისტია (!) უფრო სწორედ უყვარს თითქმის ყველაფერში დაეთანხმოს ალექსს. ალექსი გრძნობს – ეს ხაფანგია, ესე იგი გოგოს მისი შესწავლა უნდა, თანაც საფუძვლიანად, ასე რომ თავადაც ფრთხილად.

– მე კავკასი მობრუნს ის რომ... კავკას არასდროს ტყუილი და ღმერთისკენ მიიღვტის, თავისი მეტამორფოზებით, თუ შავი იუმირით. – ამას ელი საზეიმოდ ამბობს, როგორც მთავრობის პირი ოფიციალური გამოსვლაზე... ალექსი წარმოიდგენს, როგორ ეძებდა ელი ინტერნეტში კავკას შესახებ ლიტერატურას, როგორც ჩხრეკდა ესეებს და ბიოგრაფიებს მოთმინებით, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ამოეკითხა კავკას შემოქმედების შესახებ. ალექსი კავკასიანია გარდა იმისა, რომ ბევრს უკრავს, ბევრს კითხულობს კიდევ... ეს საუბარი გერმანულ მწერლობაზე პირველივე პაემანზე მან წამოიწყო. ელის ნაკლები ცოდნა ქონდა ამ კუთხით, ამიტომ ისიც მილიანად ჩაეფლო გერმანულ ლიტერატურაში. ალექსმა იფიქრა: გინდაც გოგო მენზე გიფედებოდეს, მაინც ძალიან ცოტაა იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც შეყვარებულს გამო კავკასს ნაიკითხავს...

ამის გაფიქრება იყო და ბარში სპაიდერმენი შემოიჭრა და ლუდი მოითხოვა... რა მოხდა? ვარიანტი ნომერი ერთი: შესაძლოა ის ბოროტ მეცნიერთა ბრძოლით დაიღალა და კავშირი სულის მოსაქმეულად და გასაგებლელად შემოვიდა. ვარიანტი ნომერი ორი: შეიძლება ეს ნაწვევილი სუპერგმირი კი არა, უბრალოდ სპაიდერმენის ფორმაში გადაცემული მსახიობია, რომელიც მდიდარი მამიკოს ბჭის დაბადების დღისთვის ბავშვების გასართობად დაიქირავეს. ოჰ, ეს საქმე სრულებით არაა ადვილი, ალბათ დამერწმუნებით! და მესამე, ალექსი მორიგ უზირო ხუმრობას ამზადებს ელისთვის! ყველა დაგეგმილი ხუმრობა უფერგოლია, უხეიროა, ანუ ხუმრობდა უნდა იყოს ცინცხალი და სპონტანური, ეს იმას ნიშნავს რომ ბერი არ უნდა იფიქრო, თორემ... მაგრამ იცით, რა მოხდა? სპაიდერმენის შემოსვლა ელისაც არ გამოპარავია, თანაც გარეთ აფეთქების გამაყრუებელი ხმა გაისმა. სპაიდერმენმა – Fuck you doctor Octopus!!-ო – და წარმოუდგენელი სისწრაფით მოწყდა ადგილს.... ელის ცოტათი შეეშინდა, ალექსმა კი დროებით გოგოს როლი შეითავსა, ელის ხელი თავის უზარმაზარ თათში მოაქცია და წუ გეშინიაო, ისე დაამაჯერებლად და მშვიდად უთხრა, ელის სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა ტანში.

*

ირყვოდა, თავს ძალიან სუსტად გრძნობდა – თითქოს მისი სხეული ჰაერში იფანტებოდა, უმცირეს ნაწილებად იშლებოდა და ასე უერთდებოდა ქარის სტრქიას. ის უღანწმუნო გაცინდა, სადაც არაფერი იყო ოქროსფერი ქვიშის გარდა. ვერ ხედებოდა, საიდან მოხვდა აქ. უცებ ქალწულს მოჰკრა თვალი, რომელიც შროშანს მკვებდა და პირდაპირ მის თვალწინ ქვისგან დაიბანდა. ალექსი შესუბუქად აღგზნო, სურდა უდაბნოს ქალღმერთს შეეყვარებოდა, რომელიც მცხუნვარე ქვიშის ქარბორბალში იყო სულ შიმშველი, თითქმის უხორცი. ის ქალღმერთი იყო, თუმიცა ამას გარეგნობის მიხედვით ვერ იტყვიდი. საშუალო ხნის ყოველდღიურებით დაღლილი დიასახლისის გამომეტყველება ჰქონდა, განსაკუთრებული და ძალზე უცნაური ამ ჩვენებაში მხოლოდ ის იყო, რომ ქვიშის მტვერი ქალს თითქოს ეფერებოდა და აწყაფიერებდა... საკნის

შუაგულისკენ ხელის ცეცებით და ფორთხით მიიკვლევდა ალექსი გზას და ამ ფორს გაიგონა ბაზის 54-ე კანტატის დასაწყისი. ისევე მუსიკა დაიზარკვია მორიგი უცნაური ჩვენებისაგან, თორემ პირდაპირ უფსკრულში გადაეშვებოდა. ალექსის ხელი უცებ სიცარიელეს წაუპოტინა, ეგონა ავტორი ფილიტით მოპირკეთებულ იატაკი უსწარსლოდ გაგრძელდებოდა, მაგრამ არა... აღმოჩნდა, რომ ფილტვს შორის სიცარიელეა, დიდი სიცარიელე, უზარმაზარი ნაწარლი. იქვე ავტორის ნატეხი იპოვა და ორმოცი ჩაადგო, დიდხანს ვერ გაიგონა დაცემის ხმა... დაახლოებით ნახევარი წუთის შემდეგ კი ყრუდ მოესმა წყლის ჩხრალი. ესე იგი აქ ჰქა – გაიფიქრა... Widerstehe doch der Sünde!! აღექსმა იფიქრა, რომ უდაბნოს ქალღმერთი რაღაცეთი ელის გავდა... უბრალოდ კი არ გავდა, ნამდვილად ის იყო. ოღონდ ვერაფერი მიხვდა, როგორ მოასწრო ელიმ სულ მცირე ხანში ასე დაბეჭება.

*

შვიდი საათი იყო, ელი სახლში რომ გააცოლა. დამშვიდობებისას ტუჩებში აკოცა. ეს სრულებით საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მათ შორის ყველაფერი დამთავრებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი იმდენად სიყვარულად და მთელი უფრო ახლა. ელიმ თავი დახარა და სიტყვა არ უთქვამს, ისე გაშროდა ალექსს. იქნებ იმედი ჰქონდა, რომ ელი თანაუგრძნობდა. დრო აღარ ჰქონდა მასთან ხანგრძლივი ურთიერთობისთვის და ეს ბოლო მცდელობა იყო, როგორმე მისი გული მოენადირებინა. გაუბედვრად აკოცა. თითქოს თავიდანვე შეგუებული იყო იმას, რომ არაფერი გამოუვიდოდა, რომ მისი გრძნობა უპასუხოდ დარჩებოდა. ელი ამგვარი ქარტეზ-ულისთვის მზად არ აღმოჩნდა. რაც ელის არის. სხვა რას უნდა ელოდო, როცა მას და შენს შორის მშრალი, აუტანელი ტექსტები დგანან...

ახლა თქვით საათი დადგება, სიციფის საათი. გადაწყვიტა ხატისთვის დაერეკა. ხატია – ელის სრული ანტიპოდი. ის იყო როგორც ჯაზური იმპროვიზაცია, როგორც დაუსრულებელი წინადადება ყოველგვარი ნერტილის, ყოველგვარი მიძიმის გარეშე, სპონტანური, ცოცხალი, როგორც კერუაჯის დაუნორიფტინგი, ის იყო ამფიტრიონი გოეთეს ფაუსტიდან, ოღონდ ამფიტრიონის გვარად ღრუბლებზე კი არ ფრენდა, არამედ თბილისის ქუჩებში „დატასაობდა“ და დახვეული ჯინსები ეცვა, თმები მკვეთრი შავი ფერის საღებავით ჰქონდა შეღებული, ხოლო ჭიპზე პირსინგი გაეკეთებინა, და ეს ალექსში ტელეგრაფის მომაბეზრებელი, ტყუილადგადაწყვანი სიგნალებივით ერთსა და იმავე სურვილს

აღძრავდა - რომ მისი ბერძნული ქანდაკებასავით უნაკლო მუცელი და ჭიპზე დამაგრებული პირსინგი ერთი აელოკა.

ხატიაც, ელისი არ იყოს, მაშინვე დათანხმდა პაემანზე და ერთი საათის მერე თავის მეგობართან ერთად მივიდა დათქმულ ადგილას თავისუფლების მოედანზე. დღეს რაღაც სხვანაირი ხარო, უთხრა ალექსს და თავის მეგობარს მიეხუტა. ალექსს თავიდან გადაწყვეტილი ჰქონდა ყველაფერი მოეყოლა ხატისასთვის, ანუ გაემხილა, რომ სიკვდილს ელოდებოდა, მაგრამ გადაფიქრა. ეგონა, მარტო მოვიდოდა და ცოტა ნაწყენი იყო. ხატის მეგობარს აკო ერქვა, ალექსს ის ადრე არასდროს უნახავს. გრძელი თმა, გაუპარსავი, ხშირი წვერი და გადაბმული ნარბები ჰქონდა. გაცნობისას უთხრა, მსატვარი ვარო. რატომღაც მაშინვე პაულ კლევეზ ჩაოხავდო სიტყვა. ალექსს არაფერი სმენოდა ამ მსატვარზე. აკო ამბობდა, რომ კლესს Angelus nos უბრუნდა ან მსატვარზე. აკო ამბობდა, რომ კლესს Angelus nos უბრუნდა ამ მსატვარზე, რომ ის გენიალურია. ალექსს გაუჩნდა განცდა, რომ აკოს ამ ორი სიტყვის გარდა კლევეზე აღარაფრის თქმა შეეძლო. მართლაც, მან უცებ რადიკალურად შეცვალა სალაპარაკო თემა - აფთიაქიდან ბუერი თავის ტკივილის ნამალი გამოვიტანო, მაგრამ ვიკაიფებთო. *ღმერთმანი, საინტერესო გადადგალა.* ნამალი ჯიბიდან ამოიღო და ხელში შეათამაშა.

ხატია მ ერთი დახედა აბებს და მასაც, აკოს არ იყოს, თვალში გაუბრწყინდა, რა ყოჩაღი ბიჭი ხარო. ალექსს ამისი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ მისთვის ახლა ესეც სულ ერთი იყო, საათზე დაიხედა - ზუსტად სამსაათნახევარი ქონდა დარჩენილი. ხატია მ ჯერ აკოს აკად ტურებში, მერე ალექსს. იგი, განითლდა, აკოს არაფერი გამოუმჯღავნებია. ეტყობა მისთვის ხატის ამგვარი გამოხდომა ჩვეულებრივი ამბავი იყო. და მინც საით წავიციყვანს კერუაქის დაუწმრიფთინგი? სწორედ ესაა ხიბლი, რომ ზუსტად არასდროს იცი, საით. ლუდის ორი მოზრდილი ბოთლი და იაფფასიანი არაყი იყიდეს და იქვე ერთ-ერთი ქუჩის (ალექსმა არ იცოდა ქუჩის სახელი) ბნელ ჩიხში განმარტოვდნენ. მოუთმენლობა დაეტყო, ჩქარა გამოცალა ლუდის ერთჯერადი ჭიქა, მერე არაყი დალია, ლუდი დაისხა ისევ და ორიოდ ყელუმი დააყოლა. ხატია მ, სად ექარებო. მან მხოლოდ თავი გააქანა და ტელევიზიის ანძის ჩაფიქრებულმა გახედა. რა თავს იფასებ? მიპასუხე ხატია მ გაიღიმა. დროზე დავლიოთ რაცაა. აკოსთვის ამის თქმა არ იყო საჭირო, უკვე აბებს ანანილებდა. ასე თქვა,

თქვენ ოთხ-ოთხი გეყოფათო, თან დღეულები გაქვთ და მეტა არ შეიძლებო. თავისთვის აფი აბი გადაწყო. მინც სად ნახულებდა - ხატია ასეთ ბომებს? აკომ დალია და მაშინვე ომორე დაიწყო ლაპარაკი, ასე ამბობდა, ადამიანთა შორის ურთიერთობები ჩემი პროფესიაა. მას ჯონ ლენონივით მოგვალწარჩიანი სათავალები ეკეთა. ამბობდა, რომ ელესდე და ომო ერთად ექსტაზის მწვერვალს განაცდევინებდა და ლეთიური გამოცხადების ტოლფასი იყო მისთვის. აკო აბსტრაქტულ ნახატებს ხატავდა და იძახდა, რომ ელესდემიღებულს შესწევდა უნარი სამყაროს შექმნის პირველი დღის ფერთა გამა დენახა. ჩემს ნახატებში ქაოსი და უშაღლესი წესრიგი ერთად არიო, აი ეს რომ თქვა, ხატისა გაღიწია, ალექსს შეხედა და თვლი ჩაუკრა. მაგ ჩანათა საღებავები ხომ არ გინწყიაო - იკითხა ალექსმა ისე, რომ არც შეუხედავს აკოსთვის. მან უპასუხა, მხოლოდ ნითელი და შავი ფერი, ბრატ. ძაან კარგი, რომამრდე აბა ერთი ჩემი ნილი. ალექსმა ოთხივე აბი დალია. იცი რა ვქნათ? მოდი ძველი თბილისი მოვხატო. პაპარა პაუზა. ომოს ეს არ მოეწონებოდა. ხო, შეიძლება, მაგრამ დამიჯერე, ჩვენ ძალიან მოგვეწონება, სამივეს. ხატია ბუნებით ავანტიურისტი იყო. საკმარისი იყო მისთვის რამე სარისკო შეგეთავაზებინათ და მყისვე თანხმობას მიიღებოდა... აკოს ჩაებლაუჭა, აფე, წამოდიო. აკო ფეხმორთხმით იჯდა ასფალტზე, როგორც ბუდისტები ბერი მედიტაციისას. მისი ნირვანად გადაწყვანა არც ისე ადვილი ჩანდა. ეს ომოს არ მოეწონება - ბუტბუტებდა გაუჩერებლად. ხატია აკოს ჩანთას დასწვდა და შიგ დაიწყო ქექვა. ნითელი და შავი. საღებავის ორი მოზრდილი ქილა. მოდი ეს აქ დავტოვოთ და ჩვენ წავიდეთ, ვერ ხედავ, მინც სხვაგანაა უკვე. *მართალი ხარ, დრო არ ითმენს, უნდა წავიდეთ.*

შედა, მაგრამ მთელი ეს ვიტალიკა ჩემი კონტრეივი ძალისხმევით კონკრეტულად პროცესების პარალელურად მიმდინარეობს, დასაშუალებული თემების, ამ თემების პოეტური ანალიზის თანდათანობითი ამონურების, უბრალოდ, ჩემი ადრეინფანტილური შესაძლებლობის თანდათანობითი დაშრეტის პარალელურად, და არანაირი სურვილი არ მიჩნდება - ვარკოი, რომელი რომელს განაპირდება. რომ გამიჩნდეს ასეთი სურვილი, ეს, ალბათ, მხოლოდ ამ სურვილის „გათამაშების“, მის ანატომიაში გარკვევის სურვილი იქნება, რაც აამუშავებს ჩემს ხელთ არსებულ ყველა კულტურულ შესაძლებლობას. ასე რომ, მთლიანობა ჩემი პოეტური ავტონომიის ერთ-ერთი მთავარი პირობაა, იმ ავტონომიის ნაყოფიერი ურთიერთობის პირობაც არის, რომლებთან დიალოგის ექოც ხშირად „გაისმის“ ჩემს ტექსტებში. და აქ უკვე ჩემთვის მნიშვნელოვან არა აქვს მათ ასაკს, მათ დროს, სიძველე-სიახლეს. ჩემთვის ისინი, ყველანი, თანამედროვენი არიან. თანამედროვენი არა სიმბოლურად და კულტურულად, არამედ - რეალურად. პოეზიაში სიმბოლური და, იქვე, პირობითი მნიშვნელობა სწორედ „წარსულის“, „გარდასულის“, „ადრეულის“ კატეგორიებს ენიჭება. ეს ასპექტი მთი უფრო გასათვალისწინებელია, რომ საქმე ეტება ეპიკურ ლექსს, ეპიკას. თუ დიდესმე გამართლდა ჩემი უსირცხვილო ვარაუდი, რომ „შეჯავების უარყოფა“ ყველა თვალსაზრისით მინუსეტიბა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში (ჩემი მოშურნეების დასასმევიდებლად სიტყვა: დღესდღეობით ჩემთვისაც უცნობი ჩემი სამომავლო „გამოცემობები“, უფრო თავხედურად, ვიდრე სადღეისოა, ამ ვარაუდის გამართლებას დიდ დაბრკოლებას შეუქმნის), მაშინ ისიც და-უსუსტდება, რომ ამ საუკუნის ქართულ პოეზიაში ბოლო სიმაღლე, დამაკვირვებელი კრებული ეპიკური ლექსების კრებული იყო. რა თქმა უნდა, ჩემი ლექსები ლირიკული ტექსტები არაა, ესაა ეპიკა, უკეთ, პოეტური ეპიკა. არ ვიცი, ჩემი შემოქმედებითი ენერგია რა გზებით განაგრძობს მოძრაობას, მაგრამ მე ვაფიქსირებ საუკუნის მიწურულის ჩემს პოეტურ შემოქმედებაში მომუშავე მექანიზმს, ის კი ეპიკური მექანიზმია. მკითხველი არ უნდა შეაცდინოს ზოგიერთი ლექსის ლირიკულმა ფორმამ, ვინაიდან ეს ლექსები მხოლოდ იმ მთლიანობის ნაწილია, რომელსაც „შეჯავების უარყოფა“ ჰქვია. კრებულისთვის არასალესო სახელონდება მანამდე არასდროს დამორცხვია; ამხვევად გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო არ მხოლოდ კრებულის კონტექსტუალური თუ საბო-ნარსო სპეციფიკიდან გამომდინარე, არამედ - ფორმალურის გათვალისწინებითაც. სწორედ ჩემი ხედვაა ეპიკური (თვისობრივი და არა ხარისხობრივი გაგებით), რომელიც ეპიკური მხატვრუ-



ლი ხერხებითვე ხორციელდება. აქედანაა ისიც, რომ თითოეული ლექსი ამ კრებულში ეპიკური მთლიანობა და არა ლირიკული.

– რაც ლირიკული პოემის ფანი არსებობს, ალბათ, არც ეპიკური ლექსი უნდა უეკირდეს ვინმეს.

– ოღონდ, ერთი მნიშვნელოვანი, უფროსი და ზეუფროსი თაობების ლიტერატორათათვის ძნელად გასაგები განსხვავებით: ეპიკური ლექსი ფანი არ არის, ის სუნთქვის ფორმა და თუ ამის დამტკიცებას მომთხოვ, თავაზიან უარს მიიღებ. სხვათაშორის, ბოლო დროს შეგნებულად ვცდილობ მტკიცება-დასაბუთებისაგან თავის შეკავებას, ამ უპიანური საქმიანობისგან განზუ დგომას. ხოლო, თუ მაინც ეხდები იძულებული რამე ვამტკიცე, მოვუხიბო არგუმენტებს, მოტე-ვაციებს, მე ეს ჩემი აზროვნების, ჩემი ყოფნის ძლიერ მხარედ არ მიმაჩნია, ნაკულლობად და ნაკლებობად ვთვლი, მეტაფორის ნაკლებობად. მსჯელობის, განაზრების უმაღლესი ფორმა, უკეთ, გულისმიერი და გონებისმიერი ქმედების უმაღლესი (გნებავს, დასკვნითი) ფორმა ჩემთ-ვის პოეტური მეტყველებაა, პოეტური ტროპი (ვთქვათ, ლექსი-ტროპი; ლექსის რომელიმე მო-ნაკვეთი, როგორც ტროპი; ფიქრი, როგორც ტროპი; ყოფითი არსებობის ტროპული შესაძლე-ბლობები და ა.შ.) თავის თავში მოხვედრის და ლოგიკური არგუმენტაციების მთელი სისავ-ის შემცველია. მე იმას არ ვამბობ, რომ ლოგი-კური მსჯელობის, ექსპლიკაციის, დედეუქცი-ური ან ინდედეუქციური ფაქტის როლს ამ ტროპი ასრულებს. მე ვამბობ, რომ ტროპი მოიცავს ამ ყველაფერს; ტროპი აუქმებს ყველა სხვა აზრო-ბრიერ ოპერაციას, როგორც ფუნქციონალური მიზნის (საშუალებებით მოპოვებადი ავტონომიის) ავტონომიურობას. სამეცნიერო ლოგიკა ყოფით აუცილებლობების, ყოფითი პრობლემების გა-მამართლებელი ინსტრუმენტია, მისი აუცილე-ბლობაც ცვალებადი ნსარგის მოთხოვნილე-ბების ემორჩილება. პოეზია, როგორც რეალობის უმაღლესი ფორმა, როგორც მატერიალური და ისტორიული ყოფის პირობა, ყოველთვის ერთო-ბა, თამაშობს ლოგიკა, რაც ლოგიკასთან მისი ურთიერთობის საუკეთესო წესია, ერთდროულად ლოგიკური „სერიოზულობის“ სერიოზულობის დამფასებელიც და ცვალებადი კონტექსტების შესაბამისად ცვალებადი მისი „არსის“ ანუ ძა-ლაუფლებების ნებათა ხელში მისი დანიშნულებების (როგორც არასრული არსებობის შედეგების) გამგებიც და მიმსაძიმრებელიც. იმავდროულად, ყველაფერში საკუთარი თავის ამომცნობი და, ამიტომ, მოლიმარა.

– შენ ეირთხლ თქვი, რომ თვალთმაქცო-ბა რაიმე ენის სასარგებლოდ საკითხის დას-

მასაც გულისხმობს. უფრო მეტიც: რომ ყოველთვის მალავს ამ მცდელობას. და რომ შენ საკითხის დასმის სასარგებლოდ ქაქე-იოხის დასაპ მოინდომე, რამაც განაპირობა კიდევ ქმნიქს ქმნიქს პოეტური კრებულის სახელწოდება: „საკითხის დასმა“. ვიცი, რომ იყო სხვა ასპექტიც: მაშინ შენ უკვე გალიზიანებდა პოეტური და ფილოსოფიური ტექსტების გათყვანება მომხმარებლური, არ-ამოქმედებითი მიზნებით, მათით სარგებლობა არამოქმედ-დებითობის გასამართლებლად, კონფორმისტული სპეკულაციების სანარმოებლად.

– მართალია. მერე და მერე კიდევ უფრო სპეკტიკური გავხვი კომენტარებისადმი, პირდაპირი განმარტებებისადმი. ჩემი აზრით, მხატვრული და ფილოსოფიური ტექსტები, მათთან კონტაქტის უმაღლეს საფეხველს, მკითხველს ერთადერთი ქმე-დობისკენ უბიძგებენ: შემოქმედებისკენ. სხვა, ყველაფერი, უფრო დაბალი საფეხურია. არ მესმის, რას ნიშნავს გოეთეზე მუშაობა, პეგელზე მუშაობა, ფუკუზე მუშაობა, გარდა ვინოსსციცია-ლური, ისტორიულ-ფილოლოგიური სამუშაოებისა. უბრალოდ, არსებობს იმ სტრუქტურებისა და ინსტიტუტების შენარჩუნება-გენერირების დიდი ტრადიცია, რომლებსაც დიდი მწერლები და ფილოსოფოსები ყოველთვის ოსტატურად გაურბოდნენ და უპი-ნისპირდებოდნენ.

– და, მიუხედავად ამისა, კრებული სწორედ ერთ-ერთ მათ-განზე, თრაკის პოეზიაზე, დანერვილი შენი ესხეთი მთავრდება. ეს როგორ გავიგო?

– არა, ეს არა იმდენად თრაკის პოეზიაზე დანერვილი ეს-ტა, რამდენადაც – პოეზიის ბუნების ჩემიერ გაგებაზე. თრაკის მხოლოდ იმ ადგილად იქცა, სადაც წამოიგებთა შესატყვისად მოვხვდი და ესეს სახით სწორედ ეს აღინიშნა: თრაკის პოეზი-ის ველად მოხედრილობა, ვისაზურე საკუთარ თავზე, გამომეცია ჩემი ფიქრები პოეტური საქმიანობაზე. გერტრუდე სტაინის ერთი ლექციის ტექსტიც იმ ადგილად იქცა, სადაც უკვე თვით ამ ადგილს ვესაზურე, გავცანი ჩემი ზოგიერთი არსებითი მითოლოგიური თვალსაზრისი ერთის მხრივ ენისა და სიტყვის ურთიერთგანს-ვავებზე. და, ამ დროს, მსახიობის როლიც ვცხადე (ანუ, როლის როლი). არა რომელიმე პერსონაჟის, არამედ მსახიობ-პერსონაჟის როლი; ვცავე სტაინის მინაგანი სტლიოსთვის ჩემი სათქმელის ისე ჩვენება, რომ ეს სათქმელი, უკეთ, ეს მეტყველება, სტაინის მე-ტყველებით ნაყოფიერი, მერე მე თვითონ ნამეკითბა. ეს ახირება არ ყოფილა, მე გადაკვეთის იმ ნერტულებს ვეყვები, სადაც ურთი-ერთგაგების განხორციელება იქნებოდა შესაძლებელი. მე სტაინს ვესაზურე, გავცანი ჩემი მითოლოგია და, იმადროულად, ჩემს ენას და მითოლოგიას მათიგანი სტაინის შეხედულებები, რომ-ლებიც აბსოლუტურად დავიპირისპირე, რათა უკეთ გასაგები ყო-ფილიყო ისინი ჩემი სათქმელისთვის. მე ხომ სწორედ ამით ვეცე პატივი, გამოვხატე მადლიერება იმ ადგილის მიმართ, სადაც შევიმოქმედე კონკრეტული ფორმა. აბა, ამ რა ვიცი, ვინ არიან გეორგ თრაკალი და გერტრუდე სტაინი. უბრალოდ, მე შემეძლო მათი მოსმენა მხოლოდ ჩემი სათქმელიდან, მეტიც, ჩემი მეტყვე-ლებიდან გამომდინარე, ჩემი რიტორიკის ბაზაზე. იმის თქმა მინდა, რომ მაინც და მაინც მაშინ მომეცა მათი მოსმენის შესაძლებლო-ბა, როცა მე თვითონ ვმეტყველებდი, როცა სათქმელი მქონდა, როცა ჩემი პროცესი იყო. როგორ ვინდა, ამ დროს, შენც იმპორტ და სხვასაც მოუსმინო? არადა, ჩემს შემთხვევაში, ყოველთვის ასე



ხდება, სხვა გამოცდილება თითქმის არცაა მაქვს, ყველა შემთხვევა ამ ძირითადი შინაგანი სიტუაციის მოდიფიკაციაა. შეიძლება, ეს რაღაც უკუღმართობაა, მაგრამ ამას უკვე აღარავინ ეშვებოდა, ასე ვარსებობს. არ რატომ უნდა ეშვებოდეს, არა? ვიღაცას, ალბათ, სულ სხვა, ამის საპირისპირო, გამოცდილება და ცხოვრება აქვს, ვიღაცას კიდევ – სულ სხვა. მაშინაც, როცა ვთარგმნი, ეს ხდება, მეტი არაფერი. მე ხომ მთავრდებოდა არა ვარ; უბრალოდ, ენასთან ურთიერთობის ამ ფორმაცა ვინარჩუნებ, სიტყვისკენ სწრაფვის ამ განზომილებაშიც ვმძირობ...
 29-30.06.1999. (1) მეტაფორის, როგორც

დამოუკიდებელი და სხვა ინტოლოგიური ტექსტისი განსაზღვრულ ამ თუ იმ მსგავსებაზე მღე არარედუციურებად ენობრივი ხდომილების პრობლემას მეტაფორის თეორიაში ან არ განიხილავან ან განიხილავან სხვა მხატვრულ ხერხებთან ან რეფერენტის საკითხთან მისი მიმართების ფონზე. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ცნობილ გამოცდილებებში პოეტური მეტაფორის ინტოლოგიური სტატუსის და არარედუციურებად ენობრივი რეალობის საკითხის პრინციპული დაყენება არ ხდება. განსაკუთრებით გავრცელებულია, ასე თქვათ, „ობიექტივისტური“ ანალიზი – როცა მეტაფორა განიხილება იმ რეალობად, რომელიც არა მხოლოდ ენობრივი წარმონაქმნია, არამედ წარმოადგენს სხვა, ინსტიტუციონალური ან კონვენციური ენობრივი ფორმების და ენობრივი ლექსიკური ფონდის ბაზაზე გამართულ-კომპინირებულ რეალობას. ანალიზის ამ წესის მიხედვით, მაგალითი „რიჩარდი ლომია“ თავის ბაზისურ „პირდაპირი მნიშვნელობად“ გულისხმობს მნიშვნელობას: „რიჩარდი ლომიძე ძვირილი“ (ბუკვალური მნიშვნელობის ტრანსლიტერაცია) ან მნიშვნელობას: „რიჩარდი ლომს ჰვავს“ (შეადარებითი თვალსაზრისი) და ამ მეტაფორის გასატყობად აუცილებელია მისი განმარტება ანუ დაყვანა პირდაპირი მნიშვნელობაზე. განურჩევლად ერთადერთი მნიშვნელობის რწმენისა თუ ურწმუნობისა, მარედუციურების ანალიზი შენარჩუნებულია. შესაძლებელია თუ არა, აღნიშნული გზით, მეტაფორის გაგება, ან თუნდაც შემეცნება? იქნებ, ეს მხოლოდ მეტაფორის სინტაქსური და სემანტიკური გენეზისის რეკონსტრუქციის გზაა და არა უმეტესი? გულისხმობს თუ არა ეს გზა მეტაფორის დამოუკიდებელი, ავტონომიური მნიშვნელობის წევრობას? საერთო დიდ, ნიშნავს თუ არა მეტაფორის ნაკითხვა მის დემოფირებისა ზუსტ მნიშვნელობად, ე.წ. რეალური საზრონის (თუნდაც საკარაუდოს) რეკონსტრუირება? მეტაფორის მეორეადობის რწმენაზე დაყრდნობით, მკითხველს, ბუნებრივია, შეუძლია მსგავსი ოპერაციის ჩატარება და იმ „რეალური“ მნიშვნელობის აღდგენა, რომელიც, მისი აზრით, მეტაფორირებულია. ალბათ, ნაკითხვის ეს პრაქტიკა მიზანშეწონილიც არის ტექსტულ გარკვეული კატეგორიის მიმართ (რომ არაფერი თქვათ სამეცნიერო სამუშაოებზე, საკომუნიკაციო დაკომუნიკაციებზე და ა. შ.), მაგრამ ნაკითხვის ნებისმიერ პრაქტიკას განაპირობებს არა ნასაკითხი ობიექტის „დადგენილი“ სტრუქტურა, არამედ – ნასაკითხვლის კულტურული ტრადიცია და დიაპაზონი, ნაკითხვის მექანიზმი და ტექნიკოლოგია. რეკონსტრუირება-დემოფირება ეკ ნაკითხვის ერთადერთი წესი არაა (იოლად შეიძლება ნაკითხვის ასეთი წესის

12.05.1999. უკვე „ლოგიკის მონატრებიდან“ მოყოლებული, ჩემს შემოქმედებაში მხატვრული ტროპი არ წარმოადგენს მკითხველზე (უპირველესად, საკუთარ თავზე, როგორც ამ პოეზიის მკითხველზე და მესაიდუმლოზე) ემოციურ-ენსაქციული ზემოქმედების ხერხს, მისი წარმოსახვის ექსპანსიის ფორმას (თუმცა, ამ ფუნქციას ითვისებს, როგორც არაწამათვის). ის არის ზუსტი ინფორმაციის მიწოდების სისტემა, საკმაოდ სტაბილური ნსერიოტი. როცა ტროპი მუშაობს, მე დარწმუნებული ვარ, რომ მისი ფუნქციონალური მექანიზმი ზუსტად ისეთივეა, როგორც – საეჭიბო რეკომენდაციის თუ საზმადრო ინსტრუქციის, კომერციული გარიგების დოკუმენტირების თუ საბარალდებო დასკვნის. ის არის არა ნორმატიული საკომუნიკაციო ფუნქციებიდან გადახვევის თავისუფლება ან მსგავსი თავისუფლების ეს თუ ის ხარისხი, არამედ – ავტონომიური სისტემა, თავისი შინაგანი თავისუფლებით, და აღნიშნულ სისტემაში ნორმატიულობა გულისხმობს ურიცხვი მოქმედი თუ შესაძლო ნორმის ერთადერთობის, განუყოფლობისა და შეუცვლელობის მიღების ერთადერთი ნორმად. ურიცხვი ასეთი ნორმის მთლიანობა, მთლიანობების მთლიანობა შეიძლება ეწოდოს საერთოდ პოეზიის სამყაროს, როდის სიმაღლის მიღმა დარჩენილ სისტემას საკომუნიკაციო ენობრივი სისტემა ჰქვია, და ეს უკანასკნელი სულაც არაა პოეტურ ენაზე მეტად უტილიტარული. ის, უბრალოდ, არემდგარი ან დაკინებული პოეტური ენაა. კონვინტურ-საკომუნიკაციო ენა დამოკიდებულია იმაზე, მიიღებს თუ არა მის შეთავაზებას კონტექსტი. პოეტური ენა, პოეზია, ლექსი ასეთ დამოკიდებულებებს არ ცნობს, მათგან თავისუფალია.

13.05.1999. ჩემს ლექსში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მეტაფორას, არამედ – მეტაფორის ადგილს. ამ ადგილს კი აფორმებს, ანერტივებს სალექსო ტრანალობისა და მეტაფორის ურთიერთმეხვედრა; მათი ურთიერთგადაკვეთის წერტილში იქმნება ტროპი, უკეთ, ტროპი ამ გადაკვეთის ნერტილში გაჩენილი მთლიანობაა. ლექსი კონსტაბლდება, როგორც სალექსო ტრანალობისა და ტროპული თანმიმდევრობის ურთიერთმეხვედრის სიტუაციური კომპინატორია (სადაც „სიტუაცია“ გულისხმობს სხვადასხვა დონის გამოცდილებათა შეხვედრა-შეჯახების შედეგად მომზადარ აფეთქებას). ამით ენიჭება სალექსო მთლიანობას საკუთარი, ერთადერთი და განუყოფელი ინტონაცია; მეორეც, იგი ამ ხმით მაუწყებს, თუ რა მიზნდდა მეთქვა, როცა მას ვქმნიდი. ლექსი, როგორც მეტაფორა, წარმოადგენს სიზუსტეს და ერთ-მნიშვნელოვნებას, რომელსაც მრავალმნიშვნელოვნება წარმოქმნის. და ეს ერთმნიშვნელოვნება იმდენია, რამდენიც – მკითხველი. თუნდაც – იმდენი, რამდენი მკითხველიც მე ვარ, ავტორი. იქ, სადაც მრავალმნიშვნელოვნებაა, ორპიროვნება გამოირიცხება.



წარმოდგენა, ვთქვით, ახალი მეტაფორის შექმნის აქტად, წაკითხვა-პერფორმანსად; შეიძლება, ასევე, მისი სერიოზული-ერთმნიშვნელოვნების პაროდოქსი იქნება ორმაგი ეფექტი: როცა შეიძლება ეს ერთმნიშვნელოვნება, თავის მხრივ, ერთმნიშვნელოვანი „წაკითხვა-დეშიფორმის“ და „რეკონსტრუქციის“ პაროდირებად იქცეს).

(2) როგორია ჩემი პოეტური გამოცდლება? რა ხდება, ამ თვალსაზრისით, ჩემს პოეზიაში? მაგალითად, „შუჯამების უარყოფაში“? ჩემი პოეტური მეტაფორები არ იშლებიან „ზუსტ“ რეალურ შემადგენლებად, რეალურ კონტაქტებად, ისინი მეორადნი არ არიან, - არათუ ერთმნიშვნელოვან პირველს არ მალავენ, არამედ საერთოდც არაფერს მალავენ. მკაცრი აზრით, არც არაფერს წარმოადგენენ გარდა სინტაქსური წესრიგისა, რომელიც პირველადი სემანტიკის შენახვისა და მუშაობის ფორმაა, და არც ეს სინტაქსი ფიქსირებული; ის ამ მეტაფორების მოძრაობის შესაძლებლობას იცვლება და ყოველთვის ხელახლა დგინდება (ზუსტად ისე, როგორც ყოველთვის ხელახლა დადგინდება ჩემთვისაც და ჩემი „შუჯამების უარყოფის“ სხვა მკითხველთათვისაც „კიდევ ერთი ლექსის“ ვინაობა). მეტაფორის, ტროპის, ლექსის, მხატვრული ტექსტის ავტონომიურობაც, ჩემს პოეტიაში, აღნიშნულ „პირველობას“ ეწყარება. სიზუსტეშიც, სემანტიკური აზრით, ამას ვგულისხმობ: მეტაფორის სიზუსტე გამოირჩევა ამ სიზუსტის „რეალური“ ეკვივალენტის გამონახვას „ობიექტურ“ სინამდვილეში. ჩემთვის წარმოდგენილია სიზუსტის დაყვანა სხვა - თუნდაც არანაკლები სიზუსტით გამორჩეულ - სიზუსტეშიც.

(3.1) „რა გინდობდა გეთქვა ამ ლექსით? ამ მეტაფორით?“ „რაც ამ ლექსით, ამ მეტაფორით მიმდობა მეთქვა, მხოლოდ ეს ლექსია, ეს მეტაფორაა. ჩემს მიერ მისი განმარტების მცდელობა მხოლოდ ახალი შინაარსის გამოთქმა იქნება და არა - იმის გამოთქმა, თუ რა მიმდობა მეთქვა ამ ლექსით, და მეტაფორით. მაგრამ, ამის მიუხედავად, მზად ვარ იმაზე სასაუბროდ, თუ რა მიმდობა მეთქვა მათით, რათა თავად გავიგო, თუ რა მიმდობა მეთქვა მათით.“

(3.2) „რას იტყვიან ამ ლექსის შესახებ?“ „რაც ამ ლექსის შესახებ მიმდობა მეთქვა, უკვე ვთქვი ამ ლექსად; ხოლო რაც ამ ლექსის მიერ ითქვა, არის თვით ეს ლექსი. ჩემი სათქმელი ყოველთვის მომდევნოა. კონკრეტული მოცემულობის სახით ლექსის არსებობა ნიშნავს მის არსებობას იმ დავის სახით, სადაც ჩემი სათქმელი და ლექსის სათქმელი ერთმანეთს გადაკეცის. ეს ის ადგილია, სადაც აუცილებლად შეხვედრება, რათა მე და ჩემმა ლექსმა ერთმანეთი გავიჯნოთ. და გაცნობის ასეთი აქტი არ არის ერთგვარადი, მას ვერ-

მანეტული ხასიათი აქვს, ყოველი შეხვედრისას ხელახლა ხდება.“

(4) რას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ მეტაფორა დამლევივებული, არარედუციურებადი, განუმარტავი ღირსშესაქმელებად სტატუსის მქონე რეალობა? მეტაფორის გაგება, მისი რეალობის, მისი საინფორმაციო კოდის გაგება არ მოითხოვს მის რედუცირებას იმ რეალობაზე, რომელიც უკვე სხვაა მის მიმართ მას მერე, როცა მეტაფორა სახეზეა და თავისი თავიდან გამომინარეულ არსებობს. ანუ, როგორც, ერთის მხრივ, „რიჩარდი ლოშია“ და „რიჩარდი ლოშიით ძლიერია“ წარმოადგენენ სხვადასხვა ენობრივ რეალობებს და როგორც „რიჩარდის“ და „ლოშიას“ ცნებებიდან - გარკვეული გრამატიკულ-საფუნქციო ოპერაციის ჩაუტყობლად - ვერ მივიღებთ ახალ რეალობას ანუ მეტაფორის მატარებელ ერთობლივ კონსტრუქციას, ხოლო, მეორეს მხრივ, როგორც „რიჩარდი ლოშია“ არ დაიყვანება „რიჩარდამდე“ და „ლოშამდე“, ზუსტად ასევე, „პირდაპირ აზრამდე“ მეტაფორის რედუცირებით შესულზე შეიძლება მეტაფორის ონტოლოგიური დეგონარეობის გაგება. ანუ: მთლიანადაა ვაფარკვეით, რისი თქმა უნდოდა ავტორს (მაგალითად, ცოცხალი ავტორის დაკითხვით), მაგრამ ვერ გავიგებთ, რისი თქმა უნდოდა მეტაფორის თავისი თავის სახით (სახეზემყოფობით). მეტაფორას, როგორც ასეთს, თავისი სახრისი აქვს (არანაკლები მნიშვნელობით, თვითონვეა ეს სახრისი) და არ აინტერესებს იმ ენობრივი ხდომილების სახრისის როგორი, რომლის გამოხატავაც სცავდა ავტორმა.

(5) ჩემი აზრით, მიზანშეწონილია, დახასიათდეს მეტაფორის გააზრების, მისი აღქმის, მისი ექსისტენციალური გაგების და დანახვის, მასთან ურთიერთობის გარკვევის ორი ფუნქციონირებად: მიმხარებლური და შემოკეცვითი. პირველი ყოველთვის მეტაფორის რედუცირებაზე, კომენტირებაზე, პერიფრაზირებაზე, შედარებაზე, კონტრასტულ ექსპლიკაციაზეა ორიენტირებული (მისთვის ნიშნულია ისეთი სიტყვათაგანამდებებით ოპირირება, როგორც: „სიტყვის მეტაფორული გამოყენება“, „ზუსტი მნიშვნელობის ტრანსფორმაცია მეტაფორულ მნიშვნელობაზე“, „ზუსტი მნიშვნელობის გაფართოება მეტაფორაში“ და ა.შ.); ეთი სიტყვით, იგი მიზნად ისახავს მეტაფორის შემეცნებას, მის დაუფლებას „მხილების“ გზით. მეორე, შემოქმედებით ფორმა უარს ამბობს იდენტოფიკაციის ასეთ მცდელობებზე, ფსევდონოსტროპ ოპერაციებზე; და უპირატესობას ანიჭებს იმის გაგებას, თუ როგორ, რა წესით არსებობს მეტაფორა; ასეთი გაგება კი მიიღწევა მხოლოდ საკუთარი მეტაფორის შექმნის მცდელობით (თუნდაც, წარუმატებლად); მეტაფორის შექმნის გზით მიიღწევა საერთოდ მეტაფორული არსებობის წესის წვდომა. ეს ორი ფუნქციონირებად ფორმა გამოხატვის ყველა სფეროში თანაბრად ვლინდება, იქნება იგი მეტაფორის ნაკიხვა და დაფიქცება, სამეცნიერო ანალიზი თუ მხატვრული შემოქმედება (ეს აზრი ბანალურად არ უნდა იქნას აღქმული: თითქმის მეტაფორის შექმნას, ვთქვათ, ლექსის წერას, ვინმე სხვა მეტაფორის, სხვის მიერ დაწერილი ლექსის გაგების მიზნით იწყებს. არა, ეს ხდება თავისთავად, ისე, როგორც ბავშვი იდგამს ფეხს სულაც არა იმიტომ, რომ მთაზე ავიდეს; მაგრამ როცა მთაზე ავა, ის გავიგებთ, თუ რას ნიშნავს მთაზე ასვლი მიღებული სიამოვნება).

(6) მეტაფორაზე საუბრით, მისი ანალიზით, ინტერპრტირებით (რომელიც, დიდი ანგარიშით, ყოველთვის მეტაფორას და „პირდაპირ მნიშვნელობას“ შორის ურთიერთობებს ძიებაა და მეტი არაფერი), მისი რედუცირების სერიოზულობებით მიიღწე-

ნაკულობა და არა უმეტესი. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ თვითონ ვეძინო სხვა მეტაფორას, ჩვენ სიღრმედან, შვიდნადა ვიცი ყველა ჩვენამდე შექმნილი და ჩვენს მერე შესაქმნელი სხვა მეტაფორა (უპირველესად კი - სწორად ჩვენივე სხვა, ჩვენს მიერ შექმნილი სხვა; თითქოს, მისი მუცლიდან ვიშვით და, მოუხვდავად იმისა, არც ცნობიერად არ გვახსოვს მისი როგორცაა, ჩვენს სხეულს, აზროვნებას, სულს ახსოვს იგი, ექსტრაქციის შესაძლებლობის მიღმა: ამ ჩვენს გამოცდილებას ვერავის გაუზიარებთ მარედულირეგული ფორმებით; ჩვენი არაცნობიერი და სხეულიც კი ვერ მოუყვება ვინმეს ამ გამოცდილებას უდასხვარაგად; მაგრამ ჩვენს სულს და სხეულს ესმის ჩვენს მსგავსად შობილი სხვა არსების; მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს ვერაფერს მოუფთხობთ ჩვენ-ჩვენი გამოცდილების შესახებ, ამ გამოცდილებებმა ერთ-მანეთი იცინა).

(7.1) მეტაფორისა და მისი მნიშვნელობის ურთიერთმიმართების საკითხი არ არის აღმნიშვნელია და რეფერენტის ურთიერთმიმართების საკითხის ანალიზური (თუმცა, არაარსებითი მსგავსებების შენიშვნა შეიძლება). რეფერენტის არსებობა-არარსებობა საკითხი აღმნიშვნელის ონტოლოგიურ სტატუსს არ ეხება, თუმცა კი ამ მიმართულებით საკითხის აქტუალუბა გავლენას ახდენს პრობლემაზე. მეტაფორა, როგორც დამოუკიდებელი რეალობა (როგორც უკვე არსებული), არ დაიყვანება სხვა რიგის იმ რეალობაზე (ან რეალობების სიმრავლეზე), რომლის კომპონენტებიც მონაწილეობენ მის სახეზემოყოფობაში (ცალ-ცალკე აღებული „ხა“ და „რკინა“ „ხის რკინას“ ვერ აგვისნისი). მეტაფორას, როგორც კონკრეტულ ენობრივ, სინტაქსურ და სემანტიკურ მოცემულობას, ცხადია, გააჩნია თავისი კონკრეტური შინაარსი, მაგრამ მეტაფორა არ დაიყვანება ამ შინაარსამდე. პერიფრაზირება, ინტერპრეტირება და ანალიზი ახდენს არა მეტაფორის, არამედ დეილოგოგრაფ და „დეილოგოგრაფული“ ამ მეტაფორის შედეგად მიღებული კოგნიტური შინაარსის „დეკოდირებას“.

(7.2) შეიძლება ამ აზრის გამოთქმა სხვა ჭრილში: მეტაფორა პირველად ენობრივი რეალობა იმ გაგებითაც, რომ მასთან მკითხველის ურთიერთობა ნიშნავს არა ამ უკანასკნელის მიერ მეტაფორის დეკოდირებას და მისი უსუსტი მნიშვნელობის ამოკითხვას, არამედ - თავისი გამოცდილების სახეებში, კულტურულ-სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფილტრში მისი კოგნიტური შინაარსის გატარებას, ე. ი. შესაძლებელი შემცვენებით აქტის ჩატარებას. მართალია, დღეს აღარ უარყოფენ ერთ პირდაპირ მნიშვნელობამდე მეტაფორის დეკოდირების შეუძლებლობას, მაგრამ საკითხი უნდა დაისვას არა მეტაფორის, არამედ ენობრივი მოცემულობით გამოსახული მისი კოგნიტური შინაარსის ერთმნიშვნელოვანი დეკოდირების შეუძლებლობის შესახებ.

(7.3) ბარტისგან განსხვავებით, მე არ ვფიქრობ, რომ ტექსტი იმდენია, რამდენიც - მკითხველი. ტექსტის „სიმრავლეს“ დამატება მხოლოდ მეტაფორული მნიშვნელობით არის გამართლებული. ინტერპრეტაციების სიმრავლე ტექსტის კი არა, ამ ტექსტის კოგნიტურ შინაარსზეა სიმრავლეზე და, შესაბამისად, ინტერპრეტაციების სიმრავლეზე მითითებებს; მნიშვნელობების სიმრავლეზეც იგივე უნდა ითქვას: ისინი ტექსტის კი არა, თვით მნიშვნელობების სიმრავლეზე მითითებებს; ასე რომ, ტექსტის და ნაწარმოების ურთიერთგამოიყვანება არადასაჯერებელია.

(7.4) სინტაქმა ტექსტის „დეკოდირება“ და მასზე გაბატონება, მისი მართვა, მისით მანერირება მოიწოდება. ადამიანი ინტერ-

პრეტატორია თავისი ხვედრით, თვით ტექსტზეა ინტერპრეტაციის შედეგი და ახალი ინტერპრეტაცია. როცა ადამიანი სამყაროში შექმნიერის ინტერპრეტირებას ახდენს და მერე თავის ინტერპრეტაციასთან ურთიერთობას ამყარებს, ურთიერთობის დაწყებების ეს აქტივაც ინტერპრეტაციაა, რაც ამ ეტაპზე არ მთავრდება და ცხადია, ინტერპრეტაციის ახალ შრეებს წარმოიშობს.

(7.5) ერთი შეხედვით, ჩემი შეხედულებები ენათესავება დევიდსონის დაკვირვებებს, მაგრამ - მხოლოდ ერთი შეხედვით. მართალია, მისი აზრი, მეტაფორა აღნიშნავს მხოლოდ იმას, რასაც აღნიშნავს, მაგრამ დევიდსონი მეტაფორის ონტოლოგიური სტატუსის საკითხს არ სვამს, ის არკვევს მხოლოდ მხატვრულ ფორმებას (ფიგურებს) და შესაძლო რეფერენტებს შორის კავშირის სახეებს, იქვე კი - სემიოტიკური პრავმანტიკის მრავალ სინტაქსურ საკითხს. მეტაფორის გამოყენება იგი უნდა იყოს „ადვის გამოხატვას სხვა ხერხით“; ფორმალური ლოგიკის კატეგორიებზე დაყრდნობით, მეტაფორას ყალბ ნინადადეგად აცხადებს, რაც ითვალისწინებს პირველადი ჭეშმარიტი ნინადადეგების სამყაროს არსებობას (რომლებშიც სინამდვილე რეალიზდება). ის აღიარებს, რომ მეტაფორა რაღაცას აღნიშნავს, მაგრამ ეს „რაღაც“, მისი აზრით, არის ბუკვალური შინაარსი და ბუკვალური მნიშვნელობა. დევიდსონის მსჯელობის ნყობას განაპირობებს მისი ზოგადი ანალიტიკური პოზიცია, რომ მეტაფორა ნინადადეგაა, ოღონდ - სხვა სერიის. ამ ნანამდვარზე დაშენებული დევიდსონის დაკვირვებები. ნინადადეგის შესაძლო სიყალბეს ავტორი მეტაფორის სიყალბესთან აიგივებს. არადა, ბუკვალური ან არაბუკვალური შინაარსის გამოხატველია სწორედ ნინადადეგა და არა მეტაფორა. მეტაფორა არაფერს არ გამოხატავს. როცა დევიდსონი ამბობს, რომ მეტაფორის განსაკუთრებული თვალსაზრის შესაბამისი შედარების ბუკვალური მნიშვნელობის შესაბამისია, ის გულისხმობს არა მეტაფორის ონტოლოგიურ სტატუსს, არამედ - მის სინტაქსურ-სემანტიკურ მოცემულობას.

(8) მეტაფორის არსებობა არის ხმოვა. იგი უხმობს სხვა მეტაფორებს, მოუნდებს მათ გაჩენისკენ (როგორც დროში უკვე გაჩენილებს, ისე - დროში ჯერაც გასაჩენებს) და ასე არსებობს. მეტაფორა არ არის სიყალბე, ის არც მხოლოდ გრამატიკული რეალობაა. მას შეიძლება სხვა რეალობა ეწოდოს.

26.07.1999. „აქილევსის მორე ქუსლის“ თხრობის ხერხში, ნაწილობრივ, აისახა ჩემი რწმენა, რომ ძირითადი მორალური გამოცდილებები, რომლებიც ადამიანებს ერთმანეთის ფარულ



განზრახვებს მიახედვრებას, შეიძლება წარმატებით ახსნას არა მხოლოდ ვრცელი საკომპოზიციო ოპერაციებით, არამედ – უფრო მცირე, თითქმის მინიმალური ენობრივი ერთეულებით და მათი ლინგვისტური კომპონაციებით; ზოგჯერ – თითქმის არაფრისმიქმელი მინიშნებით. ეს გამოცდილებები, დიდი ხანია, ლინგვისტურ გამოცდილებებზე არის ცენტრული, რაც ნიშნავს ენის თვითფუნქციონირების მექანიზმის მუშაობას, მწერალს კი ისლად დარჩენია, ნდობა გამოუცხადოს ამ სისტემის მუშაობას და თავისი ძალები სხვა, უფრო მინიმალური ამოცანების გადაწყვეტას მიუძღვნას.

29.11.1999. ...პოეტური ტროპის გაჩენის მექანიზმების კვლევის შემოზღუდვა ლინგვისტური ანალიზით შეუძლებელია თუნდაც იმიტირ, რომ ნებისმიერი ანალიზი, რომელიც კვლევის საგნად პოეზიას აქცევს, ყოველთვის გადის ლინგვისტიკის, ლინგვისტური ლოგიკის, პოეტური ნარატოლოგიის თუ სხვა დარგების კომპეტენციადან. ამ საზღვრების დატოვება კი მეკლევარის ყოველთვის «ცუდ უსასრულობაში» გარდუვალი გადასროლით ემერება. მიზეზი მარტოა: პოეტური ტროპის მექანიზმის ახლის სტივლილი უძრავი მამოძრავებლის პრობლემაში კირკიტს ნიშნავს. ყველა შემთხვევაში, ტროპის ნებისმიერი დარგობრივი თუ ინტერდარგობრივი ანალიზი წარმოადგენს ფუნქციონირების და არა არსებობის საიდუმლოს ანალიზს. პოეტური სიტყვის ფუნქციონირების აღწერები (ანუ ინტერპრეტაციები) ციხაბეჭედი, მაგრამ იმის აღწერა, თუ სად და როგორ იბადება ან როგორ არსებობს პოეტური სიტყვა – შეუძლებელი. ყველა «შეუძლებელი» ანალიზი, სწორი თვითიდენტიფიკაციის შემთხვევაში, საკუთარ თავს აცნობიერებს, როგორც მეტაფორულ, პოეტურ ანალიზს» და არა როგორც მეცნიერულ ახსნას...

...საერთოდ, ამა თუ იმ სატექსტო რეალობის იდენტიფიკირების საკითხი არა იმდენად თვითტექსტზე დამოკიდებული, რამდენადაც – იმ კულტურულ კონტექსტზე, რომელთანაც ურთიერთობა აქვს ავტორს. მეტიც, დამოკიდებულია თამაშის გარკვეულ ნესებზე და ამ ნესებთან ავტორის დამოკიდებულებაზე, ავტორის მიერ მათ მიღება-არმიღებაზე. წარმოედგინოთ სიტუაცია: სკრიპტორი წერს ნიგნს, მიაქვს გამოცემელთან და ეუბნება, რომ ეს არის მისი ახალი ნაშრომი ენათმეცნიერებაში. მერე იგივე ნიგნის მეორე გზემპლარი მიაქვს მეორე გამოცემელთან და ეუბნება, რომ ეს არის მისი ახალი პოემა. მესამე გზემპლარი მიაქვს მესამე გამოცემელთან და ეუბნება, რომ ეს არის მისი ახალი რომანი. მეოთხე გამოცემელს სთავაზობს ტექსტის მეოთხე

ვგემპლარს, როგორც მათემატიკურ ტრაქტატს. თითოეული გამოცემელი დამოუკიდებლად სცემს «ეროსა და იმევე ტექსტს», სინამდვილეში კი – ერთი და იგივე ავტორის ოთხ ნაშრომს, იმიტირ... რომ, ამ წარმოსახულ სიტუაციაში მიღებული თამაშის ნსეებით, ტექსტის იდენტიფიკირების საფუძველია ავტორის პირადი ნება-სურვილის მიხედვით ტექსტის კულტურულ-დარგობრივი ნომინაცია; ტექსტის «გასარკვევად» აუცილებელია არა ნერთი-შექმნის ფაქტობრიობა, არამედ – ნერთი-შექმნის მექანა ნომინაციის აქტი, რაც სკრიპტორს აქცევს ავტორად; სკრიპტორის არჩევანი, დაფუძნებული მის კულტურულ გამოცდილებაზე, ერთსა და იმავე სკრიპტს ანიჭებს ფუნქციონირების ოთხ ხსენებასა «უნარს». ის მას გზავნის ოთხ კულტურულ სისტემაში სამუშაოდ, ასე რომ, ნიგნის დასრულების მაუწყებელი ხდება ავტორის მიერ იმ დისციპლინების არჩევა, რომლებშიც «დაინერა» მისი თხზულება. შესაბამისად, თუ მეტიხეული, ამ ავტორის ლინგვისტური ნაშრომის გაცნობის მერე, იმავე ავტორის ბელეტრისტულად, პოეტურად და მათემატიკურად ნომინირებული «იგივე» ტექსტებით დაინტერესდება, მან ისინი უნდა ნაიკითხოს თითოეული ხელახლა და თითოეული იმ «სტატუსით», რომელიც მათ ავტორმა მინიჭა...

...ერთი სიტყვით, ტექსტის ფუნქციონირების მექანიზმს თამაშის მიღებული ნსეების როგორმაც განსაზღვრავს. მომდევნო ისტორიულ პერიოდებში ნსეების ცვალებადობა ცვლის ადრეულ ისტორიულ პერიოდებში შექმნილი ტექსტების ფუნქციონირების მექანიზმებსაც: ჩემი მიერ აღწერილი წარმოსახული სიტუაცია მხოლოდ ორივე ნაბიჯით უსრუბს წინ იმ ექსპერიმენტებს, რომლებიც, მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, დღემდე პერმანენტულად წარმოებს და რომელთა დაჩქარებაც მხოლოდ დროის საქმეა...

...დღესდღეობით ხელოვნების სატექსტო რეალობებსა და მეცნიერების სატექსტო რეალობებს შორის განსხვავება ფუნდამენტურია, რაც; ვე ვფიქრობ, არსებითად განსაზღვრავს ხელოვნების სტატუსს, მისი საზღვრების რეალობას. ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის ზღვრის ნაშლის წარუმატებელ პოსტმოდერნულ სტრატეგიებზე მნიშვნელოვანი იქნება ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის ზღვრის ნაშლის ტენდენცია, რომელიც, აღუბათ, არანაირ სტრატეგიულ და რეგულირებას არ გახდის საჭიროს, შუალედურ რგოლად კი ამ სიტუაციას, ვფიქრობ, მეცნიერებასა და ცხოვრებას შორის ზღვრის ნაშლის მონადინე სტრატეგიები მოეკლინება...

30.11.1999. ნებისმიერი სატექსტო (და არა მხოლოდ სატექსტო) საქმიანობა, ბოლოსდაბოლოს, საზრისის მიმიჭებელი საქმიანობაა. საკითხი, თუ რა ხარისხით მონაწილეობს საზრისი ანუ გაცნობიერებული ქმედება რამე ნამოქმედარში (ან მონაწილეობს თუ არა საერთოდ), სოციალკულტურული საკითხია და არა – მეტაფიზიკური. თუ ერთსა და იმავე კულტურულ სივრცეში, თამაშების ერთსა და იმავე სისტემაში მოუშუავე ორი ადამიანი ქონის ტიპოლოგოურად მსგავს ტექსტებს, რომელთაგან ერთი შეიძლება დაუტყირთავი ქმედება (მაგალითად, გრამატიკულად გამართული სიტყვების თანმიმდევრობა) მავანის მიერ ინტერპრეტირდეს მეტაფორად, საზრისით დატვირთული კი – უაზრობად, ეს ფაქტი არ ადასტურებს, რომ უაზრობას (თუმცადა, ვრამატიკულად გამართულს) საზრისი გააჩნია ან რომ ინტერპრეტაციამ საზრისის ინტერპრეტაცია აწარმოვა (უკეთ, არც აწარმოვა ფსევდოსაზრისის ინტერპრეტაცია). თუმცა, ეს არც იმას ამტკიცებს, რომ შინაარ-



სობრივად უაზრო მწკრივის შემქმნელმა საერთოდ არანაირი აზრი არ ჩადო თავის ქმედებაში: სულ მივრე, სამი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება: 1) მან ეს ჩაიბნინა იმის იმედად, რომ მკითხველი მოტყუვდება და თავად „აამუშავებდა“ წინადადებას; 2) ის არ ცდილობდა ვინმეს მოტყუებას, უბრალოდ, სწორედ უაზრო წინადადებით სცადა თავისი გარკვეული აზრის მაინფიცირება; 3) შეგნებულადა, საზრისის დისკრედიტაციის მიზნით, შექმნა ფსევდოსასაზრისო წინადადება... ეს ყველაფერი სოციალურ-სტრუქტურული საკითხების სფეროა. იმ განზომილებაში კი, რომელიც „ამუშავებს“ (მიგნინდად გარეთ და ზემოდან ქვემოთ) ადამიანურ ქმედებებს, ეს ყველაფერი ცნობილია. რაც შეეხება უსაზრისოს გამსაზრისიანებელი ინტერპრეტატორის შემთხვევას, აქაც შეგვიძლია რამდენიმე სახელდასახლო ალტერნატიული მიზნის მონიშვნა: 1) სწორედ ეს იყო მისი მიზანი, გარკვეული გარეგნობის საფუძველზე; 2) ასე მოიქცა თავისი რწმუნებდა გამომდინარე; 3) ასეთ ქმედებად უკანარადა თავისივე კონტრუქტურა და ესთაბლიკურმა დისკრედიტაციამ... და ა. შ. (მე-2 და მე-3 მიზეზებია და არა მიზნები?). მოკლედ, მან „საზრისი“ ანარმთავა, „საზრისი“, რომლის ფუნქციონირების პოლიტიკა და რეალობა ღირველდებათა სხვა სისტემით არის გაპრობებული. [საორლი: „როგორ არის შესაძლებელი, თქვა ერთი და გულისხმობდ მეორეს?“. მაგრამ: როგორ არის შესაძლებელი, თქვა უაზრობა და გულისხმობდ აზრს, ანუ, თქმულში კი არ იყო საზრისი, არამედ – თქმული ჩადენილ ქმედებაში, ე. ი. თქმაში? ეს ნებისმიერი ავანგარდული პრაქტიკის არსებითი საკითხია]. რა თქმა უნდა, წარმატებით შეიძლება, მაგალითად, გენერაციული გრამატიკის მეთოდებით პოეტური ტროპის (არა აქვს მნიშვნელობა, სემანტიკური ნორმების დარღვევად მივიჩნევთ ტროპს თუ არა) დაშლა ბირთვულ წინადადებად, დარღვევების ხასიათის ჩვენება (კატეგორიული, სუბკატეგორიული, სემანტიკური-საპროექციო და ა. შ.) და ამა თუ იმ მეტაფორის აგების პროცესის ვეტულური რეკონსტრუქცია, მაგრამ ასეთი ქმედება წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ როგორც გარკვეული – არატროპიდაული, არამეტაფორიდანული – ანალიზის შედეგი (საპირისპირო კატეგორიულ ბადეზე შეიძლება დარღვევად მივიჩნვიოთ გამართული საკომუნიკაციო რიტორიკა). ქმედების მიმართულება განაპირობებს თამაშის ნების არჩევა და გამოკვლეობის გარკვეულ ტრადიციულ „პრეზენტა“ [გადახვევა: როლან ბარტი ღია კარს ამტვრევს და, სხვათაშორის, თავის გვიანდელ ნაზრებსაც ეწინააღმდეგება, როცა რასინის შესახებ ნაპრობში ამტკიცებს, რომ კრიტიკის არსს წარმოადგენს არა წანარმოების იდუბალი შემპირების ამოსხნა, არამედ – წარსულის წანარმოებთა ენის დაფარვა ჩვენი ეპოქის ენით, ანუ – „ლოგიკურ შეზღუდვათა ფორმალური სისტემით, რომელიც ავტორმა შემუშავა თავისი ეპოქის მიხედვით“. მსგავსი საქმიანობა არც კრიტიკის არსს წარმოადგენს და არც – მიზანს. თვით კრიტიკა მსგავსი მიზნების განხორციელება. უკეთ, კრიტიკა, ძალიანაც რომ ეცადოს, იმაზე მეტს მაინც ვერ გააკეთებს, რომ „ლოგიკურ შეზღუდვათა ფორმალური სისტემით“ იმოქმედოს. სხვა საკითხია, რამდენად აცნობიერებს თავის ასეთ დასაზღვრულობას ნებისმიერი კრიტიკული ენა, რამდენად ეძუება ან არ ეძუება ასეთ ხედვას]. თვით ნებისმიერი, გარკვეული ფუნქციით აღჭურვილი საგნის ფუნქციონალურობაც ვერ „ამაგრებს“ საგანს, ვერ იცავს „რღვევისგან“ ველურსითვის, რომელმაც არ იცის გზათის „მოთავარი, ფუნქცია, გაზრთა შეიძლება სხვა „მოთავარი“ ფუნქცია შეიძინოს, რაც მხოლოდ აძლიერებს გაზრთის გაზე-

თობის პირობობობობა. ერთი სიტყვით, მცდარია თვალსაზრისი, თითქმის ნიშნების ფუნქციონირება და განუსაზღვრელი, გარკვეული ნების არმინი-ლები კომბინაცია შეიძლება მხოლოდ გრამატიკულ მნიშვნელობას ფლობდეს. საქმე ეხება არა განმარტების შეუზღუდავი პრივილეგიებით მოქმედ ნიშანს, როგორც მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობის მქონეს, არამედ – გარკვეულ ცენ-ზურას, რომელიც ანესტეს რეგლამენტს (არა აქვს მნიშვნელობა, კულტურის სხვადასხვა სისტემაში მსგავსი რეგლამენტი გავლობდა-შევიწროებდა-დობის რა ზომას და მოცულობას ფლობს). გარ-და ამისა, ერთმანეთთან კომბინირებენ არა მხოლოდ სხვადასხვა სისტემაში მოქმედ ნიშნები, არამედ – თვით ეს სისტემებიც, რასაც, პირველ რიგში, სწორედ დიაქრონიული ხასიათი აქვს. მე არ მექმეება, რომ ნებისმიერი სახის ენობრივი ნებისმიერი, რომელიც დღესდღეობით „არსებობს“ ან საპრობალოდ „გამოვლინდება“, მაღალი გემოვნე-ბით ან უგემოვნოდ შექმნილი მეტაფორებია, და საქმარისია მეტაფორებად მათი ნაკითხვა, რომ ისინი პოეტურ ტექნიკებად წარმოვიდგინო.

13.02.2000. ეს უკვე სულ სხვა ესთეტიკური პოლიტიკა, – იმ სიტყვების გადაძრწინი საქმი-ანობა, რომლებიც განსაზღვრავენ ნებისმიერი აბსტრაქციის ან აბსტრაქციებისგან შედგენილი მეტაფორების ავტორნიობას, ხოლო თვითონ განხე რჩებიან. ერთმანეთთან ამ სიტყვების არა დაკავ-შორების, არამედ მათი უკვემოხმდარი კავშირის განსნა-გათვალსაჩინობების პროცესი ეთხვევა მათთვისვე – ამ სიტყვებისთვის – აღნიშნული კავშირის ჩვენების ენებას. შესაძლოა, სწორედ ამ დროის იზადება ის სიზუსტე, რომელიც ჩემთვის, ავტორისთვის, მხოლოდ ინტუიციურად საგ-ნობობია, მაგრამ რომელიც, საპროლოოდ, ლექსის – როგორც უკვე მოხმდარი ერთადერთი შეს-ძლო რეალობის – აბსტრაქტური ფორმა და პერ-სპექტივაც არის. შეგრძნების დონეზე, ასეთი ლექსის განა უსასრულო სიღრმეში ვარდანს ემსგავსება, თავისუფალ ვარდანს, – როცა შენი ვარდანის სიმძიმე იმასსურებს, იკრებს მხოლოდ იმას, რაც შენს სხეულს სრულფასოვანი, შემწივი და, იმავდროულად, შენს მიღმა განსაზღვრული ტკობნისთვის სჭირდება. რაღაც ასეთს განვიც-დიდი, თითქმის ფიზიკურად, როცა „ნაცრისფერ ლექსს“ ვწერდი. მერე როგორც ეს განცდა, ისე მეტყველება მინდობ, უკეთ, დამიძალა და დიდ-ვარა, იქცა ერთგვარ სანთლის კრიალა ზედა-პირად, რომელზეც მოქმედებდნენ სიტყვები, ხოლო ამ სიტყვებს შორის მოხმდარი არაბებით ურთიერთობებს, რომლებიც სანთლის ვრცელ ზედაპირზე აღიოქმედებოდა, ჩემი თვლი ღამის ჩემგან დამოუკიდებლად სწავლობდა, კვლევის



შედეგებს კი იდვიდრამული ჩანანერების სახით ინახავდა. ერთი სიტყვით, ადგილი ჰქონდა ნდობის განსაკუთრებულ პროცესს, – მე ვეწოდობოდი ჩემი ინტიუიციის საქმიანობას; ლექსები კი არ ინერგებოდნენ, არამედ წარმოებდნენ ჩემი ინტიუიციის ავტომატურ სამუშაო რეჟიმზე დაყრდნობით, მე კი მხოლოდ წარმოების ამ პროცესის რაციონალიზაციას, ფორმებად ანუ ლექსებად მათ ჩამოყალიბებას ვხელმძღვანელობდი. ალბათ, ასეთი გამოცდილებით შექმნილი ლექსები იმრავლეს მომდევნო კრებულებში, რომლის შექმნის იმედი უკვე მაქვს (ყოველ შემთხვევაში, როცა „შეჯავების უარყოფა“ გამოვეცი, იმასაც ვერ წარმოვიდგინდი, ოდესმე ლექსს თუ დაგუნდდი. მეგონა, ყველა ჩემი შესაძლებლობა ამოვუნრე და ახლა მთლიანად, „უღდასკარგოდ“ ვიმუშავებდი პროზაში. მაგრამ, როგორც ჩანს, ასე არ მოხდა. და მიუხედავად იმისა, რომ დღეს უკვე, არსებითად, სწორედ პროზაზე და რამდენიმე სარომანო პროექტზე ვარ ორიენტირებული, პოეზიაშიც ინტიუიტირებ დეჟობაში. ამის მიზეზი ისიც არის, რომ ჩემი ახლანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, როცა ზღვა დრო მეზარაჯება და მეჩვენება სასურველ მინიმუმის მოსაპოვებლად, ვერც დიდ პროზაში გადაშვებას ვახერხებ, პატარა პროზაში ძაღლების ფლანგვასაც გაუორბივარ და იძულებული ვხდები, მხოლოდ სამომავლო რომანებზე ფიქრით და მრავალრიცხოვანი სარომანო ჩანანერით დაეკმაყოფილდე).

10.03.2000. მიჰყვე შენი სხეულის მოძრაობას და ინერგობდეს ლექსი, სიტყვების პოეტური თანმიმდევრობა ან, თუნდაც, უზრალოდ, სიტყვების თანმიმდევრობა, რომელიც იქნება არა შენი, ამ შენი სხეულის მოძრაობის ან მოძრაობის კვალის გამომატველი, არამედ – ამ შენი სასხეულო განლაგებების თანმიმდევრული მონაცვლეობის ანუ გადაადგილებების მუდმივი შენების იდვიდრამა. რააა, ყოველთვის ხელახლა, სიტყვების თანმიმდევრობა კი არ აისახოს, არამედ სიტყვებზე და შლომა სიტყვამ განახორცილოს თავისი თავი. მაგრამ როგორ? აი, ასე: ნივთებთან და ხდომილებებთან შეხებულნი მისი ნაწილობის – სიტყვების – გამოთლანებით ისევ ამ ერთ სიტყვად, ოღონდ უკვე – კონკრეტულ სიტყვად; თავის თავში კონკრეტული ნივთების და ხდომილებებით სასვე სამყაროს დატვისის, შეთვისების უნარის მქონე მთლიანობად, რომელიც შენს სხეულს შესაძლებლობას აძლევს – არ დაიშალოს ნაწილებად; იარსების, როგორც კონკრეტული მოძრაობების შემძლებელმა და სწორედ როგორც კონკრეტულმა. ეს კი კონკრეტულია, რომელსაც უპირატესობა ენიჭება მას, მაგრამ, როცა ლექსი აბსტრაქტულად და ზოგადად განამთლიანებულს, მოიაზრებს გან-

ვლელ, შენასულ გამოცდილებად. იქ, სადაც პოეტური კონკრეტული მუშაობა, ზოგადად მოთხოვნილება გამოორიენტება: ვირე-ლყოფილი, ველური გამოცდილების კონკრეტია; რაციონალური გამოცდილების ფილტრში ფინალურ კონკრეტულად ქველთა, თავის უმაღლეს საფეხურზე რეალიზება რაციონალური კონკრეტია, რომელიც განუზოგადებელ ზოგადს შეიცავს არა როგორც განუზოგადების პერსპექტივას, არამედ – როგორც შედეგს.

15.04.2000. ...საქმე ეგება არა ლექსის წარმოშობის ან მისი შექმნის ფარულ მექანიზმებს, არამედ – თვით ლექსის, მოცემული ლექსის წარმოებულ არსებობას; ლექსი, როგორც საკუთარი არსებობის მწარმოებელს, თვითწარმოების ამ პროცესში ავტორის და მკითხველის გადაცეცვის მედიუმად. გამოვლილი ლექსი, როგორც შინაგანი ლექსის ფორმა, რომელიც თავის „დამოუკიდებელ“ შინაარსს ფლობს, ამ დაიყვანება შინაგანი ლექსის ფუნქციად, მაგრამ არც მისგან იმდენად დამოუკიდებელია, რომ მისი მთლიანობის მოაზრება ან კონცეპტუალიზება შინაგანი ლექსის, როგორც მისი პირველფორმის გაუთავალისნებლად იყოს შესაძლებელი. როცა მაიაკოვსკი ან ბენი ლექსის კეთების პროცესის მნიშვნელოვნებას უღრმადებოდნენ, ისინი გამოვლილი ლექსის ამ უცნაურ უნარს – უზიზღავ შინაგანი კანონზომიერებებით მის განსაზღვრულობას – გულისხმობდნენ, რასაც, მათი აზრით, პოეზია უნდა გადაერჩინა ემოციური სანქსის ასოლუტუზიზმისგან. ბენის „აბსოლუტური ლექსი“ ემოციური სანქსის დემისტიფიკაციის უნიკალური ნიმუშია, თუნდაც მისი ეპოქის სულსკვეთების თავმჯობის და მაღალ თეორიულ დონეზე პრობლემატიზების თვალსაზრისით. ამ ტენდენციამ უკვე მაშინ შეძლო შინაგანი ლექსის საკითხის თემატიზება, როცა კონკრეტული პოეზიის შორიზონტი და შესაძლებლობები ჯერ არ ჩანდა. ლექსის მწარმოებელი ფუნქცია ლექსის შინაარსის და ფორმის ტრადიციული საკითხების პრობლემატიზების მნიშვნელობას უკარგავს. შინაგანი ლექსი, რომელიც თავაშობს არა მხოლოდ ავტორით ამ მკითხველით, არამედ – იმ ენობრივი არსენალითაც, რომელიც მას საკუთარი თავის გამოსავლენად მიეცება, ინტერპრეტაციის საჭიროებას აზოკლებულია, მოკლებულია ასეთ საჭიროებას არა სონტაგის აზრით, არამედ – მისი, როგორც უკვე ინტერპრეტაციის ბუნის გამოვლილი ავტომატიზების გამო. თავის თავში უკვე ინტერპრეტირებული ლექსის ნაკითხვა თუ როგორაც შეიძლება, სწორედ – ჩვენი „თანდაყოლილი“ სანტრარეპრეტაციო უნარებით...

23.05.2000. როგორც ბავშვი ცდილობს ახალი სიტყვის მნიშვნელობის გაგებას და მთელი მისი ყურადღება, ინტერესი მოზილიზებულია ამ მიზნის მისაღწევად, ასე ვცდილობ სიტყვების თანმიმდევრობით შედგენილი წინადადებების მნიშვნელობის ხედობას მათი სემანტიკური, პრაგმატული და ლოგიკურ-სინტაქსური საზრისის მიღმა და გამოკლებით. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ეს თითქმის ჰომონური პროცესია – ვიპოზირება საკუთარ ცნობიერებას, ჩემივე მენტალურ მდგომარეობას, ჯერ ერთი, ამ წინადადებების საშუალებით, მეორეც, ამ წინადადებების „პარა“საზრისზე, როგორც მიზანზე, კონცენტრირებული. ამ საშუაშოს შინაარსა თითოეული წინადადების (როგორც თავისი სემანტიკური, პრაგმატული და ლოგიკურ-სინტაქსური საზრისისთვის კითხვის დამხმელი საწინადადებო რეალიზის) კონკრეტული შეკითხვის ამოკლება. „კონკრეტული“ აქ, რა თქმა უნდა, ნიშნავს

„ერთ-ერთს“, ანუ კონკრეტური, ემოციური და ა. შ. ფაქტორების გადაკვეთის მოცემულ დროულ-სივრცულ ადგილს. „ადგილი“ კი გულისხმობს ჩემსა, როგორ მოქმედ სუბიექტსა, და პირობითობების გადაკვეთის აღნიშნულ ერთ-ერთ არჩევანს შორის მიღწეული „შეთანხმების“ ერთობლიობას, იმ მთლიანობას, რომელიც განასაზღვრავს ჩემს მიერ ამპოთიზებული შეკითხვის ასეთობას; არა სხვა შეკითხვებისგან განსხვავებულობას, არამედ არაჩვეულებულოდ და შესაძლო შეკითხვების მის რეალიზების-ფაქტით-გამოღწევილობას. შეიძლება, ასეც დახასიათდეს იმ ძიებების შინაარსი, რომლებიც „საკითხის დასამამ“ „ლოგიკის მონატრებიდან“ იმეპკიდრა.

24.06.2000. კრებული, რომელზეც ახლა ვემუშობ, ჩემი ახალი გამოცდილების წიგნი იქნება. მასში, ძირითადად ლექსის წერის სიყვარულით დაწერილი ლექსები უნდა გაერთიანდეს. ამ კორპუსის თითოეული ლექსი იწებება იმიტომ, რომ ლექსის წერის სიყვარული განხორციელდება და, მაინც და მაინც, ლექსად ითქვას ის, რასაც შეიძლება არსებობის სხვა მოდუსი ჰქონოდა, სულ სხვა რამ ყოფილიყო. სწორედ ახლა განვიციდ პირველად, თუ რას ნიშნავს მაინც და მაინც ლექსად რღაცის თქმის სურვილი და ცოცხალი გამოცდილება.

01.09.2000. მე მიყვარს იმის დაზუსტება, რომ ამბები, ისტორიები, შემთხვევები, რომლებსაც ჩვენს თავს ან ერთმანეთს უწყევებით, არა მხოლოდ თავად გვყვებიან და გვსაუბრობენ მამინ, როცა ჩვენ მათ ვყვებით, არამედ უსმენენ კიდევ იმ ხმას, რომლითაც ჩვენ მათ ვყვებით. არის თუ არა შესაძლებელი ერთი ხმით ერთი დასრულებული ისტორიის მოყოლა? მე ვფიქრობ, რომ – არა. „ერთი ხმა“ მხოლოდ პირობითად აღნიშნავს ჩვენს ხმობან მდგომარეობას; სინამდვილეში, ჩვენ ამ ერთი ისტორიის (რომელიც, თავის მხრივ, ურციველი) ცვეებით ურცივე ხმით, და ხმების ეს სიმრავლე არ დაიყვანება ტემპრის, სიმძალის თუ სხვა „ტექნიკური“ მახასიათებლის სიმრავლემდე. აქ ლაბარაკა სწორედ ხმებზე, როგორც ჩვენი ვერბალური მდგომარეობის შინაგან მოდუსებზე, რომელთა მთლიანობა უკვე მანამ არსებობს, სანამ ისტორიის თხრობა დასრულდება (თხრობა შეიძლება შევწყვიტოთ ამ შეგანწყვეტინორ, მაგრამ მთლიანობა, თხრობის ერთობა შენარჩუნებულია და ამ მთლიანობას უზრუნველყოფს სწორედ ამ ე. წ. მოდუსების თანმიმდევრობების თუ თანყოფენების თვითმონუსე-რიგებზე, ჰარმონირებადი ძალისხმევა, რღაც ყოვლად არამოსტიკური სულიერი მონასმი). აი, ასეთი ვერბალური მდგომარეობის გამოცდილება გულისხმობენ ჩემი ლექსები. ხოლო „შეჯამების უაქყოფის“ ბოლო ლექსით („დოქტრინა“) დაწებებული და ყველა იმ ლექსით გაგრძელებული, რომელიც დღემდე დაწერე („როცა მდინარე ადონისი ნიღოდა იღებდა“), ეს ვერბალური მდგომარეობა თავის თავს „იჭერს“ თავის ამ მდგომარეობაში და, ასეთ დროს, ენობრივი და საგნობრივი გამოცდილებები ერთმანეთს ემთხვევა ან, საერთოდაც, ერთი ხდება (ასეთი დამთხვევის იდეალურ ნიმუშად წარმომიდგენია პირველი სტრიქონი ტექსტიდან „ეს დაბნეული ლექსი“: „ხოლო მერე მივირთვებდი თავიანი მწარე პურს“... რომელიც არც მხოლოდ მეტაფორის გრამატიკის შედეგია და არც – გრამატიკის პოეტიკით თამაშის მაღალი ხარისხის ნიმუში; ეს არის ის, რაც ტექნიკის მიღმა, და მისთვის მხოლოდ სასხვათაშორისო საქმეა თუ იმ ტექნიკური „უნარიის“ გათამაშება.

იქ, სადაც ასეთი სტრიქონები ჩნდებიან და არსებობას ინარჩუნებენ, ტექნიკით დაინტერესება ან ტექნიკით თავმონონება წელის ტრუნას; ასეთ დროს ლექსი, რომელსაც წერ, იქცევა ისტორიად, რომელსაც ყვენი მხოლოდ ასე, მხოლოდ ლექსად და მხოლოდ იმ ლექსად, რომელსაც ვეყვება. და ეს არ არის ისტორია, რომელიც უკვე მოხდა, დასრულდა და ახლა ყვენი, როგორც მომხდარს და ყვენი იმ თანმიმდევრობით, რომელიც ეს უნდ გსურს. ლექსად შენ ყვენი მხოლოდ შენს იმ მდგომარეობას, რომელიც – ემპირიული პირობითობის, თუმცა კი ლამის ყველაზე უფრო სანდო და ერთგული „მატერიალური“ პირობითობის დონეზე – მოიცავს ლექსის წერის დროს და სივრცეს (ეს სივრცელი გამოცდილება აუცილებლად „მატერიალიზდება“ საფურცელ სივრცეში ტექსტის მოძრავი განლაგების – ან განლაგების მოძრავი და ბოლო ვარიანტით ნერტივდასმული – პროცესით). ამ მდგომარეობიდან გასვლა, მისი საზღვრების დატოვება არა მხოლოდ შეუძლებელია, არამედ არც არის და ვერც იქნება იმ-გამე მნიშვნელოვანი, ვიდრე ლექსად მიქმედი ეს გამოცდილებაა. ისტორია არის ის, რაც ხდება შენს მიერ ლექსის წერით, რაც ცოცხალია, რაც – ერთდროულად – ხდება და იწერება, ისე, რომ მომხდარი და დაწერილი ერთი და იგივე რეალობაა. დანარჩენი – ანუ ხელნაწერი – არის ის, რაც ყოველთვის ხელახლა ხდება (მაგრამ საინტერესოდ და ნაყოფიერად ხდება მხოლოდ მერე ნაკითხვის დროში და სივრცეში, ვისაც შეუძლია მსგავსი გამოცდილების წვდომა მსგავსი ქმედებით). არის თუ არა ასეთი თხრობა შესრულებული აქტი? თუ არის, ვინ ვის ასრულებს? მთხრობელი ლექსს თუ ლექსი – მთხრობელს? იქნებ, მართლაც, მხოლოდ ამ დროს, ლექსად ამ გამოცდილების ქმნადობის პროცესში ხდება ლექსი, ხდება პოეტური გამოცდილება, მერე კი ყველაფერი უკვალოდ განიცდის ქრობას და გაუმეორებლობას?

18.04.2001. ყოველთვის ვცდილობდი, რღაც ისე მეთქვა, რომ ჩემი, როგორც მიქმელის, თანყოფნა არ დაკარგულიყო. „არსებითმა სვლებმა“ ამის მოთხოვნილება გამიქრო, შინაგანი აუცილებლობა გააუქმა. ამ ეკლმა უჩველად თქვა ის, რაც ადრე ჩემ მიერ ითქმებოდა ხოლმე; თავისი თავიდან, შვინიდან გამოსახა სათქმელი და ნამიკითხა. „არსებით სვლებს“ არა იმდენად ვწერდი, რამდენადაც ვკითხულობდი, ხოლო როცა კითხვა ჩავამთავრე, მასზე მუშაობა დასრულდა. ანუ დასრულდა იმით, რომ დაფრმუნდა: სათქმელს არაფერი აკლდა.

ლელა კოდალაშვილი

ქართველი მწერალი ქალები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე არსებობდნენ და ვერაფერს წერდნენ, ცდილობდნენ, აღწერათ სინამდვილე და ვერ აღწერდნენ...

დათრეული ქართველი მწერალი ქალები, რომლებიც ვერ შედგნენ მწერლებად, ვერ მიაღწიეს პუბერტაციას, მათი სათქმელი, პრობლემები დრომ გაფანტა, უთქმელი სიტყვები ისტორიამ ჩაიხრჩუნა თავისთავში და დღევანდელ ქალებს მაგალითი ვერ დაუტოვა...

და მიუხედავად ამ ყველაფრისა, საუკუნის ინერციას თავისი მოაქვს. გამოტოვებული გამოცდილება ცოტას მაინც გაპატრობს და ფეხს თანამედროვეობაზე განყოფინებს. და ჩვენმა ქალებმაც გამოიყვეს თავები საკუჭნაოებიდან და წერა დაიწყეს. დაგროვლ სათქმელს ჯერ კვლავ უცად, სიფრთხილით გადამოსცემდნენ, როგორც მოციქულთა – მუსიკალური რიტმის დაწყებისას... მერე და მერე ზოგი მათგანი გათამამდა და მკვეთრი მოძრაობების შესრულება დაიწყო, და მიუხედავად ნაფორხილებისა, წინასწარობის ვერაშენარჩუნებისა, ძალების ვერმოზომისა, მცდელობა მცდელობად უნდა. მსოფლიო რიტმებს სუსტად ადევნებული, ან, უფრო სწორად, ჩამორჩენილი ქართველი ქალების პროზა თავის დაგვიანებულ სათქმელებს მაინც გამოხატავს. მისი სუსტი ნათება ლიტერატურულ მეგაპოლისს თუ ვერ აჩაჩახავებს, უფერგილოდ მაინც ანათებს არდილების ფონზე...

ბიზნესშიც და მწერლობაშიც ასეა – რაც უფრო დიდია ბაზარი, მით უფრო არ იგრძნობა კონკურენცია, მით უფრო არ ეხები ამ კონკურენტის სხეულს და ნაკლებად განუხებს მისი არსებობა. ქართული ბაზარი კი, ანუ დანიჭტვისებულთა წრე იმდენად მცირეა, მწერალი თავის მკითხველს ლოყაზე კოცნით იცნობს, უფრო გულახდილად თუ ვიტყვი, მწერლის მკითხველები მისივე მეგობრები არიან და მხოლოდ გამოწაკლის შემთხვევებში – უცხო ადამიანები. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, მწერალი მკითხველთა წრის გაზრდაზე უნდა ზრუნავდეს, ჩვენთან კი ეს ზრუნვა უფრო პოპულარობის გაფართოებას ეხება. ანუ მწერალი ცდილობს, გახდეს ცნობადი, და მისი, როგორც მწერლის სახელი იცოდეს რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა.

დაიხ, სახელი და არა ნაწარმოებები.

დღეს საქართველოში სახელების ბუმი. ყველა სახელზე ზრუნავს, სახელებს აპირებენ, სახელებს აძლევენ პრიზებსა და ჯილდოებს, სახელებს თარგმნიან და ა.შ. ნაწარმოებისადმი ინტერესი სადღაც მეშვიდე ადგილზე დგას და დღევანდელი პრაგმატული ადამიანის ცნობისმოყვარეობის დიაბაზონი ამ მეშვიდე საფეხურამდე ხშირად ვეღარც აღწევს. მივდივართ პრეზენტაციას ამა თუ იმ მწერალთან და ვულოცავთ წიგნის გამოცვლას. მთავარი მილოცვა და არა ნაკითხვა. ნაკითხვის საპროწონედ იქ მისაღვი სტუმარი რუდუნებით ყიდულობს წიგნს, რათა ავტორს დახაზოს, როგორ უკანანებს ქალები ინტერესით. თუმცა, ეს მორიგი ფარსია. და ავტორმაც იცის, მაგრამ არ იმჩნევს. სხვა

შემთხვევაში ხომ თავადაც ასე იქცევა... ზოგჯერ კი, პრეზენტაციაზე მისულები, წიგნსაც არ ვყიდულობთ. ხან იმიტომ, რომ უკვე ნაკითხული გვაქვს ინტერნეტ სივრცეში, ხან, უბრალოდ, არ გვაინტერესებს. მისთვის, რამდენიმე წლის წინ, ერთ ჩვენს მეგობარ პოეტს ცრემლიც კი მოერიო გაოგნებისაგან, როცა შეეფიფინებულმა თავისი ლექსის ნაკითხვა მოინდომა და მისი წიგნის პრეზენტაციიდან რეკტორანში ნამოსულ „სასტავს“ სთხოვა, წიგნი მომანოდეთო. მაგრამ არავის არ აღმოაჩნდა...


დავუბრუნდეთ სახელებს... სახელებისათვის ბრძოლა საერთოდ ჩქამალავს იმ პროდუქტს, რომლიდანაც სახელი აღმოცენდა თავის დროზე. წიგნი, როგორც პოლიგრაფიული მოვლენა – ესეა ახსოვთ და ვერაფერ იხსენებს, თუ რა წერია მასში. ან როგორ გაიხსენებენ, როცა არ ნაკითხავთ. ერთი ჩვენი მეგობარი მწერალი, რომელიც ახალ წიგნებზე სიუეტს ამზადებს ხოლმე რადიოსთვის, საწილო დეიქებს ხოლმე ადამიანებს, რომლებიც კომენტარს გააკეთებენ ამ წიგნზე...

შემოთ სახელები ვახსენე, ავტორთა სახელები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მათი ტექსტებისაგან დამოუკიდებლად ხან იჩქმალება, ხან კი წარმოჩნდება. იქნება შთაბეჭდილება, რომ ირდევია ნიჭის იერარქია, მატულობს გულმოსული ავტორების თუ მისი გულშემატკივრების რიცხვი. გაბრწყინებული დარბაზები კი სულ სხვებს ეკუთვნიან. იშვიათია ავტორი, რომელიც ჩუმადაა და პირველობისთვის ატქსილ ამ კაკაფონიას უწერს საერთოდ არ უგდება.

ქვემოთ მიხდა, შევხვო ჩვენს რამდენიმე პროზაიკოს ქალს, რომელთაც მეტ-ნაკლებად ერთნაირი მწერლური შესაძლებლობები აქვთ, მაგრამ ცნობადობის სხვადასხვა დონეზე არიან საზოგადოებაში. და კიდევ ერთხელ საზს ვუსვამ, რომ ამაში დამნაშავე ისევ და ისევ ორი ძირითადი რამ მგონია – ჩვენში არსებული აუწყობელი ლიტერატურული პიარი, რომელსაც შერჩევითი სამართალი ახასიათებს თავისი ხუშტურისამებრ და მეორე – ლიტერატურული საზოგადოება, რომელსაც, როგორც შემოთ ვთქვი, წიგნის კითხვა უბრალოდ არ აინტერესებს.

მაშ ასე, მწერალი ქალები...

ერთ-ერთი ასეთია ირმა ტაველიძე, რომელიც ლიტერატურის მოყვარული მკითხველი ძირითადად როგორც მიმუღ უელტეკის „პლატფორმას“ მთარგმნელს, ისე იცნობს. ამ



იმეგრეც განაპირობა ალბათ, რომ მოუხედავად იმისა, რომ პროზაში ახალბედა არ არის, მისი ეს პროფილი მიიქმნა და არც თავად აპროტესტებს ამას. რამდენიმე წლის წინ, როცა სა-ჯარო ბიბლიოთეკაში ირმას საღამოზე მოვხვდი და პირველად მოვისმინე მისი მოთხრობები, სიმართლე გითხარა, ჩემთვის გავიფიქრა, რომ ესა ინფანტილურ-ქართული და გაცვეთილი თემების მორიგი კეკლუცი დემონსტრირება. ამ ცოტა ხნის წინ კი გამოსცა მოთხრობების კრე-ფული, „დადამსავლეთის გამოგონება“, სადაც მოულოდნელი სისადავით, რბილი, პასტელური ტონებით შექმნილი მოთხრობებია თავმოყრილი. მოულოდნელი იყო ის, რომ ამ გაცეკლუცე-ბულ ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში, ავტორს ეყო გამბედაობა, არ შეეფუთა წიგნი კომერციული ხერხებით, სანდომიანობა შეე-ნარჩუნებინა სახელწოდებებშიც კი. ხოლო ტე-ქსტები...

ტექსტები, ეს ცალკე სასაუბრო თემა... ცხადია, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ თითქოს რაღაც ახალი და განსაკუთრებული მოხდა ლიტერატურაში. მაგრამ იმ ფონზე, სადაც ძირითა-დად ეპატატურნი ყნსტრუმენტებით ხდება ფონს გასვლა, სადაც ეწველა ცდილობს, გამოირჩეს იმგვარად, რომ მკითხველთა რაოდენობაზე იზ-რუნოს და არა ხარისხზე, ცხადია, თვალმისაცე-მია ტაველიძის პრინციპი - მიანდოს ტექსტსა სატიშელს, ბუნებრივ სტილს, აქცენტი გააკე-თოს სიღრმეზე და არა ფსადაზე, მოუხედავად იმისა, რომ ზუსტად იცის, არც აქ - გართობის მოყვარულ ქართველებში და არც სხვაგან, ამ წიგნს ბევრი მკითხველი არ ეყოლება. „პაფ-სას“ მოყვარული საზოგადოებისთვის ირმას მოთხრობები მოსაწყენი იქნება. მხოლოდ ყბა-დაღლებულ ევროპულ ესთეტიკაზე აღზრდილი მკითხველი, რომელმაც გაიარა ერთგვარი ლიტერატურული სელექცია, შეძლებს, დააფასოს ამგვარი ლიტერატურა.

ირმას პერსონაჟები ხელშესახებად რე-ალურები არიან თავისი არაფრთი გამოჩრეული ციფრების წესით. ერთი შეხედვით გიგერის კიდეც, საიდან და როგორი მოხდენი ისინი მოთხრობებში. რა გადახდათ თავს გამოჩრეული, რამაც ისინი ავტორისთვის საინტერესო გახადა... და ფეისის მერე მიდიხარ დასეკნამ-დე, - ამქვეყნად ყველა და ყველაფერი საინტერესოა, რადგან ის რეალობას წარმოადგენს. მწერალი სამართლიანი უნდა იყოს სამყაროს მიმართ და აიღოს მისი ის ნაწილი, რაც მის თვალსა და გულს მოხვდა, რამაც მის ემოციურ მდგრადობას თუნდაც პანანინა რევერბერაცია შესძინა. ირმა თავისი პერსონაჟული მხერით

აკვირდება გარემოს და მერე ასახავს მას. არ წერს ალბომ-ბით. უბრალო და სადა ნაწერი. მწერლობას კი იბრალბებს. უბრალოდ წერს. მისი ტექსტები და თხრობა ისეთივე ნაწერს-ფერია, როგორც ცხოველია. და ისევე შეიცავს პატარ-პატარა მარგალიტებს, როგორც ცხოველია - ამ ფორმულირების ყვე-ულს თავისებურად აღქმა შეუძლია - ნევატივირდინ ნოზიტი-ურადმდე... ყველაზე მეტად თვალმისაცემი მაინც ზომიერების განცდაა. რასაც არ უნდა აღწერდეს, იქნება ეს ერთიკიული მიმენტი თუ მარტო დარჩენილი ადამიანის განცდები, არ ვარ-დება პათეტიკურ თეიტეტიკობაში. როგორც გავიტის მოცე-კევა, ტემპს არ აჩქარებს. სულსწრაფობა არ იპყრება და პერს-დენტის სუთნი არ ახვევს. ეს ფლეგმატიზმი ხანდახან შეიძლე-ბა გამალიზინაბებულ სახეს იღებს. გრძობს, რომ საჭიროა მეტი ექსპრესია, მუხტი, მაგრამ დაღვდელიობით ესაა, რაც ამ ავტორს შეუძლია. სხვა - უკვე სიყალბე იქნება... ჩვენი ბოლოში მორანა-ლე მწერლობისთვის ირმა კარგი მწერალია, მაგრამ მის მიმართ ლიტერატურული სამყარო არ ხმაურობს. და ესაა დღევანდელი საზოგადოების განაჩინი.

გაცილებით უსამართლო აღმოჩნდა ქართული ლიტერატურ-რული სივრცე ნენე გიორგაძის მიმართ. ის წლებია, სხვა ქვეყ-ანაში ცხოვრობს, მაგრამ მუდამ შეძლებისდაგვარად ცდილობ-და, არ დაეკარგა შეხების წერტილი აქაურობასთან. მისი მოთხრობების პირველი კრებული, „სამკუთხედი“ გამოცემელო-ბა «პეგასმა» გამოცემა და მის შესახებ ერთი სიტყვაც კი არ და-ენილა ჩვეულებრივი, რიგითი ნიუისის სახითაც კი. ანუ თავის თავით და ახლობელ-მეგობრებით მოცულმა ლიტერატურულმა სივრცემ ამ კრებულის გამოჩენა ვერც კი შეამჩნია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საშუალოდ, არ არის ჩვენი ქვეყანაში უზ-რუნველყოფილი რაღაც სისტემა, რომელიც ერთი წინადადებ-ის დონეზე, ჩამონათვალში მაინც დაასახლებს იმ ნიგნებს, რომელიც ქართულ სივრცეში იქნება. დაღვდელიობით მათთან, რომელიც რაღაც გადაცემებში ნიგნების წარდგინება ეე-ვალებათ, საგანგებო «დოსტოვია» საჭირო. ერთი სიტყვით, თუ ქვეყნიდან შორს ხარ და აქაურ ლიტერატურულ «სიტყავებში» არ იჩითები, თუ არც სატელეფონო ზარებით აფთქებ აქაუ-რებს, საგანგებოდ არ ზრუნავ საკუთარ პრომოუშენზე, შენი წიგნის შესახებ ეკიპოვილი ვერ გაიგებს.

არადა, ნიკი ნაძვილადად ლორს იმად, რომ, როგორც მინ-იმუმ, ვინმე შენიშოს. ცხადია, როგორც ირმა ტაველიძეზე საუბრისას, აქაც ხაზს გაუსვამ იმას, რომ შორს ვარ იმ აზრის გან, თითქოსდა ნენე გიორგაძის მოთხრობებმა ჩვენი საუკუნის ქართულ პროზას ფერი უცვალა, მაგრამ რამდენიმე საინტერე-სო შტრიხი ნამდვილად გაავლო.

«სამკუთხედიში» უსუსლი მოთხრობების დიდი ნაწილი ერთგ-ვარ მცირე ექსპერიმენტს წარმოადგენს. აშკარაა, რომ ავტორს გადნაყვეტილი აქვს, მკითხველთან განსაკუთრებული კონტაქტი დაამყაროს და ამისათვის ის თხრობაში ჩააბას. ეს ხერხი, ცხადია, მწერლობაში ახალი არ არის, მაგრამ თვალმისაცემი ლიტერატურულ სივრცეში, სადაც მუდამ პროტაგონისტი დამოინირებს, რამდენ-იმე, ტექსტსაგარე პერსონის, როგორც დამოუკიდებელი გონებ-ის შემოსვლა, აშკარად უცხო ხილია. ნენეს ერთ მოთხრობაში, «ზარები და ზანზალაკები», სიუჟეტზე საუბარს მკითხველთან ერთად რედაქტორი, კრიტიკოსი და ავტორი აგრძელებენ. ეს



ყველაფერი ძალიან წააგავს დღევანდელ სოციალურ ქსელებს, სადაც ყველაფერი ხელისგულზეა გადაშლილი და მისტიკური ზღვარი ავტორსა და მკითხველს შორის მთლიანად წაშლილია. სწორედ ამ მისტიკური ზღვარის წაშლას ცდილობს ნენე გიორგაძე თავის ტექსტებში. ეს სიმარტოებისგან და განყენებულობიდან თავდასხმის კიდევ ერთი გზაა ალბათ – დაპატიჟო ადამიანები შენს ტექსტებში... ერთი შეხედვით თითქოს ამით უფრო მეტად იხსნება კვანძები, აზრად გასაგები ხდება სოფეტის ეს თუ ის ხაზი, მაგრამ, ჩემი მხრიდან, ავტორი ასე უფრო აბნევს მკითხველს, ლაბირინთში იტყუებს და ამას აკეთებს მიზანმიმართულად. ნენეს მოთხრობებში ხანდახან არამხოლოდ რამდენიმე ვერსია მუშავდება სიუჟეტის, რომელიც საბოლოოდ ერთ სხეულად იკვრება, არამედ პერსონაჟებიც კი, რომლებიც ცალკე პერსონები არიან, საბოლოოდ ერთი ადამიანის ნაწილებს წარმოადგენენ. საინტერესო ისაა, რომ ამ ყველაფერს ფანტასმაგორიული ელემენტების გარეშე, არარეალისტური პასაჟების გარეშე ასრულებს. თხრობას საფუძვლად ფსიქოლოგიურ ქარგას უდებს. მხოლოდ არ ავინყვდება, რომ მხატვრულ ტექტს თავისი კანონები აქვს და ზედმეტი განხილვისგან თავს იკავებს. ყველაფრის გადმოცემას დიალოგითა თუ ამბით ცდილობს და არ მიმართავს მსჯელობას.

კრებულში, შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმე გამოკვეთილად საინტერესო და ფასეული მოთხრობაა. ამ ფონზე სხვა მოთხრობების წიგნში შეტანა, ვფიქრობ ავტორის ნაკლებ მეტყველებს, რაკი ის ვერ შეღლია თავის სუსტ ტექსტებს და ამით, რამდენადმე გაუფასურებს საფრთხის წინაშე დააყენა სხვა კარგი ტექსტები. აბა, წარმოიდგინეთ, მალაზაში „შანელია“ და „წინა რჩიის“ სუნამოების გვერდით ჩინეთში დამზადებული რომელიმე სუროგატი რომ დადოთ. ცხადია, ფრანგული ბუნებების ნამდვილობა ეჭვქვეშ დადგება და რაღაცით, თუნდაც სულ მცირედით „გააფუჭებს“ რეალურ არომატს.

თერია დოქტენჯაშვილს, თავის დროზე, ყველასათვის ნაცნობმა ნოველამ, „ფიდაი“, მოუტანა პოპულარობა. მას მერე იყო რამდენიმე საინტერესო მოთხრობა და შემდეგ რომანები... ძნელია, იცხოვრო სამსახურებრივად დატვირთული ყოველდღიურობით და შექმნა დიდტანაინი ტექსტები. მაგრამ თერია ამას ახერხებს. ახერხებს აგრეთვე იმას, რომ შექმნას საინტერესო ნიშუშები იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც მან გადანწყობა ემუშავა. მაგრამ ვფიქრობ, რომ მისი ადრეული, მოკლე ტექსტები გაცილებით რთულ და საინტერესო გზას ადგენენ, ვიდრე მერე დაწერილი რომანები. უფრო მეტიც, მის მიმართ დღევანდელ ინტერესს ძირითადად სწორედ ის ძველი ინერცია განაპირობებს.

თერისათვის მიმართებაში არაერთხელ გამომიყენებია სიტყვა „ჰოლივუდი“. არის კატეგორია, ვისთვისაც ნაწარმოების პოლიფილურ კლიმესთან შედარება დაბაკინებელია, ხოლო ზოგს სწორედაც ეამაყება შეფასების ეს ერთგვარი საზომი. სალად მოაზროვნე ადამიანს კი მშვენივრად ესმის ამ შეფასების პლიუსიცა და მინუსიცა. ასეა თუ ისე, თერისას, როგორც ჩემ მიერ ამ წერილში მოყვანილი სამედიის ყველაზე პოპულარულ წარმოდგენელს, ჰყოლია და ჰყავს თავისი ნემსივლები, რაც პოპულარობის ყველა ფაზაში ბუნებრივად და თან იმის თქმა მინდა, რომ ყველა სიკეთეს თავისი უარყოფითი მხარე ახლავს თან და

არავის აძლევს სრულ ედემონიზმში გადაჯიშვის საშუალებას.

რაც შეეხება მის ბოლო რომანს, „რეალურ არსებები“, მე ვიტყვი, რომ ეს არის ბრწყინვალედ შესრულებული მულტიმედია რომანი. ავტორი ცდილობს, რომ რაც შეიძლება მეტეუმის განვლილი თხრობა. წინა წიგნში მას ჰქონდა ერთგვარი ლირიკული გადახვევა, დატვირთული პატარ-პატარა მიგნებებით, მსჯელობებით, ჩანდა ავტორის სწრაფვა სიღრმეებისადმი. ამ რომანში კი თითქოს საგანგებოდ გადაწყვიტა, რომ შეცვალა ვექტორი და მიიზიდავს კიდევ უფრო სხვა კატეგორიის მკითხველი. საამისოდ თერია მიმართავს მაქსიმალურად დინამიურ თხრობის რიტმს, რათა არ დადავოს ტემპრეტურა. ნურავინ იტყვის, რომ ეს ილია – დატვირთული მკითხველი ბოლომდე შეთან. უფრო მეტად – ფიგურალურად ხელი ქაჩოშვიც კი ჩააგლო და ნასულა რომც უნდოდეს, მაინც ვერ მოახერხოს, უბრალოდ ვერ მოგწყდეს...

და მიუხედავად იმისა, რომ ამ კონტრაგრაფიულ ტექსტს არ მოეთხოვება საკითხვის გამონვლილობა ანალიზი, მაინც ვიტყვი, რომ თვალშისაცემად გულშეგრძელობდაა აღწერილი მეცნიერული ექსპერიმენტის ნიუანსები. უნებურად გურამ ფანჯიკიძის „სპირალი“ გასუნებება ადამიანს, სადაც ყვითელი რომანის ზერელობითაა მოცემული სპეციფიკური საკითხები. არადა, თანამედროვე მწერალი ცდილობს, ზედმინევეთი გათვითცნობიერებული იყოს იმ თემებში, რომელსაც ის უკირიკიტებს. და მომხმარებლისთვის ზედმინევეთი პოპულარულ ენაზე მიწოდებული მეცნიერული ექსპერიმენტ ნაკლებად დამაჯერებელი ხდება. გადახედილი კლასიკის ფანტასტებს, ამ თუნდაც; არაფანტასტს მიუღ უღებებს, თუ როგორი ზედმეტად გამონვლილობით გვანვდის ტექნოლოგიურ ცვლილებებს, რადგან თანამედროვე ადამიანის გონება უნდა იტყვიდეს ამ „დამხმარე“ ინფორმაციებს, მით უმეტეს, თუკი ამა თუ იმ სახის თავად შეეხოს...

რაც შეეხება პრობლემას, რომელსაც წერილის პირველ ნახევარში შევხვდებით, ამდენი მსჯელობის მერც პრობლემად უნვებს დარჩენა, სანამ, პირველ რიგში, ჩვენ, ლიტერატორები, მწერლობის ბიზნეს-არენად ან საბრძოლო ტექსტად აღმვსა არ შევნივყვებთ, ერთმანეთის წარმოჩენას არ დავინწყებთ და არ მიხვდებით, რომ თითოეული ჩვენგანის, როგორც მწერლის ფასეულობას ერთიანი, ძლიერი ქართული ლტერატურა უფრო შექმნის, ვიდრე რომელიმე ჩვენგანი – ცალკე ადამიანი.



ახალი თარგმანი



რომანი „სოდომი და გომორი“ ციკლის „გამქრალი დროის ძიების“ მეოთხე ტომია და ერთგვარად აგრძელებს მესამე ტომს – „გერმანტებთან“; ნანარმოების თემა, სიუჟეტი ამ რომანიდან არის აღმოცენებული და მის ფაბულურ გზას ადგას, მაგრამ ტექსტი იმდენად დამოუკიდებელია, მკითხველს წინა ტომები ნაკითხულიც რომ არ ჰქონდეს, მეოთხე წიგნს დამოუკიდებელ ნანარმოებად აღიქვამს. იგი ავტორმა ჯერ პატარა ფრაგმენტის სახით დაწერა, მესამე ტომის პირველ გამოცემას დაურთო, როგორც მისი დამამთავრებელი ნაწილი, და „სოდომი და გომორი“ უწოდა. ეს ტომი 1921 წელს გამოვიდა; მეცნიერულად დამუშავებულ თანამედროვე გამოცემებში „სოდომი და გომორი I“-ად იწოდება, ძირითად ტექსტს „სოდომი და გომორი II“ ჰქვია, ხოლო საერთო სათაურია „სოდომი და გომორი“. ეს რომანი ბოლო წიგნია, რომელიც პრუსტის სიცოცხლეში (1922 წლის 18 ნოემბერს გარდაიცვალა; დაიბადა 1871 წლის 10 ივლისს), 1922 წელს, სამ პატარა ტომად დაიბეჭდა და ტექსტის მომზადება ავადმყოფობის გამო მხოლოდ ნაწილობრივ მოასწრო; ის შესწორებები, კორექტურის კითხვისას რომ გააკეთა, ძირითად ტექსტთან შესაბამისობაში არ მოდის და გამომცემლებმა წიგნში აღარ შეიტანეს (იქნებ, ავტორი მის გამოყენებას შემდეგში აპირებდა?); ამიტომ პირველ გამოცემაში არასწორად ნაკითხული ადგილები გამომცემლობა „გალიმარის“ „პლედის ბიბლიოთეკის“ სერიის მეცნიერულად დამუშავებულ ტექსტში გასწორდა.

გათავაზობთ „სოდომი და გომორი I“-ის ერთ მცირე ნაწილს.



სოდომი და გომორი

ნანყევი

1

იმ სოდომელების, რომლებიც ცით მოვლენილმა ცეცხლმა დაინდო, შთამომავლების – ქალბატონების – პირველი გამოჩენა.

ქალი გომორი იქნება, კაცი კი სოდომი.
აღფრედ დე ვინი



უკვე იცით, რომ იმ დღეს (დღე, როცა პრინცესა გერმანტთან საღამოს ნეწვლებს უნდა გამართულიყო), კარგა ხნით ადრე, ვიდრე ჰერცოგსა და ჰერცოგინიას ვიზიტად ვენევიოდი, რაზეც, აგერ, ახლახან ვილაპარაკე, სულ გაფაციცებული ვიყავი, რათა მათი მოსვლა არ გამოიპარვოდა, და ამ მოლოდინში ერთი რამ აღმოვაჩინე, უშუალოდ თვით ბატონ დე შარლიუს რომ ეხებოდა; ეს აღმოჩენა თავისთავად იმდენად საყურადღებო იყო, ვამჯობინე, მის მოსაყოლად მანამდე მეცადა, სანამ შესაძლებლობა მომეცემოდა, ამაზე დაწერილებით და საფუძვლიანად მელაპარაკე. როგორც უკვე ვთქვი, მივატოვე ის დიდებული სათვალთვალო ადგილი, რომლის იტალიურ სტილში ნაკეთები მრგვალი ფანჯარაც ფარდულის კოშკურის, მარკიზ დე ფრეკურის საკუთრების, ნამდვილ სამკაულს წარმოადგენდა და რომელიც სახურავქვეშ იხე მოხერხებულად იყო მოწყობილი, რომ იქიდან თვალისთვის საამურად მოჩანდა უსწორმასწორო დამრეცი ფერდობი, რომლის გავლითაც ბერკინის სახლამდე შეიძლებოდა მისვლა. რადგან ჰერცოგი და ჰერცოგინია წუთი წუთზე უნდა დაბრუნებულიყვნენ, ვიფიქრე, კიბზე თუ გაეჩერდებოდი, ჩემთვის ეს გაცილებით ხელსაყრელი იქნებოდა. ჩემი კოშკურის მიტოვება კი დამენანა, მაგრამ შუადღის ამ საათებში მასზე განსაკუთრებული გულდანწყევტა არ ღირდა – მაინც ვეღარ დავინახავდი ფერდობზე ჩრდილებად გამოხატულ კაცუნებს, რომლებდაც კარგა შორიდან აღანდული ბრეკინისა და ტრესმის სახლების ლაქები იქცნენ, ცოცხებით ხელში ციციპაზი ფერდობზე ქარის გამჭვირვალე, ფართო ფოთლებს შორის ნელა რომ მიძვრებოდნენ და წითელი ქედის შვერილის ფონზე გამოკვეთილად ჩანდნენ. გეოლოგიური დასკვნების გასაკეთებლად შესაძლებლობა არ მქონდა, ამიტომ ბოტანიკის შესწავლას შევეუდეთ: ფანჯრიდან დავეყურებდი კიბის ბაქნებზე ჩარიგებულ ბუჩქებსა და იშვიათ

მცენარეებს, რომლებიც ჰერცოგინიას განკარგულებით ეზოში ისეთივე გულმოდგინებით ჩაჰქონდათ, როგორი მონდომებითაც სასიძოვები და საპატარძლოები გამოჰყავთ საზოგადოებაში, და საკუთარ თავს შეეკითხებოდი: ნუთუ წინასწარდადგენილი შემთხვევითობის წყალობით რომელიმე მოულოდნელი მწერი არ მოფრინდება და ამ მიტოვებულ, მსხვერპლმწენორვისთვის უკვე გამზადებულ ბუტკოს არ ეწვევა-მთქი. ცნობისმოყვარეობამ სიამაცე შემმატა, ნელ-ნელა ქვედა სართულის ფანჯრამდე მივალნიც, რომელიც ფართოდ გაელთა და დივანბებიც ღრჩოლ დაეჭოვებინათ, და წასასვლელად გამზადებული ყოუპინის გამოკვეთილი ხმაც შემომესმა – მას ჩემი დანახვა არ შეეძლო, რადგან დარაბებს იქით ვიმალებოდი; მერე სწრაფად დავიხიე უკან, რათა ეზოში ქალბატონ დე ვილაპარიზის სანახავად დინჯად მიმავალ ბატონ დე შარლიუს არ შევეჩინე, რომელიც დღის სინათლეზე კარგა ჩასუქებული, გაჭლარავებული და მობრეხული ჩანდა. ქალბატონ დე ვილაპარიზის უქეიფობის გამო (მას მარკიზ დე ფიგურუს ავადმყოფობამ მოულოო ბოლო, რომელთანაც ბატონი დე შარლიუ სამკედრო-სასიცოცხლოდ იყო ნაჩუბებული) ბატონი დე შარლიუ, ცხოვრებაში, იქნებ, პირველადაც, მის სანახავად ასე ადრინადად მოვიდა. გერმანტების განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობდა, რომ მალალი წრის ცხოვრების წესს ვერ ეგუებოდნენ და მას თავიანთი ჩვეების შესაბამისად ცვლიდნენ; მათი აზრით, არაფრად ღირებულ მალალი წრის წევრობას მალალი წრის საზოგადოების

თარგმანი მოტიანილი შენიშვნების უმეტესობა გადმოღებულია ფრანგულ გამოცემილობა „გალიმარში“ დასტამბული ნიგნიდან (მთარგმ.).
აღფრედ დე ვინი. „სამსონის რიხვა“.



ნების მსხვერპლად შენირვა ჯობდა – ამიტომაც იყო, რომ ქალბატონ დე მარსანტს ვიზიტებისთვის დადგენილი დღე არ ჰქონდა და თავის მეგობრებს ყოველ დილას, ათიდან თორმეტ საათამდე იღებდა, ბარონი კი ამ დროს კითხულობდა, ძველ-ებურ ლაზარ ნივთებს ძებნდა და სხვა, სტუმრად კი მხოლოდ სადამოს ოთხსა და ექვსს შორის დადიოდა. ექვსზე ყოველ-კლუბში მიდიოდა და ბულონის ტყეში სეირნობდა. მერე ისევ განზე გაიწივ, ჟოჰიენის რომ არ დაეწინა; ეს ის დრო იყო, როცა სამსახურში უნდა წასულიყო, სადანაც მხოლოდ სადამოს ბრუნდებოდა, ისიც ყოველთვის არა მას შემდეგ, რაც მისი ძმისწული ქალი თავის მონაფეხებით ერთად დროულში ვიღაც კლიენტთან გაემჯავრა, რათა შეეკეთილო კაბა ღორუ-ლად დაემთავრებინა. ჟოჰიენის წასვლის შემდეგ, მეგონა, აღარაფერი უნდა მშინებოდა, მაგრამ მაინც გადაწყვიტე, ადგილიდან არ დადვრულიყავი, რათა, თუ ეს წასწული მაინც აღესრულებოდა, არ გამომპარვოდა, დიდი ხნის ლოდინისგან გულგადაღულ უმანკო ყვავილთან შორეული მხრიდან გამოგზავნილი მწერი რომორ მოფრინდებოდა, თუმცა ამის იმედი აღარც მქონდა (მანძილის სიმორის გამო ბევრი წინააღმდეგო-ბის გადაღახვა იყო საჭირო, თანაც ზღაზე უამრავი ხიფათი და სამშპროება ელოდა). ვიცოდი, ეს მხოლოდინი ისეთივე აქტი-ური იყო, როგორც მამრი ყვავილისა, რომლის მტვრინანებიც თავისთავადი მოძრაობით ისე ამობრუნდებიან, რომ მწერი ყვავილზე ადვილად აძვრეს; ზუსტად ასევე, თუკი მწერი მოფ-რინდებოდა, მდებრი ყვავილიც კეკლუცად მოხრდა ბუტკოს საცეცხებს, სტუმარი მიგნით ღრმად რომ შემეძვრათყო, თან-აც წმინდანის მოჩვენებით სახეს მიიღებდა, სინამდვილეში კი ავხორცე გოგოსათვის შუა გზაზე შეეგებებოდა. მცენარეული სამყაროს კანონები უმაღლეს კანონებს ემორჩილება. ყვავი-ლის განსაყოფიერებლად მწერი მოფრენა, რომელსაც სხვა ყვავილის თესლი მოჰქვს, აუცილებელია, რადგან თვითგანაყო-ფიერება, საკუთარი თავის განაყოფიერება, როგორც ერთი ოჯახის შიგნით ნათესავების შექვემდებარებას, გადაგვარებას, უნაყოფიანს იწვევს, ხოლო, თუ შეჯვარება მწერების მეშვეო-ბით ხდება, ამ სახეობის ახალი თაობა ისეთ სასიცოცხლო ძა-ლას იძენს, რითიც ამ ჯიშის უფროსი თაობა არ გამოირჩეოდა. ოღონდ ზრდა-განვითარება შეიძლება იმდენად უნარიანი აღ-მოჩნდეს, რომ ეს სახეობა მეტისმეტად ფართოდ გავრცელდეს. მაშინ, მსგავსად იმისა, როგორც ანტიტოქსინი ავადმყოფობის-გან გვიცავს ან ფარისებრი ჯირკვალი გასუქების საშუალებას არ გვაძლევს, როგორც ქედამდღობისთვის მარცხით ვიხუჯ-ბით, ხოლო სთამოვნებისთვის დადილობით, მსგავსად იმისა, რომ ძილი, რომლის დროსაც ვისვენებთ, ჩვენს ძალებს აღად-გენს, იშვიათ შემთხვევაში ჩატარებული თვითგანაყოფიერების აქტივ განსაზღვრული მომენტში ხრახნს ატრიალებს, აშხურუ-ჭებს, ყვავილი იმ ნორმამი მოჰყავს, რომელსაც მეტისმეტად დაშორდა. ჩემმა ფქრმა, რომლის თაობაზეც მერე მოგახსენ-ებთ, სულ სხვა, განსაკუთრებული მიმართულება მიიღო და, ის იყო, ყვავილთა გარკვეული მოხერხებულობის წყალობით, მომდევნო დასკვნის მაკრებებს ვაიმერები იმ უზარმაზარი როლის შესახებ, რომელსაც მხატვრულ შემოქმედებაში ქვეც-ნობიერი თამაშობს, რომ მარკიზასგან გამოსული ბატონი

დე შარლიუ დავინახე, მან მხოლოდ რამდენ-იმე წუთი დაჰყო მასთან. შეიძლება, მარკიზასგან გაიგო ამ მსახურმა შეტყობინა, რომ ქალბატონი დე ვილპარიზა ვაკილებით უკეთ გრძნობს თავს, ვინ ამ მსუბუქმა უქეი-ფობამ სრულიადაც გაუარა. ალბათ, ეგონა, მერვან მხედვასო და ბატონმა დე შარლიუმ ვერის სხივებისგან დასაცავად თვალთ ოდნავ მოჭუტა, სახის დაძაბული კუნთები მოადუნა, მღელვარებას, გაცხარებულ კამათისას და ნებისყოფის მოკრებისას რომ შეელოდა, მიე-რა. მარბაროლოსებრი სიფთიერ გადაჰკერო-და სახეზე, დიდი მხოლოდ ცხვირი მოუჩანდა, სხვა ნაკვთები კი თხელი ჰქონდა, თხელი და ახლა უკვე თავისუფალი მისთვის ჩვეული გამომეტყველებისგან, რასაც მბრძანებლური გამოხედვა ანიჭებდა და რაც მის ნაქანდაკე მოხდენილობას აუშნობდა; ახლა იგი ნამდ-ვილი გერმანტი იყო, კომბრეს ეკლესიის სა-ვალეში დასვენებულ პალამედ XV-ს* რომ მოგაგონებდათ. მაგრამ ბატონი დე შარლიუს საგვარეულოსთვის დამახასიათებელი ნაკვთ-ბი მაინც ფრად და შთამბრებელი იყო და, რაც მთავარია, უფრო უწყინარი. აფსუს, რომ მისი ხშირი მრისხანების, კანდიერი ქცევების, ყამე-რალობის, სიმკაცრის, წყნის, გულზვიადობის, ნაძალადევი უხეშობის მიღმა ის გულეკით-ლობა და კეთილმოსურნეობა არ ჩანდა, რაც ახლა, როცა ქალბატონი დე ვილპარიზისგან გამოვიდა, მის სახეზე ასე ვიამბიტურად აღე-ჭლიყო. მისიგან დასაცავად თვალს ჭუჭუ-და და ამის გამო ისე ჩანდა, თითქოს იღიმე-ბოდა; სახეზე, ახლა მშვიდი რომ მეჩვენა და ბუნებრივც, რაცაც ალერსის, დაუცველობის ულვერი აღმოვაჩინე და უნებურად გავიფიქრე, ბატონი დე შარლიუ ძალიან განაცხენდებოდა, თუ შეამჩნევდა, რომ ვიღაც უთვალთვლებ-და; ყუყურებდი ამ კაცს, რომელსაც ძალიან უნდოდა, მამაკაცი გამოჩენილიყო და, ისე ყოყმობდა თავისი ვაჟკაცობით, ყველა და-ნარჩენი საზოზარ ქალაჩუნად ერგნებოდა და უტყბად უხებურად გამეფიქრა: ახლა მის ნაკვთებს, სახის გამომეტყველებას, ლიმის რამდენმა ელფერმა გადაუარა, და ყველა ეს ელფერი ქალური იყო!

რომ არ შევემჩნიე, ისევ უნდა დავმალუ-ყავი, მაგრამ ამისი აღარც დრო მქონდა და აღარც აუცილებლობა შეიქნა. ღმერთო, ეს

* საშუალო საუკუნეების სარაინდო რომანების გმირის სახელია, რაც პრუსტმა გერმანების გვარის გენეა-ლოგის შედგენისას გამოიყენა.

რა ვნახებთ ამ ეზოში, ისინი, ცხადია, აქამდე ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან (ბატონი დე შარლოუ გერმანატებთან მხოლოდ დღის მეორე ნახევარში მოდიოდა. ამ დროს ყოუპიენი ისევ სასახურში იყო). აქამდე გულმოდგინედ მოჭუტული თვალი ბარონმა უცებ ფართოდ გაახილა და უცნაურად დაიხინებულ მზერა მიაყრო ჟღერტების ყოფილ მკერავს, რომელიც თავისი ბარონის კარში ის იდგა, თითქოს ზღურბლზე მცენარესავით გაედგა ფესვები და ერთ ადგილზე მილურსმული მზერით გაჰყურებდა ბატონ დე შარლოუს - სიბერეში დაძაბადგარი ბარონის ჩათქვირებული სხეულის სისავსით ტკებოდა. და კიდევ საოცარი ის იყო, რომ, როგორც ეს ბატონი დე შარლოუს პოზა შეიცვალა, ყოუპიენიც, თითქოს რომელიღაც იღამული ხელოვნების კანონს დაემორჩილაო, მამინევე ზუსტად ასევე შეიცვალა პოზა. ბარონი ეცადა, ისეთი სახე მიეღო, ვითომ ამ შეხვედრამ მასზე არანაირი შთაბეჭდილება არ მოახდინა, მაგრამ მის მოჩვენებით გულგრილობაში აშკარად ჩანდა, რომ ნასვლა არ უნდოდა - მოქარაფუტუო, დაუდევარი, სასაცილო გამომჩვევებით დაიწყო ეზოში სეირნობა, სივრცეს გაჰყურებდა, ცდილობდა, ყოუპიენის ყურადღება იმზე გადაეტანა, ნახე, რა ლამაზი თვალები მაქვსო. ყოუპიენის სახე კი ის მოკრძაბებული, სიკეთით სავსე გამომეტყველება დაკარგა, რომელსაც კარგად ვიცნობდი და - ბარონის ჩვეულების სრული შესაბამისობით - თავი მაღლა ასწია, გაიჭიბა, გაიდგაფულდა, უკანალი უკან გაიადგო, ის აეკლუცდა, როგორც ორქიდეა ზეციით მოვლენილი კრახანას დანახვისას. ვერც კი ვიფიქრებდი, რომ შეიძლებოდა, ასეთი საძაგელი ყოფილიყო. ვერც წარმოვიდგენდი, რომ ექსპრომტად შეეძლო ორი მუხვის ასეთ სცენაში თამაში და თანაც (თუმცა ბატონი დე შარლოუ ცხოვრებაში პირველად ნახა) ისე შესარულა საკუთარი როლი, თითქოს დიდხანს ვარჯიშობდაო - მსგავს სრულყოფას ჩვენთვისვე მოულოდენლად მხოლოდ მაშინ ვაღწევთ, როცა უცხოეთში თანამემამულეს ვხვდებით - ამ დროს ურთიერთგაგება თავისთავად აღმოცენდება - თუმცა ადრე ერთმანეთს არასოდეს შეხვედრივართ, რაკი სალაპარაკო ენა საერთო გვაქვს, ყველაფერი თავისთავად ლაგდება.

ეს სცენა უზარალოდ მხოლოდ სასაცილო არ იყო, მის უცნაურობაში, თუ გნებავთ, ბუნებრიობაშიც, თავისებური სილამაზე გამოსჭყვიოდა და ეს სილამაზე უფრო და უფრო მატულობდა. ბატონმა დე შარლოუმ გულგრილო

სახე მიიღო, როგორღაც დაბნეულად თვალბეც დახარა, მერე ისევ აიხედა და ყურადღებით დააკვირა ყოუპიენს, მაგრამ (ბატონ დე შარლოუს, ცხადია, ესმოდა, ეს სცენა არ შეეძლებოდა უსახვლოდ გაგვრძელებულიყო, ალბათ, მიზეზთა და მიზეზთა გამოც, მერე რომ გახდებოდა გასაგები, ან, იქნებ, მასში იმ შეგრძნებამაც გაიღვიძა, რომ ცხოვრებით ყველაფერი წარმავალია და ამიტომაც ვისწრაფვით, არც ერთი ჩვენი ძალისხმევა ანაოდ არ გაიხარვოს, და, იქნებ, ამიტომაც გვაღელვებს ყოველგვარი სასიყვარულო სანახაობა), ბატონი დე შარლოუ ყოუპიენს თვალს მიაკრობდა თუ არა, მის გამოხედვაში აშკარად იგრძნობოდა, რომ რაღაცის თქმა უნდოდა, და ეს გამოხედვა მკვეთრად განსხვავდებოდა იმ გამოხედვისგან, ნაცნობ თუ უცნობ ადამიანებს რომ მივგაპყრობთ; ასე დაიჩინებოდა, როგორც იგი ყოუპიენს მისჩერებოდა, მხოლოდ ის გაიყურებოდა, ვინც ეგრევე გეტყვით: „ამიტყვეთ, მაგრამ ზურგზე გრძელი თეთრი ძაფი გაგდაით“, ან: „თუ არ ცვდები, თქვენც ციურხელი ბრძანდებით. ასე მგონია, იქ, ანტიკვართან ხშირად შეხვედრივართ“. აი ასე, ყოველ ორ წუთში ერთი და იგივე კითხვა ჯეიუტად აწყდებოდა იმ ნაჩქარევ ნათვინდავს, რომლითაც ბატონი დე შარლოუ ყოუპიენს უყურებდა და რომელიც ბეთპოვენის შეკითხვის შემცველ მუსიკალურ ფრაზებს გვაგონებს, თანაბარ შეუადგებში უსასრულოდ განმეორებულს და იმისთვის განკუთვნილს, რომ ერთობ საგულდაგულო მომზადების შემდეგ ახალი მოტივი შემოიტანოს, ერთი ტონალბობიდან მეორეში გადასვლა მოამზადოს და ძირითად თემასთან დაბრუნება უზრუნველყოს. ოღონდ, როგორც ბატონი დე შარლოუს, ისე ყოუპიენის გამოხედვას განსაკუთრებულ სილამაზეს ის ანიჭებდა, რომ მათ, ყოველ შემთხვევაში მოცემულ მომენტში მაინც, არ ეტყობოდა, რომ რაღაც შედეგად მივსვლას ენსარაფოდნენ. ეს სილამაზე პირველად სწორედ ბარონისა და ყოუპიენის ერთმანეთის ყურებაში დავინახე. მათ თვალბეცში ზეცა აღანდულიყო, ოღონდ არა ციურხისა, არა-დად რომელიღაც აღმოსავლური ქალაქის, რომლის სახელის გასცენებაც ჯერ ვერ შევცდი. მისეხდავად ძალისხმევისა, თავი როგორმე შეეკავებინათ, ბატონ დე შარლოუსა და ყოუპიენის ყოფილ მეკურას მაინც ეტყობოდათ, რომ მათ შორის უსიტყვო შეთანხმება უკვე მოხდა, ხოლო მათი უმიზონი გამომხედვა ახლა მხოლოდ რიტუალის პრელუდია გახლდათ, რაღაც ქორწინების წინა ზეიმის მსგავსი. თუ შედარებას ბუნებაში მოვხებნით - ასეთი შედარებების მრავალფეროვნებაში კი გამოვგონილი არაფერია, რადგან ერთი და იგივე ადამიანი, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე წუთს აკვირდებით, შეიძლება იყოს ადამიანიც, ადამიანი-ჩიტიც, ადამიანი-მწერიც და სხვა - მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ორი ჩიტია: მამალი და დედალი; რომ მამალს დედელთან მიახლოება სურს, დედალი კი - ყოუპიენი - თუმცა მის კურკურს არ პასუხობს, ახალ მეგობარს დაიხინებულ-ჩაიბებული მზერით, ყოველგვარი გაცივების გარეშე უყურებს, რადგან ჰგონია, ამ გამოხედვაში ძლიერად უნდა იმოქმედოს მამალზე, ამ ხერხით მიიტყუოს და პირველი ნაბიჯების გადადგმის შემდეგ ბუმბულის გასაფრთავების საშუალება მისცეს. მაგრამ, ეტყობა, ყოუპიენს გულგრილობის თამაში, ბოლოს და ბოლოს, მოზეზრდა; და გულდაჯერებული,

რომ მამალი უკვე მოხობილულია, იმდენად დაგზნებულია, უკან გაჰყვება და მოსვენებას აღარ მისცემს, ხოლო სურვილის აღძვრამდე კი მხოლოდ ერთი ნაბიჯია, ყოუპიენი, რომელიც სა- მუშაოზე უნდა წავიდეს, ჭმუკარში გადის. და მაინც, ვიდრე კუთხეში შეუხვევს, რამდენჯერმე დაბარუნებს თავს. ბარონი კი, იმით შემოინგულს მის კვალს მაკარავავი (თვითკამაყოფი- კი, სახით, სტვენა-სტვენით დაიძვრება, გვარნიანდ ნასვამ მე- კარს ხმამაღლა ცი გასახებს: „ახავამდის!; მეკარე დამპიე- დობებას ვერ იგებს, რადგან მეზობელი ოთახში სტუმრებს მასპინძლობს), უკან გამოუდგება. ზუსტად იმ წუთში, როცა უზარმაზარი კრახანასავით მოზუზუნე ბატონი დე შარლიუ ჭმუკარში გავიდა, ეზოში ნამდვილი კრახანა შემოვირინდა. ვინ იცის, იქნებ, ორქიდე მას აღაღც ელოდა, მით უფრო, აღარც მის მიერ მოტანილ უძვირფასეს მტვერს, ურომლისოდაც ისეც ასე უმანკოდ დარჩენა ელოდა? მაგრამ მწერის ანციობის თვა- ლის სადევნებლად სადაღ მეცალა – რამდენიმე წუთის შემ- დეგ ჩემი ყურადღება ისეც ყოუპიენმა მიიჭრა. ის დაბრუნდა (იქნებ, პაკეტისთვისაც, რომელიც მოგვიანებით აიღო, რად- გან, ისე ააღლევა ბატონ დე შარლიუსთან შეხვედრამ, თავიდან მისი აღება დაავიწყდა; ან, იქნებ, სხვა უფრო მარტივი მიზ- ენის გამოც). ყოუპიენი ბარონთან ერთად დაბრუნდა. ამ უკა- ნასანელმა მოვლენათა მსვლელობის დაჩქარება გადაწყვიტა და ჟღერების მკერავს ასანთი სთხოვა, მაგრამ მაშინვე რაღაც გაახსენდა და დააყოლა: „ასანთი ეც თხოვოთ, მაგრამ ვხედავ, კეკელა სახელი დამრჩენია“. სტუმართმოყვარეობის კანონმა კეკელუცობის წესებს აჯობა: „შემობრძანდით, აქ ყველაფერს მოგართმევინ, რასაც ისურვებთ“, უთხრა მკერავმა, რომლის სახე ახლა გულგრილობას კი აღარ გადამისჯვდა, არამედ სიხ- არულს. მათ უკან სახელოსნოს კარი მიიხურა და მეტი აღა- რაფერი გამიგია. კრახანაც თვლიდან დაეკარგე; ვეღარც ის გავიცი, ის მწერი იყო თუ არა, რომლის მოსვლასაც ორქიდეა ასე ელოდა, მაგრამ, ეჭვი არ მეპარებოდა, ამ იშვიათ მწერსა და მომავადობებელ ყვავილს შორის შეწყვილების სასწაული მოხდა; და ეს მას შემდეგ დავიჯერე (ეს მხოლოდ ნინასწარ განჭვრეტლი შემთხვევითობის მარტივი მაგალითია და უმ- ცირესი სურვილიც არ არსებობს, რომ ვინმე მეცნიერულად დაასაბუთოს ბოტანიკის ამა თუ იმ მოვლენის მსგავსება იმ- ასთან, რასაც ზოგიერთი, საკმაოდ ნარემატებლად, ჰომოპე- ქსულიზმს ეძახის), რაც ბატონი დე შარლიუ, მრავალი წლის განმავლობაში ამ სახელს იმ საათებში რომ მოიდიდა, როცა ყოუპიენი სამსახურში იყო, ახლა, ქებაბატონ დე ვილპარიზის შემთხვევით უქციობის წყალობით, ბოლოს და ბოლოს, ყო- ლეტების მკერავს შეხვდა და მასში თავისი ბედნიერება იპოვა, ბედისწერის მიერ ისეთი აღამიანებისთვის შემონახული, რო- ვორიც ბარონი ბრძანდებოდა, ბედნიერება იპოვა ყოუპიენის მსგავსი არსებების სახით, რომლებიც, ეს შემდეგში გამოჩ- ნდება კიდევ, შეიძლება ყოუპიენე უფრო ახალგაზრდები და უფრო ლამაზებიც აღმოჩნდნენ; მე ეს დავიჯერე მას შემდეგ, რაც დე შარლიუ შეხვდა იმ აღამიანს, რომელიც იმისთვის იყო შექმნილი, რათა დედამიწაზე თავისი წილი სთავიენება მიეღ- სთ ისეთებს, როგორც ბატონი დე შარლიუ ბრძანდებოდა და რომელსაც მხოლოდ ხანდაზმული ბატონები უყვარდა.

რასაც ახლა გეტყვით, უცხად ვერ მიტე- დი, მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ გაჩე- ნობიერე, ისიც სინამდვილის იმ ხელშეწყობი- თვისების გამო, რომ მანამდე დარწმუნებული უზიოავი, ვიდრე შემთხვევითი გარემოება საბურველს არ ჩამოსხნიდა. ყოველ შემთხ- ვევაში, იმ წუთში ვნახობი, რომ ჟღერების ყოვლილ მკერავისა და ბარონის საუბარი აღარ მესმოდა. ამ დროს თვლი მოვკარი, რომ ყო- უპიენის სახელოსნოსგან თხელი ტიხართ გამოყოფილი სახელოსნო ქირავდებოდა. იქ რომ შემეღწია, ჩვენი ბინის საშარბულუ- ლო უნდა ავსულიყავი, იქიდან უკანა კიბით სარდაფის სართულზე დავემგებოდი, ეზოს გასწვრივ, შიგნიდან, მიულ სარდაფს გადავიე- ლიდი იმ ადგილამდე, სადაც ვერ კიდევ რამ- დენიმე თვის წინათ დღურგალი თავის ნახელავს ინახავდა და სადაც ყოუპიენი ნახშირის შენახ- ვას აპირებდა. იქიდან კი მხოლოდ რამდენიმე საღვსურის ავლა დამჭირდებოდა და... ასე ფარულად შემეძლო, მთელი გზა ისე გამეგლო, ვერავის დავინახე. ეს ყველაზე უსაფრთხო გადაწყვეტილება იქნებოდა; მაგრამ სხვა გზა ავირჩიე, ვინმეს რომ არ დავინახე, კედელ- კედელ აკრული გავეძვერი და ეზოს გარედან შემოეუარე. თუ მართლაც არავის დაუვნახ- ივარ, ვფიქრობ, იმდენად ჩემი სიფრთხილს- ივად კი არ ვარ დავალბებული, რამდენადაც ეს უზრალყო შემთხვევითობის წყალობაა. ახლა წარმოვიდგინე, რამაც ამ სახიფათო გზისკენ მიმიტყა, იმ დროს, როცა სარდაფის გახსნის არაფერი მეშუქებოდა, ეს სამი შესაძლო მიზეზი გახლდათ, თუკი, ცხადია, მიზეზებზე შეიძლება ლაპარაკი. პირველი, ჩემი რეოთ- მენლობა; მეორე, იმედინება, ის ბუნდოვანი მოგონებებიც იყო, როცა მონტყუვენში ფან- ჯარასთან მიმალული დამაშუალო ვნტიცილის ოთახში მიმდინარე ამბებს ვუთვალავლებ- ეი. უნდა შევნიშნო, რომ ამგვარი სცენების, რომელთა ნახვამაც მომიწია, მოწანილნი სიფრთხილეს არაფრად დაგიდევდნენ და ეს სცენები სრულიად დაუჯერებელი ვითარებაში მიმდინარეობდა, რასაც აღამიანი უნებურად იმ რწმენამდე მიჰყავს, რომ ყოველი ასეთი აღ- მოჩენა დიდი ჯილდოა მისი ერთობ რისკიანი, თუმცა შეუმჩნეველი ქცევებისთვის. დაბოლოს, თავისი ბავშვური ბუნების გამო მიჭირს, ვალი- ბრო მესამე მიზეზი და მჯერა, რომ იგი არსე- ბობს – ჩემთვისაც უჩინარი და გადამწყვეტი- სენ-ლუს სამხედრო თეორიები სინამდვილ- ესთან რომ შემეჯერებინა და დავრწმუნებუ- ლიყავი, რომ მათ ფაქტები არ ადასტურებს,

Marcel Proust
Kavro Zamanin Izinde
Sodom ve Gomorra
Cevirici: Bana Hakmen



ზემდინენით შევისწავლე ბურების ომი. გარდა ამისა, გადავიკითხე ძველი ექსპლიციტივისა და მოგზაურობების ჩანაწერები. ამ ყველაფერმა ძალიან გამიტაცა და, მხნობა რომ შემემატებოდა, ვცდილობდი, ისე მემოქმედა, როგორც ნიგნის გმირები იქცეოდნენ. და, როცა ავადმყოფობა სანოლს მიმაჯაჭვებდა ხოლმე, რამდენიმე დღე-ღამე არათუ თვალს ვერ ვხუჭავდი, არ შემეძლო არც სმა, არც ჭამა, გაზმორებაც კი და არც იმის იმედი მქონდა, უღონობა და ტკივილი ოდესმე თუ გავივლდა. მაშინ ნაპირზე გარიყულ, შხამიანი ბალახებით მოწამლულ, თავით ფეხამდე სველ იმ მოგზაურზე ვფიქრობდი, ორი დღის შემდეგ ძალღონემოკრებილი ალაღებდზე რომ მიდიოდა ველურების საქებნელად, თუმცა ისინი შეიძლება კაციჭამიებიც აღმოჩნდილიყვნენ. ასეთი მოგზაურის მაგალითი სიმწვევის მმატებდა, იმედს მინერგავდა და ჩემი წამიერი სისუსტისა მრცხვენოდა. ბურებზე ფიქრისას კი, რომლებსაც არ ეძინოდათ, ბურქებით დაფარულ ადგილებამდე მისაღწევად ინგლისის ჯარის თვალწინ გადაელახათ ღია ადგილები, საკუთარ თავს ვუებნებოდი: აბა, რა კაცი ვიქნები, თუ იქ შემეძინებდა, სადაც სამხედრო მოქმედების თეატრი მხოლოდ ჩვენი ეზოა, აკი, დრიფუსის^{*} საქმის მსვლელობისას რამდენჯერმე უშობრად გავედი დულში. აქ კი მხოლოდ ერთი იარაღი მემუქრება – მეზობლების მზერა. არადა, მეზობლებს სხვა საქმე აქვთ საკეთებელი და ფანჯარაში საყურებლად არა სცალიათ^{*}.

სახელოსნოში შესულმა, ფიცრის იატაკს რომ არ ეჭრაჭუნა, თითის წვერებზე აწეულმა გავიარე – ფიუჰენის სახელოსნოდან ჩემამდე უმცირესი ჩქამიც აღწევდა და ამისთვის ანგარიში უნდა გამეწია. ამ დროს მივხვდი, რა გაუფრთხილებლად იქცეოდნენ ბატონი დე შარლოუ და ფიუჰენი და როგორი სამსახური გაუწია მათ შემთხვევამ.

განძრევას ვერ ვებდავდი. გერმანტების მეჯინიბებს, როგორც ეტყობა, მათი არყოფნით ესარგებლა, სარდაფიდან კიბე იმ სახელოსნოში გადაეტანა, სადაც მე შევედი. კიბეზე რომ ავსულიყავი, სარკმელს გამოვალედი და ყველაფერს ისე მოვისმინედი, თითქოს მეც ფიუჰენთან ვყოფილიყავი, მაგრამ ხმაურის შემეძინა. მათი საუბარი დაახლოებით იახვევარი საათის შემდეგ დაიწყო (ამ ხნის განმავლობაში მოვასწარი, კიბეზე ჩუმად ავიძვნი და ახლა უკვე სარკმელიდან შემეძლო მათი ყურება, თუმცა სარკმლის გამოღება, სიმართლე გითხრათ, ვერ გავბეჭდი). ბატონი დე შარლოუ ფიუჰენს ფულს აძლევდა, ის გადაჭრიტ უარობდა.

მერე ბატონი დე შარლოუ გასასვლელისკენ დაიძრა. «ასე რატომ იპარასეთ? – აღერისინი ხმით დაადევნა ფიუჰენმა. – ღამაზე ნეირი კაცს ამშვენებს!» – «ფუ, რა საძაგლობაა!» – უპასუხა ბარონმა. კარში გასვლითაც შეჩერდა და ფიუჰენს ამ კვარტალის ამბები გამოჰკითხა: «კუთხეში ერთი ახოვანი ჭაბუკი ნაბლით რომ ვაჭრობს, იცნობთ? არა, ის არა,

მარცხნივ რომ დგას – ის რალაც საფრთხობელაა; აქეთ, მარჯვნივ, შავვერემანი ყმაწვილია. მოპირდაპირე მხარეს რომ აფთიაქია, იმის პროვიზორი ვინ არის, რომლის ნამშებსაც სასიამოვნო სახის ველოსიპედისტი დაატარებს?» ეს სიტყვები ფიუჰენს, ალბათ, გულში მოხვდა, რადგან მოტყუებული კეკლეცი ქალის ამაყი იერთი ნელში გასწორდა და უპასუხა: «როგორც ვხედავ, დიდი მუსუსი ბრძანდებიო!» ამ მწარე, ცივმა და გაპრანტულმა საყვიდურმა, ეტყობა, ბატონ დე შარლოუზე იმოქმედა; ის უსიამოვნო შთაბეჭდილება რომ გაეკარწყლებინა, რომელიც მის ცნობისმოყვარობას შეედლო აღერდა, ფიუჰენს რალაც უთხრა, ოღონდ ისე ჩუმად, ვერაფერი გავიგე. ეს კია, ეტყობოდა, ამის გასაკეთებლად ერთხანს კიდეც მოუწევდათ სახელოსნოში დარჩენა; მისმა ნათქვამმა ფილტბების მკერპის ისე აუჩვიდა გული, რომ ბარონს მაშინვე ყველაფერი მიუტყვია და მის ქალარა თმას, სასვე, ღაფღაფა სახეს, ღრმა კმაყოფილებას რომ გამოხატავდა, ისეთი მზერა შეავლო, როგორც იმ ადამიანმა, რომლის პატივმოყვარეობაც დაკმაყოფილებულია, თხოვნაზე უარი არ უთქვამს, გახარებულ-აღელვებულში, მადლიერებითა და უპირატესობის გრძნობით აღვსილმა არცთუ

* საფრანგეთის გენშტაბის ოფიცრის ალფრედ დრიფუსის (1859-1935) ფართოდ გამხარებული სასამართლო საქმე, რასაც საფრანგეთში დიდი აურზაური მოჰყვა და რამაც ქვეყანა სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე დააყენა. ალფრედ დრიფუსს სრულიად დაუსაბუთებლად დასდეს ბრალად დააშუშობა და სამუდამო კატორღა მიუსაჯეს. სინამდვილეში გერმანიის დაზვერვას სადღელო დოკუმენტები სხვა ოფიცრებს გადასცა.

თავაზიანი შენიშვნის სახით უპასუხა: „კარგა დიდი ფეთქებადი იარაღი კი გაქვს!“ მერე ღიმილით დაამატა: „კარგი, ასე იყოს, დიდო ბიჭუნა!“.

„ტრამავის კონდუქტორზე ლაპარაკს მხოლოდ იმიტომ ვუბრუნებდი, – ისევ თავისი ნაშრომით ბატონმა დე შარლოუმ, – რომ უკან დაბრუნებისას, შეიძლება, ჩემი ინტერესი გამოინივოს. სინამდვილე კი ზოგჯერ, უბრალო ვაჭრის ტანსაცმელი გადაცმული ხალიფასვით, ბლადადს რომ ათვალისებრს, ვინმე საინტერესო პატარას“ მივუღე, რომლის სილუეტმაც მომხიზლა“. აქ უკვე დე შარლოუს ერთ თვისებას მივაქციე ყურადღებას, რომელიც უფრო ადრე ბერგოტსაც შევაშჩინე: სასამართლოს წინაშე წარდგომა რომ მოუწონოს, ბერგოტი იმ ენაზე კი არ ალაპარაკებდა, რომლითაც მოსამართლეებს დაარწმუნებდა, არამედ პირადი შემოქმედებითი ინდივიდუალობით ნაკარნახევ სუფთა ბერგოტული კონდუქტების ხმარებას დაიწყებდა, რადგან ეს სიმოწხეებს მიანიჭებდა. ზუსტად ასევე ბატონი დე შარლოუც ჟილეტების მკერავს იმავე ენით ელაპარაკებოდა, რა ენითაც თავისივე წრის ადამიანებს დაელაპარაკებოდა, ჩვეულებას გადააჭარბა კიდევ, იქნებ, მორიდებულობის გამოც, რომლის დაძლევისაც აშკარად ცდილობდა და განსაკუთრებულად ქედმაღალი ჩანდა, ან, იქნებ, იმიტომაც, რომ საკუთარ თავს ვერცხვერს უბერებდა (მაშინ ხომ უფრო მეტად ველვავთ, როცა საქმე ისეთ ადამიანთან გვაქვს, რომელიც ჩემი წრისა არ არის), მორცხვობა თავის ხასიათის გამოჩენა-გამოშვლებას აიძულებდა, ნამდვილად ამაყობდა და ოდნავ გიჟურის, როგორც შერცოვინია გერმანტი ამბობდა. „მხედველობიდან რომ არ დავკარგო, – გააგრძელა მან, – როგორც ჭაბუკი მასწავლებელი ან როგორც ახალგაზრდა ლამაზი ექიმი, ისე შევხატები ხოლმე იმავე ტრამავის, რომელიც ჩემი პატარა ძაღვს ავიდა; მდებარეობა სქესში მხოლოდ წესის გამო ელაპარაკობ (განა ახე არ მიმართავენ პრინცს): „თუკენი უგანათლებულესობა თავს ხომ კარგად გჩინობს?“ თუ ის სხვა ტრამავიში გადადის, მაშინ ვიღებ, იქნებ, შავი ჭირის მიკრობიტთან ერთადაც კი, პირველ ნომერ ბილეთს, რაღაც სრულიად გაუგებარ სახელს, „გადასაჯდომ ბილეთს“ რომ ეძახიან, და, თუმცა ამ პირველს კი მძლევენ, მაგრამ ის ყოველთვის პირველი არ არის! ასე ვიკვლი „გადასაჯდომილზე საშუალებას“ სამჯერ, ოთხჯერ. ზოგჯერ ღამის თერთმეტ საათზე ორლეანის სადგურამდეც ვალწუნ, ახლა იქიდან დაბრუნება იკითხეთ! ორლეანის სადგურამდე მისვლა კიდევ არაფერი ერთხელ ლაპარაკის დაწყება ვერა და ვერ მოვახერხებ და თვით ორლეანამდე ჩავედი ერთი იმ საზარელი ვაგონით, რომლის ფანჯრიდანაც განუწყვეტლივ თვალიმ გეჩხირებდა იმ რაიონის, სადაც ეს რკინიგზა გადის, მთავარი არქიტექტორული ღირსშესანიშნობაა. მხოლოდ ერთი თავისუფალი ადგილია იყო დარჩენილი და სხვა რა ჩარა მქონდა, ორლეანის ტაძრის „ხედებით“ უნდა დავმტკბარიყავი, რომელიც, თუმცა ისტორიულ ძეგლად კი მოიხსენიება, მასზე

საბაგელი მთელ საფრანგეთში არაფერი არსებობს, მაგრამ, გინდა, არ გინდა, უნდა უფრო ეს კი იმდენად დამღვლილია, თუკენდ ბურთულეებიანი ოპტიკური ხელსაწყობად გიყურებია მისი კომპიუტერის, რის გამოც თვალის ანთებისგან დაზღვეული არა ხარ. ობრები ჩემს ვეჯულთან ერთად ჩამოვედი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბაქანზე ახლობლები დახვდნენ! (მისგან ყველანაირ ბინიერებას ველოდი, ოღონდ ახლობლების დახვედრას – არა!). პარიზში მიმავალი მატარებლის მოლოდინში თავი იმით დავიმშვიდე, რომ დიანა დე შუატიეს*** სახლი დავთავალიერე. თუმცა ამ სახლმა მეფური წარმომავლობის ერთი ჩემი წინაპარი მოაჯადოვა, მე მაინც შუატიეს ცოცხალი სილაშავ უფრო მერჩინა. ამ მოგზაურობებიდან უკან დაბრუნებისას მარტობა მოსაწყენი რომ არ ყოფილიყო, თავს საძინებელი ვაგონის გამცილებელი ბიჭის იმ ომნიბუსის კონდუქტორი ბიჭის გაცნობით ვასაიმოვნებდი ხოლმე. მაგრამ ამან თავზარი არ უნდა დაცვით, – განუმარტა ბარონმა, – ეს მხოლოდ „ჟანონისადმი“ ინტერესის საკითხია. რაც შეეხება მაღალი წრის ახალგაზრდებს, მათთან ფიზიკური ვენება არ მამოძრავებს, ოღონდ მანამდე არ ვემშვიდებდი, სანამ მათ სუსტ სიმებს ერთხელ მაინც არ შევეცნობი, მატერიალურად არა, რა თქმა უნდა. ერთ დროს ერთი ყმანვილი, იმის მაგივრად, ჩემი წერილები უპასუხობდ დაეტოვებინა, თვითონ მიგზავნიდა წერილს წერილზე, სულიერად ის უკვე ჩემი იყო და გულშიც საგულეში მქონდა, უფრო სწორად, საგულეში უნდა მქონოდა, სხვა ვინმეთი რომ არ ვყოფილიყავი გატაცებული. საინტერესოა, არა? პო, მართლაც, სიტყვამ მოიტანა და მაღალი წრის იმ ახალგაზრდებიდან, აქ რომ ხშირად დადიან, არავის იცნობ? – არა, ჩემო პატარავ, არ იცნობ. თუმცა არა, ერთს იცნობ, შვედგერმანია, ძალანა მაღალი, მიონოლუს ატარებს, სულ იცინის და აქეთ-იქით იყურება. – ვერ ვხვდები, ვის გულისხმობთ. თუკენმა პორტრეტის გამოძივნვა დაასრულა, მაგრამ ბატონი დე შარლოუ მაინც ვერ მიხვდა, ვისზე ელაპარაკებოდა, რადგან არ იცოდა, რომ ჟილეტების ყოფილი მკერავი ადამიანთა იმ ნაწილს მიეკუთვნებოდა, – უფრო მრავალრიცხოვანს, ვიდრე შკონიათ, – რომლებიც არ იმასსოვრებენ იმ ადამიანების თმის ფერს, ვისაც თითქმის არ იცნობენ. მაგრამ მე ვიცოდი ჟოუპინის ეს ნაკლი და, როგორც კი შვედგერმანის ადგილზე ქერა დავაყენე, შერ-

* ბიჭებზე ლაპარაკისას, აქედან მოყოლებული, ავტორი მდებარეობით სქესს იყენებს (მთარგმ.).

** აქ წინადადება მდებარეობით სქესს ითხოვს (მთარგმ.).

*** საფრანგეთის მეფე ანრი II-ის საყვარელი.

ცოგ დე შატერლოს ნამდვილი პორტრეტი მივიღე. „მაგრამ ისევ უბრალო ხალხის წრიდან გამოსულ ახალგაზრდებს დავუბრუნდეთ, - კვლევა ალაპარაკდა ბარონი, - ამას წინათ თავბრუ დამახსია ინტელიგენტური, წვრილბურჟუაზიული ოჯახის ერთმა უცნაურმა ბიჭუკელამ, რომელიც მეტისმეტად უდიდრად მეტყეოდა. წარმოადგენა არ ჰქონიდა იმ მანძილზე, რაც ისეთ უჩვეულო ადამიანს, როგორიც მე ვარ, ამოიგრება იმ პირობებში ვიბრონიზიდან, როგორიც ის იყო. ბოლოს და ბოლოს, ჩემი მაღალი ეპისკოპოსური მანტიის წინაშე პატარა ვირის ყროყინი რა მოსატანია. - ეპისკოპოსური? - ნაშოყვირა ჟოჰიპიენმა, რომელიც ვერ მიმხვდარიყო, რაზე ლაპარაკობდა ბატონი დე შარლიუ, თუმცა სიტყვა „ეპისკოპოსურმა“ კი გააცა. - მაგრამ ეს ყოველივე ხომ საერთოდ ვერ ეგუება რელიგიას, - თქვა მან. - ჩემს ვაგარში სამი პაპი იყო, - უპასუხა დე შარლიუმ, - და წითელი მანტიის ტარების უფლებას პაპჩემის ბიძაშვილის კარდინალის ნოდება მანიჭებს, რომლის დისწულმაც ჩემს ღვიძლ პაპას პერცოვის ტიტული გადასცა, ეს ტიტული კი მემკვიდრეობით გადადის. მაგრამ ვხედავ, მეტაფორების არაფერი გაგეგებათ, ხოლო საფრანგეთის ისტორია საერთოდ არ გაინტერესებთ. მოკლედ, - გააგრძელა ბარონმა, ალბათ, არა იმდენად ნათქვამის შესვლაზე, რამდენადაც ჟოჰიპიენის გასაცნობიერებლად, - ახალგაზრდებმა, რომლებიც გამირბიან, ცხადია, შიშით, რადგან მხოლოდ ჩემი პიროვნების გამო ვერ მიმყლანებენ თავიანთ გრძნობებს, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში დამაინტერესოს, საზოგადოებაში ბრწყინვალე მდგომარეობა თუ უყავიათ. მაგრამ მაშინაც კი ამ ყმანვილების ნაძალადევი გულგრილობა მათთან განშორებას მაძიებებს. თუ ისინი ისეთი სულელები არიან, რომ უნარი არ შენსეთ შეწყვიტონ ეს თამაში, მაშინ მათ მიმართ ზიზღის გრძობა მიჩნდება“.

ამ სცენის დასაწყისის შემდეგ ახლა პირველად ახელილმა ჩემმა თვალმა, თითქოს ვიღაცის ჯადოსნური ჯოხი შეეხო, ბატონი დე შარლიუ უცბად მოლიანად გარდაქმნილი აღიქვა. აქამდე ვერაფერს ვხედებოდი, ამიტომაც დააფერი დამინახავს. ბიზიერება (ასე ამბობენ აზრის მარჯვედ გადმოსაცემად), ბიზიერება ადამიანს ყველგან თან სდევს, გენის მსგავსად, რომელსაც ხალხი მხოლოდ იმიტომ ვერ ხედავს, რომ ვერ ხედავს მის არსებობას. სიკეთეს, თალითობას, სახელს, მაღალი წრის ურთიერთობებს ვერ აღმოაჩენ, რადგან მას ჩვენივე თავში ვატარებთ. ოდისიემაც თავიანთ ათინა ვერ იცნო. მაგრამ ღმერთები ღმერთებს უცბად ამჩნევენ. მსგავსი მაშინვე შეიძლება თვისთა მსგავსებ. ჟოჰიპიენმა მაშინვე იცნო ბატონი დე შარლიუ. ამ დღემდე ბატონი დე შარლიუ დაბნეულ ადამიანად მიიჩნდა, რომელიც ორსული ქალის დამრგვალებულ მუცელს ვერ ამჩნევს და რომელიც ღიმილით რამდენჯერმე გაიმორხებს: „დიახ, რაღაც ცოტა დავიღალე“, და რომელიც ქალს მოურიგებელი კითხვით ჩააცვივდება: „რა დაგეგმობათ?“ მაგრამ, თუ ვინმე ეტყვის: „ის ორსულად არის“, მაშინვე ქალის დიდი მუცელი ეგება თვალში და მესტ უკვე ვეღარაფერს ხედავს. თვალს გონება გვიხელს; გაფანტული ცდომილება კი უფრო მეტი გრძობით გვასაჩუქრებს.

ადამიანებს ასეთი კანონის არსებობის დასამტკიცებლად

თავიანთი ნაცნობების მაგალითის დამოწმება არ უყვართ, არ იშველიებენ ბატონი დე შარლიუ და მის მსგავსა მგალოტის წრეში. ბზეც ამდენ ხანს არავინ არაფერს ეწვობდა, იმ დღემდე, სანამ ინდივიდუუმის ერთფეროვან ზედაპირზე, სხვა დანარჩენის მსგავსზე, არ გაჩნდება აქამდე უხესელი მგლნით დაწერილი სიტყვა, ძველ ბერძენთათვის ესოდენ ძვირფასი, რომელიც შთავგავინებს, რომ საწყარო მათ თვალსაწიერს ვერ მოკლებულ წარმოუდგა, ყოველგვარ საპაულის მოკლებული, რასაც მხოლოდ განათლებული ადამიანი ხედავს, აბა, გავისინეთო, რამდენჯერ ვაგებულებოთ ხათაბალაში. ნებისმიერი ადამიანის სახე სრულიად არ მიანიშნებს, რომ იგი ძმაა, საქმრო ან საყვარელია ამა თუ იმ ქალისა, ამიტომაც, ცოტას დარჩა, ამ ადამიანზე არ თქვას: „რა მახინჯია!“ საბედნიეროდ, მეზობლის ჩურჩულით ნათქვამი ერთი სიტყვა და მაშინვე ტურზე გაიყინება ეს საბედისწერო ნაშობახილი. Mené, Thécél, Phares-ს მსგავსად იმნაშველ გაჩნდება ეს სიტყვები: ის საქმროა, ან ძმაა, ანდა საყვარელია ამ ქალისა და მისი თანდასწრებით არ ღირს იმის თქმა, რომ ის „მახინჯია“. და ამ ახალ ცნებას მიელი გადაჯვრუდება, ცვლილებებს მოსდევს, ავარიტობებს ჩვევს უწინდელს, არასრულ წარმოდგენას ამ ოჯახის დანარჩენ ნევებზე. ბატონ დე შარლიუმ სხვა არსება ცხოვრობდა და ამით ყველასგან განსხვავდებოდა. როგორც კინთხული აერთიანებს საკუთარ თავში ადამიანსა და ცხენს, ასევე ეს სხვა არსება ქმნიდა ბატონ დე შარლიუსთან ერთ მთლიანობას, მე კი ვერ შევამჩნიე: ახლა განყენებულმა ხორცი შეისხა, ჩემ მიერ შეცნობილმა არსებამ, ბოლოს და ბოლოს, უხილავად დარჩენის უნარი დაკარგა, ბატონი დე შარლიუს ახალ პიროვნებად გარდასახვამ ისეთ სისრულეს მიაღწია, რომ არა მხოლოდ მისი სახის გამომეტყველება და ხმის სწრაფი ცვლა, არამედ ყველაფერი, მაღალი თუ დაბალი, რაც ჩემთან ურთიერთობაში გამომდინარეობდა, ყველაფერი, რაც აქამდე მისი არათანამიმდევრულობა მეგონა, უცბად გასაცემა გახდა, უცბად გაცხადდა, რომ ფრანვა ყოველგვარ აზრს მოკლებულია, რადგან სიტყვები ისე ნა-

„გამოთვლილი, აწონილი, განაწილებული“ - ეს წინასწარმეტყველური სიტყვები, ბაბილონის მუცე ბალთაზარის სასახლის დარბაზის კედელი იმ დროს რომ გამოისახა, როცა მუცე თავის ქვეშევრდომებთან ერთად ღრუბელს, ხოლო ქალაქი სპარსელების მიერ იყო ერთგულმორჩეული, მისი მეფობის დასასრულს მიაჩნებდა.



ყარეს, სადაც მოხვდა, და, თუ ეს სიტყვები ისე დალაგდება, როგორც საჭიროა, მაშინ ისეთი აზრი გადმოიციემა, რომელსაც უკვე ვეღარ დავიწყებ.

და უფრო მეტიც, ახლად მივხვდი: როცა ქალბატონ დე ვილპარიზის სახლიდან გამოსული ბატონი დე შარლიუ დავიხანხე, რატომ ვიფიქრე, რომ იგი ქალის მსგავსია - ის ქალი იყო! იგი იმ ადამიანს რომ დავსა მიეკუთვნებოდა, ვისშიც, ვიდრე ჩვენ ვგვონია, იმაზე გაცილებით ნაკლებია ურთიერთ-სანაწილმდეგო გრძნობები, ვის იდეალადაც ვაქცავურობა სწორად იმიტომ ტყვეულა, რომ ქალურ ბუნებრივად აქვთ და მამაკაცებს მხოლოდ გარეულად ჰგვანან. ყოველი მათგანის თვალა, რომელიც იმად გვემსახურება, რომ დავინახოთ ყველაფერი, რაც სამყაროშია, თავის გუგამი აღბეჭდავს სილუეტს, მაგრამ მათთვის ეს სილუეტი ნიშნავს სილუეტი როდია, იგი ეფებაა.* ამ ვითის ადამიანებს მძიმე ტვირთად ანეუთ წყველა და კრულვა; მათი სიცოცხლე ერთი გაბმული სიცრუეა და ფიცის გატება, რადგან იციან, რომ მათი სურვილი, რომელიც ყველა ქმნილების სიცოცხლის უდიდესი სიხარულია, სასჯელს იმსახურებს და საპარცხიონა, მისი გამომავლავნება კი საძრახისი; ღმერთის მგობრელები არიან, რადგან, როცა სასამართლოში მსაჯულის პირისხილ დგანან და იმაში ადანი-შულელები, რაც მართლაც მათი ცხოვრების არსს წარმოადგენს, ქრისტეს სახების ნინაშე მის სახელს იფიცებენ, აცხადებენ, ცილს გვანამებენო. ისინი არიან ვაჟიშვილები, ვისაც დედა არ ჰყავს, რადგან მშობლის მთელი ცხოვრება ატყუებენ, მაშინაც კი, როცა მკვდარს თვალბებს უხუტავენ; ისინი არიან მეგობრები, რომლებმაც არ იციან, რა არის ჭეშმარიტი მეგობრობა, თუმცა თავიანთი მოშხიბულელობის წყალობით სხვებში შხირად აღძრავენ მეგობრულ გრძნობებს, რადგან მათ უმრავლესობას კეთილი გული აქვს და თვითონაც სხვების მიმართ იგივე მეგობრულ გრძნობას განიცდიან; მაგრამ, განა შეიძლება მეგობრობა დაეარქვათ იმ გრძნობას, რომელიც მხოლოდ სიცრუის საფარქვეშ აღმოცენდება და რომელიც ნდობის, გულახდილობის პირველივე გამოყენებას ანადგურებს, რადგან იგი ზიზღის გარდა სხვა გრძნობას არ აღძრავს, თუ, რა თქმა უნდა, გზად მიუკერძოებელი ვინმე არ შეხვდება, მათი შეგების უნარი რომ მოჰმადლებია, მაგრამ ასეთ ადამიანშიც კი შეიძლება პირობითობამ გაიმარჯვოს და მისი აღსარების მოსმენის შემდეგ, როგორც კი გაიგებს, რომ მისი ნაცნობი ასეთი მანკიერებით იტანჯება, გაიფიქრებს, მამასადავმე, მისი მეგობრული კეთილგანწყობაც ბიჭიერების ნაყოფივით თუმცა, ამ მიუკერძოებელი ადამიანისთვის მსგავსი განწყობა საერთოდ უცხოა; განა ზოგიერთ მოსამართლეს ძალიან იოლად არ გა-მოაქვს ანდაჩენი, როცა მკვლელობას ეტყუალოფი გადახრით ხსნის ანდა იმით, რომ დამკვეთი, სერაფელა? საამოფებით ამართლებს ერთსაც და მეორესაც, მკვლელობას პირველი ცოდვით ხსნის, გამცემლობას კი იმ ნაკლით, მუდამ თან რომ აღდგის ამ წესს. დაბოლოს - ყოველ შემთხვევაში, პირველი თეორიის მიხედვით მაინც, რომელიც ადრე ჩამოიმეობდა და რომელშიც, როგორც მკითხველი ნახავს, შემდეგში შესწორე-

ბები შევა, - განსაკუთრებულად დახსენდება გული, თუ ჩემ მიერ აღმოჩენილი ნინაშე დევნობა თვალს იმ ილუზიას არ დადგურავს მათ მხედველობასა და მთელ მათ ცხოვრებას რომ მართავს; ამგვარი საყვარლებისთვის თითქმის მიუწვდომელია ის სიყვარული, რომლის მოლოდინიც ამდენ რისკზე მიდინს და ამდენ დროს ატარებენ მარტობაში, რადგან ისეთი მამაკაცი უყვარდებათ, რომელსაც ქალური, გაუკუღმართებული არაფერი დაჰყოლია და, აქედან გამომდინარე, არც იმის უნარი აქვს, მათ სიყვარულს სიყვარულით უპასუხოს; ამგვარად, მათი ვნებები არასოდეს დაკმაყოფილდება, თუკი ნამდვილ მამაკაცს ფულით არ იყიდინ ანდა იმ მამაკაცებს, რომლებსაც დანებდნენ და რომლებიც ისეთივე გაუკუღმართებულები არიან, როგორებიც თვითონ ბრძანდებიან, წარმოსახვა ნამდვილ მამაკაცებად არ წარმოუჩნეთ. ეს ადამიანები პირველ შემთხვევამდე არიან წესიერები და თავისუფლები მანამდე, სანამ მათი დანაშაული არ გახსნილავს; საზოგადოებაში მათი მდგომარეობა არამყარია, როგორც იმ პოეტის**, რომლის ნინაშეც ჯერ კიდევ ნინა დღეს ყველა სალონის კარი იღია იყო, ლონდონის ყველა თეატრში ტაშს უკრავდნენ, მეორე დღეს კი ავეჯით განწყობილ არც ერთ სასტუმროში არ შეუშვეს, მისთვის ბალიშიც არ მოიძებნა, თავი რომ დაეყო, და, სასმონის მსგავსად, იძულებული გახდა, ნისქელის დოლაბები ეტრიალებინა და მისი სიტყვები ეთქვა:

„ორივე სქესი თავის დროზე დაიღუპება“^{***}.
 ისინი, იმ დღეების გამოკლებით, როცა დიდი უბედურება ხდება და მსხვერპლის ირავლივ ხალხი გროვდება, როგორც დრეიფუსის ირავლივ შეიკრება ებრაელობა, მოკლდებიან არიან თანაგრძნობას - ზოგჯერ საზოგადოებასაც - თავისთა მსგავსთა, რადგან ზიზღის ჰგვრით მათში თავიანთი ანარეკლის დანახვა, ზუსტად ისევე, როგორც სარკე სახავეს დაუნდობლად ყველა იმ ნაკლს, რომლის არშემინევას საკუთარ თავში ასე ცდილობენ, და ამ გრძნობას მათი გონება იქამდე დაყავს, რომ ხვდებიან, ის, რასაც თავად სიყვარულს ეძახიან (ამ ცნების ფართოდ წარმოსადგენად, თვითდადარჩენის მიზნით მასში ჩადეს ყველაფერი: პოეზია, მხატვრობა, მუსიკა, რაინდობა, ასეტიხში), ნაყოფი არა იმ იდეალური სიღამაზისა, საკუთარ თავს რომ შეუქმნეს,

* ძველ საბერძნეთში - 18-20 წლის ჭაბუკი (მთარგმ.).

** აქ ატკორი ოსკარ უილდს გულისხმობს.
 *** აღდრედ დე ვინი. „სამსონის რისხვა“.



არამედ მათი განუკურნებელი სენისა; და ისევ ებრაელთა მსგავსად (ოღონდ არა იმათი, რომლებიც მხოლოდ თანამემამულეებთან ტრიალებენ და ენაზეც მხოლოდ რიტუალური და ტრადიციული ზუმრობები აკერიათ), ერთმანეთს გაურბიან, ცდიან ისეთ ადამიანებს, რომლებიც ყველაფერში მათი საპირისპირონი იქნებიან და რომლებსაც ასეთ ხალხთან ურთიერთობა არ სურთ; ასეთებს მიუტყვებენ უხეშობას და უსაზღვროდ უზარალო მათი კეთილგანწყობა; მაგრამ ირგვლივ სულ ისეთი ადამიანები ახვევიათ, როგორებიც თითონ არიან, და რადგან მათ, ისევ და ისევ ებრაელთა მსგავსად, სდევნიან და თავსაც ასხამენ, ამიტომ ფიზიკურ და სულიერი რასობრივი გამოუმუშავებია, რაც დევნის მათის შედეგია და, თუმცა ამ თავისებურებიდან ზოგენით მშვენიერია, უფრო ხშირად კი საზიზღრობაა (ისინი დასცინიან იმათ, ვინც მოახერხა და დაუახლოვდა, შეერია სხვა ჯიშის ხალხს და ერთი შეხედვით ნაკლებად გარყვნილ გამოჩნდა; დასცინიან იმთავით, ვისაც თავისი ჯიშის ნიშნები ნათლად აქვს გამოხატული); მიუხედავად ამისა, ისინი თავიანთ მსგავსთა საზოგადოებაში ისე ენებენ, ცხოვრებას უადვილებთ ის აზრი, რომ არსებობენ, და მაინც – უარყოფენ, რომ იმნარი ადამიანებს მიეკუთვნებიან (რომელთა სახელიც კი მათთვის უდიდესი შურაცხციყოფაა), მოსწონთ იმათი გამოაშკარავება, ვინც იმას მალავს, რაც არის; მოსწონთ არა იმიტომ, რომ ძალთან უნდათ ამ ადამიანებს თავლაფი დაასხან, თუმცა არც ამას ითაკლებენ, არამედ იმიტომ, რომ საკუთარ თავს ეჭვი აარიდონ, აქაოდა, ჩვენ ასეთები არა ვართო; გარყვნილებას ისე სინჯავენ, როგორც ექიმი აუენციკოცს, სიამოვნებას ანიჭებთ ისტორიიდან იმის სიხსენებელი კი, რომ სოკრატეც მათთან იყო, ისევე, როგორც ისრაელელები ამბობენ, ქრისტეც ებრაელი იყოო, ის კი ავიწყდებათ, რომ იმ ეპოქაში ცნება გადარბა არ არსებობდა და ჰომოსექსუალიზმი ნორმად მიიჩნეოდა, ისევე, როგორც შუუძლელებია ქრისტემდე ეარსება ანტიქრისტეს, იმასაც იფიქრებენ, რომ მხოლოდ სირცხვილი წარმოშობს დანაშაულს, რომლის წყალობითაც მხოლოდ ისინი ინარჩუნებენ სიცოცხლეს, ვისი თანდაყოლილი მანკიერებაც არავითარ ქადაგებას, არავითარ მაგალითს, არავითარ სასჯელს არ ემორჩილება და, საკუთარი გადახრის გამო, სხვებსაც თავიდან იძირებს (თუმცა, მაალე სულიერი თვისებების გამო შეუძლია მათ შეეთვისოს); ეს ნაკლებ საზიზღარია მანკიერება – მაგალითად, ქურდობისკენ, სიმკაცრისკენ, მზაკვრობისკენ მიდრეკილება – ჩვეულებრივი ადამიანის თვალსაზრისით მით უფრო გასაგებია და, მამასადავამ, უფრო მისატყუებელიც. ეს ადამიანები თავისებური მასონურ ლოჯას ქმნიან, ოღონდ უფრო ფართოს, უფრო აქტიურს, ნაკლებად შესამჩნევს, რადგან იგი მიდრეკილებების, მოთხოვნებების, ჩვევების ერთიანობის საფუძველზე იქმნება, ხიფათის ერთგვარობის საფუძველზე, იმ ნიშნით, რომ ყველა მისი ნევრი ერთი და იმავე სკოლას გადის, ერთი და იმავე ცოდნას ღებულობს, იმის მიხედვით, რომ მოქმედების ერთი და იგივე ნესი აქვთ, თავისი განსაკუთრებული ენა; ლოჯას, რომლის წევრებაც, ერთმანეთთან ნაცნობობის ენაზე არ არ სურთ, ბუნებრივი თუ პირობითი, უნებლიე თუ წინასწარ განზრახული ნიშნებით ერთმანეთის მამნივე ცნობენ, ზუსტად

ისევე, როგორც ლატაკია ხედება, რომ ის მედიდური ბატონი, რომლის კარეტის ქარსსაც ხურავს, ისეთივე ლატაკია, როგორც თვითონ; ზუსტად ისევე, როგორც თავის თავს შეიცნობს მამა საკუთარი ქალიშვილის საქმროში, ავადმყოფი – ექიმში, აღმსარებელი – მოძღვარში, ძიებაში მყოფი კი ადვოკატში; ისინი იძულებული არიან, თავიანთი საიდუმლო დაფარონ, მაგრამ სხვათა საიდუმლო იციან, რაზეც იმ სხვებს ეჭვიც არა აქვთ, და ეს საიდუმლო მათზე ისეთ ზემოქმედებას ახდენს, რომ ყველაზე დაუჯერებელი ავანტიურული რომანიც დამაჯერებლად ეჩვენებათ, რადგან მათი ცხოვრება გარდასული რომანტიკით არის სავსე, და თანაც, როგორ არ უნდა დაიჯერონ, როცა იციან, რომ ეწიი კატორღლის მეგობარია; როცა პრინცი, ქცევის იმ ძალდაუტანებელი მანერებით რომ გამოჩნრევა, რაც არისტოკრატიული აზრებით გამოუმუშავებია და რაც არა აქვს, არც უნდა ჰქონდეს შეშინებულ წვრილ ბურჟუას, ჰერცოგინიას სალონიდან გამოსული, ავიარსთან შესხაველად მიდის; ეს უარყოფას იცავს მძღვარ ძალას ქმნის, რომ მის არსებობას იქაც ვარაუდობენ, სადაც არ არის, თუმცა ყველას თვალწინ კანიერად, დაუსჯელად მოქმედებს იქ, სადაც მის არსებობას ვერაინ ხედავენ; ისინი თანამოაზრეებს ყველგან პოულობენ: უბრალო ხალხში, არმიამში, ტაძრებში, კატორღაში, ტახტზე; ისინი ცხოვრობენ, ყოველ შემთხვევაში, მათი დიდი უშრავლესობა მიიჩნ, სხვა ჯიშის ადამიანებთან რომაჯადობელ, თუმცა სასიფათო მეზობლობაში, რომლებსაც ელაციცებია, მათთან მძარაკისას თავიანთ ნაკლებ ისე ზუმრობენ, თითქოს ეს მათი ნაკლი არ იყოს და თვითონ არ იტანჯებოდნენ ამით; სხვათა განსჯის და სიყალბის გამოშეურების თამაშით სულს იმსუბუქებენ; ეს შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, იქამდე, ვიდრე აღმოთებთა ზენიტს არ მიაღწევს და მომთვინიერებელს არ დაგლეჯს; ამ დღემდე კი იძულებული არიან, თავიანთი ცხოვრება დაფარონ, ზურგი შეაქციონ იმას, რისი უკეთ დანახვაც უნდათ, დიანახონ ის, რასაც უნდათ ზურგი შეაქციონ, სალაპარაკო ენაში ბევრ ზედსართავს სქეს უცვლიან და მინც ეს გარეგნული ტვირთი განუშლლად მსუბუქია იმ სულიერ ტვირთზე, რითიც ეს ნაკლი, ან ის, რასაც არასწორი სახელი დაარქვას, ავიწროებს მათ, ოღონდ ავიწროებს არა სხვათა, არამედ საკუთარ თვალში, რათა ნაკლი ნაკლად არ ეჩვენოთ. მაგრამ ზოგიერთები, უფრო პრაქტიკულნი, უფრო ჩქარები, რომლებსაც

ბაზარში სიარულის დრო არა აქვთ, არც ცხოვრების გაიოლ-
ებაზე ზრუნავენ, დროს ამაოდ არ კარგავენ და ურთიერთშე-
თავსების პრინციპით ორ საზოგადოებას ქმნიან, ამასთან, მე-
ორე უკლებლივ მათი მსგავსი არსებებისგან შედგება.

ეს უმაღლეს ხედვებით თვალში პროვინციიდან ჩამოსულ
ღარიბ ახალგაზრდებს, რომლებსაც არც ურთიერთობები აუ-
წყევიათ და არც არაფერი აბადიათ, გარდა პატივმოყვარული
ოცნებებისა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ცნობილი ექიმები ან
ადვოკატები გახდებიან, რომლებსაც საკუთარი აზრი ჯერჯერ
არაფერზე გასწეიან, არც საზოგადოებაში თავდაჭერა შეუ-
ძლიათ, მაგრამ იმედს არ კარგავენ, რომ ყველაფერს სწრა-
ფად ისწავლიან, ისევე, როგორც მალევე შეიძენენ ლათინური
კვარტალის თავიანთი პანანია ოთახებისთვის ისეთივე ავეჯს,
იმათთან რომ ნახეს და ბოლო წერილმანამდე დაათვალიერეს,
ვინც უკვე „დანიინაურდა“ სწორედ იმგვარ სასარგებლო და სა-
პატიო სარბიელზე, რომელ ასპარეზზე მოღვაწეობა და სახე-
ლის მოხვეჭაც თავად ეოცნებებთა. ამ ადამიანების მისწრაფე-
ბა ისეთივე თანდაყოლილია, როგორც ხატვის ან მუსიკის ნიჭი
თუ სიბრძავესკენ მიდრეკილება, ეს, ალბათ, მხოლოდშობილი
სიცოცხლისუნარიანი, დესპოტური – ორიგინალურობის თვალ-
საზრისით, იქნებ, ერთადერთიც – მისწრაფებაა, რომელიც აი-
ძულეობით, შიგადაშიგ საღამოები იმ ადამიანებთან შეხვედრას
შესწირონ, ვისთან ურთიერთობაც მათ კარიერას წაადგება და
რომლებსაც ყველაფერში ბაძავენ: ლაპარაკის მანერა იქნება,
აზრის გამოხატვა, ჩაცმა თუ ვარცხნილობა. იმ კვირტალში,
სადაც ეს ხვდებიან, ისინი ხვდებიან მხოლოდ სკოლის ამხ-
ანაგებს, რომლებიც მათ მისწრაფებებს არ იზიარებენ, და
მასწავლებლებს ან ვინმე უკვე წარმატებულ, მათ მფარველ
თანამემამულეს, მალე სხვა ახალგაზრდებსაც აღმოაჩენენ; და
მათთვის დაზნასიათებელი ეს განსაკუთრებული სწრაფვა ისე
დააახლოებთ ხოლმე, როგორც უახლოვდებიან ერთმანეთს
პატარა ქალაქში მცხოვრები მასწავლებელი და ნოტარიუსი,
ორივე – კამერული მუსიკისა და შუა საუკუნეების სპილოს
ძელოს ნაეთობათა დიდი მოყვარული. თავიანთ გართობებში
ის პრაქტიკული ინტერესი, საქმიანი სულისკვეთება შეაქვს,
რომელიც კარიერის შექმნისკენ მიმართულ მათ ძალისხმევას
წარმართავს; ისინი ამ ახალგაზრდებს იქ ხვდებიან, სადაც
საქმეში ჩაუხედავნი არ დაიშვებიან, ისევე, როგორც ძველ-
ებური საბურთუთების, იაპონური გრაფიურების ან ყვავილთა
იშვიათი ჯიშების მოყვარულთა შეკრებებზე, სადაც, საფოსტო
მარკების ბირჟისა არ იყოს, ცნობების ურთიერთგაცვლის სია-
მოგნების, ამ ურთიერთობების სარგებლობისა და, ამასთან
მეტოქეობის შიშის წყალობით, სპეციალისტების მჭიდრო კავ-
შირს კოლექციონერების გააფთრებელი მეტოქეობა შეწინაა-
კავებში, სადაც თავიანთი მაგიდა აქვთ, კაცმა არ იცის, რა
შეკრებაა ეს – მეთევზეთა საზოგადოების, რედაქციის მდი-
ვნებისა თუ წარმოშობით ენდრობი ახალგაზრდების; ისინი
თავდაჭერილი, მშვიდი, ცვივი იერთი სხედან და შეფარული
მონივნებით დაჰყურებენ იმ ახალგაზრდებს, მათი მაგიდიდან
ორიოდე ნაბიჯის მოშორებით რომ სხედან და თითქმის ყვი-
რილით ყვებიან თავიანთი საყვარლების ამბებს; მხოლოდ ოცი
წლის შემდეგ, როცა ერთნი, ესენი, ვინც ახლა მათთან იხიბუ-



ბა და პირდაპირ შეხედვას იყენებდნენ, აკა-
დემიის წევრები გახდებიან, ისინი კი კლუბების
ძველ, ყოველდღიურ სტუმრებად დარწმობან,
მიხვდებიან, რომ იმდროინდელ მოდურ ჭაბუკ
„ლომია“ შორის ყველაზე მაკედუნებელი, ახლა
კი ჩასუქებული, გაჭაღარავებული დე შარლო
სინამდვილეში ისეთივე ბრძანდებოდა, რო-
გორებიც თავად იყვნენ, ოღონდ ის სხვა სამყა-
რის ეკუთვნოდა სხვა გარეგანი სიმბოლოებით,
სხვა განსაკუთრებული ამოსაცნობი ნიშნებით,
რამაც ისინი შეცდომაში შეიყვანა და დააბნია.
ეს ჯგუფები შეიძლება მეტ-ნაკლებად პრო-
გრესულები იყვნენ, და ისე განსხვავდებოდ-
ნენ ერთმანეთისგან, როგორც „მემარცხენეთა
კავშირი“ და „სოციალისტური ფედერაცია“,
„მენდელსონის მუსიკალური საზოგადოება“
და „Schola cantorum“-ი; სხვა სახეობის კი მე-
ზობულ მაგიდას ექსტრემისტები მოუსხდები-
ან, რომლებიც თავს უფლებას აძლევენ, მან-
ყუეტების ქვეშ ბრასლეთი გაიკეთონ, პერანგის
საყელოდანი კი ყელსაბამეში მოუწიან; მათ
დაუთმებული მცხრა, ქოთქოთი, სიცილი, ის
თუ როგორ ენაზებიან ერთმანეთს, კოლეჯის
მონაფეთა გუნდს აფრთხობს და აქეთ-იქით
მსარაფად იფანტებიან, ხოლო თავაზიანობის
ნიღაბმორგებული აღმფოთებული ოფიცინტი,
ისევე, როგორც იმ დღეებში, როცა დრეი-
ფისსელებს ემსახურებოდა, რომ არა ფეხის
ქირის მოლოდინი, დაუყოვნებლივ გამოიძა-
ებდა პოლიციას.

* მაგლობეტა სკოლა, რომელიც 1896 წელს დაარსდა
(მსარგმ.)

ასეთ პროფესიულ ორგანიზაციებს გონება დამარტოვებულებს მიდრეკილებებს უპირისპირებს, უპირისპირებს განსაკუთრებული ძალდატანების გარეშე და დამარტოებულითა თვალსაზრისზე დგება, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ისე მკვეთრად არაფერი განსხვავდება ორგანიზებული ბიზიერებისგან, როგორც ის, რაც მათ სიყვარულში გაუგებრობა ეჩვენებათ, და მაინც, ყოველივე არცთუ ძალდაუტანებლად ხდება, ვინაიდან ამ სხვადასხვა კლასებს არა მხოლოდ განსხვავებული ფიზიოლოგიური ტიპები შეესაბამება, არამედ ერთმანეთის მიმყოლი პათოლოგიური მომენტებიც ან მხოლოდ სოციალური ევოლუცია, და მართლაც, იშვიათად, რომ ესა თუ ის მარტოხელა ადრე თუ გვიან არ შეუერთდეს ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციას, ზოგი მომენტისგან გამომდინარე, ზოგი კი - თავი კომპორტულად რომ იგრძნოს (ზუსტადვე ასე დაამთავრეს ტელეფონის თავგამოდებულმა მონინალდმეგებმაც - ბოლის და ბოლოს, ტელეფონიც დაიდგეს, თავიანთ სალონებში იენას საგვარეულოს წევრების მიღებაც დაიწყეს და პოტივის მალაზიებში საყიდლებზე სიარულიც). უნდა ითქვას, რომ უმრავლეს შემთხვევაში ასეთ ორგანიზაციებში მათ საქმიად უხალისოდ იღებენ, რადგან გამოუცდებლობას შერწყმული ავადმყოფური მეოცნებობით გამოწვეულ მათ მოკრძალებულ ქცევებს, რასაც მართობა ბადებს, ქალურობის შესამჩნევი დალი აზის, ანაბეჭდი, რომლის მოშორებასაც ასე ცდილობენ პროფესიონალები. უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგიერთ ახალგადაში ქალური საწყისი მამაკაცური არა მხოლოდ შინაგანად ერწყმის, მისი საზიზღარი არსებობა ყველას დასანახად მჭლავნდება, მაგალითად, როცა ისტორიულ-მნივანა ხმით იცინიან, რის გამოც მუხლები და ხელები უჟაკალებს; ასეთ დროს მამაკაცებს კი არა, უფრო თვალმწიფიანი, უმეჩალურჯებულ, ფეხზე ჯაჭვგამომბმულ მაიმუნებს ჰგვანან და მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ამათ სმოკინგები აცვიათ და შავი ჰალსტუხები უკეთიათ; მოკლედ, ნაკლებად ხელიდან წასულ ვეტერანებს ამ ახალბედებთან ურთიერთობა სახელის გატეხად მიაჩნიათ და არცთუ სისარულით ხვდებიან თავიანთ რიგებში; მაგრამ საზოგადოება მაინც ითმნის მათ და ისინიც ყველა შესაძლებლობით სარგებლობენ: კომერციამ და დიდმა წარმოებებმა გაუკუღმართებული ინდივიდების ცხოვრება გარდაქმნა, მათთვის აუცილებელი ის სიამოვნებები, უნდა გატყრებები რომ იღებდნენ და მათი სიყვარულის ბაზარზე არც კი ჩანდა, ახლა ხელმისაწვდომი გახდა; ის, რისი შოვნაც ადრე, როცა შუამავლის გარეშე ირჯებოდნენ, უძნელდებოდა, უძნელდებოდათ იქაც კი, სადაც ხალხი იკრებებოდა, ახლა თავსაყრილად ავეთ. მაგრამ, მოუხედავად ამდენი გამოსავლის არსებობისა, ზოგიერთს ჯერ ისევ ძალიან უშეძმს, გაუძლოს სოციალურ ზემოქმედებას, უშეძმს იმას, ვინც შინაგან თავისუფლებას მიეჩნია და დარწმუნებულია, რომ მისი ეს მიდრეკილება იშვიათი გამონაკლისია. თუმცა სინამდვილეში ასე არ არის. ჯერჯერობით გვერდზე დაეტოვოთ ისინი, ვისაც

თავისი მიდრეკილების უჩვეულობა საქმის საფუძვლად მიანიჩა, რათა საკუთარი პროგრესი ბა უმაღლეს არსებად მიიღოს; ისინი, ვინც ქალები სძულს; ისინი, ვინც პომოქსესული ხმის გენიოსების თვისებად აღიქვამს და ის ბრწყინვანი ისტორიული ეპოქების გამოვლენება ჰგონია; და, როცა სურვილის დასაკმაყოფილებლად ვინმე შესაფერის ეძებენ, იმათკენ კი არ ისწრაფვიან, ვისაც საამისო მიდრეკილება აქვს - როგორც მომთინისტს მორფი იზიდავს - არამედ მათკენ, ვისაც თავისი კეთილგანწყობის ღირსად მიჩნევენ, და ისეთივე აპოსტოლური თავგამოდებით ცდილობენ საკუთარი რწმენის გავრცელებას, როგორც სხვები ავრცელებენ სიონიზმს, მოუწოდებენ სამხედრო სამსახურზე უარის თქმისკენ, სენ-სიონიზმს, ვევეტარიანობას, ანარქიზმს დაადებენ. და, თუ ვინმე ამათგანს დილით ისევ ლოგინში მწოლიარეს ნაწყდებით, მის საუცხაო ქალურ თავს აღმოაჩენთ, გაცდებით, იმდენად ბევრი საერთო აქვს ქალურ ექსტრენისთან, რაც ასე სიმბოლურია ამ სქესისთვის; ამას მათი თმაც კი ამტკიცებს, მზრებზე რომ აფენიათ და ისე ბუნებრივად მოუყვება ლოყას, უნებურად გაკვირვება გიპყრობთ, როგორ შეძლო ამ ახალგაზრდა ქალმა, ამ გოგონამ, ამ გალახტამ,** რომელიც აქამდე მისი მამაკაცური სხეულის ქვეცნობიერში იყო ჩაქცეული და, ეს-ის არის დივიძება, დამოუკიდებლად, სხვათა დაუხმარებლად, თავისი დილეგის ყველა გასაძირობი, ოდნავ შესამჩნევისა კი, მოძებნა და იმ ყველაფრის პოვნა, რაც მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ცხადია, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ასეთი მშვენიერი თავი აქვს, არ ამბობს: „მე ქალი ვარ“. ამას მაინც კი არ აღიარებს, მრავალ მიზეზთა გამო, ქალთანაც რომ ცხოვრობდეს, შეიძლება, მასთან საუბრისას უარყოს კდეც, რომ თვითონაც ქალია, დაიფიქროს, რომ მამაკაცთან ქვესობრივი კავშირი არასოდეს ჰქონია, თუნდაც მან ისეთივე დანახოს, როგორც სულ ახლახან გაჩვენებ - სანოლში მწოლიარე, პიყამათა გამოწყობილი, მოშიშვლებული მკვლავა მათა და შავი კულულებით დამშვენიებული ტიტველი კისრით. მაგრამ პიყამა ქალის კოფთად იქცევა, თავი - მშვენიერი ესპანელი ქალის თავად. საყვარელს კი თავზარი დაეცემა

** ერთ-ერთი ნერვიდა (ზღვის ფერია. ბერძ. მითოლოგია), წყნარი, მოკამაქე ზღვის განსახიერება. ვალახტას სიყვარულითვის პოლიფემოსმა მოკლა თავისი მცირეკე აკიდი, რომლის სისხლს მინდრავდა იქცა და თავის სატრფოს, ზღვას შეუერთდა (მთარგმ.).

* პროსტიკი გამოგონილ არისტოკრატიულ გვარეულობას საგანგებოდ ირონიულად მოიხსენიებს პარიზში ნამდვილად არსებული გასტრონომიული ფორმის მალაზიების ფელზობილების გვირის გვერდით.

ამ ფორმით გამოასახლეთ აღიარებით, რაც მისი კითხვის გამომხატველი მზურის პასუხია, რადგან ის ყოველგვარ სიტყვაზე, თვით ქმედებებზეც კი უფრო ნამდვილია; თუნდაც აქტი ჯერ არაფრით იყოს დადასტურებული, მოგვანებით აუცილებლად გამოჟღერდება, რადგან ყოველი არსება სიამოვნებისკენ ისწრაფვის; თუ ადამიანი შეტისმსუქდა გახრწილი არ არის, იგი სიამოვნებას საპირისპირო სქესთან სექსუალურ კავშირშიც პოულობს. გაუკულმართებული მიდრეკილების კაცი ბინიერი მაშინ კი არ არის, როცა ქალებთან ამყარებს ურთიერთობებს (აქეთ შეიძლება ბევრმა რამემ უბიძგოს), არამედ მაშინ, როცა ეს ურთიერთობა სიამოვნებას ანიჭებს. ახალგაზრდა, რომლის დახატვასაც აქ ვეცადეთ, იმდენად ნამდვილი ქალია, რომ ქალებს, რომლებიც მას ჟინმოთული შეჰყურებენ, ისეთივე იმედგაცრუება ეუფლებათ (ცხადია, თუკი თითონ ნორმალურები არიან), როგორსაც შექსპირის პიესების მოტყუებული გმირი ქალები განიცდობს, როცა მამაკაცის მაგივრად ქაბულის ტრანსველში გადაცმულ გოგონას აღმოაჩენენ. სიკრუე ორივეგან ერთნაირია, გარყვნილმა მამაკაცმა იცის, წინასწარ ტვრეტს, რა იმედგაცრუებაც დაატყდება ქალს, რომელიც, ამას რომ სამასკარად ტრანსველი შემოეძარცვება, მიხვდება, მსგავსი შეცდომა მხოლოდ პოეტური დანტაზიის ნაყოფია. საკმარისია, თეთრ ბალიშზე მიყრილ კულულებს თვლი შეაკლით, რომ მიხვდეთ, საღამოს ეს ახალგაზრდა კაცი შობილების თვალს, მათი სურვილის სანინააღმდეგოდ და საკუთარისაც, თუ დაუსხლტება, არა იმიტომ, რომ ქალების საქებრად წაიედეს. საყვარელმა შეიძლება იგი დასაჯოს, ჩაკეტოს, მეორე დღეს ქალკაცა გამოიხატოს საშუალებას, კაცს იპოვის, ისე მიენებება, როგორც ხვიარა მასთან ახლოს მიტანილ ბარს ან ფოცხს. რატომ არის, რომ ჩვენ, ამ ყმანვილის ამღელვებელი ნაზი სახის ცქერით, მამაკაცისთვის უჩვეულოდ ნატიფი, წრფელი და თბილი ქცევებით ნასიამოვნები, ასე მტყუენულად განვიცდით, როცა ვიგებთ, რომ იგი მოკრივეებთან ნაცნობობას არჩევს? ეს ხომ ერთი რეალობის ორი სხვადასხვა ასპექტია. და ეს ასპექტი, ჩვენში ზიზღს რომ იწვევს, უფრო გულმეძმერელია, ყოველგვარ სიფაქიზეზე უფრო გულმეძმერელი, რადგან იგი უნების გასაღვევის, გაუაზრებელი ძალისხმევის შედეგია: მოუხედავად ყოველგვარი ხრიკისა, სქესი თავად შეიცნობს, რა გზას დაადგეს, შეუცნობლად ასწორებს ადამიანთავან დაშვებულ თავდაპირველ შეცდომას და ცდილობს, საზოგადოება თავისგან გამოაცალკეოს. ზოგისთვის, ისეთებისთვის, ალბათ, ბავშვობიდანვე მორცხვები და მგრძობიარობისადმი გულგრილი რომ იყვნენ, მნიშვნელოვანია, მიღებული სიამოვნება მამაკაცურ სახეს მოაზგონ. მაშინ, როცა სხვებს, ეჭვი არ არის, დიდი ვნებების მქონე ადამიანებს, აუცილებლად სჭირდებათ თავიანთი შეგრძნებებით მიღებული სიამოვნებების ლოკალიზაცია. მათი აღიარებით ჩვეულებრივ ადამიანებს, ალბათ, შოკს მოჰყვრით. იქნებ, ისინი ბოლომდე არც ცხოვრობენ სატურნის თანამგზავრის* მფარველობის ქვეშ,

რადგან ქალები მაინც სჭირდებათ პირველისგან განსხვავებით, რომლებისთვისაც ქალები სწორედ არ იარსებებდნენ, რომ არა მათი საფუძრის წინამართლის უნარი, ქალური სიკვლევეც, განძნობაბა სიუხვე. მეორეში კი იმ ქალებს ეძებენ, რომლებსაც ქალები უყვართ; მათ შეუძლიათ ისინი ვინმე ახალგაზრდა კაცს შეხვედდნენ და ამის ის სიამოვნება გაიმძაფრონ, რომელსაც ამ ახალგაზრდასთან ურთიერთობა მიანიჭებთ; უფრო მეტიც, მათ შეუძლიათ ამ ქალებისგან ისეთივე სიამოვნება მიიღონ, როგორიც მამაკაცისგან. ეჭვმა მხოლოდ იმათი შეიძლება გაიღვიძოს, ვისაც პირველი უყვარს, ის სიამოვნება კი, მამაკაცი რომ ანიჭებს, აღიქმება ღალატად, რადგან ქალის სიყვარულის უნარი არ გააჩნიათ, თუ ქალთან სქესობრივი კავშირი მაინც აქეთ, ესეც მხოლოდ ჩვეულების გამო, და კიდევ – ქორწინებისკენ მიმავალი გზა რომ არ მოიჭრან; მათ არ ესმით, რა არის ცოლმტრული ცხოვრებით მოვრილი სიხარული, ამიტომაც, თუ მათი საყვარელი კაცი ოჯახური ყოფით ბედნიერია, ისინი ამის გამო არ იტანჯებიან, მაშინ, როცა მეორეში ხშირად ექვიანობენ ქალებზე. საქმი ეს გახლავთ, რომ ქალებთან მიმართებაში ისინი ისეთი ქალის როლს თამაშობენ, რომლებსაც ქალები უყვართ, ხოლო ქალი თითქმის ისეთივე სიამოვნებას ანიჭობს, როგორსაც მამაკაცი. ეჭვიანი გეგობარი იტანჯება, რადგან მისი შეყვარებული იმას მიეწება, ვინც მისთვის თითქმის მამაკაცია, ჰგონია, რომ აღარასოდეს დაუბრუნდება, რადგან ასეთი ქალები მისთვის რაღაც უცხო ხილია, ასეთები ხომ საერთოდ არ იცნობენ ქალის ამგვარ ტიპს. იმ უგუნურ ქაბულებზე კი ნუ ვილაპარაკებთ, რომლებიც მეგობრების გასაღიზიანებლად, მშობლების თავზარდასაცემად ნაბეჭური სიკერპით ანცობენ და იმგვარი ტრანსველი კოწინაობენ, ქალის სამოსს რომ ჰკვავს, ტურქებს იღებენ და თვლებს აქეთ-იქეთ აცეცევენ; მოდი, მათაც მოვეშვათ, რადგან თავის შერცხვენა ძვირად დაუჯდებათ, მერე მთელი ცხოვრება მკაცრი, პროტესტანტული ქცევებით ამაოდ ეცდებიან იმ ზიანის შედეგების აღმოფხვრას, საკუთარ თავს რომ მიავყენს მაშინ, როცა იმავე დემონით იყვნენ შეპყრობილი, რომელიც სენ-ჟერმენის გარეუბანში მცხოვრებ გოგონებს უბიძგებს, სკანდალური ცხოვრება აირჩიონ, ზრდილობის ყველა ნესი დაარღვიონ, მშობლები მასხრად აიგდონ იმ დღემდე, როცა უცბად, რკინისბერი სიკერპით, ოლინდ ამაოდ, დაიწყებენ იმ მთაზე აცოცებას, საიდან დაშვებაც ოდესღაც ასე მაც-

* შეიძლება, პრუსსს მხედველობაში აქვს ამ პლანეტის თანამგზავრი ნეცე-ლადი, რომელიც ანტიკურ მითოლოგიაში ერთ-ერთი გიგანტია. გიგანტები კი ქალებთან კავშირს თავს არიდებდნენ.

დუნებელი ჩანდა, უფრო სწორად კი, დაიწყებენ მწვერვალზე აცოცებას, რომლის წვერზე თავის შემაგრებას და მერე უკან ჩამოსვლას ვეღარ შეძლებენ. იმათზეც, ვინც პომეროსთან შეთანხმება დედო, ჯერჯერობით აღარაფერი ვთქვათ და მხოლოდ მას შემდეგ ვილაპარაკოთ, რაც მათ ბატონი დე შარლიუ გაიცნობს. ნურც ამ ჯვიზის სხვა სახესხვაობებზე ვილაპარაკებთ, რადგან ისინი დეგ გამორჩედიან, ხოლო, დაწყებული თხრობა რომ დავამთავროთ, კიდევ რამდენიმე სიტყვა ვთქვათ იმაზე, ვისზეც სულ ახლახან დაივწყეთ საუბარი – დამარტოებულზე. არასწორი იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ის ნაკლი, რომელიც მათ გააჩნიათ, იშვიათობაა; როგორც კი ამ ნაკლს საკუთარ თავში აღმოაჩენენ, მას შემდეგ, რაც საკმაოდ დიდხანს ატარეს ისე, რომ მის არსებობაზე ეჭვიც არ ჰქონდათ, ისინი იცოდნენ სიმარტოვეში იწყებენ ცხოვრებას. თავიდან ხომ არაფერ ნაკლი, ვინ არის: გარყვნილი, პოეტი, სწობი თუ ბოროტმოქმედი. ზოგი მონაწივე, სიყვარულზე უამრავი ლექსი რომ წაიკითხა, უამრავი უხამსი სურათი ნახა, ამხანაგს ელაც იცება, ჰგონია, მასთან მხოლოდ ქალისადმი მტკიცეა აერთიანება. განა როდისმე აზრად მოუვა, რომ ისეთივე არ არის, როგორებიც სხვები არიან. რასაც იგი განიცდის, ამ გრძნობაზე წერდნენ ქალბატონი დე ლაფაიტი, რასინი, ბოდლერი, ვოლტერი, უოლტერ სკოტ. თუმცა თვითდაკვირვების მხრივ ჯერ ისევე სუსტია, უნარი არა აქვს, მიხედეს, რომ გრძნობა ერთია, საგნები კი სხვადასხვა; იქნებ, მას იგივე სურს, რაც რობ როის და არა დიანა ვერნონს? ბევრის გონებას წინ თვითგადარჩენის ინსტინქტი უსწრებს და მათ ოთახებში აღარც სარკე ჩანს, არც კედლები, რადგან მსახიობი ქალების სურათებით არის დაფარული; წერთ კი ასეთ ლექსებს წერენ:

მთელ ქვეყანას მიჩრჩენია
ღვთაებრივი, ოქროსთავა
ის ოყლაყი ბიჭი.
გული ჩემი მისმა ტრელობამ
დაწვლია და დაწვა.

შეიძლება კი აქედან დავსკვნათ, რომ ცხოვრების დასაწყისში ისინი რაღაც უცნაური, განსაკუთრებული ვნებით არიან შეპყრობილი, რადგან შემდეგში მისი გამოვლინება არ ჩანს; განა ოქროსკულულებიანი ბავშვები მოვიგანებთ ხშირად შავგერმანები არა ხდებიან? ვინ იცის, იქნებ, ქალების ამ ფოტოგრაფებში იფარება კიდევ მათი თვალთმაქცობის ჩანასახი და გახრწნილი მამაკაცებისადმი ზიზღის ჩანასახიც? მაგრამ დამარტოებულებისთვის თვალთმაქცობა მტანჯველია. ებრაელთა, ამ განსხვავებული თემის, მაგალითი, ალბათ, საკმარისად დამარტოებული არ არის იმის ასახსნელად თუ რა ცოტას ნიშნავს მათთვის აღზრდა და რა ეშმაკობებს აღარ მიმართავენ, რათა ყოველივე ისევე დაიწყოს, თუმცა ეს შეიძლება არც ისე საშინელია, როგორც თვითკვლავობა (მოუხედავად მიღებული სიფრთხილის ზომებისა, გიჟები მაინც ცდილობენ საკუთარი თავის ხელყოფას: მდინარეში ხტებიან და მერე ამო-

ჰყავთ, თავს ინაშლავენ, პისტოლეტს შოკოლათზე და სხვა), ისე დაიწყოს ახალი სიცოცხლე თავისი სიამებებით, რაც თავისი გამუდმებული სამშობრებებითა და სირცხვილის მართაღილო გრძნობით სხვა ჯიზის ადამიანებს არათუ წარმოდგენილად შეიჩნიათ, არამედ საზიზღობადაც; მათ დასასურათებლად, ალბათ, სწორი იქნება, ისინი იმ ცხოველებს კი არ შევადართო, რომელთა მოთვინიერება შეუძლებელია არა ლომის ბოყვებით, რომელთა მოშინაურებასაც ცდილობენ, მაგრამ, გაიზრდებიან თუ არა, ნამდვილ ლომებად იქცევიან, არამედ ფოტკინიანებს, რომელთაც თეთრის კომფორტული ცხოვრება სევდას ჰგვრით, ამიტომაც საფრთხით სავეს ვეფერ ცხოვრებას და მისით გამოწვეულ ჩვენთვის გაუგებარ სისურულს ამჯობინებენ. და აი, ის დღეც დგება, როცა დამარტოებულები ხედებიან, რომ უნარი არა აქვთ, ერთდროულად სხვებიც ატყუონ და საკუთარი თავიც; თავის მსგავსებს (მათ სჯერათ, რომ ცოტანი არიან) გაუგებრიან და სოფელში გადადიან საცხოვრებლად, რადგან საკუთარი არასუნებრობა ზიზღის გრძნობას აღუძრავთ ან ეშინიათ, ისე ცდუნებას არ აპყვნენ, სხვა ადამიანებს კი სირცხვილის გამო გაუგებრიან. ნამდვილი სიმწიფის ხანას ვერასოდეს აღწევენ, გამუდმებული ნადველი აწევენ, დროდადრო, კვირა საღამოს, როცა მთავრე არ ანათებს, სასიეროდ მიდიან, გზაჯვარედინამდე გაუყვებიან, სადაც ბავშვობის რომელიმე მეგობარი, რომელიც იქვე მეზობლად ცხოვრობს, მდუმარედ ელოდებოდა. და ისინი, ასევე უსიტყვოდ სიბნელეში აგრძელებენ ოდესღაც ბავშვობაში ბალახზე დაწყებულ თამაშს. სხვა დღეებში ერთმანეთთან დადიან, ერთიურზე, იქითურზე ლაპარაკობენ, არც იქით არ იხსენებს იმას, რაც მათ შორის მოხდა, თითქოს არაფერი ყოფილა და არც იცნებ, ოღონდ საუბარი ოდნავ შესაძინევი სიტყვები და ირონია იგრძნობა, ხამუ-ხამუშ გალიზინება და სიძულვილიც იელვებს. მერე მეზობელი ცხენით თუ ვირით მიაბა, მწვერვლების დასალაქრად, არცთუ იოლ მოგზაურობაში მიდის, თვალზე სინჯავს; აქ დარჩენილი კი, ვისაც საკუთარი უზნეობა სუსტ ხასიათთან, მარტობასთან, მოშობასთან გაუიგივებია, ხედება, რომ თავისუფლებისკენ მიმსწრაფი მისი მეგობრის სულში, რომელიც ახლა ზღვის დონიდან ამდენ და ამდენ მეტრ სიმაღლეზე იმყოფება, ბიზიერება ვეღარ იხიებენ. და მართლაც, ის მეგობარი ცოლს ირთავს. ცხადია, მიტოვებული მეგობარი ამის გამო არ გამო-

* უოლტერ სკოტის რომანის „რობ როის“ პერსონაჟები.

ჯანმრთელობა (თუმცა, როგორც ეს შემდეგში გამოჩნდება, სხვა შემთხვევაში გარყვნილობის განკურნება შესაძლებელია). ახლა მიტოვებული მეგობარი მოითხოვს, მერძევე ბიჭმა ახალი ნაღები დილაობით სამზარეულოში შეუტანოს, საღამოობით, როცა სურვილი მეტისმეტად აწუხებს, იქამდე მიდის, რომ თავდაკარგულ მთვარეს გაზს აჩვენებს; ხოლო ბრძანს პერანგს უსწორებს. ზოგიერთი გაუკუღმართება ზოგჯერ თითქოს იცვლება, მათ ქცევებში უკვე აღარ ჩანს (ე.წ.) ბონიერება; მაგრამ უუკალოდ არაფერი იკარგება: საღვთო მიგდებული ძვირფასი ნივთი ბოლოს მაინც გამოჩნდება; როცა ავადმყოფის მერ გამოყოფილი შარდის რაოდენობა იკლებს, ეს ნიშნავს, რომ იგი ძლიერ იოფლება, მაგრამ აუცილებელია, გამოიწყოსის რაოდენობა ძველბურთი დარჩეს. ერთ დღეს აქ მოისესქუსალისატ სხალგაზრდა ნათესავი უკვდება, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როგორ დარდობს და იტანჯება, მიხვდებით, რომ მან სიყვარულის მოთხოვნისგან და ნათესავზე გადაიტანა, - სიყვარული შეიძლება უმანკოდ იყოს, სიყვარული, რომელშიც პატივისცემა ფილოსის სწრაფობაზე მაღლა დგას. როგორც ჭინჭრის ციება დროებით მაინც აეინყებს ავადმყოფებს თავიანთ მუდმივ სწეულებებს, ასევე ამ გარყვნილი კაცის წმინდა გრძნობამ ახალგაზრდა ნათესავისადმი, თუნდაც დროებით, მეტასტაზური გზით, მისი მიდრეკილება შეავიწროოს, მაგრამ, ადრე თუ გვიან, უკვე განკურნებული ავადმყოფობის ადგილს ისევ მუდმივი სწეულებები დაიკავენებ.

ამასობაში მისი დაქორწინებული მეზობელიც ბრუნდება; იმ დღეს, რა დღესაც მათი სადილზე დაპატივება მოუწია, ახალგაზრდა ცოლის სილამაზემ და მისდამი ქმრის აღერისანამა მოპყრობამ დამარტოებულს თავისი წარსულის გამო სიარტისთვის გრძნობა აღუძრა. ცოლი უკვე გაიმტერესო მდგომარეობაშია და შინ ადრე უნდა წავიდეს. ის მიდის და ქმარს მეგობართან ტოვებს; როცა ნასვლის დრო დაუდგება, სტუმარი მეგობარს გაცილებას თხოვს; ეს ვერაფერი ხვდება, აცილებს; გზაჯვარედინთან კი ალპინისტი, რომელიც მალე მამა უნდა გახდეს, უსიტყვოდ ისევ ბალახზე წამოაქცევს. ამიერიდან მათი შეხვედრებიც ხელახლა იწყება და იმ დღემდე გრძელდება, ვიდრე მათ ახლოს ახალგაზრდა ცოლის ნათესავი არ ჩასახლდება; ქმარი ახლა უკვე მასთან ერთად აწყობს გასეირნებებს. და, როცა მიტოვებული მეგობარი საღამოსას მასთან შეივლის, ის ღვარძლიანად იმორებს თავიდან, აღმშობილებული იმით, რომ ყოფილ მეგობარს იმდენი ტაქტი არ ეყო, რათა ეგრძნო, რაოდენ სატყვევლი გახდა ახლა მისთვის. ერთხელაც მასთან ვიღაც უცნობი მოდის, რომელიც მოლაღატე მეზობელმა გამოუგზავნა; მიტოვებულს ძალიან ბევრი საქმე უჭირდა და მისთვის არ ეცალა. მხოლოდ მერე მიხვდა, რა მიზნითაც ეწვია ეს უცხო კაცი.

მიტოვებულს მარტობა აწამებს. ერთადერთი მისი გასართობი პლაჟის ახლოს მდებარე სადგურში სიარული და რკინიგზის თანამშრომელთან საუბარია. მაგრამ თანამშრომელს მალე აწინაურებენ და სადღაც, საფრანგეთის მეორე ბოლოში გადაწყვიტა საშუაოდ; მარტოებელი უკვე ველარავის-მარ იგებს, როდის რომელი მატარებელი გადის, რა ღირს

პირველი კლასის ვაგონის ბილით, მაგრამ სახლში უცბად არ ბრუნდება, რათა გრძელდასავით იოცნებოს, დიდხანს ვერაშორდება პლას, შეიძლება იგი ანდრომედს მსგავს ვინმედაც მივიღოთ, ოღონდ არ ანდრომედს გასათავისუფლებლად არგინავტი არ მოვა, ანდა უნაყოფო მედუზად, რომელსაც ქვიშაზე დალუპვა უნდარი; ზოგჯერ მატარებლის გასვლამდე ბაქანზე ნახტად სეირნობს და მგზავრებს ისეთი თვალით უყურებს, რომ ეს გამოხედვა სხვა ჯიშის ადამიანებს, ალბათ, უგრძნობი ეჩვენებათ, ავდებელი და გვიანტურლი, სინამდვილეში კი, როგორც ზოგიერთი მწერი თავისივე ჯიშის მწერის მისატყუებლად ანათებს ან ზოგი ყვავილი ნექტარს აფრქვეს, რათა მიზიოდოს მწერი, რომელიც გაანაყოფიერებს, ისეთი თვალთ უყურება, რომლითაც ვერ მოატყუებ მეტისმეტად უჩვეულო სიამოვნების მოყვარულ, მეტისმეტად იმეით გახვეულს; ამ გამოხედვით არ მოტყუვდება თანამოაზრე, ვისთანაც ჩვენი სპეციალისტი ორივე მათგანისთვის გასაგებ ენაზე ლაპარაკს შეუძლებდა; ეს კია, გახე ბაქანზე ვინმე კონკრეტურადა ისეთ სახეს მიიღებს, რომ შეიწიოს, ამ გამოხედვამ დამიმორჩილა? მაგრამ აი მატერიალური მოსაზრებით კი ხელმძღვანელობს, როგორც ის, ვინც კოლეუფ ფრანსის*** ცარიელ აუდიტორიაში, სადაც სანსტრისტი პროფესორი ლექციას კითხულობს, მხოლოდ იმისთვის შედის, რომ გათბეს. მედუზა! ორქიდეა! როცა ბალბეკში ჩემში მხოლოდ ინსტინქტი ლამარაკობდა, მედუზა მეზობლებოდა; მაგრამ უნარი რომ მქონოდა, მისთვის ისე შემეხება, როგორც მომლუ**** შეხედავდა, ბუნების მკვლევარისა და ესთეტიკის თვალთ, მამინ საუცხოო ლაყვარდოვან სხივთა კონას დავინახავდი. განა მედუზები თავიანთი გამ-

* საუ საუკუნეების ლეგენდების გმირი ქალი. ერთგულბისა და ხანგრძლივი თმების მავალითი (მთარგმ.).
** ეთიოპის მფვის, კესესის ულამაზესი ქალიშვილი. დედამისმა გამოაცხადა: ჩემი ქალიშვილი წერიდებზე უნდა მიაზიო. განაწყენებულმა წერიდებმა პოსიუდონთან იჩივლა. პოსიუდონმა ეთიოპიამ ურჩხული გაგზავნა, რომელმაც მთელი ის მზარე მოაოხრა. მისანმა იმისა: ანდრომედა უნდა მიცვათ ურჩხულისთვის, მაგრამ უკრესმა იხსნა იგი - ურჩხული მოკლა და ანდრომედა ვიღაც შერთო. სიკვდილის შემდეგ ანდრომედა თანავარსკვლავედად იქცა (მთარგმ.).
*** დღესაც არსებული უმაღლესი სასწავლებელი პარიზში, რომელიც მეფე ფრანსუა პირველმა დააარსა 1530 წელს, როგორც რუნესანსული ტიპის ახალი უმამინტარული სასწავლებელი (მთარგმ.).
**** ფილე მიმლე (1798-1874) - ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი (მთარგმ.).

ქვირდული ხაერდოვანი ფურცლებით ზღვის იასამინფერი ორიქუნები არ გახლავან? მსგავსად ცხოველური სამყაროს არსებათა მრავალფეროვნებისა, მსგავსად მცენარეული სამყაროს ანდენი ნაირსახეობისა, იმ მცენარის მსგავსად, რომელიც ვანილს გვადლევს, თუკი კოლონია ან რომელიღაც ფუტკარი მტკვრის ერთი ორგანიზმად მივრჩევი გადაიღებს ან ადამიანი ხელოვნურად განაყოფიერებს, ბატონი დე შარლიუც (და აქ სიტყვა „განაყოფიერება“ მორალური აზრით უნდა გავიგოთ, რადგან ფიზიკური გაგებით ერთი მამლის კავშირი მეორე მამალთან უნაყოფია, მაგრამ იმდივიდუალისთვის უმნიშვნელო როდია მისთვის გამოყოფილი ერთადერთი სიამოვნების შესაძლებლობის მიღება, არც იმის გადნობიერება სულერთია, რომ „ყველა სულიერმა“ შეიძლება ვინმეს ძღვენად მიართვას, „თავი ნელ-ნელა გაიკნობიერებენ, თუმცა ამის მიხვედრა თავიდანვე იყო შესაძლებელი; შეგუება იმისთვის, რომ თანახარი და ურთიერთდამაკმაყოფილებელი სიამოვნება მიიღონ, თანახარი სიყვარულისკენ სწრაფვისას, გარდა დიდი, ზოგჯერ გადაუღასავი წინააღმდეგობისა, რაც ნორმალურ ადამიანებს ელობებათ ხოლმე, სრულიად განსაკუთრებულ წინააღმდეგობებსაც ეჯახებიან და ის, რაც უშიშვითეს მონაპოვარს წარმოადგენს, მათთვის ითიქვის მიუღწეველია, და, თუ მათ ცხოვრებაში ნამდვილად ბედნიერი შესხვედრა არსებობს ან ისეთი, როგორსაც ბუნება ნამდვილ ბედნიერებად ასაღებს, მაშინ ის განუზომოდ, საუცხოო საჩუქრად ეჩვენებათ, მხოლოდ რჩეულთათვის განკუთვნილია, და უფრო მნიშვნელოვანი ჰგონიათ, ვიდრე ჩვეულებრივ შეყვარებულებს. დაიხ, კაპულეტებისა და მონტეგების მტრობა, სახეს ყველა შესაძლებელი დაბრკოლებითა და განსაკუთრებული წინააღმდეგობით, რომელიც ბუნებამ მათ ირგვლივ განალაგა, ასეთ სიყვარულს წარმოშობს. და, ვიდრე ცდუნებული ჟილეტების ყოფილი მკერავი ამ ორმოცდაათი წლის ლიპიანი კაცის წინაშე ტორტმანზედა და წრიალებდა, ჭკვიანური აზრი მოუყვია: უკვე დრო იყო, სამსახურში წასულიყო. ამ რომეოსა და ჯულიეტას სრული საფუძველი ჰქონდათ, ეფიქრათ, რომ მათი სიყვარული წუთიერი კაპრიზი არ იყო, არამედ ნამდვილი და წინასწარ განზრახულიც გახლდათ, რადგან იგი მათი ტემპერამენტის პორმონებში იყო ჩადებული, და არამარტო მათი, არამედ მათი შორეული წინაპრების ტემპერამენტის მემკვიდრეობითობაშიც, თანაც ისე კარგად ჩადებული, რომ მათ შეუძლიათ იფიქრონ, ერთმანეთისკენ ის ძალა იზიდავთ, რომელიც იმ სამყაროებს მართავს, სადაც ჩვენმა წინა ცხოვრებებმა ჩაიარა. ბატონმა დე შარლიუმ ყურადღება გამიფანტა, კრაზანა დამაყინყდა და ვეღარ გავიგე, მოუტანა თუ არა მან ორიქუნის მისთვის ესოდენ სასურველი მტკერი. ამ დღის შემდეგ ბატონმა დე შარლიუმ ქალბატონ დე ვილპარიზისთან სტუმრად მოსვლის დრო შეცვალა, არა იმიტომ, რომ ჟიუპიენს სადმე სხვაგან, უფრო შვიდ გარემოში ვერ შეხვდებოდა, არამედ იმიტომ, რომ მისთვის, ისე, როგორც ჩემთვისაც, ეს მათი პირველი შესხვედრა, ალბათ, შუადღის

მცხუნვარე მზისა და აყვავილებული მცენარეების მოგონებებთან იყო დაკავშირებული, ბატონმა დე შარლიუმ ჟიუპიენებს: ქალბატონ დე ვილპარიზისთან, შერკოვინია დე ჭკრმანტთან და სხვა ბევრ წარჩინებულ ქალთან გაუწინა რეკომენდაცია და იმათაც აღარ დააყოვნეს, ახალგაზრდა მკერავი ქალი შეკვეთებით ააესვენ, ისეთ კი, ვინც მკერავთან ურთიერთობა არ იშორებდა ანდა შეგავინდა, ბარონმა თავს მთელი თავისი რისხვა დაატეხა, ალბათ, იმიტომ, რომ სხვებისთვის ეს გავკვირები ყოფილიყო, ან, იქნებ, იმიტომაც, რომ გაბედეს და ურჩობა გამოიჩინეს; მაგრამ მარტო ამას არ დასჯერდა, ჟიუპიენისთვის უფრო და უფრო ხელსაყრელ თანამდებობებს პოულობდა, ბოლოს მდინედა აიყვანა იმ პირობებით, რაზეც მოგივინებდა ვეცქნება ლაპარაკი. „ბედნიერი კაცია ეს ჟიუპიენი!“ ამბობდა ფრანსუაზა, რომელსაც ერთი უცნაური თვისება ჰქონდა – ან უნდა დამეცრო, ან გაუეკიდებინა სიკეთე, იმის მიხედვით, თუ ვის გაუუღებინა იგი, მას თუ ვინმე სხვას. მაგრამ ახლა სხვა შემთხვევასთან გვექირდა საქმე, მას ჟიუპიენი წარმონგულად უყვარდა, ამიტომ არც მისი გონმატეგების გაზვიადების სურვილი ჰქონდა და არც შურენ. „ბარონი ისეთი კეთილი კაცია, – უმატებდა. – ლევისმოსავი და პატიოსანი. მდგაროთხარე ქალიშვილი რომ მყავდეს და მდღადაც ვყოფილიყავი. არც კი დაეფიქრებოდი, ბარონს მივთხოვებდი“. – „მაგრამ, ფრანსუაზა, – მშვიდად ეუბნებოდა დედაჩემი. – მაშინ თქვენს ქალშვილს ორი ქმარი ეყოლებოდა. აბა, გაიხსენეთ, თქვენ ხომ უკვე ალუთქვით ჟიუპიენს ცოლად გამოგაყოლებო“. – „აჰ, ქალბატონო, – პასუხობდა ფრანსუაზა. – ამითან ქალი ბედნიერი იქნება. არამზადასთან კი, მდღარი იქნება თუ ღარიანი, ტირილი არ აცდებდა. ბარონი და ჟიუპიენი კარგი ხალხია“. უნდა გითხრათ, რომ მას შემდეგ, რაც პირველად აღმოვაჩინე ესოდენ იშვიათი კავშირი, მისი განსაკუთრებულობა კარგა გავაზვიადებუნიერებია, ისეთი მამაკაცები, როგორიც ბატონი დე შარლიუ ბრანდუა, უჩვეულო არსებები არიან, რადგან ცხოვრების მიერ შემოთავაზებულ პირობებთან გარეგანზე არ მიდიან და სიყვარულს უპირატესად სხვა მოდგმის კაცთან ეძებენ, ასე რომ ვთქვათ, ქალების მოყვარულ კაცთან (აქედან გამომდინარე, მას ამის შეგვეგონება არ შეუძლია); მაგრამ, მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობდი, ეზოში, სადაც ჩემ თვალწინ ჟიუპიენი ბატონ დე შარლიუს ირგვლივ ისე იშლებოდა, ისე ეკურკურებოდა,



როგორც ორქვიდა კრახანას, ეს უჩვეულო ადამიანები მაინც სიბრალულის გრძნობას აღძრავენ – რაც ზომდები თხრობისას გამორჩეულად და მიზეზთა გამო მხოლოდ ბოლოში გაიხსნება – აკი თვითონვე უფრო იმაზე ჩივიან, რომ ბევრი არიან და არა იმაზე, რომ ცოტანი გახლავან. სოდომის კარიბჭესთან ორი ანგელოზი დააყენეს, რათა გაიგონ, მისი მაცხოვრებლები, რომელთა ხორხოციც უნდა აღწესდეს; ზუსტად ისე თუ იქცევიან, როგორც ნათქვამია შესაქმეთა წიგნში; უფალმა ჩაჩქარევი გადანაცვებლობა მიიღო, რაც მხოლოდ უნდა გვიხაროდეს, უკეთესი კი იყო, ეს საქმე რომელიმე სოდომელისთვის მიეწოდო. ასეთი თავის მართლებად კი „ექვეტი შვილის მამა ვარ, ორი ხარჭა მყავს და სხვა“ გულს ვერ მოულობოდა მას, ვერც სასჯელის ზომას შეამცირებდა და ვერც ცეცხლოვანი მახვილის ტყორცნას შეაჩერებდა; და იგი უპასუხებდა: „დაიხ, მაგრამ ცოლსა შენსა ეჭვი ანამებს, მაშინაც კი, როცა ქალებს გომორში არ ეძებ და ღამებს ჰვერინის სამწყსოს მწყემსთან ატარებ“. და მაშინვე ცეცხლსა და გოგირდის წვიმებით განადგურებისთვის განწირული ქალაქში დააბრუნებდა. მაგრამ ასე მოქცევა არ ინება: ყველა სოდომელს, ვისაც სირცხვილის გრძნობა კიდევ შემორჩენოდა, გაქცევის ნება მისცა, ისიც კი, ვინმე ჭბუკის დანახვისას უკან რომ მოიხედა, არ გაუწირავს და ლოტის ცოლივით^{*} მარლისი ქანდაკად არ უქცევია. და მათგან წარმოიშვა მრავალრიცხოვანი შთამომავლობა, რომლებსაც ეს საქმიანობა ჩვეულებად ექცათ, მსგავსად იმ გარყვნილი დედაკაცების საქმიანობისა, რომლებიც ვითომ ვიტრინაში ფეხსაცმელს ათვალღერებენ, სინამდვილეში კი სტუდენტებს უთვალთვალალებენ. სოდომელთა შთამომავლობა ისე მრავალრიცხოვანია, რომ ამათაც უნდა დაერთოს შესაქმეთა წიგნიდან ორიოდ სიტყვა: „თუ ვინმე შეძლებს დედამიწაზე მტერის დათ-

ვლას, მაშინ შთამომავლობა მისი დათვლილი იქნება.“^{**} ისინი მთელ დედამიწაზე გაფრცხლდნენ, რაც უნდათ, იმას აკეთებენ. უჩვეულოდ ადვილად ხდებიან ისეთი კლუბების წევრები, სადაც შეღწევა მეტისმეტად შეზღუდულია, და, თუ რომელიმე მათგანს არ მიიღებენ, ეს ნიშნავს, რომ შავი ბურთოლების უმრავლესობა, ძირითადად, ისევე ისეთივე სოდომელებმა ჩაუყარეს, როგორებიც თვითვე არიან და რომლებიც სოდომის ცოდვას ცეცხლად და მახვილად ევლინებიან, რადგან წინაპართაგან მემკვიდროვად სიცრუე მიიღეს, რომლის წყალობითაც მოახერხეს და ეს უფლისგან დანაყველილი ქალაქი დატოვეს. შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს იქაც დაბრუნდნენ. ყველა ქვეყანაში ისინი რაღაც განსაკუთრებულ ამოსავლურ კოლონიას ქმნიან, განათლებულს, მუსიკალურს, გულდრძის, მომავადობედილი ღირსებებითა და აუტანელი ნაკლით გამორჩეულს. შემდეგში მკითხველს ამ ადამიანებზე უფრო ზუსტ წარმოდგენას შეუქმნით, მაგრამ აქვე გვიხანდა დავამატოთ, რომ სოდომისტური მოძრაობის ჩამოყალიბების განზრახვა, სოდომის ხელახლა აშენება არანაკლებ დამაბრუნებელია, ვიდრე სიონისტური მოძრაობის ნაქმნება. სოდომისტები ვერც კი მოასწრებენ ამ ქალაქში შესვლას, რომ მაშინვე მიატოვებენ, რათა მისი მუდმივი მცხოვრები არვის ეგონოს, სხვა ადგილებში წავლენ, სადაც ცოლდეს იპოვიან, სადაც საყვარლებს შეინახავენ და სადაც მათ განკარგულებაში იქნება უამრავი მაცდუნებელი გასართობი. სოდომს მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში ეწვევიან, როცა მათი ქალაქები დაცარიელებმა, ეს იქნება ფაზი, როცა შიმშილი მეგლს ტყიდან აძევებს, მოკლედ, ყველაფერი ისე აეწყობა, როგორც ეს ახლა არის ლონდონში, ბერლინში, რომში, პეტერბურგში, პარიზში.

იმ დღეს კი, ჰერცოგინისთან ვიზიტის წინ, შორის ვერ გაიხივდე და გული მწყდება, რომ ჩემი ყურადღება ყოუპიენ-მარლოუს კავშირმა მიიჯაჭვა და შეიძლება ამის გამოც ვეღარ ვნახე, როგორ გაანაყოფიერა კრახანამ ყვავილი.

ფრანგულიდან თარგმნეს
ნატო და გიორგი კახაბერებმა

* ცნობილი ბიბლიური ეპიზოდია: როცა ლოტი ცოლითა და ქალშვილებით დასალუპად განწირული სოდომიდან გარბოდა, ანგელოზებმა გააფრთხილეს, უკან არ მიხედათ. ლოტის ცოლმა მაინც მოიხედა და მარლისი სეკვად იქცა (მთარგ.).

** ციტატა ბიბლიიდან, რომელიც ზუსტად არ არის გადმოცემული.



საგარეო



რამიშვილები

სუბიშვილების
პროექტი



„რამიშვილები“



ლია სტურუა

ბათუმი, ზღვა („გაღებულია სამოთხის კარი და მე მრცხვენია, რომ ვარ უშენოდ“). კონცერტი, უფრო სწორად, წარმოდგენა, რომელსაც ჰქვია „რამიშვილები“.

პირველი გაკვირება – ზამბარასავით ამოვარდნილი ბგერა ადის ზევით, უმაღლეს რეგისტრში და მერე იწყებს გარდნას, ყურში და გულში ჩახრახნის უნარით. ამ ბგერას იმეორებს ქალი, სიმღერით დაჭიმული, როიალიდან თუ ვიოლინოდან ამოღვევილი სიმღერით, უსათუოდ სი ბემოლი, თუ ვტყუი? მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. ყველაზე მეტი თითსწევრები და ხელები აქვს, სუნთქვაზეც კი მეტი, მერე ტანი უფარდება ამ ხელმიდან, ბგერასთან ერთად წყდება, თუ კვდება.

და ამ წარმოდგენის ქვეშევრდომი ხდება. არა მოცეკვავეთა ანსამბლის კონცერტის, არამედ წარმოდგენის, სპექტაკლის, რომელმაც თავიდან რომერტ სტურუას „სტიქის“ გამახსენა, თუმცა სრულიად განსხვავებული და თვითმყოფადია. ზოგადად, სტიქის და მისი სამი ალისფერი შენაკადი, როგორც დაღვრილი რძე, ყელის სრულყოფილ ფორმას იმეორებს. ეს სამი შიფონის გოგოც, მოდილიანის წაგრძელებული ტანებით, სისხლის აზრობრივი ნევატივის მიუხედავად, იგივე ესოტიკას ხატავს, ოღონდ ასჯერ უფრო მკაფიოს – ალისფერს.

დაღვრილი რძის პლასტიკა და ცეცხლი! თავიდან ცეცხლის ენებს ჰგვანან, სანამ უზრუნველ, მისარულ, სიყვარულით და ვენებით დამუხტულ გოგო-ბიჭებს შორის დარბიან, ტკაცუნობენ. არავითარი მინიშნება მომავალ სისხლზე, მაგრამ ტანგო ისეთი ბედნიერი ცეკვაა, არ შეიძლება, დიდხანს გაგრძელდეს, რძის თეთრი ყელი მინაზე უნდა დაიღვაროს, არაფერი პირადული!

და რა ქანა გადარჩენილმა ბიჭებმა? („გაღებულია სამოთხის კარი და მე მრცხვენია, რომ ვარ უშენოდ“) სიზმრების და არაფის კილომეტრებს გაივლიან თავის გოგოებამდე, ისინიც ამოდან აიდიდან და ცეკვას გააგრძელებენ, იმ ძალიან მწარე და ძალიან ქალური სიმღერისა არ იყოს:

„შაქარივით დავედნები, სანთილივით გავექრები, სატრფავს ხმას ვაგვიგებ, გენაცვალე, მკედარიც ვიყო, ავდგები“

რა ვქნა, ჩემი ხელობის გადაძვივ, მდუმარე პლასტიკურ ყელს ვერბალურად ვაქცევ, არ შეიძლება ცეკვის მოყოლა. სიუჟეტი ლექსის თვითმკვლელობაცაა. ყველაზე დახვეწილი ფრანგი პოეტები, სიმბოლისტები, ამბობდნენ: სიტყვას რომ ბევრჯერ გაიმეორებ, ჯერ აზრი იკარგება, მერე ბგერების სიმკვეთრე, რჩება მარტო უღრრადობა, რომელიც არის მუსიკა. აი, ეს სუფთა მუსიკა საძირკველია პოეზიის, ცეკვაც წმინდა პლასტიკაა, პანტომიმის გარეშე. თუ კარგად იცი მოძრაობის ანატომია, მერე ჩნდება ეს დამტყვევებელი ხაზები, ეს განწირული გრაფიკა, ეს თვითკმარი მოძრაობა ბგერასთან ერთად და ნინო სუნიშვილის ის მხატვარია, რომელიც მოცეკვავეებს კი არა, ცეკვას აცემეს. სოლიკო ვირსალაძის მერე ძნელი იყო, სრულიად განსხვავებული, მაგრამ ისეთივე მხატვრული ღირებულების კოსტუმების შექმნა: არავითარი სიჭრელე, თავმკაცვებელი პალიტრიდან ამოხტომა. ფერი ყვირის მხოლოდ მაშინ, როცა მას კლავენ, როცა პასტელის ფერები შესრულებული მშვენიერი ქართული სამია თანამედროვე ტრავგადიად იქცევა, რომელსაც კანონები არ აქვს: ინცენტის გამო თვალებს არ დაითხრის, ელექტრას კომპლექსით თავს არ გაინვალებს, კათარზისიც იმეფათად აქვს ბოლო ნერტილივით. ქორც ასეთია, შემოკლებული და სისხლიანი – სამი ქალი სიმკაცრეს და მიუდგომლობას კი თამაშობს, მაგრამ თანაგრძნობა უფრო გამოსდით, თანატყვილი. ჩემთვის ეს ქორზე უფრო რეფრენია. ფოლკნერს რომანებშიც კი ჰქონდა რეფრენები... თან, როგორ შეიძლება ქორის სისხლი გაუზრი? შეიძლება, თუ ილიკო უსიშვილი ხარ და დამშვიდებულ ნერვებს კბილების კოლოფებიდან, ლოყების ბალიშებიდან, ხერხემლის ძვლებიდან ამონელავ და წითლე დროშებს ააფრიალებინებ. – არ გვინდა ამდენი რეკლამაცია, დავილაქეთ! იტყვის უბერი მაყურებელი. ზოგა გულწრფელად ურჩევნია ნაცნობი მელოდია, მართკუთხა დახრილობა, გედები სახელოდან – შეგვეული ილუზია.

ქართული ეროვნული ანსამბლი და საიდან ეს მარკესის სიგიჟე? ჩვეულებრივი ქალი ჩვეულებრივი ვარცლიდან რატომ შეიძლება ჰაერში აფრინდეს და ისიც წარინჯისფრად, თუ ალისფრად?

რატომ? „ტაძარი აუვგათო ყველა შეკითხვას“ – ამბობდა პოლ ვაუერი. შეკითხვა უკვე მზაობაა შემოქმედებისთვის, საძირკველის მცდელობა მისთვის. უბერი ადამიანი შეკითხვას არ სვამს. პრეტენზიულ საშუალოს შეკითხვები ბავშვობაში



გათვავდა. ახლა მან ყველაფერი იცის, სოკრატესგან განსხვავებით. პროფესიონალსაც უშიშროსად აღიზიანებს უჩვეულობა ბანალური ფუძის გარეშე, კოლეგას შურს. და ა. შ.

„მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს“ ამბობდა გალაკტიონი. ამიტომ მოაკვლევინეს თავი?

ნარმოდგენი ფინალში შავტანსაცმლიან გოგოებს გულზე თეთრი წრე აქვთ, აპლიკაცია, აშკარა სამიზნე, განწირულების ლოგო. მათ გარშემო ომი მიდის. ხორფში ომის ცეკვაა. მეომრებს ჩოხების ნაცვლად ამერიკული კამუფლაჟი აცვიათ, თან ამედროვე ომი ფორმითაც განსხვავდება წარსული ომებისაგან, რადგან ომი სამართლიანი, თუ უსამართლო, ერთი ცალკე აღებული ადამიანის მიმართ განუკითხაობაა. ვის მოკლავენ ომში პირველს? ალბათ იმას, ვინც ამბობს: „და მეგრებმა მე ჩემი მტრები, არ ვიცი მტრობა“. აქ გოგოებს კლავენ, ყველაზე იოლ სამიზნეებს. მაგრამ ეს ხომ ცეკვაა. ბრწყინვალე ბატალია, თავისი პლასტიკით და ნახატით. როგორ შეიძლება ეს ყველაფერი ადამიანმა ვერ დაინახოს და ვერ იგრძნოს და თუთიყუშებით იმეოროს: – ის ძველი ფოლკლორული ანსამბლი მირჩენიაო. ის ანსამბლი არსებობს, არსად არ წასულა და ისეთივე დიდებულია, როგორც ადრე. სამწუხაროდ, დიდი ილიკო და თენგიზი ვეღარ დგებიან თითისწვერებზე და ნინო რამიშვილი „ჯეირანს“ ვეღარ ცეკვავს. როგორც ვახტანგ ჭაბუკიანმა ბალეტში კაცი სრულყოფილებიანი მოცეკვავე გახადა და „ამნე კრანის“ ფუნქცია შეუმსუბუქა, ისე ნინო რამიშვილმა ქართულ ცეკვაში ქალების, უფლები და ყველაგადაღებული კრავების სრიალში ისეთი ტემპერამენტი დაატრიალა, რომ საკუთარ თავში დარწმუნებული, სარგადაცალაპული კაცები მუხლებზე დაყავნა.

ახლაც, ილიკო სუბივილიმა ქალები რომ კაცებით აცეკვა, ნინო რამიშვილის აქცენტი გააძლიერა. ეს იდეა – ქალური საწყისის ვაკტიორების, რაც ქართულ ფოლკლორში არსებობდა, გაროჯ ბალანჩინის მიუწოდებია თავის დროზე ქალბატონი ნინოსთვის.

ეს ორი უნიჭიერესი ადამიანი, ნინო და ილიკო სუბივილები, ახალ ქართულ ეროვნულ ბალეტს ქმნიან. ხელოვნება რომ ერთ ადგილზე იდგეს, ჭაობივით ამყავდება და აზრს დაკარგავს. სიახლესთან შეუგუებლობა გლობალური მოვლენაა.

ბეთოვენმა რომ სიმფონიაში გუნდი შეეყვანა, არამიტომ მსმენელი, არამედ მთელი მსოფლიო კალური საზოგადოება აიზხედრა.

და უცნაური რამ მოხდა. დაუჯერებლად კარგი დარბაზი იყო ბათუმში. ისეთი სწორი რაქაცია ჰქონდა, ისე გრძნობდა ნიუანსებს ცეკვის, სცენოგრაფიის, იმის, რასაც წარატივი შექნა და არა სიუჟეტი. ახალგაზრდები ჭარბობდნენ. ისინი უფორ სისხლით ეხებიან სამყაროს, ოღონდ არა იმითომ, რომ კანი გაუცვდათ, პირიქით, ჯერ თხელი და სიფრიფანა აქვთ ეს კანი, ჯერ არ გასქელებიათ. შერე მათ ნაწილს კი დაეფრება ცხინობა და ნუჭრის შრეები, ყოფილგან თავის დასაცავად, მაგრამ ვერც გამიტყუნებ. ყველა შემოქმედი ვერ იქნება, ვერც ხელოვნების მოყვარული, შიშველი რეცეპტორებით და ნერვებით დიდხანს ვერ იდგება სასტიკი ცხოვრების პირისპირ. არ ვიცი, იქნებ ზღვის სიახლოვეც მოქმედებს. ადამიანი ხომ თავისი სასრული ბუნების გამო, ყველაფერს ცდილობს, ბოლო მოუწახოს, წერტილი დაუსვას. კი, ჰორიზონტი თამაშობს უსასრულობას, თვალვით გარბის, მაგრამ თვალც ხომ შენია, მიწდორს ხედავ, თავდავად, ტყე იწყება, მთა იწყება, წვეთი კი ცას ეხება, მაგრამ სასრულია, ხაზით შემოწერილი. გარემო რომ უსასრულია, ტვინით იცი, მაგრამ თვალთ ვერ ხედავ, კანით ვერ გრძნობ. ალბათ, ზღვაა ერთადერთი, რაც უსასრულობას რეალისტურად, აშკარად გაგრძნობინებს, როგორც ღმერთის საკუთარ ტანში. ხომ გჯერა, რომ ღმერთი ყველაზე და ყველაფერშია, მეტატონის ჩემი ანტიპოპორფიზმი, მაგრამ ზღვაზე განსაკუთრებით მძაფრად გრძნობ ამას, და საკუთარი თავი ისე გიყვარდება, როგორც ბავშვობაში.

13 ივლისს, ბათუმში, ხელოვნების ცენტრის სცენაზეც აშკარად იყო ღმერთი, როგორც ტრაგედიის კანონით Deus ex machina, ისე ტლანტის ძალით „მაქს მერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა“ – რა არის ეს? კიდევ ერთი კარგი სტრიქონი, თუ დიაგნოზი? ნამდვილი შემოქმედება, სხვა დანარჩენი ცდელობაა, ხშირად არცთუ უნიჭო, მაგრამ სასრული, ადვილად წერტილიანი. ეს სტრიქონი გამახსენდა ორივეჯერ „რამიშვილების“ კონცერტზე თბილისსა და ბათუმში და დარწმუნებული ვარ, ნინო და ილიკო სუბივილების ყველა ახალ კონცერტსა თუ წარმოდგენაზე იგივე ლექსი ამეკიატება:

„მაქს მერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა“.



B. Gotsa

FAMILY WINES

საქართველოს
საქართველოს

ბებე ბობაბის სეპეპეპეპეპე ბებეპე



PRODUCT OF GEORGIA



WITH NATURAL

FREE OF ANY ADDITIVES, NONE FILTERED

www.gotsawines.com

beka@gotsawines.com



中華民國國家圖書館

館藏登錄號

812.8110.110

ISSN 0334-9848



9 770134 984002

56500

659679

NEW